

გივი შადური

- ქართველ მწერლებს ჩემი სალამი და უღრმესი პატივი გთხოვთ მიცნობდეთ! ნაკაცარი გახლავართ ვინმე გივი შადურიც ნუ შესწუხდებით ბატონებოც მეტი რა უნდა გივისაბ გარდა კახური ღვინისაბ ეხე-ხეი ნუ შეშინდით-მეთქიბ ყმაწვილებოშ მეტოქეობას არ გაგიწევთშ ჩემი პოეტური მარაგი ამ ერთი სტრიქონით იწყება და ამითვე თავდება თუმცაყყყ

თუმცა ვინ იცისბ რა იმარხება ამ გულში ვინ იცის! ვინ მეტყვის! ვერავინბ არავინ! ჩემი გზა სხვა გეზით რომ წასულიყო ან მე თვითონ სხვა გზას რომ გავყოლოდიყყყ ექვბ ეშმაკსაც წაულია ყველა გზები! ტყუილად ხარჯავთ მათთვისბ მეგობრებობ დროს და რითმებსბ აზრებსა და სიტყვებსბ რადგან გზებს არც აზრი აქვთბ არც გეზიბ არც სათავე და არც დასასრულიც თუმცაბ მაპატიეთბ ყმაწვილებობ შევცდიც ახლაც შევცდიბ რადგან მე თვითონ თავით-ფეხებამდებ ანბ როგორც უწინ ამბობდნენბ თხემით-ფეხამდე მარტო შეცდომებისგან და კახურისგან გახლავართ ნაკეთებიც

ყოველ გზას აუცილებლად დასასრულიც აქვსც უწინ იტყოდნენ ხოლმეშ ყველა გზები რომისკენ მიდისოც მე კი მოგახსენებთშ ტყუილიაბ ჭორია! ყველა გზები და ბილიკები იმედების ნანგრევებზე იყრის თავსც რაოკ რა მიბრძანეთკ დავბრძანდეკ ეგ სიტყვა მეხამუშაბ გადავეჩვიეც ახლა იტყვიან ხოლმეშ დაეგდებ ან გაეთრიებ თუმცა თქვენი თავაზიანობა არც იმდენად საოცარიაშ შვენის მწერალს ზრდილობის გუშაგობაც მადლობას მოგახსენებთბ ბატონებოც ერთხელ კიდევ ინებეთ საწყალი გივი შადურისგან თბილი სალამი და უღრმესი პატივიც დაუჯერეთბ მეტი აღარაფერი გააჩნიაც თუ შეიძლებაბ მაგ ღვინის მარკა მაჩვენეთც კიბ მომწონს თქვენი გემოვნებაბ ერთ ჭიქას გაახლებითბ მეტს არაბ თორემყყყ

დიახბ ყმაწვილებობ ვინმე გივი შადური გახლავართ - ერთ დროს კაცი კაცურიბ თავმომწონებ ამაყი და ქედფიცხელიც ერთ დროს მეც მივოდა - ისევ ძველი სიტყვა ვიხმარებ უნდა მეთქვაშ მყავდა - დიახბ ერთ დროს მეც მივოდა ოჯახიც და მეგობრებიცბ ახლა კიყყყ ეკბ დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელსშ იგი შავიაბ ვითარცა ჩემი მომავალი და მიძიებაბ როგორც ჩემივე სულიც ისიც მეყოფაბ რომ ახლა თქვენისთანა პატივცემულ გვამთა შორის ვზივარ - ისევ ძველი სიტყვა წამომცდა! - და ამისთანა სუფთა ღვინოს ვსრუტავც თუ გნებავთბ ერთსაც გაახლებითც დამისხითბ გმადლობთბ ბატონო ჩემობ

დიდად გმადლობთც

რა მიბრძანეთკ საიდან გიცნობთ მგოსნებსკ ხე-ხეი ერთ დროს ხალხისგან არც მე ვიყავ გამოკლებულიც ქართული მწერლობის ერთგული ყმა და მუდმივი მუშტარი გახლდითც ვცდილობ არც ახლა ჩამოვრჩებ მაგრამყყყ წყალწალებულიც ლამობს ნაპირს არ ჩამორჩეს ეხე-ხეებ და მეც იმის დღეში ვარც

მაშ ასებ ბატონოყყყ - აირია მონასტერიბ აღარ ვიცი რა ვიხმარობ - ბატონობ მოქალაქეც თუ ამხანაგოყყყ მაშ ისევ სიტყვა)მეგობარი(გირჩევნიათკ ინტიმურიაბ მეც ვამჯობინებც დიახბ იმას მოგახსენებდითბ გივი შადური გახლავართ-მეთქი - კაცი უქმი და ტაბარუკიც

)რას მიყურებთ ეგრე გაკვირვებითაკ ნუთუ

სახე არ გინახავთ გივისაკ(მეგონაბ ყველა

მიცნობს-მეთქი რაობ მაშ თქვენც გაგიგიათ
ჩემი მგრგვინავი სახელიჰ რა თქმა უნდა
გაიგებდით ვინაიდან - ისევ ძველი
სიტყვა მომადგა ვინაიდგან
გულისხმიერნი ბრძანდებით და ზოგჯერ
ხვალინდელს დღევანდელზე უკეთ ხედავთ
ხოლმეც ე-ეჰ ჭაბუკებო ამირანებო
სოფელი იმად არა ღირს კაცი
ნატრობდეს ჟამს გრძელსაყ
ფუჭია თქვენი სიცოცხლე თუ
ვერას არგებთ შადურსაყ

ხა-ხა! აი როგორი ანდერძი დაუტოვებიათ თქვენთვის თქვენს წინაპარ მგოსნებს
მაშ მეც მარგეთ ჭუჭუკ-ყარამანებო და მომაწოდეთ ეგ დედალიც მაშ ჩემი გვარი
გეუცხოვათჰ არა უშავს-რაბ მოგეხსენებათჰ

ათასად გვარი დაფასდაბ
ათი ათასად ზრდილობაბ
თუ გივი თვითონ არ ვარგაბ
ცუდია გვარიშვილობაყ

და თუ სუფრაზე მაინც არ ვივარგებ კინწისკვრით გამაგდეთ დაყყყ ერთი სახსე
ტიკჭორაც მომახალეთყ

მეგობრებო! ეს სუფრა საიდუმლო სერობას მომაგონებს მხოლოდ ქრისტე და
იუდალა გაკლიათყ ღმერთმა თუ ბედმა ან ღმერთმაც და ბედმაც აგაცდინოთ
ორივენიჰ სადაც ერთიაბ მეორეც თან ახლავსყ მაღლი კი გაგიმრავლდეთ ვითარცა
ვარსკვლავნი ცათა ზედა და ქვიშანი ზღვათა შინა მისეც ძველებურმა გამკრა!ყ

ქრისტე ღმერთი ცაში აფრინდაბ ყმაწვილებო ნულარ ელით ალარ
დაგვიბრუნდებაყ აფრინდა და თვისი მძიმე ჯვარი ჩვენს საბრალ კაცუნებს
დაგვიტოვაყ საწუგემოდ ისლა დაგვრჩაბ რომ ერთგულად ვზიდოთ ეს ჯვარი ჩვენი
)და შრომის ოფლი მიწას ვადინოთყ მაგრამ მეგობრებო უმადლოდ ჯვარის
ზიდვა ქვის ადამიანსაც არ შეუძლიაყ მაღლი შრომის მოსაწმენდი პირსახოციაბ
ჯვრის საზიდავი ურემიაბ რომელსაც კამეჩის ნაცვლად ადამიანი მიაგორებს
რბილი ნოხიაბ გოლგოთის გზაზედ დაფენილიბ ამიტომ გისურვეთ ადამიანური
მაღლიბ თორემ მეყყყ კარგა ხანიაბ რაც მე თვითონ ეს პირსახოციც დამეფხრიწა
და ნოხიც გამომეცალაყ ალბათ ამიტომ დამემსხვრა შრომის ურემიცყ ალარ
ვეზიდები მას კამეჩითყ ამჟამად მე ჩემო მასპინძლებო უფრო სირსა ვგევარ
უდარდელს და უზრუნველსაყ არცა ვხნავბ არცა ვთესავბ არამედბ თქვენისთანა
მაღლიანი ხალხის წყალობით თითქმის მუდამ მაძლარი გახლავართყ ნასუფრალი
- აი ჩემი ულუფაყ მეტიც არ მინდაყ

მე ჩემო კარგებო ბრწყინვალე წინამორბედი არა მყოლია და მე თვითონვე
გახლავართ ჩემი წინაპარიბ და ალბათ ამიტომ გავაჩინე ჩემი თავი ბოგანობ
სათრეველაბ)მწირი და მიუსაფარიყ მე უკვე ნაკაცარი ვარყ წარსულმა მომატყუაბ
აწმყო მაწვალეებსბ მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამ ქვეყნადბ როგორც
ქვრივი სასაფლაოზე დაბ რადგან მიმავალი ვარბ ამიტომ ქროლას სირბილი
მირჩვენიაბ სირბილს - სიარულიბ სიარულს - დგომაბ დგომას - წოლაბ წოლას -
ძილიბ ძილს კი - სიკვდილიც თქვენ კიბ ამირანებო ახლად მოჰქრით და

ყველაფერს მონაგრევთყ რაღაც ჰქუხს თქვენს სისხლში ვიღაც მღერის მაგ სულში
რაღაც იწვის მაგ გულში ფრთხილად მზეჭაბუკებო ის ვიღაც თუ რაღაც არ
დაადუმოთ არ ჩააქროთ ბუს ფარშევანგი არ მოაკვლევინოთ და ესეც იცოდეთ
სულიერ მოდუნებას ისეც თავის მოკვლა სჯობია და ესეც დაიხსომეთ

)სმა-ჭამა დიდად შესარგობ

დება რა სავარგულია

რასაცა იტყვით თქვენია

რაც არა - დაკარგულია(ყოქვენცა თქვით თქვენი სათქმელი,
გარდანქეშნებო! თქვით და იმღერეთ, იცინეთ, შეიყვარეთ.

- მხიარული ვინმე ყოფილხართ, გივი შადურო.

- რა მემხიარულება! ჩემს გულში ხშირად ცეცხლი წვიმს, ჩანგლით დაჭრილ ლოქოსავით
ვფართხალებ, ზოგჯერ ჩემივე თავს ვატყუებ და ჩონჩხით ვიცინი. მაინც ვიტყვი: ერიდეთ
ყველას, ვინც არ იცინის, არც მღერის, არც სვამს და არც არშიყობს. ასეთი კაცი სამოთხეში
შეგაპატიჟებს და ჯოჯოხეთში გიკრავს თავს.

ღვინო საწამლაგია, მაგრამ ყოველივე ნაჭარბიც საწამლაგია: საჭმე-
ლიც და წამალიც, ძილიც და შრომაც, ცოდნაც და სიყვარულიც. ზოგი ათასს მონინელებს, ზოგი
კი ერთსაც ვერ მოერევა. ზომიერება ნამდვილი ღმერთია, და ვინც მას მიაგნო, ამ ქვეყნადაც
ცხონებულია.

ღვინო და სიმღერა უნდოდა ხორცს მიერეკება, მხატვ სისხლს ცეცხლს უკიდებს და ღუნე
სულში ზენარულ თრთოლვას იწვევს. სუფრაზე მეგობრის გული იხსნება. იქ ხაზინები და
ჯადოები აწყვია. მიიღეთ და მიეცით, უკმიეთ და შეიყნოსეთ. აქ იქმნის კოლექტური შთაგონება,
აქ ივიწყების წვრილი ვარამი, აქ იჭედების გენიალური სათქმელი და აქვე ღვივდება
მიფერფლილი ნაღვერდალი. მეც ვიცი: ზოგი სუფრაზე ბრყვდება, მაგრამ დამიჯერეთ, ბრყვი,
ჰიმნის მღერის დროსაც ბრყვია, მე კი ადამიანს ვგულისხმობ, რომელიც სიკვდილის წინაშეც
ნამდვილი ზეკაცია.

მეგობრებო, მე ძველი ელინის მოტრფიალე ვარ და აგრეთვე შექსპირის, რომელიც ჰამლეტის
პირით ზომიერებას ჰქადაგებს: დალიეთ! მაგრამ ნუ გაიღეშებით. გაიცინეთ, მაგრამ ცხენით ნუ
აჭიხვინდებით, იმღერეთ, ოლონდ ნუ აბლავლდებით, შეიყვარეთ, მაგრამ ნუ გახელდებით და
ქვეყნის

ბედს თქვენს ხომზე ნუ ჩამოჰკიდებთ. მე მიყვარს ქართული სუფრა, სადაც მგოსანი
შეზარხოშებულ ანგელოზად დაიქცევა და გულში წინასწარმეტყველთა ღველფს გაიღვივებს,
ხოლო ყოველივე დანარჩენი მურდალი ლოთობა და შებილწული საღორე გახლავთ, თუმცა - რა
მალაპარაკებს! - ანგელოზი საღორეშიც ანგელოზია, ღორი კი სამოთხეშიც ღორია. მაშ იცხოვრეთ
ჭაბუკებო, სანამ გეჭაბუკებათ, შემდეგ კი... შემდეგში ჩემთან ერთად იტყვი: ჭაბუკობაში
ცხოვრების გამოყენება არ ვიცოდით. სიბერეში კი აღარ შეგვიძლია, მაგრამ შორს თქვენგან ეს
უქმური! შორს სიბერეც და მისი მსახვრალი სიბრძნით დაორსულედაც!

ყმაწვილებო, წელან სამოციქულოთი მოგაბეზრეთ თავი, ახლა კი საცრემლოში ჩაყარეთ. ნუ
მემღურებით, მეპატიება. ყველას გიცნობთ, ამირანებო, გიცნობთ. კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი,
მაგრამ თქვენ მერე გაგიხსენებთ. ახლა კი... რაო, რა მითხარით? გნებავთ ჩემი ვინაობა გაიგოთ?
მესმის. თქვენ ნამდვილად სხვა რამ გინდათ შეიტყოთ: - „Как дошел ты до жизни такой“.
კეთილი და პატიოსანი. აგრე იყოს. გაამბობთ. საამბობი კი ბევრი მაქვს, ძალიან ბევრი. ვიცხოვრე,
ვიარე, ვნახე და გავიგე. მეც მრავალი გადამხდა, მადლობას ამბების თხრობით თუ გადაგიხდით,
რადგან ამაზე მეტი არაფერი გამაჩნია. მაშ მოისმინეთ და გახსოვდეთ, რომ „სულით და გულით
მიძღვნილი, მცირედიც შეიწირების“.

მაგრამ მეგობრებო, მოთხრობის წესს უნდა უულალატო, ჩემი ცხოვრების დასასრულიდან უნდა
დავიწყო. მიზეზსაც მოგახსენებთ: თავი და თავი სათხრობელი ეს არის - რამ დამწია, ვინ ჩამაგლო
ამ ორმოში? დანარჩენი მერე იყოს. თუ კიდევ მიმიშვით თქვენს სერობაზე, არიფიონზე, ანუ რიგის
პურზე, თუ ჩემი ამბები მოსმენის ღირსი გამოდგა, ხოლო თქვენ მოთმინება აღმოგაჩნდათ,
მიმსახურეთ „ა ვოტრ პლეზირ, მესიე“.

თუმცა ესეც სათქმელია, მეგობრებო: მსმენელის მოთმინება რა სახსენებელია! თუ მოთხრობელი
უწნოდ იცოხნება, ბავშვსაც ყურები დაუჭკნება. მაგრამ თუ მოამბე ოსტატობს, მკვდრებიც კი
წამოიწვევენ მოსასმენად.

ისიც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ მოთხრობაში თავდაპირველად მთლიანი, შეკუმშული ამბავი უნდა იყოს ჩასხმული. ყოველივე დანარჩენი უბრალო სამკაულია, როგორც კონტა კაბა მასზე უფრო მშვენიერ სხეულზე ჩაცმული.

გარდა ამისა, მოთხრობა ისარივით პირდაპირ მიზნისკენ უნდა მიდიოდეს. ისიც გეცოდინებათ, რომ მოთხრობის დასაწყისი, დასასრული და სათაური ნახევარ გამარჯვებას უდრის. ამიტომ, თუ ვინმემ გამოიყენოთ ჩემი ნათხრობი, გთხოვთ შესაფერი სათაურიც გამოუძებნოთ, მაგალითად... აი, თუნდაც ჩემი გვარი და სახელი - გივი შადურო.

ამ სათაურში შინაარსიც არის, და, თქვენივე ტერმინი რომ ვიხმარო, ფონეტიკურადაც გამართულია.

ესეც რომ არ იყოს, გივი შადუროს მთელი საქართველო იცნობს, ხოლო დანარჩენს როგორ მოვერევი - დასაწყისს, დასასრულს, ნაშენობას და ორნამენტს - ეს თქვენი სამსჯავრო იქნება.

მაშ ასე, მეგობრებო, ვიწყებ. სილანს - სმენა და გაგონება!

1

- მეტად კერპი ადამიანი ყოფილხართ, გივი შადურო, - მეუბნება ანტონ აფთარიძე და უფრო მეტად იკუნჭება ბნელ კუთხეში, კედელსა და სარკმელს შუა, ალბათ იმისთვის, რომ მისი სახის თამაში ვერ გავარჩიო.

მე მაინც ვხედავ ჩემს გამომძიებელს, უკვე სამი თვის ნაცნობს. შავი, ტალღოვანი თმა, მაღალი და განიერი შუბლი, ყორნის ცხვირი, ხშირი წარბები და ყვითელი სათვალთ აფარებული თვალები. იმ თვალებს ვერა ვხედავ, თანაც ვხედავ, რადგან ვიცნობ: მოუსვენარია, დარცხვენილი და უბადლო. მუდამ სხვასაც გაურბის და საკუთარ თავსაც, თითქოს მარად მანდილით იბურება, რომ არც თვითონ დაინახოს ვინმე, არც სხვას აჩვენოს თავისი სახე და ზრახვა.

აი, ახლაც: ეს თვალები ხაფანგში გაბმულ თავგებივით დარბის და გასაქცევ ხვრელს ეძებს, თითქოს ანტონ აფთარიძეს კი არ დავეჭირე

ბოროტ საქმეში, არამედ მე თვითონ ჩამეკიდოს იმის კისერში ხელი.

- მეტად კერპი და ურჩი ვინმე ყოფილხართ, გივი შადურო, იმეორებს და თეთრი და მსხვილი კბილებით კალმის ტარს ღრღნის გამხმარ ჩურჩხელასავით.

სამი თვეა საზარელ ბრალდებას რკინის მარგილივით მივათრევ ნამუსის კისრით: ვითომ ვითაღლითე, ვიჯიბვირე, სხვის სალაროში ჩავყე ხელი. ახლა კი ეს ხელი, ჩემი მარჯვენა, ვითომ შერცხვენილ-შეთხუპნილი, ანტონ აფთარიძეს უჭირავს მარწუხით და მოკვეთას უპირებს.

მესმის მისი კილოც, მაგრამ ბრალდებისა მაინც ვერაფერი გამიგია.

- გამოტყდით, ამხანაგო შადურო, - მირჩევს ერთხელ კიდევ და პირისახე ისევ კედლისკენ მიაქვს, თანაც იმუქრება: - თორე-ე-ე-ემ...

„თორემისა“ არა მჯერა. მართალი ვარ თუშური ბატკანივით, ამიტომ ვიღიძები და დაბალი ხმით ვეუბნები:

- თქვენ თვითონვე მოიფიქრეთ: საიდან ჩანს, რომ მე მოლარესთან წილი მელო? ფული გაიტაცა და გაიქცა. ეს ამბავი რომ გავიგე, უმაღლესი შეგატყობინეთ. გარდა ამისა...

- გარდა ამისა, გივი შადურო, მუდამ ძველს იმეორებთ. ათჯერ გავიგე ეგ საბუთი.

- მართალია, მაგრამ თქვენც ხომ ძველ საბუთს იმეორებთ. ახალი კი ვერც თქვენ გიპოვნიათ.

- თქვენ ვერ დაამტკიცეთ თქვენი ალიბი. დამარწმუნეთ, რომ წილი არ გელოთ იმ საქმეში. თავს ველარ ვიმაგრებ და ვიძახი, თითქოს ვკივი:

- აღარ გათავდება ეს ამბავი?! სამი თვეა მეუბნებით: დამიმტკიცეთ, დამაჯერეთ, რომ სხვის ჯიბეში ხელი არ ჩავიყვიათო. მიკვირს, ღმერთმანი! ჯერ თქვენ თვითონვე უნდა დამახვედროთ თუნდაც ფრჩხილისოდენა საბუთი, რომ შეძლევ მე გაგიქარწყლოთ იგი, თორემ სადაური სამართალია!

- ნუ ლელავთ, გივი შადურო!

- როგორ თუ ნუ ვლელავ! - და მართლა ავლელდი. - მე ავად გაგხდი, დავილიე, დავდნი.

- არაფერი გეტყობათ.

- სამსახურიც დამეკარგა.

- გამოტყდით და ახალს გიშოვით.

- ნუ დამცინით. ცოლ-შვილი მშიერი დამრჩა. - თქვენი ცოლი... დღესაც ჩემთან იყო.

გულიც და ხმაც უცებ დამიღნა, თითქო თოვლის გუნდას ცეცხლი შეუკეთესო.

- მართლა?.. ნახეთ?.. ნახეთ ჩემი რუსიკო?

- როგორ არა, დღესაც ვნახე. - რბილად მიშლის საგებელს და ცბიერი კბილებით მილიმის.
- დღესაც ვნახე... მისი სახელი?
- რუსიკო - რუსუდან, - ვაწვდი მე. - რუსიკო... რუსუდან... ლამაზი სახელია. და გრუზა თავი ჩაჰკლუნა.
- მერე, რა ვითხრათ? რა უთხარით? - ვეკითხები.
- ყველა ცოლი ერთსა და იმავეს ამბობს: ჩემს ქმარს ბრალი არა აქვს, უმანკოა, ანგელოზია, ჩვენც გვშია და გვცვივაო, ამიტომ...
- ვიცი. თქვენი პასუხი?
- ვერაფერი სანუგეშო ვერ ვუთხარი. - და სათვალეებმა სარკმელში გაიხედეს - ჯერჯერობით ვერაფერი, რადგან... იმ დროს მე თვითონაც არ ვიცოდი, რომ...
- და თითებით მაგიდის ფიცარი ააკაკუნა. არ ვიცი, დამცინის თუ მცდის. მე ველარ ვითმენ და ვკვნესი:
- რა ამბავია, რად მაწვალებთ! დროა ჩემი ბედისა გავიგო რაიმე.
- კარგი, კარგი, გივი შადურო, დამშვიდდით. ხვალ ან ზეგ დაუბრუნდებით თქვენს ცოლ-შვილს.
- მართლა? - და წამოვდექი, - არა ხუმრობთ?
- აქ, ამ ოთახში, არასოდეს არ ვხუმრობ. - ცივად მითხრა და თვითონაც წამოდგა.
- მაშ იმედი მექნება.
- ხვალ ან ზეგ-მეთქი. ყოველივე გათავებულა. უბრალო ფორმალობადა დარჩა.
- ხელისმოწერა, არა?
- დიახ, ხელისმოწერა. მშვიდობით იყავით.
- მშვიდობით ბრძანდებოდეთ. - და ფიცხლად ჩამოვართვი ღუნედ გამოწვდენილი ხელი. - გმადლობთ, დიდად გმადლობთ.
- კარები რომ გავიხურე, ერთხელ კიდევ შევხედე. სათვალეები მოეხსნა. იდგა და მიმხერდა, მაგრამ თითქოს ვერც კი მხედავდა. შუბლს ისრესდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, თითქოს დაკარგულს ეძებდა ან დაწყვეტილდაბნეულს კრეფდა.

2

- საბრალოა, ვინც არ იცის, როდის გაუღებენ საპყრობილის კარებს. სასაცილოა და სავალალოც, ვინც იცის და ელოდება. დინჯიც კი გიჟდება: საათობით ეტყობა აშლა და ფორიაქი. ზოგი ჯონხაკრავ ინდაურივით დაბორილობს, ზოგი ვაცივით დაბობტებს, ზოგიც ყირამალა დადის და ანცი ბავშვივით აქოთებს იქაურობას.
- პირველ ღამეს მეც მთვრალ ინდაურივით ვასკდები ტუსალებსა და კედლებს. მეორე ღამეს ჩემს შეკრულ ლოგინზე ვზივარ და ვუცდი, თანაც ვფიქრობ: „ალბათ ვერ მოასწრეს“. - და საათის ათზე ხელახლა ვშლი შეკრულ ბოხჩას, თან გულს ვიმშვიდებ: „რა თქმა უნდა, ვერ მოასწრეს. ერთი ღამეც მომემატა. თუნდ აქეთ იყოს, თუნდ იქით“.
- და მამლის მეორე ყვილზე ძლივს ვატყუებ თვალს.
- გუშინაც მომიტანეს სანოვაგე, მისი სია და ოთხი ახალი სიტყვა: „დღეს ან ხვალ გნახავ“, ხოლო მეხუთე და მეექვსე - „გკოცნი, რუსიკო“ ყოველდღე მეორდება.
- იმავე ქალაქის მეორე გვერდზე მივაწერე: „დღეს ან ხვალ გააკოცებთ. ახლაც გკოცნით. გივი“. და უკანვე დავუბრუნე.
- იმ დღეს - უკანასკნელ დღეს - კიდევ მომივიდა: „დღეს“. და მეც მივაწერე, თითქო საკნიდან თავი დაეუქნე: „დღეს“.
- ღამე მოდის - უკანასკნელი ღამე. ტუსალებს გვთვლიან. ისევ შეკრულ ლოგინზე ვზივარ, კარების გვერდით, და დაძახებას ველოდები.
- აქ რა გინდათ? - მეკითხება ზედამხედველი.
 - დღეს მივდივარ. - და სიამით ვიღიმები. - მართლა? ძალიან კარგი. ვნახოთ.
- მერე ტუსალების აღდგომა იწყება - ზოგი ტუსადის: ყველა პატიმარი გასუდრულ ლაზარესავით წევს ან ზის და მიბნედილ გულით ელოდება - ზოგჯერ კი არაფერსაც არ ელოდება.
- ლაზარე გორაშვილი! - უცებ დაიძახებენ შუა ეზოში.
 - და კლდის გამოძახილივით ათიოდე კაციც გაჰკივის აქა-იქ ფანჯრებში:
 - ლაზარე გორაშვილი!
 - ლაზარე ცოცხლდება, დაფეთდება. თვითონაც აღარ ესმის, ვინ რას

აბარებს ან ვის რას ჰპირდება. გულა-ნაბადს მოიკიდებს და მირბის.

მეც მკილია ჩემი ხაბაკი. კარებთან ვდგავარ და ვიცდი. სხვისი გვარი და სახელი ოცჯერ მეორდება. პავლე პეტრეს მისდევს, ვანო სარდიონს მიერეკება. ჩემი გვარი კი მაინც არ ისმის. გული მეკუმშება, მერე თვალთ მიბნელებს. ლამის წავიქცე. კარებს ვეჭიდები და ისევ ველოდები.

ტყუილადლა ველოდები. ეზო გაჩუმა და მხოლოდ მიმავალთა ფეხის ფრატუნი და ალაყაფის კარის ჭრაჭუნია ისმის.

კუთხეში ვილაც ფრუტუნებს. მე ხომ არ დამცინის?

- ალბათ ხვალ მოვა თქვენი ჯერი. - მეუბნება მამასახლისი და მხარზე ხელს მადებს. - დაწეით.

ხმას ველარ ვიღებ. იგი ბოლმას უჭირავს ჩემს ყელში და ახრჩობს. ძლივსლა მოვბრუნდი, ლოგინი იქვე კარებთან გავშალე და მივწევი. ჩემი ალაგი - რკინის საწოლი - წელან დავუთმე ახალმოსულს.

„ვერ მოასწრეს. ხვალისთვის გადადეს“, - ერთხელ კიდევ ვინუგეშე თავი.

მეორე დღეს ისეთ გუნებაზე ვიყავი, თითქოს მიცვალებული მყოლოდა, ან მე თვითონ ვყოფილიყავი მკვდარი. ყველანი მერიდებოდნენ და მეც ყველას ვერიდებოდი. შუადღე და სანოვაგე მოდის, თან ბარათი მოსდევს, და იმ ბარათს სამი ახალი სიტყვა აწერია: „ახალი გარემოება. მოითმინე. რუსიკო“.

სადილს მეზობლებს უურიგებ და განცხადებას ვწერ ანტონ აფთარიძის სახელზე - აბნეულს, ნერვიულს, ჟინიანს. მოვითხოვ ხელახალ დაკითხვას, უკვე დაკითხულ მოწმეთა დაბარებას და დანაპირების შესრულებას - ჩემს განთავისუფლებას - დღესვე, ხვალ, ან ზეგ მაინც! მერე ვცდილობ წიგნით გავიფანტო ღარდი და ბოლმა. მაგრამ ამოდ: სტრიქონები დახტიან, სიტყვები აღარ მესმის და ერთმანეთში იხლართება ყოველივე: რომანის გმირები და ჩემი რუსულან, გაპარული მოლარე და აფთარიძე, პატიმართა ჟრიამულიც და ჩემი გულის ჩუმი კვნესაც.

შემდეგ მაგონდება: რუსიკოს დღევანდელ ბარათში აღარ ეწერა ყოველდღიური „გოცინი“. ნეტა რატომ? რა მოხდა? ერთი შვილი მყავს, ერთადერთი: ათი წლის სარდი - სარდიონი იქნებ

ავად გახდა, ან ფეხი მოიტეხა, ან ავტოს ქვეშ მოხვდა?

საზარელ ლანდებს მივდევ და ჩემივე შიშს მევე მივერეკები. ცხადია, რაღაც მოხდა, უეჭველად მოხდა, თორემ რუსიკოს „გოცინი“ არ დაავიწყდებოდა.

კარგად რომ გავლახე ჩემი თავი, ნელნელა დავმშვიდდი. შემდეგ გულშიც გავიციინე, თავი ავილაგე, კამათელი გავავორე და ახალი ღარდიც და ეჭვიც ნარდის თამაშში დავმარხე.

ზღაპარი, ამბები, წიგნი, ნარდი და ღომინო საპატიმროში ბოლმის საუკეთესო დამფანტველია, ვინც ვერ აჰყვება და გაითიშება, სჯობია თავი ჩამოიხრჩოს, თორემ სევდის ჟანგი შეჭამს განდევნილს.

დღისით დარდს ატყუებენ, ღამით კი მოტყუებული საზღაურს თხოულობს: ვეება და უჩინარი მაჯლაჯუნასავით ჩამოწვება, საკნებს გასტენავს და ტუსალებს ჩაიხვევს, ჩაეხუტება, პატიმრებს უქმური აწვალებს და

ხშირად ისმის უცნაური ბოდვა, შეძახილი და ბორგვა. ის არც მე მასვენებს. ხელი დამრია, დამიჩემა. ღამდამობით ჩემს

ოჯახში გადავყავარ და ცხადად მალანდებს ხოლმე ჯალაბებს.

ჩემი ცოლი რუსიკო ჩემს სარდიონზე ოდნავ სრული და მაღალი თუ გამოვა. გულჩვილია ობოლივით. ზოგჯერ ვხედავ: ნაცემივით ზის და უმწეო ხელებს, მუხლებზე რომ დაუწყვია, თბილი ცრემლით ისველებს. დედაჩემი თინათინ ოთახში ტრიალებს და ბუზლუნებს. როცა დედა იცრემლებს, სარდიონი ველარ მუშაობს, ერთ საათს დასცქერის წიგნს და გადაფურცვლაც კი ავიწყდება.

ზოგჯერ მათი ხმებიც მესმის. კუთხეში ტუსალები ჩიფჩიფებენ, მე კი ეს ჩუმი ხმაური ცოლ-შვილის სლუკუნ-წუწუნად მელანდება.

ქალაქში ნათესავი არავინა მყავს. მარტონი არიან ჩემები. იქნებ დაილიფნენ, ეგებ ველარ სძლებენ, გასაყიდიც აღარაფერი აქვთ.

უქმურს ვებრძვი, ვერეკები, მაგრამ, თითქოს ათი კარ-სარკმელი მქონდესო, ისევ მიბრუნდება და მძიმების, მთენთავს და ნაბადსავით მთელავს.

ასე მიმათრევს დღე და ღამე, მაგრამ მეც მივათრევ მას. ერთმანეთი ჩავბლუჯეთ, ჩავხლართეთ და თავდაღმა მოვგორავთ. ორივე მებრძოლი ორი ნადირივით მივხვტი, რომელთაც ერთურთი შესაჭმელად დაიჭირეს და მთის წვერიდან დაგორდნენ.

ყმაწვილებო, ოდნავ მომეკიდა ღვინო. მაგარია. სიფრთხილე მმართვეს, მეშინია. არ ამრიოს. ეს თამბაქოც მაგარი ყოფილა. მძიმეა ჩემთვის. აი, ამას კი მოვწევ. დიდად გმადლობთ.

ლაპარაკიც მემძიმება, მაგრამ მეტი რა ჩარაა. რაკი შევტოპე, უნდა კიდევაც გავიდე გაღმა და თქვენც სამშვილობოს გაგიყვანოთ.

ერთ განცხადებას მეორე მივაყოლე, მეოთხეს მეხუთე დავადევნე. მაგრამ არც ერთი არა ჭრის. ალბათ დამივიწყეს. ან იქნებ ანტონ აფთარიძეს დაემართა რამე? თუ აგრეა, ასე ადვილად ვეღარ გამიხსენებენ. სანამ იმის სკამზე ახალი ვინმე დაჯდებოდეს და ჩემს უმანკო საქმეს გაიცნობდეს, მე ჩემი დამემართება.

ასეც მოხდა.

ერთხელ ხმა მოვიდა, აფთარიძის ნაცვლად ახალი გამომძიებელი დანიშნესო. სად გადავიდა აფთარიძე? რა ჩვენი საქმეა! არც ვიცით და არც დავუძებთ.

შემდეგ ჩემი დროც მოვიდა. ჯარისკაცი მომიყენეს და გამისტუმრეს. ბარგიანად დამიბარეს - „ნა სლაბოდას“ ნიშანია. მხიარულად მივცუნცულებ. ჩემი შვილის ფეხები თუ მომეგება. ჯარისკაცს ვემცნაურები და ვპატიჟობ:

- ჩვენი მხრისა ყოფილხარ, ამხანაგო. ხვალ ან ზევ ჩემს ოჯახში მნახე. ცოტა ღვინო დავლიოთ და ვიბაასოთ.

და მისამართიც მივეცი.

ორი საათის შემდეგ ახალი გამომძიებელი ჩემს დაკითხვას ათაგებს და მეუბნება:

- მჯერა თქვენი სიმართლე. ადრევე იყავით გასაშვები, მაგრამ აფთარიძე... აფთარიძემ...

და უცნაურად აირია, თითქოს რაღაც გაახსენდაო: უცებ ენა მოიკვნიტა და შემკრთალი თვალები ქალღმერთებში ჩამალა.

- მაშ... ალბათ... თავისუფალი ვარ?

- დღეს ვეღარ მოვასწრებ, ხვალ კი უეჭველად შინ იქნებით. მომილოცია. აბა, კარგად იყავით. ნახვამდის.

და წრფელი გულით ჩამომართვა ხელი.

ის ღამე იქვე გავატარე. მარტო ვწევარ საკანში და უძილობას ვებრძვი, თან ვერც ვებრძვი, სულ ერთია, თუნდაც თეთრად გამითენდეს. გაზაფხულია ჩემს გულში. ხვალ დილით დაუბრუნდები ჩემს ჯალაბობას. უმწიკვლოდ გავალ: სახელიც შემრჩება და ოჯახიც. ლუკმა პურს კი

ყოველთვის ვიშოვი. შუალამე გადასულია. ბურანში ვარ შესული. თითქოს მძინავს, თანაც არა მძინავს. ბინდ-ბუნდად მესმის ფეხის ხმა. ბევრნი არიან, ოთხნი თუ ხუთნი იქნებიან. ყრუ ტალანში დადიან და ჩუმი ხმით ლაპარაკობენ - ნერვიულად, დაფლეთილად, სუსხითა და სიმკაცრით, თითქოს რკინის ზოდებს ისვრიანო.

ლითონის ხმაურს მხოლოდ ერთი ხმა არღვევს - წვრილი, ცრემლნარევი, ხვეწინანი. წამოვხტი და კარებს ვეცი. ნახვრეტი აქვს ამოჭრილი. გარედან მუყაო აქვს აფარებული. ავწიე, გავიხედე და... ერთი თვალით, ერთი წამით ერთი სურათი დავინახე: ვიღაც შუაში ჩაუყენებიათ და მიჰყავთ.

და ის ვიღაც თითქოს მემცნაურა - ესეც ერთის წუთით, გონების ერთი კუნჭულით.

- გაანთავისუფლეს - გავიფიქრე - ან სხვა საკანში გადაიყვანეს. ალბათ... აგრე იქნება... უეჭველად აგრე იქნება... რა მხიარულად მირბის შინისკენ!

ღამე ტყდება. ბინდი თოვლივით იღვევა და შენობაც იღვიძებს. ორი საათი თუ მეძინა, მაგრამ ძილი ვიღას ახსოვს: კარი დღეს გამეღება. გარეთ გაზაფხულია. ალბათ შინ მეღიან. ალბათ ადრევე იციან, რა თქმა უნდა, იციან!

მეგობრებო, თქვენი არ ვიცი, მე კი გამოვცადე: ადამიანის სი-ცოცხლეში რამდენიმე დღე ან საათია დიდი სიხარულისათვის გადადებული: ქორწილის ღამე, მემკვიდრის დაბადება და საპატიმროდან გამოსვლა. ყოველივე დანარჩენი უბრალო ღამეა. დინჯი კმაყოფილება. სხვებს სხვა სიხარულიც ექნებათ: ბევრი ფულის მოგება, უკვდავი პოემის დაწერა, დიდი რომანის დასრულება, ათასგვერდიანი ლექსიკონის დამთავრება, თუნდაც ნამდვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთას ბიოგრაფიის პოვნა, მე კი, ყმაწვილებო, მხოლოდ სამჯერ ვიგემე ასპროცენტეანი სიხარული, და მესამეს იმ დღეს ვსვამდი ხარბად, როცა შინისკენ მივრბოდი - სწორედ ისეთივე ნაბიჯით და ხტუნვით, როგორც ჩემი დავგიანებული სარდიონი მირბის ხოლმე სკოლისკენ.

კიბეზე ბალღივით ავრბივარ და ჩემ კარებს ვაკაკუნებ. ვაბრაზუნებ, თითქმის ვამტვრევ. და ერთი წამის შემდეგ ოთხივე ვაზებივით ვეხვევით ერთმანეთს: ბიჭიკო მუხლებზე მყავს მოსალტული, დედა თინათინ ჩემს მარჯვენა მკლავზე იცინის, რუსიკო კი მარცხენა მკერდს მისველებს და მეოცევერ მოცოცავს ჩემი გაუპარსავი ლოყების საკოცნელად.

დაკითხვა და მოკითხვა დიდხანს გრძელდება. დაკარგულივით დავდივარ სამ ოთახში. აქ პიანინო აკლია, იქ კარადა, კედელზე გუდიაშვილი აღარ ჰკიდია, აღარც გაბაშვილი მოჩანს. მაგრამ არაფერს ვამბობ, თითქოს არც კი ვამჩნევდე, რადგან ვიცი: მე ამოვიჭამე, ჩემზე დაიხარჯა.

სადაც ჩამოვვადები, სარდი და რუსიკოც იქვე არიან. შვილი მუხლზე დამაჯდება და კისერზე სუროსავით მეხვევა, ცოლიც გვერდზე მომეკვრის და კისერს ილღიაში გამომიყოფს, თანაც ტირის, ისევ ტირის, მუდამ ტირის და კოცნისათვის მოიწევს.

- რა დაგემართა, რუსიკო, - ვეკითხები, - ველარ დამშვიდდი?
- მე... ვერა. - სლუკუნებს და ცრემლს უმატებს.
- ძალიან დაიტანჯებოდი.
- და... დავიტანჯე... ანჯე.
- დაწყნარდი. ახლა ყველაფერი გათავდა.
- გა... თავდა... ათავდა.

გათავდა, მაგრამ რუსუდანმა ცრემლის სათავე მაინც ვერ მოიჭრა. „აქ რაღაც ამბავია“, - ვუიქრობ და გამოკითხვას ვაპირებ. ვიცი, არაფერს დამიძალავს. ტყუილი არა სჩვევია. ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ მოახერხებს. ერთხელ რომ ჩავხედო თვალებში, ესეც საკმარისია: სუფთა გული უმაღლე კოლოფივით გაეხსნება ხოლმე.

ნასადილევი ვართ. კვირა ღლეა. - დედი, სარდი გაატარე. - ვეუბნები.

- ახლავე, შვილო.

კარები რომ მივუკეტე, მოვბრუნდი და საწოლ ოთახში შევედი. რუსიკო

ტახტზე ზის, თავი ხელებში ჩაუფლავს და ბორგავს.

გვერდით მივუჯექი. აღარ დამაცადა, მომეხვია, და ატირდა - ხმამალა, ბავშვურად, როგორც ნაწყენი ხუთი წლის სარდიონი ატირდებოდა ხოლმე.

დავაცადე, დავამშვიდე. მერე ვკითხე:

- რა მოხდა, რუსი? რა იყო, რა დაგემართა? აბა, დაიწყე და

ყველაფერი მიაბე. და მიაბე, სიმართლე მიაბე,

მაგრამ...

მაგრამ, ყმაწვილებო, სიმართლეს მარტო წინასწარმეტყველები, სტუდენტები, ქადაგები და პოეტები დასდევენ. ჰგონიათ, სადაც სიმართლეა, ბედნიერებაც იქ არისო. მე კი მოგანსენებთ; ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავების, ჭეშმარიტება ხანდახან და ზოგთათვის ნამდვილი შხამია: შესვამს, გაიგებს, გათავდება: ადამიანი იღუპება - ზოგჯერ ღროებით, ხან კი სამუდამოდ, ეს ხომ სულ ერთია!

რუსიკოს სიმართლემ მეც სამუდამოდ დამლუპა. ოჰ, ნეტა არ ეთქვა! ნეტა გული არ ჰქონოდა გაღელილი! მუდამ ამაყობდა - ჩემს გულს სიყალბე არ მოეკარებაო. მეც თავი მომქონდა ცოლის სიმართლით. ახლა კი ვნანობ: ნეტა იმ საწყალსა და უბედურ დედაკაცს შესძლებოდა გულის დახშობა და გაჩუმება, ყველანი მოგებაში ვიქნებოდით - მეც და ჩემი ოჯახიც.

მაგრამ მაპატიეთ, მეგობრებო: წესი დავარღვიე, წინ გადავხტი.

ვუბრუნდები რუსიკოს.

მიაბე-მეთქი - ქვითინით, ფორხილით და ბორგვით.

მუდამ ასეა: ქმარს რომ დაატუსაღებენ, მისი ცოლი სიარულით კვირაში

ერთ წყვილ ფეხსაცმელს გასცვეთავს. რა თქმა უნდა, რუსიკოც შეუდგა სიარულს. დადის, დარბის, სტირის და

ეხვეწება. აფთარიძე კი არა ჩქარობს:

- დაილუპა თქვენი ქმარი. - ეუბნება. - მამა-ღმერთიც ველარ უშველის.

ქალი აირია და დაფეთდა. აღარ იცის, ვის სთხოვოს და რას ახლოს თავი. ისევ დარბის, მაგრამ ყველა გზები ისევ აფთარიძის კაბინეტში მიდის. ნელ-ნელა შეაჩვია იქ დგომას და ლოდინს.

„ერთხელ ვდგავარ და ვუცდი, - მეუბნება რუსიკო. - დიდხანს მაცდევინა. ქალაღებში იქექებოდა. მერე შემომხედა და თქვა: „სანუგემოს ვერაფერს გეტყვით. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გამოსარკვევი“.

რუსუდანს თურმე ვილაცამ თუ რაღაცამ წაჰკრა. და ზოგჯერ ეს ერთი ქიმუნჯი, ერთადერთი წუთიც გადაჭრის ხოლმე ადამიანის ბედსაც და მომავალსაც.

„როგორც გატყობთ, აქ არა გცალიათ, - ჩამოჰკრა მაშინ ბედის ზარი ჩემმა ცოლმა - ნება მიბოძეთ ბინაზე გეახლოთ და იქ მოგელაპარაკოთ“.

აფთარიძემ სათვალეები მოიხსნა. რუსიკოს შესცქერის, სინჯავს და კბილებით იღიმება:

„მობრძანდით, ვიბაასოთ“.

„როდის?“

„სალამოს ცხრა საათზე მოგელოდებით“. და თავის მისამართიც დაუწერა.

რუსუდანი შინისკენ მიდის - გაბრუებული, ალექსილი, გულშეხუთული. აღარ იცის, სწორ გზას დაადგა თუ კლდეზე გადავარდება.

უკვე მივხვდი: ცხვარი ძგლის ბუნაგში მიდის. ჩემს ცოლს ამბავი შევაწყვეტინე და ვკითხე:

„რუსუდან, იცოდი თუ არა, სად ან რისთვის მიდიოდი?“

რუსიკო ყოყმანობს, ჩაჭრილ ბავშვივით ირევა. მერე ქვითინებს და ლულულულებს:

„ვი... ვიცოდი... არ ვიცოდი“.

„უფრო კი იცოდი, არა?“

„ვი... ვიცოდი“.

„მაშ რამ, ან ვინ წაგიყვანა?“ ელომ წაიყვანა. ერთხელ

რუსიკოს უთხრა:

„იმ გამოძიებელს კარგად ვიცნობ. ორი გზა მიდის მასთან - ფული და ლამაზი ქალი. შენ ფული არა გაქვს, სამაგიეროდ“...

და რუსიკომაც გაბედა. რა თქმა უნდა, იცოდა, ვისთან და რისთვისაც მიდიოდა.

ყურს ვუგდებ და ვიხრჩობი. გონება მეზარება, სისხლი მიჯანყდება. უცებ გაჩუმდა და დაფთხალი თვალები შემომანათა.

„თქვი, თქვი-მეთქი! რაღას გაჩუმებულხარ!“

„ვიტყვი, მაგრამ... ხელი გამიშვი... მიშვი... მტკივა. - კვნესის ჩემი ცოლი თუ უკვე ნაცოლარი, თან აღმოდებული და სველი სახე განზე მიაქვს და ამბავს სლუკუნით და ფორხილით აგრძელებს.

პირველად ცხრა საათზე მივიდა და შინ თორმეტზე დაბრუნდა. აღარ მახსოვს, როგორ ავდექი, როგორ ჩავიდე რევოლვერი ჯიბეში. მარტო წვრილმანილა მაგონდება: რუსიკო ნაცემ კატასავით მიკუნჭულა და იმავე კატასავით მიმზერს. - გაოცებითა და უსიტყვოდ. იმის სახეს ვერა ვხედავ, იგი თითქოს დაეღია და შეეკუმშა. სამაგიეროდ ორი თვალი იზრდება, ფუვდება, შუბლზე ადის და ნიკაპამდისაც ჩამოდის. შიგ შიშია ჩალვრილი - მეტი არაფერი - შიში პირუტყვის, რომელსაც ყელში ხანჯალი გაუყარეს.

თავზე დავადექი. დედაკაცი ორ თვალად გადაიქცა. ერთ ხელსაც ვხედავ - ტიტველსა და ჩემსკენ ამოწვდენილს, რომელსაც, თუ რომელიც... იმ ღამეს... აფთარიძეს ეხვეოდა.

„რუსიკო! - აღარ ვიცი, მე ვუბნები, თუ სხვა ვილაც ხრიალებს ჩემს მაგიერ, - რუსუდან!.. მეშინია, გონებამ არ მიღალატოს. ერთხელ კიდევ გამაგებინე: მგონი ჩემთვის ჩაიღინე ეგ საქმე, არა?“

„მაშ ვისთვის?“ - კვნესის თვალებად გადაქცეული ჩემი ცოლი, ან უკვე ნაჩემარი.

და მისი ხმა თითქოს გრძელი მილიდან ისმისო.

„მერე... მერე რა მოხდა?.. თქვი, თქვი-მეთქი!“

„მეორე დღესაც...“

„ჰა? მეორე დღესაც? მერე შეეჩვიე და შეგიჩვია და ყოველ დღე-ყოველ ღამე... თქვი, თქვი-მეთქი!“

„მემუქრებოდა, ქმარს დაგილუპავო... მეც რა მექნა, რა?“ მაშ რა ექნა! რაკი დაიწყო, უნდა კიდევაც დაემთავრებინა. მაგონდება ის ერთი დღეც, ბარათზე რომ აღარ ეწერა - გკოცნიო.

აღბათ გავანსენდი და შერცხვა. კოცნა ვეღარ გამიბედა.

ელვასავით გამკრა მესამე დღის ბარათმაც: „საქმე გართულდაო“.

„რუსიკო, მითხარი, რად მწერდი, - ვეკითხები, თუ სხვა ვილაც ეკითხება ნაჩემარს, - რად მწერდი, საქმე გართულდაო?“

„რადგან იმ დღეს შინ აღარ დამიხვდა. მითხრეს, სადღაც წავიდა ან გადაიყვანესო“.

„მაშ, რუსუდან... - ვბორგავ და კბილებში გახიზული სიტყვები

ძლივსლა გამომაქვს. - მაშ... ჩემთვის? მხოლოდ ჩემთვის? და მარჯვენა ხელი უნებურად მიმაქვს ჯიბისკენ.

ოდნავ გამოჩენილი დედაკაცი ისევ ორ თვალად გარდაიქმნა და მისი მკლავი (შიშველი მკლავი, რომელიც... თუ რომელსაც... იმ ღამეს...) ისევ ჩემსკენ წამოვიდა.

უცებ მოვბრუნდი და წამოვედი. კარებიდან ერთხელ კიდევ მივიხედე. მეორე კარები ისევ იმ თვალს გაუვისიათ. რაღაცა მესმის, თან არც მესმის. ახლა ორ მკლავს ვხედავ. ორივე ჩემსკენ მოდის და თვალებიც მომდევს.

აღარ ვუცდი, კარებს ვაჯახუნებ და მივდივარ, მივრბივარ. ველარავის ვამჩნევ და ხან ერთს წავკრავ მხარს, ხან მეორეს წავაწყდები!“

„გივი, გამარჯობა!“

„გივი, მომილოცია!“ - მესმის აქეთ-იქიდან.

რაღაცას ვბუზღუნებ, ზოგჯერ პასუხსაც არ ვაძლევ და ქუჩას ცოფიანი ბუღასავით მივანგრევ. ვიცი, საცა ცხოვრობს, - წელან მითხრა რუსიკომ. კარებს ვილაც დედაკაცი მიღებს და შეშინებული ლულულულებს:

„აფთარიძე? აქა ცხოვრობს, მაგრამ...“

„ამ ოთახში?“

„დიახ, მაგ ოთახში, მაგრამ...“

დანარჩენი აღარ მესმის. უკვე იმ ოთახში ვდგავარ და გოცებით შევცქერი გამომძიებელს - ჩემს ახალ გამომძიებელს, რომელმაც დღეს გამანთავისუფლა.

„ვის დაეძებთ? ვინ გინდათ?“ - მეკითხება. „აფთარიძე მინდა, - ვხრიალებ, - აფთარიძე!“

და ისიც გაკვირვებით მიმხერს, ხან თვალებში და ხან დაშვებულ ხელში.

„დიახ, ანტონ აფთარიძე მინდა“, - ვიმეორებ დაჟინებით.

„მესმის. ყველაფერი ვიცი, მაგრამ... ჯერ დაბრძანდით და დამშვიდდით.“

„ყველაფერი? მაშ... თქვენც იცით?“

„ვიცი, რატომ არ ვიცი. მაგრამ... ჯერ ეგ მომეცით. სახიფათოა. აღარც დაგჭირდებათ“. და მაჯაში დამწვდა. მაშინლა შევნიშნე, რომ ჩემს მარჯვენაში რევოლვერი კრიალებდა.

„დიახ, აღარ დაგჭირდებათ. აქ დადეთ და თქვენც დაბრძანდით“.

„სულ ერთია, ვერსად წამივა. - ჩემივე თავს ვეუბნები და იარაღს ჯიბეში ვიღებ“. - ვერა, ვერ წამივა-მეთქი.

„უკვე წავივლით, ბატონო გივი“. „წამივიდა?! სად? როდის?“

დამსვა, მომიჯღა, თვალი თვალში გამიყარა და ერთადერთი სიტყვა მითხრა“.

„წუხელის“.

„წუხელ? სად, სად წავიდა?“

ჯერ ისევ მიმხერს, თითქოს უნდა თვალთ მიპასუხოს. მერე მეუბნება:

„ალბათ მაგრად გეძინათ. ვერ გაიგეთ?“

და უცებ გამახსენდა, თითქოს ბნელ ოთახში სარკმლის დარაბა გააღეს: ხვეწნა, ბურტყუნი, ლასლასით მიმავალი კაცი და ოთხი თუ ხუთი დარაჯი. მაშინ თითქმის მემცნაურა, ახლა კი... ახლა ყოველივე ცხადია.

„მაშ... დავიჯერო ის იყო?“ - გოცებით ვეკითხები.

„ის იყო“.

„მაშ გათავდა?“ „გათავდა“.

აღარაფერი მესმის, მგონი მეუბნება - მაგისტანა და მაგაზე უარესიც მრავალი ჩაიდინაო, მგონი მამშვიდებს, მანუგეშებს, კარებამდე მომდევს.

ახლა სხვანაირად მოვდივარ სახლისკენ - მოთელილი, ნაცემი და შერცხვნილი.

მართლა გათავდა. ტალახს ველარ ჩამოვირეცხავ, რადგან სხვამ ჩამომწმინდა. მაგრამ რაღაც დამრჩა - გარეთაც და შიგნითაც. ზოგმა უკვე იცის რუსიკოს ამბავი, მაშ მთელი ქვეყანაც გაიგებდა. გარდა

ამისა, აფთარიძეს სხვამ მიუძღვნა საზღაური, მე კი...

მე ხელცარიელი დავრჩი... და გულიც დამიცარიელდა.

რაღაცა მაკლია, და ეს „რაღაც“ - ჩემი ვალი - სხვამ გადაიხადა, ხოლო მე იმ ვალს ველარ მოვიშორებ - ვერასოდეს, არასოდეს!

მესმის, მეგობრებო, ყოველივე მესმის: ჩვენს ბუნებაში ჯერ კიდევ თვლემს ველური, პირუტყვი, თუ მხეცი. ზოგჯერ დაჰკრავს ჟამი და ჩვენი კულტურის ზედაპირიც მტკვრით ჩაირეცხება ხოლმე, და მხეცი - კაპასი და კბილალესილი - უმაღლესზე წამოდგება. წამოიწევს და თავისას ითხოვს, ეძებს და ვერ მშვიდდება, სანამ არ იპოვის და არ გაძლება.

მე კი ვერ ვიპოვე და ვერც გავძეხი. ჩემს მაგიერ კანონი გაძლა, მე კი მშვიერი დავრჩი და - თუ გნებავთ, გამკიცხეთ, დამძრახეთ - ახლაც მშვიერი ვარ.

რომ დავბრუნდი, თითქოს სხვის ბინაში შევედიო, სადაც მკვდარი ესვენა და პანაშვიდს უხდიდნენ: დედაჩემი თინათინ ყარყუძივით ზის და ნამტირალევი თვალებით კედელს ბურღავს. თვალებზე ვატყობ სარდიონს - ორ საათში ათი წლით გაზრდილა, ოთახებში შემოდგომის ყვაევებით ჩამომსხდარან ნათესალები და უსიტყვოდ მომჩერებიან. რუსიკო წელანდელ ალაგზე ზის და ისევ თვალეზად არის ქცეული, და ის თვალები ხარბად მჭამს, მხრავს და მეკითხება:

„რა ჰქენი? რა ჩაიდინე? რას მიპირებ?“

ოთხი თვეა აღარავის ვუნახივარ. მაინც არავინ მაძლევს სალამს - პირველ სიტყვას ჩემგან ელიან. და მეც ვამბობ სწორედ იმ სათქმელს, რომელსაც წყურვილით მოეღიან: ვიპოვნე? დავახრჩვე? დავხვრიტე? „წუხელ გაუთავებიათ“. - ამოვიხრიალე და მორივით დავკარდი ტახტზე. მერე ყველაფერი ვუამბე. აღარაფერი დავმალე. სულ ერთია ყველაფერი სცოდნით გარდა ერთისა - „წუხელ გაუთავებიათ“.

ამ ორმა სიტყვამ - „წუხელ გაუთავებიათ“ - უმაღლესად ჩემი ოჯახი: მაჯლაჯუნა კედლებში გაჟონდა და მის ნაცვლად კეთილი სული შემოიჭრა. აყაყანდნენ, მომეხვივნენ, მომაცარეს:

„გივი, გამარჯვება!“

„კაცო, როგორა ხარ?“ „მოგილოცავ!.. მოგილოცნია!“

მარტო რუსიკომ არ იცის, რა ქნას და როგორ მოიქცეს - იტიროს თუ იღვინოს, მომილოცოს თუ იგლოვოს. ხან ისევ ქალად მელანდება, ხან კი ისევ ორ თვალად გადაიქცევა. ცხადად ვატყობ მხოლოდ - უტყური სარკეა ჩემი ამღვრეული სული: თუ კოპი გაიჭიმა ჩემს შუბლზე, მის შუბლზედაც იგივე კოპი გაიბმება. რომელი კუნთიც შემენძრევა, რუსიკოსაც ის კუნთი აუთამაშდება. ხან კბილებით ილიმება, თვალები კი მწუხრით ევსება. ხან შუბლი გაესხნება, ხოლო პირზე შიში მოერკალება. რთულად და უცნაურად ჩაეხლართა ერთმანეთს ჩვენი თვალები და განცდანი.

ჩემი ალლო და სული კი ფართხალებს და ბორგავს. დაბმულივით მიიწევს რუსიკოსკენ. ცდილობს ბუდიდან ამოვარდეს, გადაფრინდეს, სულში ჩავსხას, შიგ ჩაუდნეს და ყოველივე გაიგოს - ყოველივე, ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი!

ვერძნობ დ გზედავ. მისი სული იკეტება, თრთის, ძრწის და იბრძვის - ბრაზიანად, გაშმაგებით, თავგანწირვით. და ბოლოს მაინც მაჯობა, მეგობრებო, რა საბრალოა აღამიანი. უცხოა, ჩაკეტილი, შეუცნობელი!

წელან ვითხარით, ჩემს რუსიკოს ერთხელ რომ შევხედავდი, გული კოლოფივით გაეხსნებოდა-მეთქი. ტყუილია, ჭორია! გაიხსნა, გამილო, მაგრამ ნახევარი თუ მეათედი დამიძალა, და სწორედ ეს მეათედაა

ყველაფერი. მე გეუბნებით, თქვენ კი დამიჯერეთ, ყმაწვილებო, რომ ქალს რუსთაველის ქუჩაზე შიშვლად გავლა უფრო ეადვილება, ვიდრე უკლებლივ

ყველაფრის აღიარება. სხვებიც, ყველანი ასეთები ვყოფილვართ ურთიერთისათვის. როცა საჭირო არ არის, მუდამ ღია გვაქვს გონებისა და სულის ყველა კარი და სარკმელი, მაგრამ მაშინ, სწორედ მაშინ, როცა ერთმანეთის ყოფნა თუ არ ყოფნა უნდა გადაიჭრას, სწორედ მაშინ ვიკეტავთ ცხრაკლიტურით ყველა ხვრელსა და ჭუჭრუტანას. ასეთ დროს აღამიანი თვალის ერთ დახამხამებაზე რკინის ბურთად გადაიქცევა ხოლმე. ველარაფერს გაუგებ, ველარაფერს მიუხვდები, აღარც გონება ვიშველის, ვერც ალლო გაგიჭრის, და მიწის შუაგულში უფრო ადვილია ჩასვლა, ვიდრე ასეთი ცხრაკლიტურის გახსნა.

არ ვიცი, ან ვინ იცის, ეშმაკმა მოგვცა საწამებლად ეს თვისება, თუ ღმერთმა გვიბოძა სასიხარულოდ. მაინც მგონია, ბრძენთა ბრძენია ბუნება: ერთურთის სულში ჩასახლება რომ შეგვძლებოდა, ან ერთმანეთს დავგჰამდით, ან თავებს დავიხოცავდით.

ღლე გათავდა. სტუმრები წავიდნენ. ჩვენც დავწექით. თურმე წელან სამოთხეში ვიყავით.

ახლა კი გოლგოთას შევუდექით.

ორი ადლის მანძილზე ვწევართ და ცალცალკე რკინის ჯვრებს მივათრევთ.

არ ძალმიძს ადგილიდან დაძვრა და მისვლა. ორივენი ვხენეშით, ვბორგავთ და ვიკლაკნებით. უსიტყვოდ მეძახის, მაგრამ ვერ მივდივარ, თანაც მეშინია - თვითონ არ მოვიდეს-მეთქი ჩემთან.

შუაში ვილაც ჩაგვიდგა, თუ ჩაგვიწვა. ვიცით, რა თქმა უნდა ვიცით, რომ ის ვილაც ახლა სხვაგან წევს, შავ მიწაში ლპება. მაგრამ, ალბათ, ის მესამე ორად გაიპო და მეორე ამჟამად აქ არის, აი აქ... ჩემს გვერდით... და რუსიკოს გვერდითაც.

სლუკუნი მესმის. ჩემი ცოლი ტირის. სხვა დროს კოცნით შევუშრობდი მლაშე ცრემლს. ახლა კი... ახლა ჩემი საწოლიდან ვეღარ ვიძვრი. თუ

„იმან“ დამაბა რკინის სალტეებით. მამლები მეორედ ყვირიან და ჩვენც ჩვენის ოხვრით და კვნესით

იმ მამლებივით ვყვივით.

უცებ სიბნელეში თბილი მკლავი მომეხვია, თბილმა ცრემლმა ლოყა

დამისველა და ჩუმმა ქვითინმა ყურში ჩამასხა:

„შენთვის... მხოლოდ შენთვის... მარტო შენთვის, ამიტომ“... მესმის, მეც მესმის: ჩემთვის მოხდა, მარტო ჩემთვის. მაგრამ... მაგრამ აფთარიძე ბნელ ოთახშიაც თვალწინ მიდგას: თითქმის ჭაბუკია, ახოვანი, ძლიერი, ლამაზი. ისიც ვიცი, რომ რუსიკომ მრავალი ღამე უძღვნა მას.

„მხოლოდ ჩემთვის? მარტო ჩემთვის? - მირახუნებს საფეთქლებში. რა თქმა უნდა, მარტო ჩემთვის ღანებდა“... თუმცა...

და უცბად ვილაცამ თუ რაღაცამ ელვასავით გაფხრიწა წარსულის ერთი კუნჭული.

5

პაწაწინა ამბავს ფარდა აეხადა. სამი წლის წინათ მე და რუსიკო კინოში ვიყავით. უცებ ჩემმა ცოლმა მანიშნა: მე კისერი გადავიღრიცე, მან კი დაჭიმა, ძლივს მომწვდა და ყურში ჩამიფარუნა:

- „აგერ, კაცი რომ მოგეჩერებია, მაღალი და შავქუდა, არ მასვენებს, მუდამ დამდევეს. მაგრამ - და მაჯაში მტაცა ხელი - ხმა არ გასცე, თორემ...“

არც გავეცი. ოღონდ თვალი თვალში გავუყარე და დიდხანს აღარ

მოვასვენე. იგრძნო, სათქმელი გავაგებინე.

- რუსიკო, იქნება შენც მოვწონს? გამოტყდი, - ღიმილით ვუთხარი. შემომხედა, გაიცინა და ისევ ყურში ჩამიღვენთა:
- შენ კი გჯობია და... და ჩაიხითხითა.

ეს კი მართალი იყო: მე მჯობდა, აფთარიძე მჯობდა.

იქ, დაკითხვის დროს, მენსიერებას ვილესავდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი - სად ან როდის ვნახე-მეთქი ეს კაცი, მაგრამ ვეღარ მივაგენი. კინოში გაკვრით ნანახი უკვე დამვიწყებოდა, ახლა კი უცებ წამოდგა და შხამად ჩამეწვეთა.

თქმა არ უნდა, აფთარიძე მჯობდა. ცხადია, რუსიკომაც ამჯობინა. „ჩემთვის წავიდა, მხოლოდ ჩემთვის. - არ მშორდებოდა ოთხი სიტყვა,

- მაგრამ შემდეგ?“ რუსუდანს თვალის აქვს და გემოვნებაც. სისხლიც უღულს და შემდეგიც ცხადია: მამჯობინა, მილალატა, გამცვალა!

აღარ ვიცი, ვისთვის ტირის: მკვდარსა გლოვობს, თუ თავის თავს? არ ვიცი და ვიტანჯები. ეს კი ვიცი, რომ ვერც გავუგებ: შეკუმშული ბურთია, ბოლმა მახრჩობს, და მეც ვახრჩობ რუსუდანს: ყელში ვწვდები და ვახრიალებ.

ძლივს დამისხლტა, სკამს წააწყდა, წააქცია და წაიქცა. წამოვხტი და ვიცვამ, რადგან ჩემივე თავისა მეშინია. ვიცვამ და

მივრბივარ. საით? ვისთან? მეც არ ვიცი.

რომ თენდება, კახეთის ერთ სადგურზე ვპოულობ ჩემს თავს. საღამოზე ბუხრის წინ აღმოვჩნდი. მე და ჩემი მეგობარი სოლო არაყს ვსვამთ,

ხოხობს ვახრამუნებთ და ნადირობაზე ვლაპარაკობთ. იმ კუთხეში ბევრი მყავს ნაცნობ-ნათესავი.

რიგრიგად მპატიჟებენ,

მასმევენ და მივლიან.

ერთი თვე გადის. რუსიკო მელის. წერილი წერილზე მომდის. ბოლოს მეც

მივეცი პასუხი:

„აღარ შემიძლია. დამივიწყე. შენს თავს უპატრონე. მე დალუპულად ჩამთვალე. რასაც ვიშოვნი, მოგაწოდებთ. ვიცი, სარდიონი საიმედო ხელშია. დედაჩემიც მანდ არის და შენც ხომ დედა ხარ. ისიც ვიცი, რომ ის ამბავი ჩემთვის ჩაიდინე, მარტო ჩემთვის, მაგრამ... მაინც დამივიწყე. აღარ გკოცნი“.

მერე დავბრუნდი, სხვაგან დავსახლდი და ნელ-ნელა თავდაღმა და-

ვეშვი. ახლა რაცა ვარ, თქვენცა მხედავთ. არცა ვხნავ, არცა ვთესავ, მაგრამ თქვენისთანა ხალხის წყალობით, მეგობრებო, მუდამ მაძლარი გახლავართ.

მას აქეთ სამი წელიწადი გავიდა. რამდენჯერმე ვცადე: თავს დავლუნავ, თვალს დავხუჭავ და ჩემს ოჯახს მივადგები ხოლმე. მსურს შევიდე, დავივიწყო და ხელახლა დავიბადო. მაგრამ კარებთან „იმის“ ლანდი მეტუხება. აწეული ხელი ძირს მივარდება, მორეკილი კისერი მისწორდება, თვალებიც მეხილება და წყევლა-კრულვით უკანვე მოვრბივარ.

მერე ოჯახიც დაინგრა. დედაჩემი ძმას შეეკედლა. რუსიკო თავის ბიძას დაუბრუნდა და სარდიონიც წაიყვანა. ზრდის და ცხოვრობს, ცხოვრობს და სიცოცხლეს ლოდივით მიათრევს, ან სიცოცხლე მიათრევს რუსიკოს, ან კიდეც - ორივენი დაათრევენ და ძიძგინან ერთმანეთს.

ზოგჯერ მიპოვის ხოლმე. მოვა, დაჯდება და ტირის. აღარ მპატიჟობს ძველისკენ. იცის, დაღუპული კაცი ვარ. ქვა ვიყავი და ქვიშად დავიშალე, ხოლო ქვიშისაგან ოჯახი არ აშენდება.

ახლა თვითონაც შეეჩვია და მეც მომასვენა. აღარ დადის. მგონი დამიჯერა - შეიძლება გათხოვდეს კიდეცაც.

ყმაწვილებო! ესპანურმა სისხლმა დამლუპა: ქედფიცხელი, თავგოროზა, ამპარტავანი, ცამდის ალესილი - აი თქვენი გივი შადური. სხვა ჩემს ნაცვლად ყველაფერს მონივლებდა.

რთული ვარ და უცნაური: ავი სიამაყე ჩემი ბინის კიბიდან უკანვე მატრუნებდა. გოროზობამ ჩამიშალა ოჯახიც და მეც ჩამძირა. არ ვიკადრე სხვისი ნათელავი. ახლა კი... უცხო ხალხთან ვზივარ და მათ ნასუფრალს მივირთმევ. ყველას სიბრძნე დავგდევთ და წინ მირონი მივიძღვით. გაიგეთ და გამაგებინეთ: როგორ ან რად მოხდა ეს ამბავი? თქვით რამე, მითხარით, ან გამკიცხეთ, ან განმიკითხეთ...

...ყველანი დუმხართ. ძნელი ყოფილა პასუხი. ჩანს თქვენზე არ ყოფილა ნათქვამი - სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

მეგობრებო, თავი მოგაბეზრეთ. მაინც, ოდნავ თუ გაგართოთ ამ ამბავმა, ეს ერთი იყოს და სხვა ათასი, კიდეც შეგხვდებით და გაიამბობთ. რიგის პური არ დაგელევთ. ბატონ მიხეილსაც მასალა მიეცემა. აი, ახლაც გაიკრა ხელი უბის წიგნაკზე, ჩამწერს. ვიღუპები! მაშ ნახვამდის, ყმაწვილებო! კეთილი და პატიოსანი, იყოს ნება თქვენი, ერთსაც გეახლებით. ორი ჭიქა მებევერება, მუხლი არ მო-მჭრას. მაშ კურთხეულ იყოს თქვენი სუფრაც და ჩემი შემოსწრებაც! აგრემც მტერი დაგეცალოთ. რაც უნდა თქვან, კარგი ღვინო ყოფილა.

მშვიდობით, მეგობრებო, მშვიდობით თუ ნახვამდის! არ დაივიწყოთ გივი შადური. ალაპებსა თქვენსა შინა მუდამ კეთილად მოიხსენეთ, რამეთუ იყო და აღარ არის. ხე-ხე, ისევ ძველმა გამკრა, ისევ ძველი სიტყვა შემეპარა, ვინაიდან ძველსა რუმბსა შინა ახალი ღვინო არ ჩაისხმების. მაშ მივიღვარ. დღეგრძელობით და გამარჯვებით.

ღაბრუნებული

- ჰეი, ყარამანებო, გარდანქეშნებო! მიიწ-მოიწიეთ! მოდის შადური - გივი შადური, წყურვილის ხავსით შემოსილი და ბაასის ჟი-ნით გამძვინვარებული. თქვენ რომ არა მყავდეთ, უღვინობით ფეხებს გაფეშაკავდი - ვითარცა აქლემი უწყლობისაგან უდაბნოსა შინა დავარდნილი, და განგებას ზოგჯერ ჩემთვის თქვენი თავი რომ არ ეჩვენებინა, ენაც ისევე დამიჩლუნგდებოდა, ვითარცა დაჩლუნგდა ჩემი დარდი, ეგ წითელი ბოლოკი, ზოგი პოეტის სიტყვა და ჩვენი მეღუქნის თავი. მაშ ჯვრიდან ჩამომხსენით და სა-ვსე ყანწი გადმომაწოდეთ.

...უუჰ, ვენაცვალე ამის მომყვანსაც და თქვენს გამჩენსაც. შევსვი და მოვცოცხლდი.

- ერთი კიდეც, ბატონო გივი, ერთიც გადაჰკარით!

- უნდა დაგვეწიოთ, გივი შადურო!

- თქვენს მღევარს რა სერი დაადგება, გარდანქეშნებო! მტერიც დავღვენებიათ. იაღბუხებზე არწივებივით დაჰქრით, ზღვებზე ქრისტესავით დადიხართ, და, ფეხი რომ ქვესკნელში გიდგათ, ხელით მარინხვარსკვლავს ეჭიდებით. თქვენი მღევარი კი მუცლით უნდა დახონავდეს და გულაღმაც ვერ გადაბრუნებულა, რათა მნათობის ციმციმს ერთხელ მაინც მოჰკრას თვალი და გაიგოს, რომ სამყაროში შავი მიწის გარდა კიდეც რაღაც არსებობს - ისეთი „რაღაც“, რომელიც შეიძლება ერთ სიმაღლიდან ერთ წერტილადაც ვერ გამოჩნდეს. თქვენ რომ უბნობთ, ცისკრის ვარსკვლავს ესმის, და რასაც მარინზე ბაასობენ, თქვენს გულზე იწერება, რამეთუ - დამიჯერეთ - მგოსნის გული უმწიკვლო სეისმოგრაფია, ხოლო მისი თვალი - უზადო ტელესკოპია.

კიდეც რა გითხრათ? როგორ გაგახაროთ? რით განუგემოთ? თქვენი სახელი ქუხს და ახლავე მეშვიდე თაობას ესმის. ან რა საკვირველია! არწივი ფრთებით არსებობს, მგოსანი კი - სახელით. დამიჯერეთ, მეგობრებო: მკითხველსა და მგოსანს შორის რაღაც იდუმალი, რაღაც უჩინარი ძაფებია გაბმული, და ჯადოსანიც ის არის, ვინც ამ თილისმურ ტაღლებს მიაგნებს, ჩაბლუჯავს

და თავის გულს რადიოსადგურად გადააქცევს. ეს გულთახმიური მეოსანი და უთვალავი მკითხველი მუდამ ერთმანეთს ეწურჩულებიან და ერთ მთლიან სულიერებით არიან შეკრული. მათი აზროვნება ნათესავდება, მათი მაჯა თანაბრად სცემს და მათი გრძნობებიც ერთნაირ ჰანგზეა ასხმული.

მაგრამ, მეგობრებო, ამ ძაფებს მარტო ის დაიჭერს, და მკითხველიც თავის სულს მხოლოდ იმას დააჭერინებს, ვინც ეს გაბნეული ჯარი შეიყვარა და თავის თავიც შეაყვარა. აი აქ იმალება ილუმალი კვანძი და ვინც მას მიაგნებს, მკითხველიც იმ მეოსანს მიაგნებს და დაიჩემებს.

მაგრამ ფრთხილად, მზეჭაბუკებო! ზოგჯერ სახელიც ისე ადვილად რყვნის მწერალს, როგორც სილამაზე ქარაფშუტა ქალს. ხშირად ორივენი მარტივობას ჰკარგავენ და უმნოდ იპრანჭებიან. სილამაზის და უბრალოების მორიგება მეტად ძნელია, მაგრამ მშვენიერებაც სწორედ ამ ორი თილისმის შედეგებაშია.

ისიც ვიცი: სახელს შური წუნკალი გოჭვივით მოსდევს და გულსაკლავად ჭყვიტინებს, თანაც მოვალეობაზე ხრუტუნებს ხოლმე, მაგრამ ესეც ცხადია: მოვალეობის ფანდურს ზოგჯერ ეშმაკიც აჟღარუნებს, თანაც მარგილით წერს და სამელნედ საკუთარ კუჭს ხმარობს. აბა რას იხამ! ზოგი მკითხველი მუდამ ალესილია და, თუ უმეცრებაც აყაყანდა, მეხიც ვეღარ გააჩერებს. გირჩევთ გვერდი აუაროთ, დუმილით უპასუხოთ. და გახსოვდეთ: ზოგიერთის დუმილიც კი საქვეყნოდ ღალადებს, ხოლო ზოგი შაბათიდან შაბათამდე ყბელობს და მაინც რიყის ლოდივით მუნჯია.

ზოგ მწერალს თავი სირაქლემასავით ჩირვში ჩაუყვია და ცხოვრებას ემალება. ან თვალი დაუხუჭია და აფრიკის უდაბნოსკენ მიდის, თანაც სულიერ ფულუროს მშრალი ფორმულებით იფარავს, თვითონაც უწყლობით

ხმება და სხვებსაც ნამს უშრობს. მაგრამ დეე გაიხსენონ: მებაღე ბერები შვიდ კვირას კამათობდნენ: ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხიო. მერე შვიდ თვეს დავობდნენ, ნემსის წვერზე ასი ანგელოზი დაეტევა თუ ას-ერთიო. ბოლოს ჟამმა დაჰკრა და განგების ეტიკმა კარიბჭე დაუკაკუნა. დაფრთხნენ, გონს მოვიდნენ, თვალელებიც გაახილეს, მაგრამ გვიანდა იყო: თუმცა მაისი დადგა, მათ ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა. ზოგი რომ აყვავებულ წალკოტში შევიდეს, იქაურობა უმაღვე გადახმება, ზოგი კი იანვარშიც რომ დიდმის ველზე გაიყვანო, იგი უმაღვე აყვავდება. ასეთია, ძმებო, თილისმური წვენის და მშრალი ქიმიური ფორმულების

ძალაუძალობა. მაშ ფრთხილად, ჯადოსნებო, ეს წვენი არ დაიკლოთ და სული ფორმულებით არ მოიწამლოთ, თორემ გვიანდა იქნება თითზე კბენანი.

მართალია, ნაძვისგან მხოლოდ ნაძვი ამოვა, ნელცოფასაგან - ნელცოფა, და დაბმული ძაღლიც აშვებულზე უფრო ავია, მაგრამ ამ ბალახსაც გონება და ნება რომ ჰქონდეს, ეცდებოდა თავისი ბაღლამი შეენელებინა და კიდევაც შეამცირებდა. ფრთხილად-მეთქი, ნაკურთხო ვაჟებო! ცოფი დაიკელით და სამაგიეროდ ნაძვის ოფლი, მუშკი და საკმეველი მოიმრავლეთ. მათი სურნელი თქვენც ოდესმე წინ დაგიხვდებათ და მეზავრსაც ჰაერსა მყრალსა ოდნავ მაინც შეუნელებს, რადგან იცოდეთ: ხელოვნების ერთადერთი მიზანი ის არის, რომ ბეჩავ ადამიანს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილოს, რომელიც დედის მუცელში იწყება და სასაფლაოზე თავდება. ხოლო ყოველივე დანარჩენი მხოლოდ შინაური დავაა იმაზე, თუ როგორ გაიკაფოს და გაადვილდეს ეს გზები მიძიმე სავალნი.

ხოლო მე გეტყვით თქვენ:

ნეტარ იყვნენ ძლიერნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ამა ქვეყნისა.

ნეტარ იყვნენ მგლოვარენი შემოქმედებითა, რამეთუ მათ სთქვან სათქმელი თვისი.

ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიტყვისათვის, რამეთუ იგინი განჰსძიდნენ.

ნეტარ იყვნენ წმინდანი აზრითა, რამეთუ მათ დაბეჭდილი ტომნი თვისნი იხილონ.

ნეტარ იყვნენ ლექსთა და რომანთა მთქმელნი, რამეთუ იგინი ძედ მშრომელისა ერისა იწოდნენ. ნეტარ იყვნენ ტანჯულნი მხატვრული სიტყვისათვის, რამეთუ მათი არს

გული ყოველთა მკითხველთა.

ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი ნათქვამსა თქვენსა მიმართ. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელ თქვენი ფრიად არს მშრომელთა გულსა შინა.

თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა, უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რათამე დაიმარილოს? არღარ შემძლებელ არიან მერმე, არამედ განგდებად გარე, და დათრგუნვად კაცთა მიერ.

თქვენ ხართ ნათელი სოფლისა, მირონი სუფთა, სანთელი ზენარისა გულთა შიგან ბნელისა გასაქრობლად მოვლინებული და ჰბრწყინებელი ნათელი თქვენი წინაშე მკითხველთა, რათა იხილნენ წიგნი თქვენნი კეთილ ნათქვამნი და აღიღებენ ავტორთა მათთა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ხოლო მე, გივი შადური, გეტყვით თქვენ: უკეთუ არა აღმატოს ნაწერი თქვენი მედიდურსა მცირე სულოვანსა ვერ შეხვიდეთ ისტორიისა სასუფეველსა შინა.

გესმა, რამეთუ ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა მგოსან- ჰკლა უბრალოდ, ხოლო რომელმან მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა და ისტორიისა შიგან ჩაჭედვისა.

ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი მკითხველი განურისხნეს ძმასა მგოსანსა თვისსა ცუდად, თანამდებ არს იგი მწერალთა კრებულისაგან განსვლად, და რომელმან ნაადრევ ჰრქვას ძმასა თვისსა:

„იყუჩე!“ თანამდებ არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა. უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა ეპოქისა საკურთხეველსა ზედა და

მისცემდე კეისრისა კეისარსა, ძმა შენიც აღარ იყოს გულძვირ შენთვის.

გესმა რამეთუ ითქვა: სთქვი დანაწერსა შენსა სათქმელნი შენი, მარა არა იმრუშო სინდისსა შენსა წინაშე.

უკეთუ თვალი შენი მხატვრული - მარჯვენე ანუ მარცხენე - გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან. რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარსწყმდეს ერთი სტრიქონი შენთაგანი, ვიდრე ყოველი ნაწერი შენი შთავრდობად გეენიასა.

ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად და ნუ ჰზრუნავთ ნუცა სამსახურისათვის, ნუცა სტომაქისა თქვენისათვის, რა სჭამოთ და რა სვათ, ნუცა ხორცთა თქვენთათვის, რა შეიმოსოთ.

მიჰხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა ითხოვენ ჰონორართა, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცათა ზრდის მათ, არამდე თქვენ რითა უმჯობეს ხართ ფრინველთა?

და სამოსლისათვის რასა ჰზრუნავთ? განისხით სამოსელი თქვენი და ვლიდეთ რუსთაველისა ქუჩასა ზედა ვითარცა ადამ, ევა და შრომანნი ველისანი.

ნუ ჰზრუნავთ ზვალისა ჰონორარისათვის, რამეთუ გამომცემელმა იზრუნოს თავისა თვისისა, ხოლო თქვენ ეძიებდეთ სახელსა მარადიულსა, სიტყვა მჭრელსა, მუდმივსა შთაგონებასა, კალამსა სუფთასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.

აჰა, ჭაბუკებო, ესეც სახარება მათესაგან, თქმული მთასა ზედა, თავი მეხუთე და მეექვსე, ოდნავ გადაკეთებული სტილიზაციაქმნილი და მწერლობასა ზედა გამოჭრილი.

რამოდენიმეს გარდა თქვენც ჭაბუკები ხართ - ჩემთან შედარებით მაინც - და თქვენცა გჭირთ ზნენი ჭაბუკისანი, ამიტომ ნუ დასზრახავთ და მუდამ შენახული გქონდესთ მათთვის სიტყვანი ტკბილნი და სალმუნოვანნი.

მარტო ჭაბუკს ჰკონია, ვითომ ცხოვრება მას მიჰყავდეს. ბრძენმა კი იცის, რომ ბრმა სინამდვილე და ჩვენ ერთმანეთს ვბლუჯავთ და მივათრევთ.

ჩვენ აღამიანები, კამეჩივით ვეწვევით აღმართზე ძველი ლოდებით დატვირთულ ურემს, მაგრამ ისიც უკანვე გვეწვევა და ასე ვეჭიდებით ერთმანეთს - კუნთებ დაჭიმულნი, ოფლში გაწუწულნი და მუდამ მაშვრალნი.

მეც, გივი შადურიც, ერთ დროს ვკამეჩობდი, ახლა კი შორიდან მივდევ ამ ურემს, სახრეს ვიქნევ და არამკითხე მეურმესავით ვიძახი:

„ჰა, მიდი, გასწი, აიტანე!“

და მაგონდება ცირკის გუქა, „რიჟი პამაგაი“, რომელიც ყველას ფეხებში ებლანდება, ყველას ხელს უშლის და ყველასგან პანჩურს ღებულობს.

ამიტომ ჩემი თავი ზედმეტ აღამიანად მიმაჩნია, რომელიც სიკვდილსაც

დაავიწყდა, მაგრამ ჩემ მაგიერ ამირანებო, თქვენ იპირნათლეთ: იმ ურემს მიაწექით,

ოფლი დაღვარეთ და მთის თავზე აიტანეთ. ნუ შედრკება თქვენი გული, ყარამანებო.

თუ ის ურემი დაგიგორდებათ, თქვენც ხევში ჩაცვივდებით და ველარავინ ამოგიყვანთ.

ნუ მაჩვენებთ თქვენს მოტეხილ ხერხემალს.

იგი ჯერ კიდევ ძლიერია და თუნდაც ურემს მოერევა. მაშ გასწიეთ, აიტანეთ, დაისვენეთ და ახალ ურემებს შეუდექით.

უკან რომ ვიხედები, ყველაზე მეტად ის მალცებს, რომ ჩვენ სიცილის უნარი შეგვრჩა, ტანჯვას კი ან დიდი ხანია შევეჩვიეთ, ან სამუდამოდ გადავეჩვიეთ. ამის გამო მე ბალღივით მიხარია, ამირანებო, და თქვენც გაიხარეთ, რადგან ქალურ გულჩვილობას ისევე კაჟობა სჯობია. გაიხარეთ და ჩემთან ერთად შესძახეთ: ჰოი, მტანჯველო ქვეყანავ ჩემო, შენთან ცხოვრებაც ჯოჯოხეთია, რადგან გვიყვარხარ, ხოლო უშენობაც ჯოჯოხეთია, რადგან ისევე გვიყვარხარ. და

იმ ქვეყნად ჩვენ რომ სამოთხეში შევიდეთ და შენ კი ჯოჯოხეთში აღმოჩნდე, იქაურობას მივანგრევთ და ისევ შენთან ჯოჯოხეთში გადმოვალთ.

მაშ ამ სიყვარულით მაინც ვიცხოვროთ, მზეჭაბუკებო, „ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი და სინარულით დავლიოთ დღენი“. დიახ, არწივის მართვებო, „უსინარულოდ“ კი არა, სინარულით, სიყვარულით და გულღია სიცილით და ვლიოთ დღენი, რამეთუ ცრემლი სიკვდილის მონალანდია, სიცილი კი - სიცოცხლის მონაბერია.

კმარა, გივი შადურო, ნასწავლი თუთიყუშივით ნუ აყბედდი! შეუნდეთ, მეგობრებო, რადგან შადური ცხოვრების პარადოქსია და გზასაც პარადოქსებით იმოკლებს. ზოგი მისი ნაბოღვარი მიიღეთ და ზოგიც ახლავ ამოითონხეთ თავიდან. უარს ნუ ეტყვი, მოუსმინეთ, მაგრამ მარტო თქვენს საკუთარ თავს დაუჯერეთ. მაშ კმარა, მეგობრებო. დიდაქტიკური დანარიგი იკმარეთ და ერთი ნამდვილი ამბავი მოისმინეთ. აბა, თითო კიდეც მიირთვიოთ და ყურნი თქვენნი მოსასმენად ჩამოჰყარეთ.

სილანს! ვიწყებ.

1

ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ.

ორი ღვიძლი ძმა - ორივე ჩემი ბიძაშვილი - სტუდენტებად იყვნენ ადესაში. უფროსმა, პეტრემ, სწავლა დაასრულა. უმცროსი, ლათიკო, კვალდაკვალ მისდევდა. მეც იქ ვიყავი, ბიძაშვილების კალთებზე მიკერებული და სწავლის წყურვილით გაბერილი.

ზაფხული მოდიოდა. სწავლა თავდებოდა. ყველა შინისკენ ვემზადებოდით. პეტრე უცბად მოსხლტა და ჩვენზე ადრე წამოვიდა - ახლად გაცნობილ ოჯახს გამოჰყვა ყირიმში და ჩვენ დაგვიბარა: წამოსვლა ადრევე შემატყობინეთ წერილით, იალტაში დაგიხვდებით და იქიდან ერთად წავალთო.

ორი კვირის შემდეგ ლათიკო და მე პატარა ქალაქს მივადექით. პეტრეს ნაცვლად გემზე ვილაც მსახური ამოვიდა, მოგვებნა და ლათიკოს წერილი ჩააბარა.

„თქვენ გზა განაგრძეთ - გვწერდა პეტრე - და ჩვენები დაამშვიდეთ. მაროც არხეინად იყოს. მეც მალე წამოვალ“. დავლონდით და დავფიქრდით.

- აქ რაღაც ამბავია, - მითხრა ლათიკომ.

- რაღაც ამბავია, - დავუდასტურე. - იქნება ახლოს არის ეს აგარაკი „ზეფირი“, გამოვიკითხოთ, მოვებნოთ და წავიყვანოთ, თორემ ხიფათის სუნი მომდის.

- მართალი ხარ. აქ რაღაც ამბავია.

აგარაკი „ზეფირი“, სადაც პეტრე სტუმრობდა, თურმე სამეფო მამულის მასსანდრას გვერდით ყოფილიყო, ორივეს ხიფათი გვკებნდა. პეტრეს მასპინძელიც გაგვანხენდა - სრული, მალალი, მედიდური დედაკაცი და მისი ლამაზი ქალიშვილი სტეპანიდა. ისიც ვიცოდით, რომ იმ აგარაკზე, და მთელ ქვეყანაზედაც, იმ დედაშვილს სხვა ნათესავი არავინ ჰყავდათ, მამასადამე - დავადგინეთ - მოტაცებულ პეტრეს უნდა მივეშველოთ და პატრონებს დავუბრუნოთ: დედ-მამას, ოჯახს, მამულსა და, ყველაზე მეტად, დანიშნულს მაროს, რომელიც აქ, საქართველოში, უკვე მზითვებს იმზადებდა.

ხუთი წამის შემდეგ მსუბუქი, დაწნული ეტლი, რომელიც მხოლოდ ყირიმში შემხვედრია, გურზუფის გზით ორ თეთრ სტუდენტს მიაქანებდა, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ორივენი ნათელ ქვის სკამზე ვისხედით და ძლეღვარე ზღვას გადავსცქეროდით.

მოვლილ და ჯიშინ ბაღში ვისხედით.

კვიპაროსები მწვანე კელაპტრებივით ასვეტილიყვნენ.

ჩვენებული ფიჭვები ზღაპრულ წეროებივით ცალ ფეხზე შემდგარიყვნენ. ნაძვები ნაბდიან მწყემსებს ჰგავდნენ.

იტალიური ფიჭვი უზარმაზარ მწვანე ქოლგასავით გაშლილიყო. აქა-იქ ათფერ ყვავილებით მოქარგული მწვანე ფარდაგები გაეშალათ. სუფთად შეკრეჭილი ევონიმუს, დაფნა და ჩვენებური ბზა ქვიშნარ

გზებისა და ბილიკების გვერდით ორღობესავით ჩაერიგებინათ.

იქვე, მწვანეულში, ორსართულიანი სახლი დგას, რენესანსის სტილზე ნაშენი და იმ ქალღვით თეთრი, სუფთა, ლამაზი და მხიარული, რომელმაც განიერ აივანზე ორჯერ თუ სამჯერ გაირბინა.

პეტრეც იქ არის, იმ თეთრ სასახლეშია. იმ ქალსა და იმის დედას ტყვედ ჰყავთ წაყვანილი. ჩვენ, უმცროსებმა, უფროსი უნდა ვიხსნათ და წამოვიყვანოთ. ჯერჯერობით სტუმრად ითვლება. ალბათ ამიტომ ვერ შეგვიყვანა სხვის სახლში, ალბათ ამიტომ გვალოდინებს ამ ბაღში. „რა თქმა უნდა, მხოლოდ ამიტომ...“

- თუმცა... ვბუტბუტებ მე.

- რაღა თუმცა! - მაწყვეტილებს დათიკო - დავიჯერო, იმოდენა სახლში ოთახი ვერ იპოვნეს, რომ იქ შევეყვანეთ და ძმას ძმისთვის ორიოდ სიტყვა ეთქვა? ვილაც კაცის გამოგზავნა გემზედ რაღა იყო? თვითონ ველარ ჩამოვიდა? აქ რაღაც ამბავია. - მართალი ხარ, დათიკო, აქ რაღაც ამბავია.

მწვანეულში ვილაც კაცი მოდის, თავით ფეხებამდე წელანდელ ქალივით თეთრი. შორიდანვე ვიცანით: პეტრე მოალაჯებს.

დათიკო წამოდგა, ფიჭვის ქოლგის ქვეშ დაიწყო სიარული და ფეხის წვერით კენჭებს აწვალებდა.

- გამარჯვება, დათიკო! გამარჯვება, გივი!

- გაგიმარჯოს, პეტრე, - ცივად მივუგე. დათიკომ კი სალამიც არ აკადრა.

გუშინდელი გაცვეთილი სტუდენტი პეტრე დღეს ინგლისელ დენდის ჰგავს - სწორედ ისეთს, რომელნიც ადესაში ღერობასისა და რიშელიეს ბულვარებზე და ფანკონის ყავახანაში მრავლად დაბორილებდნენ.

- დაჯექი. ალბათ გზის ფული დაგაკლდათ. - უთხრა დათიკოს და ქვის სკამზე დასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა. დათიკო ამრეზილია:

- არა, მაგისთვის არ მოვსულვარ. პასუხი მინდა: ვის ირთავ, მაროს თუ ამ ქალს? - პირდაპირ მიახალა უმცროსმა.

- ბიჭოს! - გაცოცხლა პეტრე. - ეგ რაღად დაგჭირდა?

- როგორ თუ რად დამჭირდა! - გაფიცხდა დათიკოც. - ძმა ვარ, უნდა ვიცოდე. ამბავი უნდა ჩავუტანო დედაჩვენსაც და მაროსაც.

პეტრეს ალბათ არასოდეს არ ენახა თავისი ძმა ესოდენ მტკიცე და ცივი. შეყოყმანდა. მერე ჩაიციხა და თქვა:

- ეს ქალი რომ შევირთო?

- ხუმრობ თუ... - წამოვარდა უმცროსი. - რა ღროს ხუმრობაა, დათიკო!

მართლაც და, რა ღროს ხუმრობა იყო! სეფისკვერა ქალი იშოვა თითქმის მარტოხელა, გვარიანი, ლამაზი, მდიდარი და განათლებული. ცხადია, სახუმარო არაფერი იყო. მაგრამ მეც ვერ მოვითმინე და ვკითხე:

- იქნება გვეხუმრები, პეტრე?

- რა ღროს ხუმრობაა-მეთქი, ბიჭებო! აბა ერთი ამ ვენახებს გადახედეთ, - გვიპასუხა პეტრემ.

და მწვანე ზღვისკენ, ვეება ზვარისკენ გაიშვირა ხელი.

- ხუმრობა ხომ არ არის! ყირიმში ოცი დღიური ვენახი ოცი ათასი თუმანი ღირს: ქვითკირის მარანში ათი ათასი ჩაფი ეტევა. თუნდაც მარტო ეს ბაღი და ეს სახლი დააფასეთ.

ესეც ათი ათასი თუმანი მაინც ეღირება. გარდა ამისა, ორენბურგის გუბერნიაში ქალს მეორე მამულიც აქვს - ათი ათას დღიურამდე იქნება. იქაც სახლი, კარი, კარგი საჯინბო, ერთი ქარხანა და ისეთი ღორის

ჯოგი, რომ ინგლისშიც კი არ მოიპოვება.

- ხუმრობ, თუ... - ისევ ბუტბუტებს უმცროსი. - ბიჭო, რა ღროს ხუმრობაა! - უკვირს უფროსს.

არა, ხუმრობის გუნებაზე აღარ არის პეტრე. ჩანს საქმე გა-თავებულა. სიღვრით მზითვის დამზადებას გადაჰყვლია.

- სწორედ ერთი კვირის შემდეგ ქორწილსაც გადავიხდით და... და დუმილის შემდეგ დაუმატა: - დარჩი, დათიკო. ერთი ნათესავი მაინც მეყოლება, თორემ უგვარო კაცს ვემგვანები. შენც დარჩი, გივი.

დარჩეს?! დათიკო დარჩეს?! დასცინის თუ მართალს ეუბნება?!

- ხუმრობ თუ...

- ბიჭო, რას აგინებებია ეგ „ხუმრობა“! რა მეხუმრება! კაცი ავშენდი და გეხუმრებოდე? ყური მიგდე... დაჯექი და ყური მიგდე.

დაჯექი და ყური უგდე, უმცროსო. ჭკუას ისწავლი და შენც რაღაცას მოიგებ. არა, საქართველოში რომ მიდიხარ, რის იმედით მიდიხარ? სამოსამართლო კანდიდატად ჩაგრიცხავენ, ან ვინმე ვეჭილს თანაშემწედ მიეწერები, ან საზოგადოებრივ ჭაობში გაებმები და დაიხრჩვები.

- როგორ თუ ჭაობში! - ცხარობს დათიკო.

ნუ ცხარობ, ყური უგდე-მეთქი. პეტრე შენზე უფროსია, სულ ერთი წლით, მაგრამ მაინც უფროსია. შენზე მეტიც უკლია და მეტიც უნახავს. აქამდე ჩვენსავით რაღაც ლანდებს დასდევდა, ახლა კი გაიზარდა - დიახ, დიახ, ორ თვეში გაიზარდა - და თვალბეც აეხილა, საზოგადო

საქმეს აქედანაც გააკეთებს. ფული რომ ექნება, იმ საქმეს ასჯერ მეტს ასარგებლებს, ვიდრე მშვიერი აკეთებს ფაფხურით და უმწეო თავის-ხეთქვით. ოჯახი?

საგვარეულო?

- ნუ ხართ რომანტიკოსები. - მოკლედ მოგვიჭრა საქმიანმა ნათესავმა.

მართლა, განა რომანტიზმი არ არის ჩვენი ბოღვა?! წინაპრების

საფლავებსა და მამულებს რომ ვსდით, მესოპოტამიაში უნდა გადავსახლდეთ.

- სადაც მე ვარ, ჩემი სამშობლოც იქ არის. - გვასწავლის პეტრე.

- ეგ ხომ სოლოლაკის ანდაზაა! - ფიცხობს უმცროსი.

- თუნდაც აგრე იყოს. - ამშვიდებს უფროსი. - განა გარეთ გასვლა მშობლის დავიწყებას უდრის? ოღონდ ენა შეინარჩუნოს, მშობლიური ახსოვდეს, თორემ ქართველი აფრიკაშიც ქართველია. აი მაგალითიც: სად არიან ინგლისელები!

მაგრამ ინგლისელი მაინც ყველგან ინგლისელია. რაო? რა თქვა დათიკომ? ჩვენ ინგლისელის გამძლეობა და შეგნება არა გვაქვსო? ტყუილია, ტყუილი! პეტრესთანა გამძლე კლდეც არ იქნება, ხოლო მისი შეგნების ძალა ინგლისელსაც შეშურდება, ამიტომ...

- თუ ჩემებურად წავიყვანე საქმე, შენც დაგიბარებ, გივისაც და დედასაც. არხეინად იცხოვრეთ ჩემთან. თუ გინდა, ამ მამულის მოურავადაც დაგნიშნავ.

ამაზე მეტს რას ელოდები, ჭაბუკო? დაანებე თავი დანგრეულ ქონს, გაჰყიდე ბაღ-ვენახი, გადმოსახლდი ყირიმში და გულებში დადი ისეირნე. რაკი არ მოგიშლია, დედაც გვერდით გეყოლება. ერთი აქაური გოგონაც იშოვე და...

- ცოტანი კი არ არიან აქ ჩემი დანიშნულივით მდიდარი და ლამაზი ქალები!

- მარო? მაროს რაღას უთვლი? - არ ეშვება უმცროსი.

- მარო! მარო... აი ეგ არის, რომ მაფიქრებს!

ყოველივე დანარჩენი გადაჭრილია. მხოლოდ პირველი დანიშნული აფიქრიანებს მდიდარი ქვრივის სიძეს. თუმცა...

- თუმცა რას მერჩიან? სამიოდე სამარხვო კოცნა, ისიც საქვეყნოდ, ეს იყო და ეს!.. მეტი ხომ არაფერი მომხდარა.

- მართალია, მეტი არაფერი მომხდარა, მაგრამ რომ მომხდარიყო კიდეც, იმ ბაღში გაბმული ბაასი მაინც ისე გათავდებოდა, როგორც გათავდა:

- მაშ ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა? - ჰკითხა დათიკომ და წამოღგა.

- ეს არის. რაც მოხდა, მოხდა. ბედს გარეთ ვერ გავაგდებ. ფიცხი და კერპი ჭაბუკი იყო დათიკო. აღარაფერი თქვა, მობრუნდა და წამოვიდა. მეც გამოვყევი. პეტრე ეტლამდე მოგვეყვა. მოგვდევდა და თავს იმართლებდა. ბოლოს, ეტლში რომ ჩავსხედით, ცალი ყბით დაუმატა:

- სადილად მაინც დარჩებოდი, თქვე კაი კაცებო.

ეს კი მეტისმეტი იყო: დახვედრის მაგიერ ძმას მსახური მიუგზავნა და მარტოდ წამოსვლა ურჩია. სახლში შეპატიუების ნაცვლად ბაღში ალოდინა და იქ ესაუბრა, და ახლაც ისე ჰპატიუობს, თითქოს ჰაერს

ეუბნებაო. წელან მოურავობაც შესთავაზა!

- გარეკე! - პასუხის ნაცვლად მეეტლეს მიადახა დათიკომ. ეს ერთადერთი სიტყვა: „გარეკე“ - ორივეს დაამახსოვრდა, ორივეს ლურსმანივით ჩაუჯდა: უკანასკნელი იყო ის სიტყვა. ოცდაათ წელიწადში აღარც ერთმანეთი უნახავთ, არც წერილი მიუწერიათ, არც ამბავი შეუთვლიათ.

- ორი სიტყვა მაინც მისწერე - რამდენჯერმე ვუთხარი დათიკოს იმ ხანებში.

- „იმის“ სახელიც კი აღარ გამახსენო. - მომიჭრა ბიძაშვილმა. - არც მაროს თავს ვაპატიებ, არც ოჯახის შერცხვენას. ვითომ ძმა არა მყოლია, ან მომიკვდა, მორჩა და გათავდა!

მას აქეთ მათ შორის მართლა ყველაფერი მორჩა და გათავდა.

2

ოცდაათი წელიწადი გავიდა. დათიკო და მე ჟამის ტვირთმა მოგვდრიკა, დაგვჭმუჭნა, თითქმის დაგვაბერა. ორივემ თითო ბუდე ავიშენეთ და

ბლარტებიც გამოვჩქეეთ. პეტრესი აღარაფერი გაგვეგო და არც გვიძებნია. სადღაც ურალის იქით იყო გადაკარგული. მოკვდა? ცოცხალია? არაფერი არ ვიცოდით, რადგან არ

უყვარდა უმცროს ძმას მისი განსენება.

ყირიმიდან რომ დავბრუნდით, დედ-მამამ წყველა-კრულვის წერილი მისწერა, თანაც ემუდარებოდნენ: პირი მოიბრუნე, შენი თავი დასძლიე, დაბრუნდი და სირცხვილი აგვაშორეო. მას

შემდეგ საუკუნო ღუმელი ჩამოწვა უძლებ შვილსა და გულდამწვარ ოჯახს შორის. ორივენი ურთიერთისთვის დაიხოცნენ და გაჰქრნენ.

ერთხელ დათიკოსთან ვიყავი. თბილ ოთახში ვისხედით, ხილსა ვჭამდით და თამბაქოს ვაბოლებდით. საღამოს ჟამი იყო. პატარა ბიჭმა შემოირბინა, მამას წერილი ჩაუგლო მუხლებში და გაიქცა.

დათიკო წერილს კითხულობს. შუბლი ეკეცება, თვალები უხამხამებს და მოუსვენრად ტოკავს. ჩაიკითხა, უცნაურად გაიღიმა, წერილი ხელში ჩამიღო და ყრუდ მომიგლო:

- წაიკითხე.

თითონ კი წამოდგა და შუბლით სარკმელს მიაღდა.

„ჩემო ძვირფასო დედა!

დიდხანს ვიყოყმანე, სანამ კალამს ავიღებდი. ჯერ მინდოდა გაუფრთხილებლად წამოვსულიყავი და გაცოცხლებული მკვდარივით დაგდგომოდით თავზე. მაგრამ ვიფიქრე: მოციქულად ჯერ წერილს წავიმძღვარებ-მეთქი.

სათქმელი უღვევი მაქვს, მაგრამ ბევრს არაფერს მოგწერ. უმთავრესს პირადად გეტყვი. ღვთის შეწევნით, ცოცხალი ყოფილხარ. ამ წერილს კი იმისთვის გწერ, რომ ჩემი დაბრუნება აღრევე შეგატყობინო და შენდობა გთხოვო. მჯერა, ჩემ ჩამოსვლამდე ნახევარს მაინც მაპატიებ, თუ ჩემთვის კიდევ დაგრჩა დედური სულგრძელობა და თუ სამუდამოდ არ ამოიგდე ოქროს გულიდან შენი უბედური შვილი.

დიახ, ჩემო უკეთილესო, შენი შვილი, შენი პეტრე უბედურია უბედურთა შორის, ამიტომ მისთვის დიდსულოვნება უნდა გამოიჩინო და ორად-ორი სიტყვა გაიმეტო: „მიპატიებია, დავივიწყე“.

ვიცი, თითქმის მჯერა კიდევაც, რომ ორივე სიტყვას დამახვედრებ. მაგრამ მარტო შენ არა მყავხარ გამკითხველი. შენზე მეტად ჩემი დავითისა მეშინია, ხოლო დავითზე მეტად - ოდესღაც „ჩემი“ - თუ ნახევრად ჩემი - მარიამისა.

დათიკო რომ ცოცხალია, შარშანაც გავიგე. მაგრამ რა დაემართა მაროს - აქამდე არ ვიცი, ცოცხალია თუ... ვის მისთხოვდა, თუ კი გათხოვდა? დაქვრივდა თუ სრული ოჯახი ჰყავს? თუმცა, - მე თვითონაც არ მესმის,

- რად გეკითხები? სულ ერთია, პასუხს აქ ვერ მივიღებ. წერილს დღეს ვგზავნი, მაზეგ კი მე თვითონაც გამოვყვები. მანდ გავიგებ, მანდ შევხვდები - თუ გავბედე თვალის გასწორება და ხმის გაცემა. ნუ, დედილო, ნურაფერს ეტყვი. ნურც მოიკითხავ, ნურც ბოდიშს მოიხდი. გზა დიდი მაქვს. ორი დღე უნდა ვიარო. მერე მოვიფიქრებ და სათქმელსაც დავაწყო. ახლა კი მარტო შენა გთხოვ, მხოლოდ შენ გეხვეწები: ძალღონე მოიკრიფე და ორად-ორი სიტყვა დამახვედრე:

„მიპატიებია, დავივიწყე“. დათიკოც შემიმზადე. ჩემ მაგიერ გადაეხვიე, აკოცე და ეცადე მაგანაც გული გაიწმინდოს და შენსავით ორი სიტყვა დამიმზადოს. დანარჩენი თვითონ მოვა: შავი წარსული წაიშლება, ჩემი უმადურება გაჰქრება და ახალი ცხოვრება დაიწყება - დედაშვილური, მშვიდობიანი, შრომიანი და სიტკბოებით სავსე.

ოოჰ, რომ იცოდე, როგორ მომწყურდა, როგორ მომშივდა დედაშვილობა, მშვიდობა, შრომა და ტკბილი სიტყვა! უბედური ვარ, დედი, უბედურთა უბედური. მაგრამ... ისევ ღუმელი სჯობს... დანარჩენი მერე იყოს. როცა ჩამოვალ, წინანდელივით გვერდით მოგიჯდები, თავს მუხლებზე დაგიდებ და გიამბობ, ბევრს გიამბობ.

მაგონდება შორეული, თითქმის დავიწყებული: ქოჩორა თავი შენს მუხლზე მელო და სულგანაბული შენს ჭრელ ზღაპრებს ყურს ვუგდებდი. ახლაც იმავე თავს დავდებ - უკვე გათეთრებულს - მაგავე მუხლზე და უკვე მე გიამბობ ჩემი ცხოვრების ზღაპარს. მუხლზე თავს დაგიდებმეთქი, მაგრამ ვაი ამ თავს! ნაადრევად დაითოვლა, დაიბეჟა, დაჭკნა, დაობდა.

მაგრამ - ნუ, ნუ! ისევ ღუმელი სჯობია-მეთქი. დანარჩენი მერე იყოს, მერე. ახლა კი, ამ წერილს რომ მიიღებ, შენი კურთხევა

გამოგზავნე და დედაშვილურად გზა დამილოცე.

ამიერიდან მარად შენი და მხოლოდ შენი

„პეტრე“.

წერილი რუსულად იყო დაწერილი და სულ ბოლოს მიწერილი ჰქონდა:

„აქამდე პეტრე სოკოლოვი, ამიერიდან კი - ისევ შევარდენიძე“. ჩავიკითხე და მაგიდაზე დავდე. ოთახი ღუმელით გაივსო. მე ჭერს შევცქეროდი, დათიკო კი ისევ ქუჩას ათვალიერებდა. მერე უცებ მოტრიალდა და...

- რას იტყვი? - მკითხა.

- წერილი დავვიანებთ მოვიდა. შეიძლება თვითონაც აქ იყოს. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩამოვა. - მაგას არ გეკითხები.

- რაო?.. რა თქვი? - და უძლები ძმა გაოცებისაგან წელში გასწორდა.
 - შენი ცოლია?.. არ ვიცოდი, აქამდის არ ვიცოდი... მართალს ამბობ? - ოცდაშვიდი წელიწადია შევირთე.
 - ოცდაშვიდი... ოცდაშვიდი. - და ისე მოიზილა მელოტი თავი, თითქოს ამ მანძილის გაზომვას ლამობდაო.
 - შეილებიცა გვყავს, ოთხი შვილი.
 - ოთხი შვილი... О нине! - და უცებ უმწეო ბებრული ქვითინით ხელის გულებში ჩაიქვითინა.
 ფეხაკრეფით მეორე ოთახში გამოვედი. მარო გულადმა იწვა საწოლზე, ორივე ხელი თვალებზე ჰქონდა აფარებული. მოვბრუნდი და ისევ ფეხაკრეფით წამოვედი.
 ჩემს ბიძაშვილს არ გავახსენდი. ვერც კი მიცნო.

პეტრე სოკოლოვი ისევ შევარდენიძედ გადაიქცა. დადის და ადგილს ეძებს. დილით რომ გადის, ბინდისას ბრუნდება. მთელი დღე გარეთ დაბორიალებს. ალბათ ერიდება, სხვისი ოჯახი არ შევაწუხო.

ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ხან სადმე კარებთან ატუხულა და მდივნის პასუხს ელოდება, ხან ტალანში დაბარბაცებს და ვიღაც მოხელეს ეძებს. ზოგჯერ რუსთაველის ქუჩაზე გრძელ სკამზე ზის და მომპალი ვაშლით ილოღნება, ან კიდე ვინმე თავისთანა ნაკაცარს ესაუბრება.

საოცარია, როგორ მალე პოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერალები და ნაკაცარნი. სხედან, თბებიან, ჩურჩულებენ და გამვლელებს ათვალიერებენ.

პეტრე რომ თვალს მომკრავს, სალდათივით წამოდგება, მოწიწებით თავს დამიკრავს და ხელს არ მომცემს, სანამ მე თვითონვე არ გავუწოდებ.

- როგორ ბრძანდებით, ბატონო პეტრე? - ვეკითხები.

ახლაც მიკვირს, რად ან როგორ ჩამოვარდა ჩვენ შორის თქვენობითი ლაპარაკი და მორიდების კილო?

- გმადლობთ. თქვენ როგორ გიკითხოთ? - მადლობელი ვარ, როგორ მიდის თქვენი საქმე?

პეტრეს საქმე სამსახურის შოვნა გახლავთ. განათლების კომისარი დაჰპირდა. სახელგამძაც დააიმედა. პროფკავშირებშიც თავაზიანად დაუხვდნენ და წევრად მილებას დაჰპირდნენ. ვინმე დაღმატოვი, უწინდელი გენერალი და თვითონაც საქმის მაძიებელი, ხვალ თუ ზეგ სამსახურს იშოვნის და პეტრესაც მიიღებს. გარდა ამ გენერლისა, ჩვენმა ბიძაშვილმა ათიოდე ნაცნობისგან და ოციოდე უცნობისგან მიიღო დაპირება. ან ერთთან გაუმართლდება იმედი, ან მეხუთესთან, ან კიდე მეცამეტესთან.

- თქვენ ნუ შეწუხდებით. - მაფრთხილებს ბიძაშვილი და ჩემს წასვლას ელოდება. ჩემზე აღრე ადგილიდან არ დაიძვრება.

მე ჩემი გზით მივდივარ. ზოგჯერ ვწუხდები, სხვასაც ვაწუხებ და სოკოლოვ-შევარდენიძისთვის ადგილის მიცემას ვთხოვლობ. - რა იცის? რა შეუძლია? სად უმსახურია? - მეკითხებიან. ჩვენი დროისთვის არაფერიც არ იცის. იურისტია, მაგრამ ეს ხელობა კვდება, ან უკვე მოკვდა და, გარდა ამისა, არც პრაქტიკა ჰქონია, არც სხვა ხელობა აქვს. რომელიღაც ვოლოსტის კანცელარიაში მუშაობდა, მაგრამ მთავარი უბედურება ის არის, რომ ჩემმა ბიძაშვილმა ქართული არ იცის, რომ ის უფრო სოკოლოვია, ვიდრე შევარდენიძე.

- ბატონო პეტრე, როგორ მიდის თქვენი ქართული? - ვეკითხები ზოგჯერ.

- გმადლობთ, ბატონო ჩემო. ნელ-ნელა ვსწავლობ. სწავლობს, უფრო კი ეწამება.

ზოგჯერ სადამო ჟამს დათიკოსთან შევივლი. პეტრე კაცისმკვლელებით სადმე კუთხეში დაბორიალებს და თავისთვის ბუტბუტებს - ქართულ წიგნს კითხულობს.

- ნახეს უცხო მოკმე ვინმე, სჯდა მტირალი წკლისა პირსა... გამოთქმა ნელ-ნელა უბრუნდება. ლექსიკონს არ იშორებს და ქუჩაშიც

კი ილლით დაათრევს.

- ვერაფერი ვუშოვნე, - ხშირად მეუბნება დათიკო.

- ვერც მე, - ვუპასუხებ.

პეტრე კი ისევ იმედს დაათრევს და დაპირებით იკვებება. მე კი ხშირად შევცქერი ბიძაშვილის ნაადრევ ჭკლარას, გაცვეთილ სახეს, მოხუჩილ ზურგს, გახუნებულ ძონძებს, და მაგონდება კონტა ბალი და ზღვის პირი, მოქარგული მწვანე ფარდაგები და ქოლგა-ფიჭვი, შეკრეჭილი დაფნა და ნაბღიანი ნაძვი, ხშირი მწვანეული და შიგ თეთრი ვეფხვივაჟაკი. ახლა კი ის ვეფხვი ქეციან ტურად გადაიქცა, რომელიც სხვათა ჯოგში შეერია და აღარ იცის, ვის მიეკედლოს, როგორ იმღეროს, რას მიუდგეს.

- მებრალება, - ხშირად ამბობს მისი ძმა. - არ ვიცი როგორღა შევიჩვიო. მარტო დასაძინებლად მოდის და მაშინაც არაფერსა სჭამს.

- საბრალოა. არც მე მეკარება. მრავალჯერ დავპატიჟე და ვერ დავითანხმე.

ერთხელ საბანთან წავაწყდი. გამხმარ პურს ევაჭრებოდა. იყიდა, ყრუ ქუჩაში შეუხვია, უცხოთა კიბეზე ჩამოვდა, პური წყალში დაასველა და მჟავე კიტრი შეატანა.

- ძია პეტრე, დილა მშვიდობისა! - და მოულოდნელად წავადექი. დაფრთხა და შერცხვა, თითქო ნაქურდალის ჭამაში დაიჭირესო.

წამოვდგა, დაჯდა, ისევ წამოვდგა და სავსე პირით წაიფორთხილა:

- საუზმეს გეახლებით, ეხე-ხე... - რატომ ძმის სახლში არ მიირთმევთ? ჩაფიქრდა, მოიღუშა და მიპასუხა:

- მაროს ლუკმა დავაკლო? - და მტკიცედ დაუმატა: - არასოდეს.

- სხვა ნათესავებიცა გყავთ, მაგალითად მე. რატომ არ მეკარებით?

- რა საჭიროა! თქვენ თქვენთვის, მეც ჩემთვის.

იმ წამს ჩემი ბიძაშვილი ველარ ვიცანი: მისი მორჩილი ხმა გარდაიქმნა, რიდიან კილოში ბრაზი და ბოღმა მომესმა.

- დასაძინებლად მაინც მობრძანდით ხოლმე, - გავანახევრე მასპინძლობა.

- ვნახოთ... შეიძლება მოვიდე, - და ისევ ძველებურად გარდაიქმნა - გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ღმერთი გადაგინდით.

და მის ხმაში ცრემლი მომელანდა.

წამოვედი და დაფიქრდი: ვის უწყობა, მე თუ თავის თავს? საწყენი ჩემგან ან დათასგან არაფერი ჰქონია. თავს ვეკლებით, ვპატიჟობთ, ვთავაზობთ და ვცდილობთ მწარე დღენი შევუნელოთ. ნათესავისათვის არაფერი დაგვიშავებია.

წელან მარო ახსენა, მაგრამ არც იმას ჩაუდენია ცოდვა. არც საყვედური უთქვამს, არც წარსული გაუხსენებია. მართალია, მშრალად და გულცივად ეპყრობა, როგორც ახალ ნაცნობს, მაგრამ ზრდილობის საზღვარს ერთხელაც არ გასცდენია და უთავაზო არაფერი შეუკადრებია. მამ ცხადია: ჩემი ბიძაშვილი თავისთავს ეძღურის, საკუთარ წარსულს უბღვერის, ისევ თავის ბედს ეშუღლება.

სალამოზე მეწვია. ერთი ჭიქა ჩაი ძლივს დავაღვეინე, ჩემს ოთახში დავაწვინე და კვითხე:

- თქვენი საქმე როგორ მიდის, ბიძია?

მისი საქმე, ისევ ადგილის შოვნის საქმე, მშვენივრად მიდის. ახლა შინაგან საქმეთა კომისარიც დაჰპირდა. პოლიგრაფტრესტში ზრდილობიანად მიიღეს. საპნის ქარხანაშიც იმედი მისცეს. მისი ნაცნობი ნაგენერლევი დაღმატოვი ფუნჩულებს ჰყიდის და პეტრეს ალაგს ადარ ჰპირდება. სამაგიეროდ პეტრემ ახალი ათიოდე ნაცნობი გაიჩინა და ბევრი უცნობიც ეხმარება, ერთი სიტყვით, ხვალ თუ ზეგ ადგილში ჩადგება და მოსულიერდება: ოთახს იშოვნის, საცვლებს იყიდის, ტანისამოსსაც გამოიცვლის და...

- ცოლსაც დავიბარებ.

- სად არის ახლა თქვენი მეუღლე, ბიძია?

- არ ვიცი. - ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ წაიღუღლულა სიბნელეში. - მგონი სამარაში წავიდა... იქნება იქიდან სარატოვშიც გადავიდა, ან სხვა რომელიმე ქალაქში დამეძებს.

- დაგეძებთ?

სიბნელეში მისი ოხვრა მესმის. მინდა ცოტა რამ გამოვკითხო, მაგრამ ვერიდება. თვითონაც არაფერს ამბობს, მეც მეძინება.

იმ ღამეს ორჯერ თუ სამჯერ გამეღვიძა. ჩემი ბიძაშვილი კრუსუნებს, ოხრავს, ჭრაჭუნებს და უცნაურ სიტყვებს იძახის.

რიჟრაჟზე გამეპარა. ორი კვირის შემდეგ საღლაც კოოპერატივში წავაწყდი.

- რად მემალებით, ბიძია? არა, ბიძაშვილი არ მემალება:

- ხეირიანად ვცხოვრობ... არაფერიც არ მაკლია. - ბურტყუნებს. არაფერიც არ აკლია, გარდა

- როგორც ზედვე ეტყობა - ჭამა-სმის, საცვლისა და ზედსაცმლის. რომ არ ვიცნობდე, ხელს ჯიბისკენ წავიღებდი და შავ ფულს მივაწოდებდი.

- საქმე როგორ მიდის, ბიძია?

ძალიან კარგად. აღარაფერი გადაურჩა - არც კოოპერატივი, არც დაწესებულება - რომ არ დაჰპირებოდნენ, თავაზიანად არ დაჰხვედროდნენ და ნუგეში არ მიეცათ.

ხელი მაინც თავისთავად წამივიდა ჯიბისკენ და თუშნიანი ამოაცოცა:

- ეს მაინც მიიღეთ, როცა გექნებათ, დამიბრუნებთ.
- არა, არ შემიძლია. - და მის ხმაში სიცივეა ჩაღვრილი. - დიდად გმადლობთ, ნახვამდის.
- თავი დალუნა და წავიდა. თუმანიანი ხელში შემრჩა. გულნატკენი წამოვედი.

ორი თვე კიდევ გავიდა. ზამთარიც მოვიდა, ნათესავი დაგვეკარგა.

- ალბათ უკანვე წავიდა, - მითხრა დათიკომ.

- ალბათ, - მეც ღავეთანხმე.

პეტრემაც მალე დაგვივიწყა და ჩვენც დავივიწყეთ.
ერთხელ საღამო ჟამს დათიკოსთან შევიხვე. ბაღებს ეძინათ. სამნი ვისხედით და ვსაუბრობდით. მაროსთან ვერ ვახსენებდით, მაგრამ მე და დათიკოს ჩვენი ხელახლად დაკარგული ბიძაშვილის სახელი ენაზე

გვიტრიალებდა. ვიღაც ბიჭმა წერილი შემოიტანა და გაიქცა.

დავხედე და წავიკითხე: „მაროს, დათიკოს და გივის“. ცხადია, მეც წამეკითხებოდა.

- გახსენი და წავიკითხე, - მითხრა დათიკომ.

მარო დამაშტერდა. სქელი წერილი გულის ფანცქალით გავხსენი და ხმამაღლა დავიწყე:

„ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობრებო და ნათესავებო - მარო, დათიკო და გივი!“

უცებ კარები შეანჯღრიეს, ააბრახუნეს, თითქოს ვიღაცას მოსაკლავად მოსდევდნენო. კითხვა შევწყვიტე და კარი გავაღე. ვიღაც ღედაკაცი შემოვარდა და გრიგალივით დატრიალდა:

- **Здесь онъ у вас спрятался** - უმაღვე მომახალა და ღონიჯი შემოიყარა. ავხედე და გავშტერდი. ჩემს წინ უწვერულვაშო და ქალაბიჭურად ჩაცმული ჭაბუკი იდგა. მეტად განიერი, მრგვალი და მსუქანი სახე.

ყაყაჩოს ფერად შეღებილი ფუნთუშა ტუჩები. კისრამდე მოკრეჭილი ქერა თმაც შავად შეღებილი და უკვე გახუნებული. ზედ - განიერი კეპი. ზედატანზე - ვაჟური ხალათი. ქვევით - კაბა მუხლებამდე, და სულ

დაბლა - ისეთი წვივები, რომ მოჭიდავესაც შეშურდებოდა.

- აქ არის, აქა! აქ იმალება, მაგრამ ვერ დამეძალება. და მდეკარივით სასადილოში შევარდა.

მერე საწოლი ოთახიც გაირბინა და მეორე კარით სასტუმროში გამოხტა, სადაც გაოცებული მარო იდგა და უცნაურ მეძებარს შესცქეროდა.

მე და დათიკომ ერთმანეთს გადავხედეთ.

უცნობი დათას აფხორილ ინდაურივით მოუბრუნდა და მრისხანედ ჰკითხა, თან წითელსა და მსუქან თითს ცხვირწინ უქნევდა:

- თქვით-მეთქი, სად დამალეთ? **Говорите говорите жеб черт возьми!**

- ქალბატონო, ვინ ბრძანდებით? - რა ღროს ქალბატონო! ველარ დაივიწყეთ ეგ სიტყვა?!

- ამხანაგო, ვინ ბრძანდებით?

- ვითომ არ მიცნობთ! - გაოცდა ქალაბიჭა, თან ღონიჯი შემოიყარა და გადაიხარხარა. და იმ სიცილმა ხაშხაში და საგიჟეთი გამახსენა. - ხახა-ხა! სტეპანიდა ვარ, სტეპანიდა - თქვენი რძალი, თქვენი ნათესავი. ახლა ხომ მიცანი? ხა-ხა-ხა, ნათესავები ვართ, ნათესავები-მეთქი!

- ქალბატონო, კეთილი იყოს თქვენი გაცნობა, მაგრამ... რადგან... - აირია დათა - თქვენი ქმარი ორი კვირა იქნება არ გვინახავს.

- როგორ არა, დაგიჯერეთ! - მიახალა სტეპანიდამ. - აქ არის-მეთქი, აქა! ახლავე მომგვარეთ! მომიყვანეთ - და ისევ ოთახების შემოსარბენად მოემზადა.

- ქალბატონო, აქ არ არის-მეთქი! - შეუტია დათიკომ და ხელგაშლით გადაეღობა. - დაიჯერეთ და დამშვიდდით, თორემ...

ღედაკაცი ჯერ შეკრთა, გაოცდა, თითქოს მაზლის მტკიცე კილო ჩაქუჩივით მოხვდა. მერე უცებ მოტყდა, მოლბა და ალუღლუღდა:

- მჯერა... რა თქმა უნდა, მჯერა... თქვენ ჩემთვის ავს არაფერს იკადრებთ... ჩვენ ხომ ნათესავები ვართ... მე და თქვენ... თქვენ და მე... **Об господи!**

და უცებ ორივე მკლავი მოჰხვია, თავი მკერდზე მიუგდო და გულაჩუყებით ატირდა.

სამივე ერთმანეთს შევსცქეროდით. დათა თვალებით შველას მთხოვდა. მე ძლივს ვიმაგრებდი სიცილს. ბოლოს მაინც მივეშველე: სტეპანიდას

მხრებში ხელები ჩავავლე და რბილად ვურჩიე:

- დამშვიდდით, ქალბატონო!

ანაზლად დათიკოს მოსწყდა და მღვრიე, მშრალი თვალები მე

მომაშტერა.

- არ მოგეწონათ, განა, ჩემი ცრემლი! ვიცი, ცრემლის დრო აღარ არის. და უცებ ირონიული გესლით აიპრანჭა. - ბოდიშს ვიხდი, ნათესავებო. შეგაწუხებთ, შეგაშფოთებთ, ბურჟუაზიული მშვიდობა დაგირღვიეთ, მაგრამ - ისევ მრისხანე კილოს დასწვდა - მაგრამ ფრთხილად! თქვენი ბედი, რომ შვიდიოდე წლის წინათ არსად შემხვდით, თორემ... ერთი, ორი, სამი, და... და ჩვენმა რძალმა ხელებით და სახით ისეთი რამ გვაჩვენა, რამაც

შორეული ლანდები ერთხელ კიდევ გაგვაცხენა. - *Даб счастлив ваш бог счастлив иначе...* ეს ვილა არის? - უცებ მიაჩერდა მაროს, თითქოს ახლავა დაინახაო. - ეს ვილა არის-მეთქი? თუმცა... ვიცანი! მივხვდი, მივხვდი! შენ ჩემი მული უნდა იყო, ჩემი მახლის ცოლი და... და ჩემი ბედნიერი მეტოქე, პეტრეს დანიშნული - *О ГОСПОДИ!* მარო... მარუსია - და მაროსაც მკერდში ჩაუქვითინა.

- ქალბატონო, დამშვიდდით. - ისევ მოვავონე და ხელი წავავლე.

- *Ах да!* - გაახსენდა ჩვენს რძალს და მოგვიბრუნდა. - ცრემლის ხანა აღარ არის-მეთქი. წავიდა. დიდი ხანია წავიდა. - უცრემლო თვალები მოისრისა და განაგრძო: - მაშ არ მოსულა? არ გინახავთ? *Ну и черт с ним! Пойду искать.* კარებში მოტრიალდა და მოგვაცარა: - *А вы не чвантесы! Неча куражиться! Не таких еще видала под ногами у меня валялись да мои туфли целовали!* *Буржуи прокляты!* და კარი ისე გაიჯახუნა, რომ სახლი შეზანზარდა. ერთმანეთს გაოცებით გადავხედეთ. მერე სიცილი აგვიტყდა.

- მართლა, - გამახსენდა, - პეტრეს წერილი?

- მართლა, წაიკითხე, - მითხრა დათიკომ. - იქნება ამ დედაკაცზე იქ იყოს რამე.

- წაიკითხე. აქ რაღაც ამბავია. - შემკრთალი ხმით თქვა მარომაც და დაჯდა.

მეც დავეჯექი და დავიწყე. ეს წერილიც რუსულად იყო დაწერილი.

„ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობრებო, და ნათესავებო - მარო, დათიკო და გივი!

პირადად ვერ გავხვდები, ამიტომ წერილით მაინც გიამბობთ ჩემს

ამბავს.

სათქმელი ბევრი მაქვს. თუ დალაგებით ვერ დავწერე, ჩემი ბრალი ნუ იქნება. თუმცა, ესეც სათქმელია: რა დროს დალაგებაა, რა დროს ფორმა და სტილია! სადღაც სარდაფში ვწერ. ცივა. ბნელა. ვკანკალებ, ნესტი მკრუნჩხავს.

ვიღაცამ თუ რაღაცამ უკან მიმახედა. ამბობენ: კაცი რომ კვდება, მთელი მისი წარსული, თუნდაც ასი წლის სიცოცხლე, დამარხული და დავიწყებულიც, ერთ წამს თვალწინ გაუბრუნდისო.

მე ჯერ არ ვკვდები, მაგრამ ვიღაცამ ჩემი წარსულის გადასინჯვის მძლავრი წყურვილი აღმიძრა. ვზივარ და ჩემს თავს კინოსურათივით ვსინჯავ. ავტორიც მე ვარ, მომქმედიც და მსაჯულიც. კადრი კადრს მოსდევს, სურათი სურათს სცვლის, აქტი აქტს მოერეკება. მეც თითქოს კინოთეატრში ვზივარ, ჩემივე თავს ვწონი, ვზომავ, ვაფასებ, ვიწუნებ და ვიწონებ.

ჯერ ჩემს ყრმობასა და ჭაბუკობას ვხედავ. დაუსრულებელი სწავლაგანათლება, უთვალავი ნაცნობ-მეგობრები, ამდენივე ნათესავი, პატარა მწუხარება ნემსისოდენა სისულელისათვის და დიდი სიხარული ამოდენივე საბაბის გამო (უფრო ხშირად კი - უსაბამოდაც). რთველი და თევზაობა, ნადირობა და ქორწილები, დუღუკი და არგანი, მარო და პირველი სიყვარული - ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უცნაურად მოგიმართავს ჩემი და საერთოდ ადამიანის ბუნება! ერთი კურცხალი ცრემლი ზღვად მეჩვენება, ზღვა სიხარული კი ერთ წვეთად მელანდება.

ჩემი სიცოცხლის პირველმა ნახევარმა, ბედნიერმა ცხოვრებამ, ისარივით გამისრიალა თვალწინ, მეორე ნახევარი კი მატლივით მიიზღაზნება.

ეს მეორე ნახევარი იმ დღეს დაიწყო, როცა მე, უგუნური, ეშმაკს ავედევნე, როცა საკუთარს მოვწყდი და უცხოვს ავეკიდე.

აღბათ გეხსომებათ (დათიკო და გივი შენც გიამბობდნენ, მარო) - აღბათ გეხსომებათ-მეთქი ის დღე, როცა უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი „ზეფირში“, ზღვის ნაპირზე, ზაფხულის დასაწყისში. ოჰ, ნეტა შენს მაგიერ, ძმაო დათა, სხვა ვინმე ყოფილიყო მაშინ, შენზე მძლავრი, შეუპოვარი და მოურიდებელი! კისერში ხელს დამავლებდა, იმ ქალს მომაშორებდა და მაროსთან დამაბრუნებდა. შენ კი, ჩემო უმცროსო, მხოლოდ ჟინიანობდი და კაპასობდი, ამიტომ ვერ იმძლავრე და შენი სისუსტე სამუდამო სინანულის წყაროდ დამიტოვე.

თქვენ რომ წახვედით, მეც ნაწყენი გავბრუნდი. „ბავშვია, ცელქობს“, - ვუთხარი შენზე ჩემს ახალ საცოლეს და სიდედრს. მაინც რაღაცა მღრღნიდა, მაწვალებდა, მაგრამ დავძლიე, ჩაკვალე და კვირა საღამოს იმ ქალ-დედაკაცს ზედსიძედ ჩავუხასხლდი.

მეორე თუ მესამე დღიდანვე თავიანთ ქვეყანაში შემიყვანეს. ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამ დავდიოდით და ჩემი ცოლ-სიდედრის მეგობრებს ვეცნობოდი. ზაფხულის მიწურულში

ნიკოლოზ მეფის სახლიც ჩამოვიდა და იქვე ლივადიაში დასახლდა. მას მრავალი ნათესავი, დიდებული, კარისკაცი და ბედის მაძიებელი მოჰყვა.

მანამდეც გაოცებული ვიყავი: ჩემი ცოლ-სიდედრის ნაცნობ-მეგობართა სიუხვე მაკვირვებდა. ზღვის სანაპიროზე ყველგან რამდენიმე ახლომცნობი ჰყავდა - იალტას, გურზუფს, ალუშტას, ალუპკაში და მათ შორის უხვად გაფანტულ სასახლე-აგარაკებზედაც. ახლა კი, როცა დიდებულნი და ზემოურნი ჩამოვიდნენ, ჩემი ახალი სახლი თერძების, პარიკმახერებისა და მკერვალების ბინად გადაიქცა. დილით-დილაძღვე გვაცმევდნენ, გვარცხნიდნენ, გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ, გვხდიდნენ და ისევ გვაცმევდნენ.

ჩემი სიმამრი, რომელიც ვერ გავაბედნიერე, რადგან ორი წლით ადრე მომკვდარიყო, ურალელი ყაზახი ყოფილა და მეფის ამაღლაში მსახურობდა. თურმე ჩემი ცოლი, სიდედრი და კარის ხალხი ერთმანეთს იქიდან იცნობდნენ.

დილიდანვე იწყებოდა ფორიაქი, აქოთება, სამზადისი. მერე ან ჩვენ მივდიოდით სადმე, ან სხვები მოდიოდნენ ჩვენთან, ან კიდევ ისინიც მოდიოდნენ და ჩვენც მივდიოდით.

რიგრიგად ჰქუხდა მუსიკა - ხან ლივადიის სასახლეში, ხან ალუპკაში, ზოგჯერ მასანდრაში და ზოგჯერაც აიპეტრის მალლობზე. ჩვენი და სხვების მოტორიანი ან იალქნიანი ნაგები ხშირად ზოლავდნენ იალტის ყურეს. კურზალში სიარულს არ ვკადრულობდით, რადგან იქ მხოლოდ მცირე მოხელე და ვიგინდარა ხალხი დადიოდა.

სიდედრი ჩემს თავს მუდამ ხელში სჩრიდა კარისკაცებს. ვიტე, ერ-მოლოვი, ნარიშკინი, კუროპატკინი და ოციოდე დიდებული გამაცნო და დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო სამსახურში შეესულიყავი და ოჯახი პეტერბურგში გადამეყვანა. მაგრამ მე მოხელედ არ ვიყავი დაბადებული. დიდი ფული, დიდი მამული, სიცოცხლის ხალისი, უღვევი ძალღონე და უზღურბლო თავისუფლება მქონდა და ფუნჩულა ცოლი, ახალი მეგობრები და მრავალი მოურავ-მოჯამაგირე მყავდა - მეტი რაღა მინდოდა!

ატაიზიმის ძალით მალე წინაპართა უნარი და სიყვარულიც გამეღვიძა, უნარი ბალში ტრიალის, მარანში ცოდვილობის, ვაზის გასხვლისა და მუდამ ბუნების კალთებზე გორაობისა. ვერ ვიტყვი, რომ შრომა შემეყვარებოდეს, მაგრამ მეხამუშებოდა მუდმივი ტლინკაობაც, გარეცხილ ბოძივით პარკეტზე დარჭობა და გაუთავებელი ჩაცმა, ვარცხნა და ნაჭარბევი ზრდილობის სადარაჯოზე დგომაც. მეჩოთირებოდა ჩინოსანგვაროსანებისადმი წარამარა გუნდრუკის კმევაც. ერთი სიტყვით, მე მიწისკენ მოვიწვედი, სიდედრი კი კარ-სასახლისკენ და ჯვარმეღვლებსკენ მიმათრევდა, ხოლო ჩემი ცოლი სტეპანიდა განზე იდგა და გვეუბნებოდა:

„ჩემთვის სულ ერთია, როგორც გინდათ, გადასჭვრით: თუნდ აქვე დავრჩეთ, თუნდ პეტერბურგში გადავსახლდეთ, თუ გნებავთ - აფრიკაში სამგზავროდაც წავიდეთ“.

არც მწვალი დავწვით, არც შამფური: ზაფხულ-შემოდგომას ყირიმში ცხხოვრობდით, ზამთარ-გაზაფხულს კი პეტერბურგში ვატარებდით.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. მე ვსიძობდი, ცოლი ცოლობდა, სიდედრი სიდედრობდა. ჩემი სიძობის მთავარი ზოლი ახლა უფრო ნათლად მოჩანს, ვიდრე მაშინ ვხედავდი. ყველაფერი წაიშალა, მიჰქრა - გარდა ერთისა: უფრო დაქირავებული ულაცი ვიყავი, ვიდრე ოჯახის თავი. შერჩეული საჭმელი და სასმელი, გამოცდილი მზარეული, მრავალი მოსამსახურე, მშვენიერი ბინა, ძვირფასი ავეჯი, ფაქიზი საცვალი, ფაფუკი ლოგინი და ათასი სანებივრო ნივთი თუ საგანი იმისთვის იყო მოგონილი და მოგროვილი, რომ აზიზად შეენახათ ჩემი ტანი და უხვად დაეგროვებინათ ენერგია სტეპანიდასთვის.

ჩემი სიდედრი მთავარ მეჯინიბეს ჰგავდა, რომელიც ინგლისურ კვიცივით მივლიდა და მზრდიდა. თუ წიგნი გამიტაცებდა, ხელიდან მტაცებდნენ - გაწყენსო. თუ სპორტს გავყვებოდი, თავის დროზე გამაწყვეტინებდნენ - ნუ აჭარბებ, ეგეც გაწყენსო. თუ ზოგჯერ ერთ ჭიქა კახურს მეტს დავლევი - სიდედრი შხამად ამომადენდა. ყოველი ჩემი ნაბიჯი გაზომილი იყო, ყოველი ლუკმა - აწონილი და ყოველი ამოსუნთქვა - ნაანგარიშევი. ისიც კი ვიცდი, რომ სიდედრი სტეპანიდას დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე ჩვენს ინტიმურ ცხოვრებას და ათასნაირ ღარიგებას აძლევდა.

ზოგჯერ მე და სტეპანიდას მცირე კამათი მოგვივიდოდა. სიდედრი სიდედრობდა: მაშინვე მრისხანე ჟანდარმივით ჩემს წინ გაიჭიმებოდა და ზედამდეგ სალდათივით შემომიტევდა. რა თქმა უნდა, ბრალიანი მუდამ მე გამოვდიოდი.

მერე დამიბერდა და მოკვდა. ვისარგებლე და სამუდამოდ ზღვის ნაპირზე - „ზეფირში“ დავსახლდი. შვილი არა გვყავდა. ბრალი სტეპანიდასი იყო.

ასე გავიდა ოციოდე წელიწადი. დიდი ომი მოვიდა. შემდეგ დიდი რევოლუციაც მობრძანდა. ცხოვრება მეტად აიფურთნა, აიშალა, და იმ რევოლუციასთან ერთად ჩემი ცოლიც აირია, აიბურძნა.

„გაიმარჯვებენ“, - მუდამ დღე ჩამკირკიტებდა სტეპანიდა. „ნუ სულელობ“, - ვამშვიდებდი გადარეულ დედაკაცს.

მაგრამ ვერ დავამშვიდე. აზრი სურვილად გადაექცა, სურვილი წყურვილად მოედო.

ერთხელ ნორმაზე მეტი დალია და ამიხირდა:

„გეუბნები, ჩვენები გაიმარჯვებენ-მეთქი! - და მაგიდა მუშტით ააზრიალა. - ჩვენები მოლიან!.. ჩვენები მოვლენ!.. მაშინ აგლაგმავთ!.. მოვლუნავთ! დავმსხვრევთ!“ და მოჰყვა: გაწითლდა, გამწარდა. აჯანყდა, მუშა მებალეს დაუძახა, ჩაჰკოცნა და მიადანა:

„თქვენი ვარ, თქვენი!“

მეჯინიბესაც გადაეხვია და დაუბეჭდა:

„ჩვენი ხარ, ჩვენი!“

მერე ყველა მსახურ-მუშებს მოუყარა თავი, სკამზე შესდგა და დაიწყო:

„ამხანაგებო! მუშები და გლეხები იბრძვიან... თეთრების ტირანია თავდება... შრომის სამეფო მოდის... ძირს ჯალათები! დაჰკარით! მისცხეთ!“

და იმ დღიდან სახლში მტერი ჩამისახლდა. ზოგჯერ ვეკითხებოდი: „რა განარებს, სტეპანიდა? მოვლენ და ყოველივეს წაგვართმევენ“.

- „Наплевать“ - აიქემა. - კმარა ფუფუნება. სხვებმაც უნდა იცხოვრონ“.

და დილით-დილაძღე დარბის, მიიპარება, სხვებსაც მალავს, თვითონაც იმალება, ძალებს აგროვებს, აგიტაციას ეწევა, აჭმევს და გაიძახის:

„თეთრების ტირანია თავდება! შრომის სამეფო მოდის! ძირს ჯალათები! დაჰკარით! შემუსრეთ! მისცხეთ!“

ცოლის წარსული მაგონდება: სანამ გვერდით დედა ჰყავდა და დინჯებში ცხოვრობდა, თვითონაც დინჯად იყო. მხოლოდ ზოგჯერ იფეთქებდა ხოლმე. ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა და, გაწეწილი, გრიგალივით დაჰქროდა. ჭურჭელი, კოლოფები, ავეჯი - ყოველივე იმსხვრეოდა. ხოლო შემდეგ ჩემი ცოლი ლოგინზე ეგლო და ჰკიოდა, კრუსუნებდა, ჰბორგავდა.

ვაი პირფარემის ბრალი, თუ იმ წუთს ხელში ჩაუვარდებოდა. იმ დრომ ჩემი ცოლი, ღონიერი და მარდი დედაკაცი, აფთარს ჰგავდა: მოახლეს თმებით დაითრევა, ფეხქვეშ ჩაიგდებდა, სძიძენიდა, სცემდა, აწამებდა.

ნახევარი საათის შემდეგ კი, სულს რომ მოიბრუნებდა, იმ მოახლეს მოიწვევდა, ჩაიხუტებდა, იტირებდა, ატირებდა და უხვი საჩუქრით გაისტუმრებდა.

ზოგჯერ კი, თუ მიზეზს ვერ უპოვნიდა, განგებ შარსაც მოსდებდა: ბეჭედს ან სამაჯურს დამალავდა, მოახლეს ქურდობას დააბრალებდა და მიჰბეჭავდა.

დასისხლიანებული და შემოდარცული ქალი საპირფარეოში გავარდებოდა, მაგრამ იქიდან რისხვისა და ტირილის ნაცვლად სიცილი და ოხუნჯობა ისმოდა. იქ კარგად იცნობდნენ ჩემი ცოლის სენს და უხვადაც სარგებლობდნენ: ცემის ჯილდო დიდი იყო და ყველას წილი ჰქონდა.

სტეპანიდამ თავისი ჟინი ჩემზედაც სცადა, მაგრამ უმაღლვე ხელი ავალებინე. ექიმები მამშვიდებდნენ: ნერვები აშლილი აქვსო და ზღვის წყალი მირჩიეს. სტეპანიდა ბანაობდა, მაგრამ სიკაპასე ემატებოდა, თითქოს წყლის ნაცვლად ცეცხლში იწვოდაო.

„ჩვენები მოვიდნენ, ჩვენები!“ - დაიძახა ერთ დღეს და შარაზე გაწეწილი გავარდა, თან რევოლვერი გაიტაცა და ყველა მავალს - დიდსა და პატარას, ქალსაც და მამაკაცსაც - სროლა აუტენა.

„სტეპანიდა, რას ჩადინარ, ქალო?“ - და მისკენ გავიქეცი.

„აა, შენც აქა ხარ? სწორედ შენ გეძებდი, შენ!“ - ისე მომადანა და შემომხედა, თითქოს მართლა დიდხანს მეძებდა და ეხლავა მიპოვნაო, და ოთხჯერ დამახალა რევოლვერი.

„აგრე, აგრე! ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ!“ - სიცილით ამხნევებდნენ უბელურს ჩვენი მოჯამაგირენი.

ცხადი იყო, სტეპანიდა შეიშალა. ვაზნები გამოელია, ძლივს და-ვიჭირეთ, შინ დავაბრუნეთ და საწოლზე დავაბით. ჩემზე იყო გადარეული: მაფურთხებდა, მოიწვევდა, ჰბორგავდა და იხვეწებოდა:

„ვინც მიყვარს, ის უნდა მოვკლა! გამიშვით! მომაკვლევენთ! ჩემი ქმარი მაინც მომაკვლევენთ!“

სალამო ჟამს ძლივს დამშვიდდა. გაგბრიყვდი და ავუშვი, მაინც ვიფრთხილე და ცალკე ოთახში ჩავეკეტე.

შუალამისას კვიელი და ფორიაქი ატყდა. წამოვხტი და კარს ვეცი, მაგრამ გვიანდა იყო: სტეპანიდას სწორედ ჩემი კარის წინ ავეჯი დაეგროვებინა და ცეცხლი მიეცა. სარკმლიდან გადავხტი და თავს ვუშველე. ძლივს დავიჭირეთ, შევეკარით და იალტის საგიჟეთში ჩავსვით.

მაგრამ იმ დამეს თვითონ ქალაქიც და არემარეც სტეპანიდას ჰგავდა: ცეცხლი, სროლა, სირბილი და კივილილა მესმოდა და მელანდებოდა.

„ზეფირი“ დაიწვა. ქუდიც კი ვერ გადავარჩინე...

წამოვედი. მას შემდეგ კილით-კილით დავდივარ და ფეხდაფეხ ჩემი ცოლი და სიკვდილი დამდევენ. ხუთჯერ თუ ექვსჯერ საგიჟეთში ჩავსვი და სხვაგან გადავიკარგე. დრო გავა. ჩემი ცოლი დამშვიდდება, გამოვა, ამედევენება, მიპოვნის და დამადგება:

„ახლა სადღა წამიხვალ? შენი აღსასრულის დღე მოვიდა, მოემზადე, ჩემო პეტრე!“ მადლობა უფალსა, მუდამ წინდაწინვე მამზადებს ხოლმე სიკვდილისთვის:

„მღვდელს აღსარება უთხარი, ეზიარე და დაბრუნდი. უნდა მოგკლა“. ეკლესიის მაგიერ სადგურზე მივდივარ ან გადავიძალები სადმე.

სტეპანიდა კი გალესილი დანით სახლში მელოდება ხოლმე.

ხუთჯერ თუ ექვსჯერ გავიმართე პაწაწინა ოთახი და ერთხელაც ვერ შევინარჩუნე. მეექვსეჯერ კაკაკაში დამინგრია. არ ვიცი, როგორ მომაგნო. ერთ საღამოს შემოიჭრა და მომადახა:

„ახლა სადღა წამიხვალ, უბედურო! აჰა, მღვდელიც მოგიყვანე. აბა, გაათავე: აქვე უთხარი აღსარებაც და აქვე ეზიარე“.

ბებერი მღვდელი კარებში იდგა და გაცეცხებით შემომცქეროდა.

„მე მითხრეს, მომაკვდავი მყავს საზიარებელიო, თქვენ კი“... - ლულულულებდა.

მე კი შუა ოთახში ვიდექი და მომაკვდავისა არაფერი მეტყობოდა.

„კარგი, სტეპანიდა, ახლავე ვეზიარები“. - მორჩილად ვუთხარი და დავუმატე: - „გარეთ გადი და მანდ მომიცადე. აღსარებას მესამე ვერ დაესწრება“.

„ეგეც მართალია“. - დამეთანხმა სტეპანიდა. - აქვე მოვიციდი“. - და გავიდა.

მღვდელს უძალვე ყოველივე ავუსხენი, სარკმლიდან გადავიპარე, ზოგი რამეც გადავიტანე, მოხუცი მღვდელიც გადავიყვანე და ოთხი დღის შემდეგ დელაქალაქის გზას დავადექი.

დანარჩენი თქვენც იცით. ეს წერილი დაწერილი მქონდა. მინდოდა სხვა რამეც მომეწერა. ჩემი ამბავი სულ სხვანაირად დამესრულებინა, მაგრამ ბედმა თუ უბედობამ ახალ გზაზე გადამიყვანა, წერის დროს იმავე უბედო ბედმა საბრალო სტეპანიდას ლანდი დამაყენა თავზე. სიცილ-ხარხარით შემომივარდა და ორივე ხელით მხრებში დამწვდა:

„ახლა სადღა წამიხვალ, პიერ?“ - მანჯღრევდა და ხარხარებდა -

„სადღა წამიხვალ-მეთქი, სად?“

„არსად“ - ისე მშვიდად ვუპასუხე, რომ მე თვითონვე გამიკვირდა. ჩემმა სიღინჯემ სტეპანიდა უცებ მოსტეხა:

„მართლა? აღარ გამექცევი?“

„არა-მეთქი. აი, აქა ვარ. რაც გინდა მიყავი“.

„მართალს ამბობ? მაშ აქამდე რად გამიბოდი?“

„იმიტომ, რომ ჩემს ქალაქში მინდოდა სიკვდილი“.

„მაშ რატომ აქამდის არ მითხარი? მე თვითონვე ჩამოგიყვანდი და“... ჩამომიყვანდა და დამკლავდა.

„თავი დაანებე წარსულს, სტეპანიდა, ორივე აქა ვართ. შეასრულე შენი საქმე“.

„მართლა? კეთილი, მაგრამ ვეღარ მომატყუებ. ახლა მე თვითონ წავიყვან მღვდელთან და იქ გათქმევენებ აღსარებას.“

„რა საჭიროა. დღეს ვიყავი აღსარებაზე“.

„ზიარება?“

„ვეზიარე“.

„მაშ...“ და ვეღარ დაასრულა. „მაშ გამათავე. აჰა, მზადა ვარ“.

დამიჯერეთ, მეგობრებო, არ ვაჭარბებ: მე უკვე მკვდარი ვიყავი და ახლაც მკვდარი ვარ, რადგან მეც ისევე აღარა მაქვს სიცოცხლის სურვილი, როგორც დამხრჩვალს წყლის წყურვილი. ყოველივე გათავდა და აღარაფერს მოველი - არც ხვალ, არც ზეგ, არც მომავალ წელსა და აღარც ათიოდე წლის შემდეგ. აღარც მე ვესაჭიროები ვინმეს, აღარც სხვა ვინმე მესაჭიროება. ასეთ გათავებულ ადამიანს უძალვე იცნობთ, და სტეპანიდამაც მიცნო. ჩემს თვალებში ვეღარაფერი ამოიკითხა და ჩემს ხმაშიც სიცოცხლის უნარიც ვეღარ გაიგო.

„გამათავე-მეთქი“, - ისეთი გულგრილობით ვუთხარი, რომ მევე შემეშინდა ჩემი დაცარიელებული სულისა.

„მართლა“... არა ხუმრობ? ეზიარე?“ - აბუტბუტდა ჩემი ცოლი თუ ნაცოლარი. „მაშ, აღარ გეშინია ჩემი?“

„არა, აღარ მეშინია... გაათავე... გამათავე... გამათავე... ოღონდ ნუ დამტანჯავ“. - და თვალი თვალში გაუყვარე.

მის წითურ სახეზე სანთლის მკრთალი შუქი თრთოდა და მისი სახეც მკრთალ სინათლეზე ათრთოლდა, დანა ხელიდან გაუვარდა, თვითონ მუხლებზე დაეცა, ჩამეხუტა და აქვითინდა.

სიცოცხლის უნარი აღარა მქონდა-მეთქი. მაგრამ ჩემი მოღუწება და მორჩილება ამავე დროს მოგონილი ხერხიც იყო. ამ ხერხმა გასჭრა და ახლა სტეპანიდა მოადუნა. კარგად ვიცოდი ჩემი ნაცოლარის ხასიათი: გაშმაგებიდან გაღზობამდე ერთი გოჯი მანძილი მაინც იქნებოდა.

„მე მაინც შევასრულებ ჩემს წმინდა ვალს - განაცხადა და წამოვარდა. - მაგრამ კიდევ ერთი დღის სიცოცხლე უნდა გაჩუქო. ხვალ ამ დროს კი“...

და მტკიცედ დამპირდა, ხვალ ამ დროს ქათამივით ყელს გამოგჭრიო, და ისიც კი დამიბარა, ხვალ შინ დამიხვდიო, და გულდაჯერებული წავიდა.

სხვა დროს სტეპანიდას უბრალოდ მოვიშორებდი: ჩემივე ხელით შეგკრავდი და ისევ საგიჟეთში ჩავამწყვდევდი. თუ ისევ გამოვიდოდა, ხელახლა შეგბოჭავდი, ან სხვა გზით მოვიშორებდი. ახლა კი აღარც ამის სურვილი მაქვს და აღარც უნარი. ამოღენა ხეტიალმა და უბედურობამ ერთიც გამომაცალა და მეორეც გამომიღია.

თავის მოკვლა უნდოდა ტვინს ბურღივით მიხვრიტავს. ჩემი თავი მუდამ გამძლედი მიმაჩნდა. უწინ ეს ავი საქმე აზრადაც არ გამივლია, თუმცა მას შემდეგ, რაც ყოველივე დაკარგე, საამისო საბაბი, ათასჯერ მქონია. ახლა კი მე მარტო ამასლა ვფიქრობ, და ჩემი გონება სტეპანიდას მოსვლამდისაც ვერის ხიდზე იყო დაყუდებული.

მე ჩემი გზა დავლიე-მეთქი. აღარც მიზანი ამ ქვეყნად, არც ხალისი, არც მემკვიდრე, არც სიყვარული, არც სიძულვილი, ან უნარი სიხარულისა - თუნდაც დიდი ვარამისა და გოდებისა - არაფერი, აღარაფერი! ძალღურ სიცოცხლეს უშნოდ დავათრევ და თვითონ სიცოცხლესაც ჭირიან მძორივით თოკით მიმათრევს.

ბოგანო ვარ, ბოგანოთა ბოგანო. ბინად - ნესტიანი შავი სარდაფილა დამრჩა, ტანისამოსად - რაღაც ძონძები, ჭამად - დამპალი მწნილები, ნათესავებად - ყინულის გული, გონების საზრდოდ - ქუჩის მტვერი და ერთადერთ მიზნად - იგივე მწნილი და შავი პურის ნატეხი. სხვანაირ ცხოვრებაზე რომ არ ვყოფილიყავი აღზრდილი, საგოდებელიც არაფერი მექნებოდა, ახლა კი ჩემი ცხოვრება დაუღეველ გოლგოთად გადაიქცა, რომელიც მარტო ვერის ხიდზე თუ გათავდება.

სამუდამო დავა მაგონდება: გმირად ჩაითვლება თავისმკვლელი, თუ სულმოკლედ? ჩვენც, ნაკაცარებსაც, ხშირად გვქონია ამისთანა საუბარი.

„რა გმირობაა თავის მოკვლა?! - მითხრა ერთმა ჩემისთანა ბოგანომ. - გმირები ჩვენა ვართ, რომ ასეთ სიცოცხლეს ათ წელიწადს დავათრევთ“.

„მართალია, - დაუდასტურა მეორემ, - ჩვენს დროში ცოცხლად დარჩენა თავისთავად უდიდესი გმირობაა“.

ვფიქრობ და განაჩენიც გამომაქვს: თავისთავად თვითმკვლელობა უბრალო ფიზიკური ფაქტია. მას მხოლოდ მაშინ ეძლევა ზნეობრივი წონა, როცა ცალკეულად გამოიკვლევ და ზედმიწევნით შეისწავლი. მოციქულებს იუდას ზნეობრივი გასრესა უნდოდათ და თავი მოაკვლევინეს, ნამდვილად კი უნებურად გმირთა სიაში ჩარიცხეს. ვთქვათ პავლემ ნინო შეიყვარა, ნინოს გულმა არ უპასუხა. პავლემ თავი მოიკლა. გზაც იქით ჰქონია! - აი ასე უცნაურად დაიხლართა ჩემს თავში ეს დავა.

გუბრუნდები ჩემს თავს. თითისოდენა ბალდი კივილით იბადება, ვაჟკაცი კი ფეხაკრეფით უნდა გაიპაროს ამ ქვეყნიდან. ასეთია ჩემი რწმენა და ბუნება.

ჩემი დროც მოვიდა, მეც მივიპარები. გმირულად თუ სულმოკლედ? არც გმირულად და არც დიაცურად, არამედ ფეხაკრეფით და ქურდულად.

ერთმანეთისათვის ოცდაათ წელიწადს ვიყავით დავიწყებული. ნურც ახლა გავისხენებთ ერთურთს. იყო და არა იყო რა, და არც იყო, ისიც არ ყოფილა, მორჩა და გათავდა! ნუ გაგიკვირდებათ ჩემი გულდინჯობა. იცხოვრეთ მშვიდად და ბედნიერად. ამ წერილსაც იმისთვის გწერთ, რომ ჩემი ძიებითაც არ შეწუხდეთ. ნურც იმას იკითხავთ, თავი დავიხრჩე, თუ სხვაგან სადმე გადავიკარგე. თქვენი პეტრე ყინულივით დადნა ან

ბოლივით გაჰქრა - მორჩა და გათავდა! მაღლობის შემოთვლაც მეძნელება და ბოდიშის მოხდაც მეძმიება. თქვენ თქვენი შეასრულეთ: მტერი ვიყავი და ნათესავად მიმიღეთ. საბოდიშო კი არაფერი მაქვს: ჩემი წინდაუხედაობით მარიამმაც მოიგო, რადგან ჩემზე უკეთესი მეუღლე იშოვნა, და დავითმაც, რადგან მეორე მარიამს ვეღარსად იპოვნია.

ერთს მაინც გეხვეწებით: ავად ნუ მომიხსენებთ, ნულარ დამზრახავთ. ერთი დავაშავე და საზღაურად ათასი მივიღე. ერთხელ შეგცდი და ასჯერ დავისაჯე. ერთხელ გიღალატეთ და სამუდამოდ დავიღუპე.

მშვიდობით იყავით. ჩემი ძიებით თავს ნუ შეიწუხებთ.
შეგარდენიძე-სოკოლოვი“.

პეტრე

4

ნათესავებს გადავხედე. მარო უკვე ზეზე იდგა - მთრთოლვარე და გაფითრებული. დათას თავი ხელში ჩაეგდო.

- ჩქარა, ჩქარა! - წაიჩურჩულა მარომ. - წავიდეთ, ახლავე წავიდეთ, თორემ...

- სად წავიდეთ, ქალო? - უნდილად ჰკითხა ქმარმა.

- საძებნელად. აბა, წამოდექით!

აფუსფუსდა, ორ წამში შეემზადა, კიბეზე დაეშვა და ჩვენც გაგვი-

ტაცა. ისე მირბოდა, თითქო მტერი მისდევდა. ზოგჯერ მოიხედავდა და შემოგვკახებდა:

- აჩქარდით! რა დაგემართათ!

- რა ვქნა, სად მივყავართ ამ ქალს? - გაცხებით მეკითხებოდა დათიკო და ნაბიჯს უმატებდა.

ხუთის წამის შემდეგ ვერის ხილს მივადექით. მარო შედგა. მივიხედმოვიხედეთ. არც ჩოჩქოლი ისმის, არც შექუჩული ხალხი მოჩანს.

ვიღაც სწრაფი ნაბიჯით მიუძღვით მილიციელს და ქვევით ნაპირისკენ მიჰყავს, თანაც ეუბნება:

- ერთი ბლუზა ეგდო და ზედ დაწერილი ქალაღი იყო. ზევიდან ქვა ჰქონდა დადებული.

- აქეთ წამოდიო! - ბრძანების კილოთი გვეუბნება მარო და იმ ორს მისდევს სიბნელეში.

ფარნის ქვეშ ათიოდე კაცი ფუსფუსებს. ყველანი ლაპარაკობენ, ერთმანეთს აღარ აცლიან და ყველას ყაყანს ერთი კაპასი ხმა ფარავს:

- Черті Дьявол! თავი დაიხრჩო! მამა უცხონდა, არ მატიროს! მიბრძანდი! გზა მშვიდობისა! უმაღვე სტეპანიდა ვიცანით. დგას და ქოქოლას აყრის სიბნელეში

მჩქეფარე მტკვარს, თანაც გესლით მისძახის:

- როგორ არა, არ ამატირო!.. გზა მშვიდობისა! Черті Дьявол!

- რა მოხდა? რა ამბავია? - ვეკითხებით ვილაცას.

- აი აქ იყო ეს ბლუზა. - გვიხსნის ის კაცი, რომელიც მილიციელს მოჰყვა. - ზედ ეს ქალაღი და ეს ქვა ედო.

დაგლეჯილი ხალათი ავიღე და გავსინჯე. ვინ იცის, ვისია ეს ხალათი?

ქალაღის ნაფლეთზე კი სწერია: „ნუღარ მეძებთ. პეტრე შეგარდენიძესოკოლოვი“.

- ვინ დაინახა, რომ გადავარდა? - ვეკითხები.

არავინ. ბევრი ტრიალებდა მახლობლად, მაგრამ თვალის არავის მოუკრავს. დათას და მაროს გადავხედე და განზე გავიყვანე:

- აქ რაღაც ამბავია. - ვეუბნები. - გაიხსენეთ ერთი სტრიქონი. იწერება: ნუ იკითხავთ, თავი დავიხრჩე, თუ სხვაგან სადმე გადავიკარგეო.

- მართლა, ასე წერია იმ წერილში! - მოეჭიდა ჩემს ნათქვამს დათა.

- მაშ... - ძლივს ამოისუნთქა ეს ერთი სიტყვა მარომ.

- მაშ სადგურისკენ - ახლა უკვე მე გავეცი ბრძანება.

- მამა გიცხონდა! არ ამატირო! Черті Дьявол! - ისევ თავისას გაჰკვივის სტეპანიდა და ვერც კი გვცნობს.

ოციოდე წუთის შემდეგ სამივე ბაქანზე გავედით. ფოსტის მატარებელი მზად არის და ყველანი იმის გასაჩხრეკად მივდივართ - მე თავიდან, დათა კი ბოლოდან. მარო მე მომდევს. ოთხი ვაგონი გავიარეთ. დაწოლილებსაც გულმოდგინედ ვსინჯავთ. პეტრე არსად არის. უკვე იმედი გვეკარგება. მარო ძლივსლა მომდევს, ბარბაცებს და თავისთავს ეკითხება:

- ნუთუ?.. დავიჯერო?.. ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება დამატყდა! ზემო სკამზე ვიღაც მოკრუნჩხულა. პირი კედლისთვის მიუბჯენია და ხელებიც ისე აუფარებია ზედ, რომ შეუძლებელია მიდგომა და გასინჯვა. მარო უცებ გამოცოცხლდა. თითით და თვალებით მაჩვენებს უცნობის ზურგს, თითქო მეუბნებაო: ეგ არის, ეგ.

ავფოფხდი და დავაცქერდი. ტანი თითქო პეტრესია, თავიც, თეთრი თმაც და რუსული ქუდიც. ხმის გაცემას მაინც ვერა ვბედავ. სამაგიეროდ მარო ბედავს: ხელით ფეხს უნძრევს და ეხვეწება:

- პეტრე... პეტო... პეტუმა!

მოხუცის ზურგი ფართხალებს. პეტრე ჩუმად ქვითინებს. უკანა ვაგონიდან დათა შემოდის. ვლუმვართ და ველოდებით.

- პეტრე, ჩამოდი!.. გესმის, ჩამოდი-მეთქი! - შეუტია ჩუმი ხმით დათამ.

- პეტო... პეტუში. - ეაჯება მარო.

პეტრე გადმობრუნდა. წამოიწია. დამნაშავე თვალები ნაცემი ბაღლივით შემოგვანათა და უცებ ისევ მიტრიალდა, თავი ისევ კედლის კუთხეში ჩაარჯო და გაინაბა.

- როგორ არა, შემაშინე! - მოგვესმა უკნიდან დელაკაცის ხმა. - მამა გიცხონდა! Черті Дьявол!

ჩვენც გავინაბეთ. სტეპანიდამ წყევლითა და ბურტყუნით გაგვიარა, დარაბას მიეფარა და სადღაც კუთხეში დაჯდა.

- Черті Дьявол!

ნამტირალევი მოხუცი ქურდივით ჩამოცოცდა, თანაც პაწია ბოხჩა ჩამოათრია და სასიკვდილოდ გამზადებულივით გაიყინა. მე და დათაც ასეთივე ნაბიჯით გამოვეყვიეთ.

- შე უბედურო... მე უბედური... არც კი გრცხვენია. - მესმოდა წინ მიმავალ მაროს ბუტბუტი.
7 7 7

ახლა პეტრეს ხან ჩემთან სძინავს, ხან დათასთან. მუდმივი ბინა კი ისევ ქუჩაში აქვს.

- ძია პეტრე, როგორ არის ჩვენი საქმე? - ვეკითხები დროგამომშვებით.

„ჩვენი საქმე“ მშვენიერად არის. დღეს თუ ხვალ კეთილად დასრულდება:

- სახელგამში დამპირდნენ... არც განათლების კომისარიატში უთქვამთ უარი. გარდა ამისა, ამ დღეებში ჩემს ნაცნობს დალმატოვს კოოპერატივში მიიღებენ. პირობა მისცა ერთ ჩემ მეგობარს, ჯერ შენ მივიღებ და მერე შენს მეგობარს პეტრესო. ცეკავშირშიც თავაზიანად მიმიღეს... ხვალ მუშეკოოპშიაც შევიხედავ.

- მშვიდობით იყავი, ძია პეტრე! ნახვამდის! - ნახვამდის, ჩემო კარგო, ნახვამდის! და ცეკავშირისკენ ან სახელგამისკენ მიბუნძულეებს. ალბათ ოდესმე იშოვნის, თუ კი იშოვნა.

შპპი კლდე

სალამი და დიდება ქართულ მწერლობას და უფრო მეტად - ქართულ

სუფრას! შადურის გულმან როგორ გაუძლოს, ოდეს
შვენება შენი იხილოს, რომ ნაპირსა შენსა
არ მიუჯდეს, რაც უნდა გზასა
ემურებოდეს.

ჩემი გზა, კი, ამხანაგო მეგობრებო, მუდამ სუფრისკენ უხვევს. პა-

ნაშვიდზე რომ მივდიოდე, მაინც სუფრას წავაწყდები და განუსვენეს ნაცვლად მრავალჟამიერს შევძახებ. როგორ იქნება არ განვისვენო, სამჯერ ხომ მაინც გადავკრავ ღვინოს! კბილს მოვაძოვებ, თვალს მოვატყუებ, გამოვიღვიძებ - შუბლს გავივრილებ. გავივრილებ და ისევ სუფრას წავაწყდები. წავაწყდები და -

ერთს ქართველურად კიდევ შევძახებ: სუფრაჲ,
მაგ შენ მწვანელოვან მთებს! და მერე თუნდაც
დამიგვიანდეს, გივი ამისთვის აღარ დალონდეს.

მეგობრებო! სად, რისთვის და როდის ერქარებოდა ქართველს, რომ დაგვიანებისთვის დალონებულიყო?! ჯერ არ მომხდარა, რომ სუფრაზე დამგვიანებოდეს. უმთავრესი მუდამ ეს იყო და ახლაც ეს არის, ხოლო ყოველივე დანარჩენი წყალსაღები ნაგავია და გირჩევთ მტკვარს გაატანოთ.

ჩემს პირველსა და მეათე მცნებაშიც მუდამ ეს ეწერა: „გივი შადურო, სუფრაზე არ დაიგვიანო“. და ამ მცნებას ისე ვასრულებდი, როგორც წმინდანი აღთქმას.

მაშ ერთხელ კიდევ ვუძღვნი სალამს და დიდებას ლიტერატორთა სუფრას, მომაქვს ცარიელი კუჭი და იმედით სავსე გული. ორივე გამივსეთ, მხეჭაბუკებო, რამეთუ ჩაგეწერებათ აღაპებსა შადურისასა.

ნუ შესწუხდით, მეგობრებო. გივი შადურს პატარა კუთხეც ეყოფა. აი იქ დავეჯდები, ან დავეგდები. გიძღვნი მყინვარის ოღენა მაღლობას და გიბრუნებთ იმ ალფრთოვანებას, რომელსაც თქვენი კალამი მაგრძნობინებს

ხოლმე. თქვენი კალამი... მაგრამ უკანასკნელ დროს თქვენს კალამსაც და ჯიბესაც რაღაც სუნი შეეპარა, ჩიორებო. ხომ არ დაოჯახდით? თითქოს ორივე დაჩლუნგდა, დაილია. ამის გამო მეც დავლონდი და ჩვენი მედუქნეც დაობლდა. დავლონდი, რადგან ნასუფრალი დამაკლდა. აღარც თქვენი ყვილი მესმის, მაგრამ მე ათასი რამ აღარ მესმის და ბევრი რამ არის ამ ქვეყნად ჩემთვის გაუგებარი!

ნუ შეშინდებით, ვეფხვებო! ვტყუი და ვჭორავ. გამოვტყდები: ჩემი სიბერისა და დაყრუების ბრალია, რომ თქვენი ჯიბისა და კალმის მოღუნება მოვლანდა. მოგეხსენებათ, ბებერს იადონის

გალობაც კი ყვავის ჩხავილად ეჩვენება ხოლმე. ჩემი ბრალია-მეთქი, ჩემი, რადგან შადური - ძველი ამბავია! - შივი შადური მუღამ და ყველგან ბრალიანია. ნამდვილად კი შეიძლება თქვენც იზრდებოდეთ და თქვენი

ჯიბეც სუქდებოდეს. უუჰ, რა ღვინოა! კურთხეულ იყოს მისი მომყვანი აწ და მარადის... ბოდიშს ვინდი, მეგობრებო! ძველ კაცს მუღამ ძველი გადამკრავს ხოლმე. პირი ვერ დამიღია, რომ „ღმერთი“, „ანგელოზი“ და „კურთხევა“ არ წამომცდეს. გამოვტყდები, ეპოქალობა მაკლია. სასჯელად თუნდ ღვინოში დამახრჩეთ, თუნდ ამ სანოვაგით ჩამქოლეთ, ეხე-ეხ! თქვენი დღეგრძელობისა იყოს, თქვენი, და ასე მტერიმც დაგეცალოთ, მტერი!

ხშირად ვხმარობ ძველ სიტყვებს, მეგობრებო. მაგრამ შეიძლება ადამიანს დილით-დილაძდე ძველი სიტყვები ეკეროს პირზე და ამავე დროს ეპოქის ერთგულიც იყოს. ამ მხრივ მეც ეპოქის მოხარკე ვარ. უკეთესის სურვილსა და ერთგულებას ვაძლევ ხარკად. ამაზე მეტი არა მაქვს რა და მეტს ნურც მომთხოვთ, რამეთუ, ფრანგებისა არ იყოს, ულამაზეს ქალსაც კი იმაზე მეტის მოცემა არ შეუძლია, რაც მოეპოვებაო. მეც უკლებლივ ვიძლევი ყველაფერს, რაც კი მომეპოვება, მორჩა და გათავდა! ეხე-ხე!

- რა გაქვს, შადური? რას იძლევი?

- რა მიბრძანეთ? რას იძლევიო? ყველაფერს, ესე იგი არაფრისგან არაფერს, რადგანაც არც არაფერი გამაჩნია - გარდა ღვინის წყურვილისა, თქვენი მადლის რწმენისა და უკეთესის იმედისა, და ეს იმედიც მარტო თქვენთვის მინდა, მზეჭაბუკ-ამირანებო, მხოლოდ თქვენთვის, თორემ მე.. მე ჩემთვის აღარაფერს ველოდები... ეეჰ, მეგობრებო: ღმერთმა რომ გადმომხედოს, ჩემსავით ატირდება.

თუმცა ისევ ვტყუი, რადგან მუღამ ვტყუი: ღმერთი არასოდეს არა ტირის... არა სცალია... ისიც მდიდრის მხარეზეა. მუღამ მასთან არის, მასთან ილხენს და ყველაფერში ეხმარება. და გამიწერეს მისი მადლი, თუ სიმართლეს არ ვამბობდე.

ეხე-ხე, ღვთის მადლის გახსენებაზე პატარა ამბავი მაგონდება. ერთმა ვინმე ეკლესიიდან ხატი გამოიტანა, რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა და დაიძახა: „ხალხო, თუ თქვენს ღმერთს ძალა მოეპოვება, დამსაჯოსო!“ ერთმა უკბილო მოხუცმა ჩაუჩიფიფა: „შვილო, რაღა მეტი სასჯელი გინდა, გაუგიჟებინარო“, ახა-ხა! მეც იქივე დამემართა: გამიწერეს-მეთქი ღვთის მადლი, გამიწერა და გაათავა. ამაზე უარესს რაღას მიზამს! ჭკუაც წამართვა და სალახანადაც გადამაქცია.

მგონი ღვინო მეკიდება, გარდანქეშნებო, ამიტომ ჩემს ბოდვას დიდ ფასს ნუ დასდებთ, არწივებო. ვაჩხაკუნებ და მე თვითონაც არ მესმის, რადგან ამ ქვეყნისა კიდევ ბევრი რამ არ მესმის.

რამ ავაშფოთათ, დევებო? ზოგიერთის კრიტიკამ? თავი დაანებეთ, ისევ ღუმილი სჯობია, რადგან ღუმილი - დამიჯერეთ - უდიდესი სიბრძნე და ნამდვილი ხელოვნებაა. თქვენც ჭკუა მოიკრიბეთ, კამათისათვის იყურეთ და შემოქმედების გზით იარეთ, მოგეხსენებათ ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდები.

მართლა, ჭკუის გახსენებაზე მომაგონდა: დაიხსომეთ, მეგობრებო: გულკეთილი ყველას უყვარს, ტუტუცი უვნებელია, ჭკვიანი კი სახიფათოა. ერიდებიან, გაურბიან. მე კი არც არავინ გა-მირბის, არც ვინმე მერიდება, მაშ არც სახიფათო ვყოფილვარ და არც ჭკუა მქონია, ეხე-ხე! მასპინძლებო! მაპატიეთ, პარადოქსებით გაავსე ეს დარბაზი, რადგან მე თვითონაც პარადოქსი გახლავართ. მოგეხსენებათ, კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო...

- ქათამი მთავრით შადურსა, ქათამი.

- გმადლობთ, მეგობარო. სხვა ნაჭერი მიბოძეთ. მკერდი ქალისა, ბარკალი ქათმისაო, თუმცა... ინი-ხი! ორივე ქალისა სჯობია, ორივე! ღვინოც წითელი მიბოძეთ... აგრე, მერსი ბიენ, მონ შერ ამი.

რა მიბრძანეთ? ქეიფზე როგორ არის გივი შადური? გუშინდელზე უარესად და ხვალინდელზე უკეთესად. ერთ დროს აღმა ავდიოდი, მერე კი თავქვე დავეშვი და ჩემი თავი ველარსად შევყავნე.

ერთსაც გეტყვით, ჭაბუკებო: ამ ქვეყნად მხოლოდ ის ცხოვრობს, ვისაც მაღა და გემოვნება აქვს. დანარჩენები კი მეშინები არიან: დაცოცავენ, ჩიფიფებენ, ილოლნიბიან და თავიანთ არარაობას თვითონაც ვერ ამჩნევენ. თქვენ კი...

ბუნებას მარტო თქვენთვის მოუცია მაღაც, გემოვნებაც და სიმართლის გრძნობაც. კალიას ყური ფეხზე აქვს, პოეტს კი - გულში. სრული სიმართლე გიჟის ნამბოდვარია. არ ყოფილა, არ არის, არც იქნება. მაინც გეტყვით, ვისაც სიმართლის ყური დაეხშო, კალამი უნდა გადატეხოს და სტატისტიკას მიუჯდეს, რადგან სიმართლე...

მგონი ისევ შევტოპე, - რადგან სიმართლის სამსახური ღონ-კიხოტის საქმეა. რა იცოდა უბედურმა, რომ ხალხისათვის სიყალბეც და სიმართლეც თანაბრად საჭირო ყოფილა. თქვენ, პოეტებო, ცხოვრებაში თქვენც ღონკიხოტები ხართ, სხვები კი სანჩო პანჩოები არიან. ამიტომაც მარცხდებით მუღამ, ამიტომ იმარჯვებთ მეშინი. საკუთარი დარდის ზიდვა მწერლისთვის

ჯოჯოხეთია, მაგრამ ყოვლად აუტანელია, როცა ქვეყნის ვარამიც ზედ აწვება... თუმცა ვაი იმასაც, ვინც ამ ვარამსაც არ ატარებს გულში... ამიტომ მეცოდებით და ამიტომ მიყვარხართ, ძმებო და მეგობრებო! მაგრამ ზოგჯერ თქვენი ნაუბარი აღარ მესმის, რადგან ამ ქვეყნისა საერთოდ ბევრი რამ აღარ მესმის.

საწყალი სანჩო პანჩო ურიგოდ მოვიხსენე. მწერლობაში მასზე უარესებიც არიან. ერთ ბერს ვიცნობდი. მთვარიან ღამეში კეტს აიღებდა, მდელიზე გავიდოდა და საარშიყოდ გამოსულ ქალ-ვაჟებს ღრიალმუქარით ერეკებოდა.

ასეთი ბერები მწერლობაშიც გამრავლდა. კეტებით დასდევენ მთვარეს, ღამაზ ქალებსა და მომხიბლავ სიტყვებს.

დეკადანსი მეც მეჯავრება, მაგრამ სადაც ჯანსაღი სიყვარული არ არის, სადაც სახვე მთვარე არ იხედება, სადაც თბილი ღამის სურნელი ოდნავ მაინც არა ტრიალებს და სადაც არც ზამბახი იცრემლება, იქ არც მშვენიერება მეგულება და არც ხელოვნებას გაუვლია.

მთვარიან ღამეში კამეჩიც კი აბლავლდება, თორემ ადამიანი როგორ არ ამღერდეს! ვირი ზევით ვერ აიხედავს, ვარსკვლავების კამკამს ვერ დაინახავს, მათს იღუმალებას ვერ მისწვდება, მაგრამ როცა დრო მოუვა, ისიც მშვენიერების გრძნობით გაიჟლინთება ხოლმე, მოლზე გაგორდება, ფეხებს აფშეკავს და, ცას რომ დაინახავს: მოიხიბლება, გაინახება და გულში დაიდახებს: ღმერთო ღიღებულო, ეს რა ამბავია!

მზეჭაბუკებო, გირჩევთ, მთვარეს არ დაემალეთ. თუ თავის დროზე თქვენს გულშიც ამოვიდა და დაგიძახათ, გაჰყევით და ესაუბრეთ.

ღიღება თქვენს გულუხვობას, მასპინძლებო! ეგ ყანწიც რომ დავცალო, ბეგარას ვეღარ მოვიხდი, ამბავს ვეღარ გაიმბობთ. საამბობი კი კიდევ ბევრი დამრჩა, მაღლობას მარტო ამით თუ გადავიხდით. მეც ადამიანი ვარ, მაშასადამე ისტორიაც მომეპოვება. მე მოგიტხრობთ, თქვენ კი მოისმინეთ და მოილხინეთ.

ისტორია, ბატონებო, მარტო ინფუზორიტს არა აქვს, თორემ ოდნავ ჯიშთან ცხენსაც და ძაღლსაც კი მოეპოვება. ადამიანს კი, ისიც ჩემისთანა ნათრევე-ნახეტიალს, ისტორიის მეტი რაღა დარჩენია! ვისაც უცხოვრია, სათქმელი მუდამ ექნება. თუ არ უცხოვრია, ტვინი გააღვიძოს და ჭორი მაინც მოიგონოს, რადგან, დამიჯერეთ, კარგად მოჭორილი ამბავი მშრალ ქრონიკას სჯობია.

მაშ ეს ყანწი უკანასკნელი იყოს. ჯერ ნამდვილი ამბები არ გამოძლევიან, ამიტომ ჭორებს შემდეგისთვის შევიინახავ.

აბა, სილანს! სმენა და გაგონება!

1

ჩემი ავტო ღრიალში ზათქით, ღრიალით და გუგუნით შემოვაგდე.

„წყალნი მთით დაქანებულნი
უფსკრულსა იკარგებიან, თერგი რბის,
თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს
ეუბნებიან“.

სამოცდალიანი მერსედესი ისე შემოიჭრა ხეობაში, როგორც დამფრთხალი ხვლიკი სოროში. მარცხნივ ჩაბარუხი ვერცხლის უზარმაზარ ზონარივით კრიალებს, მარჯვნივ კი თამარის ცინე-კოშკი მობუზულა.

ავტოს ისე მივაქანებ, თითქოს ორივეს ორმოცი ეშმაკი შეგვიფუდაო, ორივე მხრიდან კი -

„ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის
აყულებულნი, სხედან ვით დევნი,
სპეტაკის ყინულ-გვირგვინით
შემკულნი“.

ხევში ბინდი წევს, ზევით კი მყინვარის თავი ზღაპრული ნალვერდალივით იწვის. იელვა და მიიმალა.

ამ ხევში თითქო ყველაფერი შეიცვალა და არც არაფერი შეცვლილა. მარტო გზა თუ გაკეთდა ხეირიანი. აღარ გვაწვებიან წარღვნასავით არცა ხაზარნი, არცა სკვითები, არცა ძურძუკი, აღარც სარმატი. მოხვევ აღარ სდარაჯობს ლარსის ყელს. ნუგზარ ერისთავი აღარ მოიწვეს ანანურიდან. აღარ წვიმს სისხლის წვიმები, აღარც ჰქუხს ჩოფიკაშვილის გორია.

აღარც ჩერქეზთა ღამაზები გადმოჰყავთ. ელგუჯა მზალოს აღარ მოიტაცებს. მათია ცხენიდან აღარ გადმოვა, რათა ყური მიწას მიაკრას და ყაზახების ცხენების თქარა-თქური შორიდანვე გაიგოს.

სადღაა მთის მგელი იავო! სად დაიკარგა აფთარი კობა! ვინ ან რამ მოსპო ყუყუნა მაყვალა, ხევის თვალი ნუნუაი და ჩერქეხეთს ნახარდი მზალიო?!

გზა სწორია და მშვიდობიანი. ელგუჯა არსად არის ჩასაფრებული. ველარც მაყვალას იპოვით მაყვლიანში განდევნილს. ონოფრეც გაჰქრა ხევის თოვლივით: სხვა სხვის მაგივრად ვილა წავა ციმბირში! და თვითონ სიტყვა „გაციმბირებაც“ „ხევენაჩაღნიკებს“ და ჩაფარდივანბეგებს გაჰყვა უკუნეთში.

თემი ძველებურად აღარ თემობს. ხევის ბერს გოჩას სპარანგელოზიდან ბავრაცი აღარ გამოაქვს, ეჟვანებს არ აწკარუნებს და საკუთარ შვილს ონისეს თემის ღალატისთვის თავისავე ხელით აღარა ჰკლავს.

ამის შემდეგ მრავალი წელიწადი გაივლის და სამაგიეროდ წითელი თემი დამყარდება, დეკანოზის ნაცვლად აღმასკომი გამოიჭანს წითელ დროშას და ახალ თემთაობას გაუძღვება. და თუ დასჭირდა, ახალი თემის ღალატისთვის საკუთარ მამას გოჩასაც გაჰკმირავს.

ქვევით ყველა და ყოველივე იცვლება, ზევით კი მუდამ თეთრი მყინვარი ბაღლების ხროვაში პაპასავით ჩამდგარა და არ უკვირს რა: ნახა, ხედავს და კიდევაც ნახავს.

მაშინ მყინვარზე ვინ ავიდოდა, ვინ შეჰკადრებდა! ახლა კი და-იბრიყვეს ჭადარა მოხუცი. ისე აღიან და უფაჩუნებენ თავში ჩვენი ჭაბუკები, თითქოს ერთი ბოთლის დასაცვლელად ნარიყალას სერზე გასულანო, და თანაც იმის თავზე დაუდევრად „სემიჩკას“ აკნაწუნებენ. რა არ ახსოვს, ვინ არ უნახავს ამ ჭადარა თავს! ამ გზით ეძებდა ვახტანგ გორგასლანი თავის დას, ოსთა მიერ გატაცებულს. აქ აგროვებდა დავით აღმაშენებელი ჩერქეზ-ყაბარდოელებისაგან მუღმივ ლაშქარს. ამ გზით მირბოდნენ რუსეთში ვახტანგ-არჩილ-თეიმურაზები. ამ გზით წავიდა საბა დიდებულიც, ბედის ათასი მაძიებელიც და... ბავრაციონთა მთელი გვარიც, რადგან აქედანვე ისმოდა ორ საუკუნეში მათი მუდარაც მოსვლისა და შველისათვის. და ბოლოს შველაც ამავე გზით მოუვიდათ.

გარსევან ჭავჭავაძეც აქედან გარბოდა მშველელის მოსაყვანად. ისიც მოვიდა და მისი შვილი ალექსანდრე ამავე გზით წაიყვანა. აქ ტიროდნენ ცხარე ცრემლებით ორბელიანები, ღოღაშვილები, ერისთავები და რაზმაძეები. აქ საუბრობდნენ ქართლის ბედზე გრიგოლ ორბელიანი და ვინმე ვანო აფხაზი, ილია ჭავჭავაძე და „ყალივანანჩრავი“ მოხვეე ღუნია, ყაზბეგი და ფრანგი მოგზაური, ერეკლე და რუსის გენერალი. რაც რამ აქ თქმულა, რაც რამ აქ ქმნილა, ქვეყნის სტამბები ვერ დაბეჭდავენ.

მაგრამ ყოველივე წავიდა, გაჰქრა, გათავდა! დღეს ქართლის ბედიც სულ სხვა გზით მიდის და საუბარიც სულ სხვაგან ხდება. ეს გზა მთლად დაიჩემეს ტურისტებმა და მოხვეეებსაც ქართლის ბედზე საუბრის ნაცვლად ყოველდღე ეკითხებიან: რამდენი მეტრი აქვს აგერ იმ მწვერვალს? რა ტომისაა აგერ ის კაცი? რამდენს იწველის თქვენი ძროხა და ცხვარი? ნეტა რამდენს ვაჭრობს თვეში თქვენი კოლაერატივი? რამდენ საათს მუშაობს დღეში და გაქვთ თუ არა ღარიბთა კავშირი?

ველარც პოეტი იცლის ღუნია-მოხვევისათვის: ცხენის ნაცვლად ავტოთი მიჰქრის და გზადმიმავალ ელგუჯებს პაპიროსებს უყრის.

ღმერთო ძლიერო, რა სისწრაფით იცვლება შენი ქვეყანა, და რა მალე გვაგიწყებ გუშინდელ დღესა!

2

დიდებული ხელობაა შოფრობა! მუდამ ლალი ხარ, თავისუფალი, მხნე და მხიარული. ავტოს ძმასავით შეეზრდები, შეიყვარებ და შეეიყვარებს. გაიტან და გაგიტანს. მოუკლი, მოგივლის, აცხოვნებ და გაცხოვნებს.

გონება არა აქვს, მაგრამ კვიციც ხომ ტუტუცია, როცა გახედნი და შეაჩვევ, მაშინდა გამოგადგება ტაიჭად. ავტო ვერ წავა ცხენის გზით. ავტო ვერ წავა თავისთავად. სამაგიეროდ თუნდ ოციოდე კაცს აიკიდებს, ტფილისიდან ერთი დღეში კავკაზში ჩაიყვანს და სალამოზე დააბრუნებს. ცხენი კვდება. ცოცხალის ნაცვლად ჩერებითა და ჩალით გავსებულს ფშუტურას მალე მუხეუმშიდა ვიპოვით. საზარელი ამბავია! ვინ მოსთვლის იმის მადლს? ვინ დაუწერს პოემას? ვინ დაუდგამს უკვდავების ძეგლს? მგონი პარიზში ააგეს ბრინჯაოს ცხენი, რადგან ცოცხლის ნახვა მეტად გაძნელდა. მაგრამ ეს ძეგლი მხოლოდ ლანდია ღირსისა. ვინ იცის, იქნება ხუთიოდე საუკუნის შემდეგ მადლიერმა თაობამ რუსთაველის ქუჩაზედაც აღმართოს ცხენის ტაძარი? ჯერჯერობით კი...

ჯერჯერობით ცხენი მაინც კვდება. ჩვენშიც თითქმის მოკვდა. გადაეჩვივნენ ერთმანეთს ცხენი და ქართველი. ოდესღაც ფრთოსან მერნებს ზრდიდნენ ჩვენი წინაპრები. ავლანისტანის ხრიოკსა და ბაღდადის მინდვრებს თელავდა ქართული რაში, ყანდაჭარის, გერათისა და შახჯანაბადის - ინდოეთის დღევანდელი დედაქალაქ დელის - ციხეგალავენბიც კი უნახავთ.

ახლა კი აღარც სახელი დარჩა მისი, აღარ ნიშანი. შორს წამსვლელი აღარ არის ქართველი, ალბათ ამიტომ გადაუგვარდა ცხენიც, და რაშის ნაცვლად ხელთ კნაჭა ჯაგლაგია შერჩა.

გული აიცრუეს ერთმანეთზე, აღარ უყვართ, აღარ ეცოდებათ ერთმანეთი. უწინ მათრახსაც ძლივს აკადრებდნენ. ახლა კი უგულო ქართველი კეტსაც ურახუნებს თავპირში. და რადგან ცხენი უკვე მოკვდა ან საცაა მოკვდება, მამ სალამს ვუძღვნი იმის მემკვიდრე ავტომობილს!

მშენიერია-მეთქი შოფრის ხელობა. ისე ჭამ მანძილს, როგორც ხევისური ხინკალს. ჰაერი მუდამ სუფთაა, სანახაობა - ახალი და მგზავრიც - ახალთახალი: მუდამ გულდია, მუდამ უხვი და ნაირნაირი.

უნდილსაც გამოაღვიძებს კარგი მოტორი. მისი რითმი დონდლოსაც გადაედება და სისხლიც იმ მოტორით დაუწყებს ჩქეფას.

ბედნიერი ვიყავი ბედნიერთა შორის, როცა მე ავტოს საჭეს ვყავდი მიკრული.

არაფერიც არ მაკლდა: სისხლი - მდუღარე, კუნთები - რვალისა, კუჭი

- სირაქლემასი, კბილები - მგლისა და იმედი - დევისმადური. ოცდარვისა შევსრულდი მაშინ, ჩემი გულიც მოტორით მუშაობდა - მტკიცედ, მკაფიოდ და ხალვათად. და ჩემი მკლავიც ისე შეეზარდა საჭეს, როგორც ყბას საღეჭი კბილი.

ორი მგზავრი მომყავს: ოციოდე წლის ქალი და ჩემი ხნის ვაჟი. თვალი ძლივს მოვკარი, როცა კავკაზში „გრანდ-ოტელიდან“ გამოვიდნენ და ჩემს ავტოში ჩასხდნენ. ვაჟს წინა დღესვე დავაკვირდი, როცა მირიგდებოდა: მეტად მსუქანი, უნდილი და მოხარშულ ლოქოსავით დონდლო იყო. პირიც

მუდამ ღია ჰქონდა და თვალებიც თევზისა უხსნდა.

ქალი დაბალია, მაგრამ, სხარტი, ფუნჩულა და შავგვრემანი.

- სადმე კლდეზე ხომ არ გადაგვჩეხავთ? - მკითხა, სანამ დაჯდებოდა.

- უმაღლე შავი კლდე გამახსენდა და უნებურად მივუგე:

- შავი კლდისა მეშინია, თორემ სხვაგან არხეინად ბრძანდებოდეთ. - და სახეში შევხედე.

შევხედე და უმაღლე მისი თვალები და კბილები მეცა თვალში - დიდრონი, სუფთა, კრიალა კბილები და ზეთის ხილისფერი თვალები.

ისევ ავხედე და ახლალა დავინახე: თვალებში შიში ჩასჯდომოდა და ტუჩებიც წნორის ფოთოლივით უთრთოდა.

- რალა შავი კლდე გაგახსენდათ? - ძლივს ამოიღო ხმა.

- ისე ვთქვი, თორემ...

- მაინც?

ისევ შევხედე და გამიკვირდა: რა დაემართა ამ ქალს? რამ ააჟრჟოლა? რად ჩამაცვიდა შავი კლდის ხსენებაზე? მიზეზს აღარ დავედევნე და ხეპრულად დავამშვიდე:

- არხეინად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. მეც თქვენთან ერთად გადავიჩეხები.

- ღმერთმანი, ეგ ვერაფერი ნუგეშია. - გაიცინა და კბილების ორი მძივი გააელვა.

- სანუგეშო ის არის, რომ მე თქვენზე მეტი ხიფათი მომელის. აქ ისევ ვარ ჩაჭედული, როგორც მკვდარი კუბოში.

ისევ ნისლი მოისხა. ხშირი წარბები თვალებზე ჩამოიბურა და თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა:

- მართალია. შოფრის ადგილი ყველაზე სახიფათოა. მანდედან გადმოხტომა შეუძლებელია, ამიტომ გთხოვთ ძალიან ფრთხილად იაროთ.

- გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. ჩაბრძანდით.

ქალი მარდად ჩაბრძანდა, ვაჟი კი უხეშად ავიდა და ისე გაიშხლართა, თითქოს ავტოში მკვდარი ზაქი დამიგდესო.

უკნიდან ხშირი ლაპარაკი მესმის, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევ. ქარი იშვიათად მოატრიალებს ორიოდ სიტყვას და ყურში ჩამიწვეთებს:

„ჩორტი“... თამარი... დევდარაკი... გველეთი... მივხვდი: ვაჟი ნავალია ამ გზაზე, ქალი კი ალბათ პირველად მოდის. ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიან, მამასადამე ან ცოლ-ქმარი იქნება, ან დანიშნულები, ან კიდევ ნათესავები“.

ნათესავები... დანიშნულები...

„რა შენი საქმეა, გივი შადურო, ცოლქმარია თუ დანიშნულები“. ვეუბნები ჩემს თავს გუნებაში - შენ გზას ადევნე თვალყური და ეგ ავტომობილი მართლა არსად გადაჩეხო.

აგრეა. ვიცი, გულდაუღებელი შოფერი ადრე თუ გვიან ფათერაკს წააწყდება. მისი გულისყური ავტომობილს მუდამ წინ უნდა მიუძღოდეს, თორემ...

აგრეა. ვიცი-მეთქი. მაგრამ იმ დღეს კავკავიდანვე გულისზრახვამ გამავსო. „ეს ქალი ვინ არის, სადაურია? ვისთან მიდის? ან ეს კაცი ვინ არის, - ქმარი, ნათესავი თუ ნაცნობი?“ ლამაზი ქალი, ამაზე უფრო ლამაზი, ასობით წამიყვანია, მარგამ ასე უცებ ჩემი გონება ჯერ არავის დაუფანტია.

გულმოდგინედ ვებრძვი ჩემს თავს. გაღვსილი თვალი გზაზე მაქვს მიბჯენილი, მაგრამ გზის ნაცვლად თვალები და კბილები მელანდება - დიდრონი, სუფთა და კრიალა კბილები. წინ ისინი მიმიძღვიან და მილიმიან, მე კი შმაგივით მივღევ და ვლამობ დავეწიო.

- ნელა, გენაცვა, ნელა! - ხანგამოშვებით მესმის ქალის ხმა უკნიდან.

უცებ გონს მოვალ და ქროლას შევანელებ, მაგრამ კბილები კვლავ მიზიდავენ, მორბიან და მეც მიტაცებენ.

კბილებსაც საკუთარი სტილი აქვს: ზოგს მტაცებლისა, ზოგს თევზისა, ზოგს კვერნისა და ზოგსაც ცხენისა, და ამ კბილებზე ქალის დარი აწერია: ხან სიმკაცრე, ხან სიცილი, ზოგჯერ ბინდი და ზოგჯერ კიდევ მხიარული მზე. ამ კბილებზე ახლა ნისლი წვეს და მისი ბინდი უნებურად ჩემს გულშიც გადმოდის.

სადაც და ოდესღაც შემხვედრია ეს თვალ-კბილი, მაგრამ სად? როდის? და ეს აზრი - შოფრისთვის ავი აზრი - თავსა და გულში ბურღივით ჩამეჭვდა.

ავტო დარიალიდან ლურჯი ბუზანკალივით ამოვაფრინე და სიონისკენ ბოძალივით გავუშვი. წინ ისევ კბილები მიმიძღვის. უკან კორიანტელის კუდი მომდევს. თანაშემწე შალვა გვერდით მიზის და ზოგჯერ გაოცებით მიმზერს.

აღბათ ფიქრობს: სად, როდის დალიაო? რა იცის ოცი წლის ჭაბუკმა, რომ სწორედ იმ ჟამს ვითვრებოდი - კბილებს ვსვამდი, თეთრ კბილებს მოვდეგდი და თანაც ვფიქრობდი: სად? როდის? ვისთან?

- ნელა, გენაცვა, ნელა!

ქროლას ვანელებ. უკან მიხედვის წყურვილი მახრჩობს. უცებ ავტოს უმიზეზოდ ვაჩერებ და შალვას ვეუბნები:

- ჩაიხედე.

და სანამ თანაშემწე მოტორს ათვალიერებდა, ქალისკენ მივბრუნდი და ვუთხარი:

- აგერ სიონი... გუდას მთა... შვიდი ძმა... კობი.

- ვიცი, ვიცი. - იღრინება ლოქო-კაცი.

- დიდებულა! მშვენიერია! - თეთრი კბილებით ცივად ჩურჩულებს ქალი და მერე მეკითხება:
- გუდაურის გვირაბი შორს არის?

- ნახევარ საათში ავალთ.

ქალმა კბილები დამალა. დაბნეულია, მოგრძო სახეზე კაემანი დასწოლია.

- თავი ხომ არ აგტკივდათ, ქალბატონო?

- დიას... არა... რად უნდა ამტკივდეს? - სისხლნაკლული ვერ უძლებს. ძალიან მაღლა ვართ.

პასუხს არ მადღევს. ავტო დავძარი და ისევ გამოვრეკე. ახლა კი მარტო კბილების ნაცვლად უკვე ქალის სახე მიმიძღვის ლანდივით, და იმ სახეზე ორ რიგად გაყინული თოვლის კბილები ჩამწკრივებულა. ოსის ბიჭები ცეკვით გვიხდებიან და ყვირილით მოგვდეგვენ:

- დავაი პაპიროს! კარანდაშ!.. პაპიროს!..

ჯვარის ქედი გადმოვლაზე და თავქვე დავეშვი. ილაჯმილეული თერგი უკან დაგვრჩა, სამაგიეროდ არაგვის სათავე და ხეობა გამოჩნდა.

აჰა გუდაურის გვირაბიც. ავტომობილი ნელა შევიყვანე. ჰაერი უცებ შეგრილდა. ნიადაგი სველია. აქა-იქ მზის თინათინი სვეტებით

ჩამოშვებულა. მაშინაც ასეთივე იყო ეს გვირაბი, როცა...

მაშინ, თერთმეტი წლის წინათ, როცა...

არა, არ მიყვარს ეს ადგილი. ახლოს რომ მივალ, ტანში რაღაც სიცივე მიჯდება, სულში უნებური შიში მიძვრება. თვალებს ახლაც თითქმის ვხუჭავ და ისე მიმყავს მანქანა, თითქოს ვიწრო და უმოაჯირო ხიდზე გადავდიოდე. მუდამ მსურს ხოლმე ეს ალაგი ისარივით გადმოვსერო, მაგრამ უნებურად ვიდრიკები და ჭიანჭველასავით მოვცოცავ.

ისიც ვიცი, რომ იშვიათად გავივლი შეუჩერებლივ. თითქმის ყველას გაგონილი აქვს შავი კლდე, სადაც ათი წლის წინათ შავი ამბავი მოხდა, და ყველასგან მესმის ხოლმე: - შოფერო, გააჩერე.

ავტოდან გადმოვლენ, კლდეზე გადაეყუდებიან, ერთ საზარელ ამბავს იგონებენ და ნახევარ საათს ყაყაბებენ.

აი ახლაც: გამოვედი თუ გვირაბიდან, ლოქო-ვაჟის ხმა მომესმა: - გააჩერე. - და ქალს უთხრა - აი აქ... ამ კლდეზე. ჩამოვიდნენ, დაბალ კედელს მიადგნენ და შავ კლდეს გადახედეს. ქალმა უცებ ამოიკვნესა, ორივე ხელი თვალებზე აიფარა და კედელზე ჩამოჯდა.

„ვინ? სად? როდის?“ - ისევ ვეკითხები ჩემ თავს.

ვაჟი გვერდით მოუჯდა, მკლავი მოხვია და ამშვიდებს, ანუგეშებს:

- ნუ, კმარა... წავიდეთ.

„ვინ არის ეს ქალი? სად მინახავს? როდის? ვისთან?“

ორივენი სალი კლდის ნაპირზე სხედან. ექვსას ორმოცი ადლი აქვს შავ კლდე. ჟრუანტელი მივლის, მთელი ტანი მითრთის, რადგან ოდესღაც...

მაგრამ ეს რა ამბავია? მეგონა ქალს თავბრუ დაესხა-მეთქი, ნამდვილად კი ტირის და ბალღავით სლუკუნებს. „ვინ, სად, როდის?“ - ისევ ვეჭიდები ჩემ თავს.

ქალი ჯერ ოდნავ აკანკალდა. ორთავე ხელისგული თვალებზე აიფარა, მერე ხმამაღლა აქვითინდა და თავი მუხლებზე დაბჯენილ ხელებში ჩაივლო.

„ვინ? სად? როდის? - როდის-მეთქი?“

სადღაც და ოდესღაც მინახავს ეს მოგრძო სახე, კუპრივით შავი თმა, ზემო ტუჩზე პაწაწა ხალი, დიდრონი, კრიალა კბილები და ზეთის ხილისფერი თვალები. ახლა ეს ქალი შავ კლდეზე ზის და გულამოსკვნით ტირის. ცხადია, ვიდაცას იგონებს, გლოვობს, მაგრამ ვის? რატომ? რისთვის?

და უცებ შორეულმა მოგონებამ ელვასავით გამკრა და გამახსენა:

3

კაკვაკვის გიმნაზია რომ დავასრულე, თვრამეტისა შევსრულდი. შევსრულდი და დავვობლდი: მამა მომიკვდა და მე და დედაჩემი

ხელცარიელი დავგვტოვა. და ორივენი თავმოჭრილ ქათმებივით ავფართხალდით. მეტი გზა რომ აღარა გვქონდა, დედაჩემი კერვას შეუდგა, მე კი გრიგოლაშვილს მივადექი და ვუთხარი:

- ძია, შოფრობა მასწავლე. ობოლი ვარ, დედა მყავს შესანახი და მაღლად ჩაგეწერება.

ჩვენს ოჯახს იცნობდა, ამიტომ მაშინვე გადასჭრა. ამხელ-დამხელა, მკლავი გამისინჯა, ინგლისური ჩიბუხი გააბოლა და კბილებით მითხრა:

- აგერ ავტომობილი. აბა ერთი გახეხე. - თვითონ კი იქვე ჩამოჯდა და თვალი ამადევნა.

- რამდენს იწონი? - მკითხა უცებ.

- ოთხ-ნახევარს.

- სწორედ?

- სწორედ.

- ოთხ-ნახევარი და რვა - წაიბუტბუტა თავისთვის - და რვა, ეს იქნება თორმეტ-ნახევარი...

ჰი... - და უცებ გადასჭრა: - ივარგებ.

მუნდირი გავიხადე, დავიმკლავე და საქმეს შევუდექი: ვრეცხავ, ვწმენდავ და ვაკრიალებ. ის კი აბოლებს და ღინჯად ისვრის:

- სახურავი დახურე... იქ არ დაასველო... აქ მოწმინდე... ის გარეცხე... ეს გაბერტყე.

უცებ ფეხი წამისხლტა და ცხვირით ტალახი გავვლისე. და იმავ დროს ბავშვმა თავზე ხითხითი დამაყარა.

- ვისი ხარ, ქალო? - ვეკითხები შერცხვენილი.

- აგერ იმისი - და გრიგოლაშვილზე მიმითითა - აგერ იმისი, ისი-სი!

- სი-სი შენა და შენს თავსა! შენი ბრალია!

- რათ არი ჩემი ბრალი? - უცებ იწყინა პაწაწა ქალბატონმა და სატირლად მოემზადა.

- შენი ბრალია-მეთქი! - და თვალზე ცრემლი რომ დავუნახე, უმაღვე დავუყვავე: - კარგი, გოგონი, კარგი. გეხუმრები. მოდი შევრიგდეთ.

- შევრიგდეთ. - უმაღვე გამოიდარა და შემომთავაზა: - ჯერ ერთი მაკოცე.

ავიტაცე, დავკოცნე და გამოვკითხე:

- რამდენი წლისა ხარ?

- შვიდისა.

- შენი სახელი?

- რუსიკო.

- ლამაზი სახელია. რუსიკო, რუსია, რუსი. მაშ რუსი ყოფილხარ.

- არა, მოხევე ვარ.

გამეცინა. დიდხანს ვეთამაშე, პაწაწა გული უმაღლვე მოვინადირე და მაშინლა გავანებე თავი, როცა მამამისი წამოდგა, მხარზე ხელი დამკრა და გამოაბოლა:

- ხვალ ტფილისში მივდივართ. დილის ხუთ საათზე აქ იყავი, არავითარი ბარგი არ წამოიღო. გაიგე?

- გავიგე. - ახლა წადი.

რუსიკო მხარზე შეისვა და შინ შეიყვანა.

მეორე დღეს თბილად ჩავიცვი და სწორედ ხუთ საათზე იმ ეზოს მივადექი.

- რუსიკო, შენც მოდიხარ?

- მაშა!

- ჯერ არ ყოფილხარ ქალაქში?

- არა.

- მაშ მოდი, გაკოცო.

აჰა - და დილის სუსხით შეწითლებული ლოყა მომიშვირა.

ეზოში ნიკო თავზარაული შემოვიდა. ერთი ახმახი ვინმე იყო: მაღალი, მსუქანი და უნდლი. კაკავში ლუდის ქარხანა ჰქონდა და ორას ათასად ფასობდა. ოდესღაც იმავე ქარხანაში შავ მუშად მუშაობდა. ხელმარჯვე იყო და დაწინაურდა. პატრონი რომ მოუკვდა, მისი ქვრივი შეირთო და გაგროზნა. ახლოს აღარავის იკარებდა. საქმე ბევრი ჰქონდა და ხშირად დადიოდა ტფილისს, როსტოვსა და ბაქოში.

მუდამ დინჯი, მუდამ ჩუმი, მუდამ ცივი და უპირო კაცი იყო. ადა-მიანს ვერ იპოვიდით, რომ მისგან მანეთი ან ერთი ბოთლი ლუდი რგებოდა. არავის არ იცნობდა და არაფერი არ იცოდა გარდა თავის ლუდის, ფაფუკი ქვრივის და უკვე მოზრდილი გერისა, რომელსაც ტფილისში ზრდიდა. აღარც იქაური ქართველობა იცნობდა გამდიდრებულ თავზარაულს, რომელიც გაგარეულებულ ღორივით უცებ განზე გადგა და თავის ნათესავებზე კი დაივიწყა.

შინიდან გრიგოლაშვილი გამოვიდა და ახალმოსულს ჰკითხა:

- მივდივართ?

- მივდივართ. - მაშ ჩაბრძანდით.

თავზარაული ჩაჯდა და ავტომობილი ჩაზნიქა.

- შენ აქ დაჯექი, გოგონი. - და მამამ თავის ქალიშვილი უკანა სკამზე დასვა. მერე მე მომიბრუნდა:

- შენც აქ დაჯექი. იქ ხელს შემიშლი. ბავშვს გაუფრთხილდი.

- არხეინად ბრძანდებოდეთ. - ვანუგეშე და რუსიკოს გვერდით მივუჯექი.

- რუსიკო, მე შენს გვერდით ვიქნები. გიხარია? - ვკითხე და მკლავი მოვხვიე.

- ძალიან. - მაშ მაკოცე.

პაწაწა მკლავები მომხვია და ორთავ ლოყაზე ჩამკოცნა. რუსიას მამა საჭეს მიუჯდა, საათი ამოიღო და თავზარაულს მიუბრუნდა:

- ექვსის ჩარექია. თქვენს საათზე რომელია?

- სწორედ ექვსის ჩარექია. დასძარით. - მაშ დრო დაიხსომეთ. დაგვჭირდება.

მაშინ ვერ გავიგე, რად უნდა დაეხსოვნა თავზარაულს ის ჯამი?

მერეღა მითხრეს, მაგრამ გვიანდა იყო.

ნაწყენი ვიყავი: ჩემი თავი უკვე შოფრის თანაშემწედ მიმაჩნდა და მის გვერდით უნდა ვმჯდარიყავი. მითხრა, ხელს შემიშლიო. „მაშ ჩემს ალაგზე არასოდეს არ დამსვამს, - ვფიქრობდი, - რადგან მუდამ ხელს შევუშლი“. ჩემი მოშორების მიზეზიც მერე გავიგე, მაგრამ ესეც გვიანდა იყო.

თავიდანვე ისე დასძრა ავტომობილი, რომ საზურგეს მივაწყდი და ქუდიც კინალამ გადამივარდა. როცა გაიმინდვრა, თვითონაც გაგიჟდა და ავტოც გააგიჟა.

„რა ვქნა, რა დაემართა ამ ადამიანს? - ვფიქრობ და ვერ გამიგია. - ნაქები შოფერია, მუდამ დინჯი, ფრთხილი და თავდაჭერილია, ახლა კი მისი ავტო ლამის მიწას მოსწყდეს და ცაში აფრინდეს“.

რუსიკო წრიბინებს, ხტუნავს და მეხვევა. მეც არხეინად ვზივარ. შიში უკვე გამიქრა, რადგან ქროლვამ გამიტაცა. გრიგოლაშვილი სახიფათოს ვერაფერს გაბედავს, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ქალიშვილი ბეწვის ხიზე უხის.

ღარიც მშვენიერია. ნაწვიმარია, მაგრამ ქვიშნარი ნიადაგი უკვე გამხმარა. გარდა ამისა, კვირა დღეა და გზაზე თითქმის არავინ მოსჩანს.

ჩვენი ქროლა დროებით დარიალამ შეანელა, ყაზბეგიდან კი ისევ შურდულის ქვასავით წამოვედით. სადღაც აქეთ, სიონთან თუ კობთან, გზა ჯერ შენესტიანდა, მერე შეტალახდა. მოსახვევებში თვლები სხლტება და ბოლოს ისე ისვრის, თითქოს მე და რუსიკო გოდორში ჩავეყარეთ და ძალზე გეანჯღრევდნენო. რუსიკო ხითხითებს და წრიპინებს, მეც ვიცინი, მაგრამ შიში ხელახლა დამიბრუნდა.

- პავლე, ნელა! - ხანგამოშვებით ეძახის გაბზარული ხმით თავზარაული და ორთავ ხელით საჯდომზე ებჯინება.

- არხეინად! ნუ გეშინია! - გვამშვიდებს გრიგოლაშვილი და ქროლას ოდნავ ანელებს, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სირბილის მაგიერ ისევ მიჰქრის და მიზუზუნებს.

კარგად მახსოვს: გვირაბში რომ შემოვედით, თავზარაულმა შესძახა:

- კაცო პავლე, სად მიეჩქარები!

- რეკორდი, ჩემივე რეკორდი უნდა ავიღო! - მოისმა ბინდში შოფრის პასუხი.

და უმაღლესი გამახსენდა: ორი თვის წინათ გრიგოლაშვილმა რეკორდი დაამყარა: ეს გზა სწორედ ექვს საათში გაირბინა. იმ დროს ეს სისწრაფე მაქსიმალური იყო და რეკორდის ავტორისათვის ჯერ არავის ეჯობნა. მაშ რამ აიძულა საკუთარ თავთან შეჯიბრება და ბრძოლა?

მიზეზი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავიკეთ: ერთ ფულიან ავარასთან ნაძლევი დაეღო ათ თუმანზე: წინანდელი რეკორდისათვის საათის ერთი ჩარეკი მაინც უნდა დაეკლო, და თან, სულ ცოტა, თოთხმეტი ფუთი უნდა წაეღო.

მაშინდა გამახსენდა მისი ბურტყუნიც. როცა მზომავდა და ჩემს წონას კითხულობდა: „ოთხ-ნახევარი და რვა ფუთი იქნება თორმეტ-ნახევარიო“. და ალბათ თავისთვის დაუმატა: „და ჩემი რუსიკოც ერთნახევარი, სულ გამოვა თოთხმეტი“. ბარგის წამოღებაც ამიკრძალა და თურმე თავზარაულსაც პირობა ჩამოართვა, რომ ბარგს არ წამოიღებდა.

სანამ სანაძლეოზე დათანხმდებოდა, თურმე თავზარაულთან გაქცეულა და ერთი კვირით ათი თუმანი უთხოვინა. უარი რომ მიიღო, გამობრუნდა, ერთი ბოთლი კიდევ დასცალა და დასთანხმდა. თურმე სამ დღეს ეძება ის ათი თუმანი. თამასუქი ნოტარიუსთან ჰქონდა და სახელის გატეხისა ეშინოდა.

მაშინდა გამახსენდა გრიგოლაშვილის ნათქვამიც: როცა ავტოში ჩავსხედით, თავზარაულსაც საათზე დაახედვინა და უთხრა: „ეს დრო დაიხსომეთ, დაგვჭირდება“.

ერთ წვრილმანსაც თვალი მოვკარი და ისიც მოვიგონე: ავტომობილი კავკასის მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდა, გრიგოლაშვილმა იქაურობა საყვირის ღრიალით გაავსო. საყვირის ხმაზე ერთი სახლის აივანზე ის ავარა თითქმის შიშველა გამოვარდა, საათს დაჰხედა, თავი დაგვიქნია და გრიგოლაშვილს რაღაც ანიშნა.

ეს ამბავი შემდეგ გავიგე, ახლა კი „რეკორდი, რეკორდი უნდა ავიღო!“ დაიძახა შოფერმა და იმავე წამს ავტო გვირაბიდან გავარდა.

ამ ალაგას გზა ოდნავ მარცხნივ უხვევს, მარჯვნივ კი შავი კლდის უფსკრული ალებს პირს. კლდის ნაპირზე, გზის ზედაპირის დონემდე, კედელია ამოყვანილი, კედლისა და კლდის გაყოლებაზე ქვის ბოძებია ჩაყრილი, ორ რიგად ხის ხარისხებით გავლებული.

ყოველივე ანაზღად, თვალის დახამხამებაზე მოხდა. პირდაპირ მიმავალმა ავტომობილმა ოდნავ მარცხნივ გატრიალებისა ან პირდაპირ წასვლის ნაცვლად უცბად მარჯვნივ მოიტრიალა ღინგი და კლდის ნაპირს მიაღდა.

ბნელი ძალებისა არა მჯერა, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ იმ დროს შოფერს გვერდით უხილავად სატანა უჯდა. მან გრიგოლაშვილს უცებ საჭეს გამოსტაცა და მარჯვნივ მიაბრუნა.

იმავე წამს ხარისხების ჭრაჭუნი და ჭახა-ჭუხი მოისმა. ამ მომენტმა ელვასავით გამიბრინა თვალწინ: ავტომ ხარისხები ღინგით გაანგრია, ერთი წამით შესდგა, თითქოს უძირო ხევს გადაჰხედაო, თითქოს შეყოყმანდა და უმაღლესი ისევ დაიძრა. და იმავე წამს თვალწინ თავზარაულის ზურგი ამეშოტა.

უბადრუკი აზრია, ვითომ ასეთ ჟამს გონებას რაიმე ძალა ჰქონდეს. უძლურია, მკვდარია, ლოდვიით სძინავს, ან უძილოდ ფართხალებს. მარტო ალლოლა მეფობს - ელვაზე უფრო სწრაფად და ცეცხლზე უფრო მწვავედ.

ავტომ რომ ღინგი მიიბრუნა, უკვე ზეზე ვიდექი. კლდეც რომ მიაღდა, რუსიკო უკვე ხელებში მყავდა, ხოლო ხარისხების ჭრაჭუნი რომ მომესმა,

ბავშვი ძლიერად მოვიქნე, ზედ გზაზე გადმოვაგდე და მეც გადმოვეყე. გადმოვეყე, მაგრამ ეშმაკი ერთი ხელით საჭე მიაბრუნა და მეორე კი მე ჩამავლო. შავი ტყავი მეცვა. უკან წელზე მოკლე ქამარი მქონდა. ეს ქამარი ავტოს კარის რახას მოედო და კლდისკენ გამათრია.

ყოველივე ისევ ელვასავით დატრიალდა: ხელები ავიქნე და ტყავიდან გამოვსხლტი. ეშმაკი უკან მეწეოდა, წინიდან კი ბედი მშველოდა: ტყავის ღილები, თურმე შეუკრავი დამრჩენოდა.

ავიკლანე, წავტორტმანდი, გავსწორდი და მივიხედე. თურმე ზედ კლდის ნაპირზე ვქანაობდი.

ავტოს ბოლომ თვალწინ გამიქროლა და იმავე წამს ის უძირო და პირღია ხევი საზარელმა, უიმედომ და სასოწარკვეთილმა გმინვამ და ვალალმა შეაზანზარა.

ახლაც ყურებში მიწივის ის წივილ-კივილი - წივილი გველეშაპისა, რომელიც უცებ ადუღებულ ცეცხლში ჩავარდა.

ამ წივილს უმაღლვე წვრილი კივილი და ხარის ბლავილი შეუერთდა: რუსიკო კლდეს გადაჰყუდებია, თმებს იგლეჯავს და ხევს ჩაჰკივის:

- მამა!.. მამა!.. მამილოოო!!

თავზარაული კი ჩემს ფეხებთან ფართხალებს: კლდეზე გადავარდნილა, მაგრამ ორივე ხელით კედლის ნაპირი ჩაუბლუჯავს და ყელგამოჭრილივით ხრიალებს:

- მიშველე! მიშველე!!

საბრალო ბავშვი ხელის ერთი მოქნივით უკანვე გზაზე გადავაგდე, ის ხელი ქვის ბოძს მოვხვიე და მეორე ხელი თავზარაულის მაჯას ჩავჭიდე. იმავე წამს იმავე მკლავში მისი მეორე ხელი მგლის პირივით მეცა.

რვა ფუთი მეწვევა უფსკრულისკენ, მე კი ფეხმოსაკიდებელი არა მაქვს რა, რომ ტვირთი შევიმსუბუქო, ჩაღუნული ვდგავარ და ნელ-ნელა ვიდრიკები.

ვიდრიკები და ხევს გადავცქერო. იქ, ქვევით, ექვსას ორმოცი მეტ-რის სიღრმეზე, შავ კლდეს რამდენიმე ტინი გამოუშვერია და მათი ქიმები პირდაღებულ ჯოჯოებოვით იცქირებია.

გადავიხედე და დავინახე: ავტომობილი უზარმაზარ ფრინველივით მიჰქრის უფსკრულში. აგერ, პირველ ტინს დინგი ჩამოჰ-კრა, ორად მოიკეცა, ჰაერში გადატრიალდა და ისევ წავიდა. მი-ჰქრის და თანდათან იკუმშება, მრგვალდება, მცირდება...

აგერ, მეორე ტინზე დაეცა, ისევ გადატრიალდა და ისევ ცარიელ სივრცეში ჩავარდა.

თავზარაულის ხელი მარწუხივით მიჭერს და მეც იმავე გზით მეწვევა. ვილუნები, ვირკალები, მაგრამ იმ საზარელ ფრინველს თვალს ვერ ვაშორებ.

ხევის ძირში არაგვი თეთრი თოკივით მიიკლაკნება, აქეთ ნაპირზე სოფელი გუდა მობუზულა. სახლები სათამაშო ქონებს ჰგვანან, და დაღეწილ-დაკეცილი ავტომობილიც იმ სოფლისკენ მიექანება. იგორავა, ისტუნავა და სადღაც სოფელთან გაეხირა.

რამდენ ხანს მიჰქროდა რკინის კუმში? რამდენ ხანს ჰქონდა მიბმული ჩემი თვალი? ორ წუთს, მეტს არა, მაგრამ ეს ორი წუთი ორ საათად მომეჩვენა.

სანამ ის გიჟური ქროლა და ხტუნა არ შეწყდა, ავტოს თვალი ვერ მოვაშორე და ჩემს თავს ვეღარ დავუბრუნდი.

გრივოლაშვილის ფრენა დასრულდა. ახლალა დავხედე თავზარაულს. დავხედე და მომეჩვენა, თითქოს ორ სიკვდილს ერთმანეთი ჩაებლუჯათ. მე მისი მაჯა მიჭირავს. იმ ხელით თავზარაული კედლის ნაპირს ებლაუჭება, ხოლო მეორე ხელი ჩემს მაჯაზე აქვს მოჭერილი. უცებ მეორე ხელიც

მოსხლტა კლდეს და ძალღივით მეცა მკლავში.

მეცა და გადამწია.

მანამდე ორად ვიყავი მოკუზული, ახლა კი, ერთ ხელზე უცებ რვა ფუთი რომ ჩამომეკიდა, ვეღარ გავუძელი და ჩავიჩოქე. ჩავიჩოქე, ერთი ფეხიც

ბოძს მოვხვიე და კლდის ხახაში ნახევარი ადლით კიდევ ჩავიწიე. ერთმანეთს თვალებში შევცქერით და ვყვირით:

- მიშველე-ე-ე! - ბლავის ჩავარდნილი.

- ხელი მოსჭიდე კლდეს, ხელი! - ჩავხრიალებ პირში.

- მიშველეეეე!

- კლდეს მოეჭიდე-მეთქი, კლდეს-ეს! მაგრამ ჩემი არაფერი ესმის. გაბერილ-გაგიჟებული თვალები შუბლზე აეყარა, ძარღვები დაეკლაკნა და პირი ლამის გაეხია.

ჩემი ძვლები კრუსუნებს, ლავიწები ჭრაჭუნებს, ძარღვები იჭაჭება, სისხლი წივის, ყურები ლამის დამისკდეს, ქამარი გამიწყდეს და საცაა საზარელიც დამეხვევა და თვალებიც გადმომცვივა.

და ვხედავ, ნათლად ვხედავ საზარელ სამარეს, რომელიც საცაა ორივეს ჩაგვყლაპავს, და ამ წამს, სიცოცხლის უკანასკნელ წამს, დედაჩემი მელანდება!

- დედი! დედაა! - დავიბლავლე განწირულმა. აღარ მახსოვს,

ხმამაღლა თუ გულში. ჩემი დედა თავჩაღუნული ზის და ჰკერავს. თითქოს შვილის კივილი

გაიგო: წამოიჭრა და ათრთოლდა.

ქვის ბოძი მკლავიდან თანდათან მისხლტება: თითებიტლა ვიმაგრებ, მაგრამ ამაოდ: ბრძოლა დასრულდა! გათავდა!

-მამააა!! - დამდნარ რკინასავით მესმის ყურებში რუსიკოს კივილი.

-მიშველეთ!!! - ერთხელ კიდევ დაიძახა თუ დაიხრიალა თავზარაულმა.

და დედაჩემიც ერთხელ კიდევ მომელანდა: თმებში ხელები წაივლო და წივილ-კივილით გამოექანა.

უცებ - კურთხეულ იყოს ის წამი აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე! - უცებ უკნიდან რაღაც კივილ-ჟივილი მომესმა და იმავე წამს მე და იმ ბოძს აქეთ-იქიდან ორი ხელი სალტესავით შემოგვერტყა და ორიც თავზარაულის მკლავებს დასწვდა.

-მაგრა იყავ! ნუ შეშინდები! აქა ვართ! - ჩამელვარა იმავე წამს მთელ სხეულში მათი შეძახილი.

თავზარაული თითქოს საფლავიდან მოფოფხავს და მეც ნელ-ნელა წელში ვსწორდები. ძლივს გავაშვებინე ჩემი ხელი და იქვე ბოძთან ჩავიკეცე. ჩავიკეცე და დამტკრეული ხელებით თვალებსა და შუბლს ვისრისავ. მერეღა შევნიშნე, რომ პირსახეს სისხლით ვითხუპნიდი. იმ ხელის თითები, ბოძზე რომ მქონდა შემოვლებული, გადამქლეტოდა და სისხლით მქონდა მოსვრილი.

ოდნავ გონს მოვედი და მივიხედე. რუსიკო ერთი სალდათის მკლავებში ფართხალებს, ხოლო თავზარაული შუა გზაზე ზის, სულელურად იცინის, ხელებს ასავსავებს და ბლუკუნებს:

-გაგაგა... გადავრჩი... ცოცოცო... ცოცხალი ვარ. მამა-მადლობელი ვარ... ცოცოცოცხალი ვარ. მეორე სალდათმა ილღიებში გამიყარა მკლავები და ამწია.

-წამოდექი! გასწორდი! რამ შეგაშინა?

წამოვდექი, გავიზმორე და გავსწორდი. ძვლები თავიანთ ალაგებში ჩალაგდა. თვალბიცი სათვალურებში ჩამისხდა. ძარღვები კვლავ გამეშალა და მოდუნდა. ყურებში მწარე წივილი აღარ მესმის. მხოლოდ სისხლიღა მიბჟუისდა ლავიწებიც ოდნავ მიკვნესის.

-ცოცოცოხალი ვარ... გაგაგაგადავრჩი, - კვლავ ტუტუცივით იღრიჯება თავზარაული.

რუსიკო მომვარდა და მუხლებზე მომხვია. ავიტაცე, ჩავიკონე და მეც იმ ბავშვივით ავტირდი. ის კი ისევ უფსკრულისკენ მიიწევს და გაჰკვივის:

-მამააა! მამილოოო!

უცებ თავზარაულმა ხელი ჯიბეზე გაიკრა და აფუსფუსდა: - მამამადლობა უნდა გაგაგადაგიხადოთ, ბიბიბიჭებო.

გაბერილი საფულე ამოიღო და გადაშალა. ფული დასტებად ეწყო. სამი თითო თუმნიანი ამოაცოცა და სამივეს დაგვირიგა.

-გეგეგერგებათ... ღირსი ხართ... იქექექეფეთ.

უნებურად ავიღეთ და ერთმანეთს გადავხედეთ. უცებ ყელში რაღაც მომაწვა. სახეზე თითქო წყალი შემომასხესო: ავიღეწე და ავიტრუსე.

რუსიკო ჩამოვსვი, თუმნიანი ოთხად დაგვეცე და თავზარაულს ცხვირში გაგვკარი - ერთხელ, ორჯერ და მესამეჯერაც მივაყოლე.

-აგრე! აგრე, გენაცვალოს ჩვენი თავი! - საძვერვე დამიბეჭდეს სალდათებმა.

მერე ისევ რუსიკოს ჩავკიდე ხელი და წამოვედი. თითქმის გა-მოვიქეცი. ბავშვი მორბის, ფეხებში მხლართება და სლუკუნებს. - წამო, გენაცვა, - ვეუბნები, - წამო, მამა ვიპოვოთ. სოფელ გულაში უნდა ჩავიდეთ და იქ ვიპოვოთ. ადვილი სათქმელია: „წამო, ვიპოვოთ“. გვირაბიდან სადგურ მღეთში უნდა ჩავიდეთ და იქიდან არავცს ავყვეთ. ოცი კილომეტრი იქნება.

ჯერ მოვრბივართ, მერე მოვდივართ, შემდეგ კი მოვლასლასებთ. რუსიკო რომ ავტოდან გადმოვაგდე, ხელ-ფეხი ეტკინა. ახლალა იგრძნო ტკივილი. იდაყვი დაულურჯდა, ფეხი დაუსისხლიანდა.

მოვბანე, შევუხვიე, მხარზე შევისვი და წამოვედი, თანაც ვანუ-გეშებდი:

-საბრალო რუსიკო... საწყალი ქალი! დაობლდი განა, გენაცვალოს გივი!

თავზე მომეხვია და თმას ცრემლით მისველებდა.

ქვაზე დავსხედით, დავისვენეთ და ისევ გამოვიქეცი. ვილაცხები გვაჩერებენ, გვეკითხებიან, ვილაცხები გორაკ-კლდეებზე გადამდგარან და ერთმანეთს გაჰკვივიან: ახალ ამბავს ატყობინებენ და თავქვე მორბიან.

-რა მოხდა? რა დაგემართათ?

პასუხის ნაცვლად ხევისკენ ვიშვერ თითს და ვეუბნები:

- იქ... ქვევით... გულაში...

ჯერ სამიოდე დაგვედევნა, მერე ათიოდე გამოგვეყვა, შემდეგ კი მთელი სოფელიც დაიდრა. ბავშვები, დედაკაცები, ხნიერები - ყველანი მოგვედევნენ, მორბიან, მოგვეძახიან და მათი ყაყანი და ჟივილ-ხივილი ქვემო სოფლებშიც კი ისმის. იქიდანაც გამორბიან, სხვებსაც ეძახიან და ყველანი მლეთისკენ მოემშურებიან. მალე მთელი ხეობა დაიდრა და წამოვიდა.

- გაიმბე, სენი წირი მე, როგორ გადავარდი ხევში? - არ მასვენებენ გულაურელი ოსები.

- გითხარი, გენაცვა, გაგაგებინე. - ჩამაცივდა მეორე.

- არ ვიცი, არ მახსოვს - მოკლედ მოვუჭერი და მოვშორდი.

- რამდენი კაცი გადავარდი? - სირბილითვე მომდევნენ და მეკითხებიან.

- ერთი. - ვუპასუხე.

- ერთი?

- ერთი, მხოლოდ ერთი. შოფერი გადავარდა, აი ამ ბავშვის მამა.

- მარტო ერთი გადავარდი?

- მარტო ერთი გადავარდა.

- მაღლობა ღმერთსა, ადვილად გადარჩენილხართ.

ვიღაცა დანჯღრეული ფურგუნით დაგვეწვია. მე და რუსიკო ჩაგვსხეს და წამოგვიყვანეს. ხალხი ჩამოგვშორდა: ბილიკებით მორბიან, ჩვენ კი გზატკეცილით მივდივართ.

მლეთში გავლაც კი გვეძნელება. რამდენიმე სოფელს მოუყრია თავი. გრიგოლაშვილის გვამის მოტანას ელოდებიან, მანამდე კი გამოკითხვით სულს გვიხუთავენ და ბავშვის დაობლებას გლოვობენ.

აღარ მახსოვს, მოლოდინში ერთი საათი გავიდა თუ ორი. ბოლოს სადღაც დაიძახეს:

- მოაქვთ! მოაქვთ!

ზევიდან მართლა რალაც მოაქვთ. უქმე დღე იყო და ხალხიც უქმად იყო, ამიტომ გრიგოლაშვილის გვამს ორიოდე სოფელი მოსდევდა.

სამგლოვიარო პროცესიას თვალცრემლიანი ვუმზერ, ვუმზერ და ჩემი თვალებისაც არა მჯერა: ერთის ნაცვლად ორი საკაცე მოაქვთ.

„შეიძლება აქაური ვინმე მოკვდა ზემო სოფელში, - გავიფიქრე, - ან ავად გახდა ვინმე და ექიმთან მიაქვთ თუ მიჰყავთ“.

სადგურის კიბეზე ვდგავარ. მოიტანეს და ორივე საკაცე კიბესთან დადგეს.

- ჭირისუფალი შენ იქნები? - მეკითხება სოფლის გზირი თუ მამასახლისი.

- მე ვარ.

- აჰა, ორივე მოგიტანეთ. ჩაიბარე და უპატრონე.

- ორივე? - და კიბეზე ჩავდივარ.

- ჰო, ორივე შენი მკვდარია.

- ჩემი? ორივე? - და ფერი მეცვალა. - ორი? - გაიკვირვა ვიღაცამ ჩემს გვერდით.

შევხედე და ვიცანი: ის არის, წელან რომ ვუპასუხე, ერთი კაცი გადაიჩენა-მეთქი.

- ერთი ავტომობილი ეგდო, მეორე კი ზემოთ კლდეჩი გახირულიყო, - მეუბნება ხელისუფალი.

- გზანი თუ გადმოვარდა ავტომობილიდან. - დაუმატა ვიღაცამ.

- მძიმე ვინმე ყოფილა, - ამბობს მესამე, - რვა კაცმა ძლივს ჩამოვიტანეთ გულანი.

- ეს შოფერიც ძლივს გადმოვიღე ავტომობილიდან, - მითხრა გზირმა თუ მამასახლისმა და საკაცეს ნაბადი აჰხადა. - შეხე, როგორ შენახულა თავი!

თავი მართლა შენახულა. ერთგანაც არ არის გაკაწრული, მაგრამ... სამაგიეროდ ძვლები ბოთლივით დაემტვრა, გუდასავით თუნდ ორად დაიკეცება, თუნდაც ოთხად.

- ისა? - ვეკითხები მთრთოლვარე ხმით და ღრმა რწმენით, რომ ის მეორე „ჩემი“ არ არის.

- ესა? აი ნახე, - და იმასაც ნაბადი გადახადა. დავხედე და გავშტერდი. ენა დამება და გონება გამიხევდა.

- ორივე იცანი?... ძმობილო, იცანი-მეთქი?

- ვიცანი. - ძლივსლა წავილულულე.

- ორივე?

- ორივე.
- მაშ წელან რათა სთქვი: - მეკითხებოდა თანამგზავრი, - რათა სთქვი, ერთი გადავარდაო?
- იმიტომ, რომ აღარ მომეშვი.
- გვითხარი, ვინ არიან? - მეკითხებოდა ხელისუფალი.
- ეს... ეს პავლე გრიგოლაშვილია... ავტომობილის პატრონია.
- ვიცი... ჩვენებურია... ვიცნობდით. - გაისმა აქეთ-იქიდან.
- ესა? ეს ვილა არის?
- ეგა?.. ეგ ნიკო თავზარაულია.
- სნოელი თავზარაულია? მოხევეა?
- ჰო, მოხევეა.

თურმე ამასაც იცნობდნენ. ზოგს გაგონილი ჰქონდა, ზოგს ნახული ჰყავდა, ზოგიც პირადად იცნობდა. სანამ ხალხი ყაყანებდა, მე საგონებელს ვიყავი: ამ კაცმა კინალამ მეც გადამიტანა. ჩვენი ჭიდილი ცხადი ამბავია. „მგონი არ გავგიჟებულვარ, რომ ლანდი ცხადისაგან ველარ გავარჩიო - ვფიქრობ ჩემთვის. - ორი სალდათი მოგვეშველა. ამოგვიყვანეს. მეც გადამარჩინეს. მერე ფული გვაჩუქა... იმ ფულით ცხვირი გავუწკიპე. - აგრე! აგრე! - იძახდნენ სალდათები... იქ დავტოვეთ, ესეც კარგად მახსოვს. არა, ცხადია, ჩემს გონზე ვარ, არ გავგიჟებულვარ, მაგრამ ან ლანდი იყო, რაც ზევით მოხდა, ან ახლა მელანდება თავზარაულის გვამი. იქნებ სხვა ვინმეა? იქნება მეჩვენება?“

დახრილი ვლგავარ და დაძაფული თვალებით ვსინჯავ. ის არის! თავზარაულია, თავზარაული!

-ზედ რამდენი ფული ჰქონდა გრიგოლაშვილს? - მეკითხება სოფლის ხელისუფალი.

- არ ვიცი.
- ცხრა მანეთი და ორი აბაზი გამოაჩნდა.
- აგრეა, მართალია! ერთად დავთვალეთ! - უმოწმებენ აქეთ-იქიდან.
- თავზარაულს?
- თავზარაულს... ბევრი ჰქონდა...
- ზედ არაფერი ჰქონია.
- ალბათ ამოუვარდა.
- კლდეში სადმე ამოუვარდებოდა. - ისმის ყაყანი.
- აგრეა! აგრე იქნება!

-აგრეა. - ვადასტურებ მეც და ერთი წვრილმანი ელვასავით მისერავს ხსოვნას: მე და რუსიკომ ორიოდე კილომეტრი რომ გავივრბინეთ, დასასვენებლად გზის ნაპირზე ჩამოვსხედით. უცებ ზემო გორაკებზე ორ კაცს მოვკარი თვალი. მოკუზული მირბოდნენ, თითქოს ხალხის თვალს ემალებოდნენ. მზის შუქზე მათს თოფებს კრიალი გაჰქონდათ. გორაკს გადასცდნენ და მიიმაღნენ.

„საღდათები... ბევრი ფული... უმაღური თავზარაული. - გავიფიქრე უმაღ. - მერე ხელი ჰკრეს და... გაიქცნენ. ცხადია! ასე იქნება!“

უმაღ მოვბრუნდი და სადგურის გამგის ოთახში ავვარდი, სადაც დალილ-დატანჯულ რუსიკოს ეძინა. გავავიძიე. მოვუაღერსე და ფრთხილად ჩავუწვეთე:

-რუსიკო, გენაცვალოს გივი, გახსოვს ის საღდათები. მე რომ გადამარჩინეს?

-ჰო, მახსოვს.

-ისინი და სქელი ძია, თავზარაული, ზევით დარჩნენ, არა?

-ზევით დარჩნენ.

-ჰოდა... საღდათები წასულან, იმ ძიას კი თურმე ფეხი დაუსხლტა და იმ კედელზე გადავარდა. მწვანე თვალები გულში ჩამინათა. იქაურობა მომიჩხრიკა და -

-მერე? - მკითხა.

-მერე ის, რომ არავის უნახავს, როგორ გადავარდა. იმ საღდათებს დააბრალებენ და თავებს დასჭრიან.

-დასჭრიან?

-დასჭრიან, უეჭველად დასჭრიან!

-შენ რომ გადაგარჩინეს?

-მაინც დასჭრიან. ამიტომ ახლა ის საწყლები ჩვენ უნდა გადაგარჩინოთ.

- როგორ?

- როგორ და ასე: თუ ვინიცობა გვითხრეს რამე, ყველას უთხარი, მამა და თავზარაული ერთად გადაიჩენენ-თქო. მიხვდი? გაიგე?

- გავიგე. ეგრე ვიტყვი. - და მომეხვია.

სამი დღის შემდეგ ორივენი კავკავშირში დავასაფლავეთ. მგლოვიარე ნათესავებში მეც ვერიე.

უცებ თავზარაულის შვილმა დამინახა. ვილაცამ ჩემზე აჩვენა.

მამასავით სრული, უნდელი და ლოქო ვაჟი იყო. ჩემთან მოვიდა და -

- თქვენ იქ იყავით იმ დროს, არა?

- დიახ, იქ გახლდით... - და მუხლებში ქარმა ჩამირბინა.

- პატარა ქალი თქვენ გადაარჩინეთ?

- დიახ...

- მაშ... და ჯიბიდან საფულე ამოიღო. - მაშ გერგებათ, - და ხელში თუმნიანი ჩამჩარა: - მამაჩემის სულის საცხონებელი დალიეთ... აიღეთ, ნუ გრცხვენიათ.

იქვე ყავარჯნებზე დაბჯენილი გლახა იდგა. სწრაფი ნაბიჯით მივედი და ის თუმნიანი ხელში ჩავუდე. დაჰხედა, ამომხედა და ისევ გაჰხედა. მერე ყავარჯნები ილლიაში ამოიღო და კურდღელივით მოჰკურცხლა.

თავზარაულმა მხრები შეიმუშნა და - ტუტუცი! - ჩაიბუნუნა და ისევ კუბოს გაჰყვა.

მეც გავეყვი, მაგრამ მეშინოდა, თავზარაულთან არ მივსულიყავი და გასიებულ ცხვირში წკიპურტი არ გამეკრა.

იმ დღეს მე, რუსიკომ და იმის დედამ კიდეც დიდხანს ვიტირეთ, მერე კი...

მერე ერთმანეთი დიდი ხნით ან სამუდამოდ დავკარგეთ.

ვიხეტიალე, ვიარე და ავტოს საქმეს დავუბრუნდი. დავუბრუნდი-მეთქი. ნამდვილად კი ოდესღაც ეს საქმე იმით დავიწყე, რომ ერთხელ გავრეცხე გრიგოლაშვილის ავტო და ორივეს დალუპვა ვნახე - ავტომობილისა და მისი პატრონისაც. და კინაღამ მეც გადავეყვი.

4

იმ დღიდან თერთმეტი წელიწადი გავიდა. დაგვაჟკაცდი, დავმწიფდი და ის ალაგი - შავი კლდე - ხუთასჯერ მაინც გადავსერე.

აი ახლაც, ხუთასპირველჯერაც, შავ კლდეზე მიყენია ავტომობილი.

კლდის თავზე, დაბალ კედელზე, რუსიკო ზის და მამას ტირის.

ღმერთო ჩემო, აქამდე როგორ ვერ ვიცანი დიდი კბილები, მომწვანო თვალები და ზემო ტუჩის ხალი?! კავკავიდანვე მაწვალებდა. მიზეზიც ვერ გამეგო. ახლა კი ყოველივე ცხადია, აშკარაა: ჩემს თვალწინ უცბად

ყოველივე აღსდგა და გადიშალა. რუსიკო მამას ტირის. ალბათ, მეც ვაგონდები. მე ვერ ვიცანი, მაგრამ თვითონაც ვერ მიცნო. ან რა საკვირველია! თერთმეტი წელიწადი გავიდა, თერთმეტმა გაირბინა და გაქრა!

ავტომობილიდან ჩამოვედი და ხუთიოდე ნაბიჯი გადავდე.

- საკვირველია, - მესმის ამ დროს იმ კაცის ხმა. - საოცარია: ორივე აქ დაილუპა, ორივენი ერთ წუთში დავობდით.

ეს სიტყვები ტყვიასავით მომხვდა: თავზარაულია, თავზარაულის შვილი! მამას ტფილისში ჰყავდა მაშინ, გიმნაზიაში სწავლობდა. მხოლოდ ერთი წუთით მოვკარი თვალი, როცა ორ გვამს ვასაფლავებდით, ახლა კი ესეც აქ არის, შავ კლდეზე, აქ არის და რუსიკოს უზის გვერდით. თანაც ანუგეშებს და შენობით ელაპარაკება.

და წელანდელი კვიატი აზრი ხელახლა დამეჯახა: „ვინ არიან? ცოლ-

ქმარი, დანიშნულები თუ მეგობრები?“ და მეორეც დამეტაკა:

„იცის თუ არა ამ თავზარაულმა მამის სიკვდილის ნამდვილი ამბავი? უამბო რუსიკომ თუ დაუძალა? - და გადავჭერი - რა თქმა უნდა, უამბობდა. ქალია. ენაზე რა დაადგება! - და ყოყმანის შემდეგ ხელახლა მოვკვეთე: მერე რაო! თუნდაც იყოს! რა მოვალე ვარ პასუხი ვაგო თერთმეტი წლის შემდეგ? და თუ მომთხოვა, თუ ვაჟკაცურად მომთხოვა,

შავი კლდე აქ არ არის! ამასაც მამის გზაზე დავაყენებ!“

ველარ მოვითმინე, ქალს წინ ავეშოტე და ვუთხარი: - ქალბატონო

რუსიკო, გაგონდებათ გივი შადური? გაოცებულმა შემომხედა.

- ცხადია, დაგავიწყდებოდით. თერთმეტი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ამ ალაგზე... აი ამ ალაგზე ავტომობილიდან გადმოგაგდეთ.

-ღმერთო ჩემო! - და ზეზე წამოიჭრა. - ღმერთო ჩემო! გივი! გივი შადური! ჩემი მხსნელი!
ორივე ხელი მკლავში ჩამჭიდა, თავი მკერდზე მომაცულა და
ცრემლნარევი ლულულუი ამოუშვა:

-გივი... ჩემი გივი... გივი! ჩემი მხსნელი!.. ელი! ჩემი ერთი კვირის მეგობარი... ბარი!

-აი სად შეგვახვედრა ბედმა ერთმანეთი რუსიკო! იმავე ალაგზე, საცა... გახსოვს, მკლავი
რომ გატკინე?

-ღმერთო ჩემო... ემო! როგორ დამავიწყდება ის დრო და ეს ალაგი... ავი! მაგრამ შენ როგორ
დაგავიწყდი, შენ?!

-საკვირველი არაფერია. შვიდი წლისა იყავი. ახლა კი... ისიც გეხსომება, აი ამ გზით რომ
თავქვე მივრბოდით.

-ახა-ხა! - ჩაიხითხითა და ცრემლი მოიწმინდა. - მხრებზე რომ შეგაჯექი, არა?

-ჰო, მხრებზე რომ შეგისვი და მიგარბენინებდი. შენ კოჭლობდი, რადგან ფეხი გატკნე,
როცა ავტოდან გადმოგაგდე.

-მგონი ხელიც დამიშავდა.

-ხელიც დაგიშავე... იმედია მაპატიებ.

-ეგ რა სათქმელია, გივი!

-

ალბათ ისიც გეხსოვება, მთელეთში რომ დაგაძინე.

- ძალიან კარგად მახსოვს, ყველაფერი მახსოვს.

- რომ გაგაღვიძე და...

- ეგეც მახსოვს, რაც მითხარი, ყველაფერი დავიხსოვე და... შეგისრულე.

გულს მომეშვა. მაშ ჩემი ჩანაბერი კარგად შეუნახავს. მერე თავზარაულს გადავხედე. გაბუებული იჯდა და უკმუნად გვიმზერდა. თავის მამასავით ფშუტურას ჰგავდა: თითქოს შიგნეული გამოაცალეს და ჩაღლით გაავსესო.

- რა ვქნა, ეს რა დამემართა! - წამოიძახა რუსიკომ, - გაიცანით ერთმანეთი! - და ორივეს ვინაობა დაასახელა.

- მივხვდი, გავიგე - თქვა თავზარაულმა და ხელი უნდოდა ჩამომართვა, თუმცა კი... ალბათ თუმცა ამბავიც გაახსენდა.

- მეც მივხვდი, - ვუპასუხე და ისევ რუსიკოს მოვუბრუნდი, - წავიდეთ, თუ...

- წავიდეთ, წავიდეთ, - დაფაცურდა ქალი, - გვეყო. - იქ დაჯექი, - ჩავჩურჩულე ჩემს თანაშემწეს. შალვა ჩემს ადგილზე დაჯდა.

- პეტრე, აქ დაჯექი, - ისე უთხრა რუსიკომ თავზარაულს, თითქოს უხმოდ შეეთანხმებულიყავით, და წინა საჯდომზე დასვა, თვითონ კი უკანა სკამზე ახტა, ბალიშს ხელი დაჰკრა და თვალი მიყო. უმაღლ მივუჯექი და ავტოც დაიდრა.

რუსია გვერდზე ამეკრა და ჩამჩურჩულა:

- არც კი გრცხვენია. ობოლი დამივიწყე და ერთხელაც აღარ გამიხსენე.

- ჩემი ბრალი არ არის, რუსიკო. თვალიდან დამეკარგე. მეც ბედის სათრეველა გავხდი და ვეღარსად შეგხვდი. შენა? ახლა შენი ამბავი მითხარი.

- ამას წინათ ქალაქში გადავედი. ახლა იქა ვარ.

- დედაშენი?

- მომიკვდა, - და ერთხელ კიდევ დაისველა მომწვანო თვალები. ჩვენს თვალწინ წინა სკამზე, თავზარაულის ზურგი გაშლართულიყო - დაბლვერილი და უკმენი.

რუსიკოს შევხედე და ამ ზურგზე ვანიშნე. მაშინვე მიმიხვდა, ტუ-ჩებზე ხელი აიფარა და უსიტყვოდ მიპასუხა. არაფერი არ იცისო.

- არავინ?

- არავინ. არც დედამ იცის.

არც დედამ! აღტაცებული და გოცებული შევცქეროდი დიდრონ კბილებსა და მომწვანო თვალებში. იშვიათი, თითქოს დაუჯერებელი ამბავი მესმოდა: ქალმა, შვიდი წლის ბავშვმა, ჩემი ჩანაგონი საიდუმლოება თერთმეტ წელიწადს შეინახა! შეინახა და იქ, ფასანაურის ხეობაში, დამახვედრა.

- ყოჩაღ, ქალო! ბარაქალა! ვაშა! - ჩავჩურჩულე და ხელი მაგრად ჩამოვართვი. ჩამოვართვი და დიდხანს შევინახე, და მცირე ხნის შემდეგ პაწაწა ხელმა ჩემს დაძახებაზე დაძახებითვე მიპასუხა: ხელი მომიჭირა და ალანძული სახე იქით მიიბრუნა.

შემდეგ, როცა მოიხედა და მომწვანო სხივები თვალებში მომანათა, წინამჯდომის დაბლვერილ ზურგზე ვანიშნე და ისევ უსიტყვოდ გამოვკითხე. პასუხად დიაცურად გამიღიმა და მხრები შეიმშუშნა.

- ხომ არ გათხოვდი, რუსიკო?

- ჯერ არა.

- ჯერ არა! მაშ... - და ისევ იმ ზურგს ჩაუუქნიე თვალი. რუსიკოს სიცილი ტყეში შევარდა. ნუ მაწვალე, რუსიკო!

- მე გაწვალე? როგორ? რით?

- ნუ ეშმაკობ! - უცებ ღიმილი მოვიშორე და ხელზე ხელი დავტაცე. - ამას რამდენი უფლება აქვს?... ამდენი? - და თითებით ვანიშნე

თავზარაულზე და მანძილზე - მცირე, საშუალო და გრძელი. მისი სიცილი ვერცხლის ზანზალაკით აწკარუნდა. - ნუ დამიძალავ, რუსიკო!

რამდენი, ბევრი თუ ცოტა!

ისევ მიმიხვდა და თითის ნახევარი მაჩვენა: ამ კაცს ჩემზე ამოდენა უფლება აქვსო.

- მე კი, - და ორივე მკლავი გავშალე, - მე კი ამოდენა მაქვს, არა?

ჩაფიქრდა. შემომხედა და -

-

- აგრეთ. უფრო მეტიც, თუ ისიც ვიანგარიშეთ, რომ იქ გადამარჩინე,

- და ხელი შავი კლდისკენ გაიშვირა.

- და თუ არ ვიანგარიშე?

- მაშინ ამოდენა დაგრჩება, - და მკლავის ნახევარი მომიზომა. კინალამ გადავეხვიე: ამ დაბლვერილ ზურგს, ახალ თავზარაულს, თითის ოდენა იმედი უნდა ჰქონდეს, მე კი წყრთის ოდენა, და თუ ისიც ვიანგარიშე, რომ რუსიკოს შავ კლდეზე სიცოცხლე ვაჩუქე, ეს ქალი თმის წვერებიდან კოჭებამდე მე მეკუთვნის, დიას, მე, მე! მე!

- მაშ ყველაფერს ვანგარიშობ, ყველაფერს! - უკვე ხმამაღლა შევძახე და გაბუტულ ზურგს მუშტით დავემუქრე.

რუსიკო ხან ცეცხლივით წითლდება, ხან ხამბახივით ფითრდება. და კბილებსაც ახალი სტილი მიეცა - მზიური, კაშკაშა და განკაფული.

- ნაჩემარი ხარ, ქალაუ! - ისევ ჩავჩურჩულე, - ნაჩემარი, რადგან მაშინ თურმე ჩემი საბედო გადამირჩინია!

- ნაშენარი?

- დიას, ნაჩემარი, ნაჩემარი ხარ, ქალაუ!

შუბლი დაიკეცა, წარბები გაიშალა, სახეზე მძიმე რამ აზრი აისახა და მწვანე თვალები თვალებში ჩამინათა. დიდხანს მიმზერდა და უსიტყვოდ მქექავდა. მერე ბალღურად ჩამაკენესა:

- ნუ ხუმრობ, გივი. - გეფიცები, არა ვხუმრობ. პირი ტყისკენ მიიბრუნა და დაღუძდა. დანარჩენი კინოსურათივით დატრიალდა.

ფასანაურის პატარა რესტორანს პატარა ბალი აქვს. თავაზარაულმა რუსიკო იმ ბაღში შეიყვანა და სადილი მოითხოვა. მეც მივდექ-მოვდექი და უნებურად ფოთლიანს მივეფარე. უცებ შევდექი: ფოთლიანის მეორე მხრიდან რუსიკოს ჩურჩული მომესმა:

- გეუბნები, ჩვენთან უნდა დასხდნენ-მეთქი.

- მე მხოლოდ ჩემ ტოლთან ვჯდები სუფრაზე! - ჩაიბურტყუნა თავზარაულმა.

თითქოს გველმა მიკბინაო. მოვტრიალდი, მაგრამ რუსიკოს ხმამ შემაყენა: „რას უპასუხებს ნეტა რუსია?“ - უმაღლესი გავიფიქრე და პასუხიც მაშინვე მომესმა:

- შენი ტოლი!.. რატომ არ არის შენი ტოლი?

- შოფერია.

- მერე რა! სამაგიეროდ ნასწავლიც არის და ზრდილობიანიც!

- მაინც შოფერია. მე არასოდეს არ ვყოფილვარ დემოკრატი.

- სამაგიეროდ უმაღლესი ყოფილხართ! - და თქვენობითი ფორმა „ყოფილხართ“ ხაზგასმით გამოთქვა.

უმაღლესი? ჰოოო, მესმის, გავიგე, ბოდიშს ვიხდი. ახლავა გა-
მანხენდა, რომ ოდესღაც სიკვდილისაგან გიხსნა. მაპატიე, ჩემო კეთილო, ეეე... შოფერ! ბიჭო,
დამიძახეთ შოფერებს!

ფოთლიანიდან გამოვედი და თავზარაული თვალთ გაეზომე. მღუღარე ბრაზი მანჩობდა. მაგრამ რის მაქნისია მარტო ბრაზი! გეგმა მინდოდა, მოქმედების გეგმა!

- რა გნებავთ? - ძლივსლა ვკითხე.

- თქვენც აქ დასხედით, ერთად ვისადილოთ.

- გმადლობთ, ბატონო ჩემო.

- დასხედით-მეთქი! - და ხმაში ბრძანების კილო ჩაასხა.

- ჩვენთვის რა საკადრისია თქვენთან სადილობა! - და მოსამსახურეს მივუბრუნდი: - აქ გაგვიშალე.

სამი ნაბიჯის მანძილზე მეორე სუფრა გავაშლევი. ცალ-ცალკე დავსხედით და სადილს შევუდექით. ორივე მაგიდაზე ეწყო შეუჭმელი მწვადი, მყინვარის სუსხი, მკვახე ღუმილი და ჩვენი დაბლვერილი თვალები.

გამწარებული ვიჯექი და რუსიკოს შევცქეროდი: ნეტა რა მანძილია ჩემსა და ამ ქალს შორის? სად ვნახო, როგორ დავუხვდე და საიდან მოვუარო? ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე, რადგან ბრაზი ვერაფერი მრჩეველია. სამაგიეროდ მტკიცედ გადავწყვიტე: ვერა, თავზარაულო, ვერ დავითმობ დიდკბილას და თვალმომწვანო რუსიკოს! ღეე

ძალამ გადასჭრას ჩვენი დავა! მაგრამ დავა უფრო ადრე და ადვილად გადაწყდა, ვიდრე მეგონა. მოსამსახურემ ორი ანგარიში მოიტანა. თავზარაულმა ორივე ჩამოართვა

-
და ხელი ჯიბეზე გაიკრა.
- ჩემი ანგარიში მე მომეცი! - დავუძახე მოსამსახურეს.
- ნუ სწუხდებით. - მომიბრუნდა თავზარაული. - რუსიკოს გადამრჩენს ერთი სადილი მაინც ერგება.
რუსიკოს გადავხედე. შეერთა და აიშორა.
- ერთი სადილი? - და მეტის თქმა ვეღარ მოვახერხე.
- გეცოტავათ? რა თქმა უნდა, მეტი ღირს, მაგრამ არა უშავს რა, მერე მოვრიგდებით, გადაგიხდით. - და მსახურს ფულის დასტა გაუწოდა.
ერთხელ კიდევ ვიგრძენი ღველფის შემოყრა. წამოვიჭერი, მსახურს ფული გამოვტაცე და ძლივს ამოვიხრიალე:
- რაო, რა ბრძანეთ? გადამიხდით?
- დიახ, გადაგიხდით.
- აგრე იყოს! ჯერჯერობით კი მე თვითონვე გადაგიხდით. და ის დასტა მძლავრად გავკარი შფუტურა ცხვირზე - ერთხელ! ორჯერ!
და მესამეჯერაც მივაყოლე.
შავი კლდის ამბავი თერთმეტი წლის შემდეგ ფასანაურში განმეორდა. ოღონდ ახლა მამის ნაცვლად შვილი შემომელახა და სალდათების მაგიერ შალვას დასტური მომესმა:
- აგრე! აგრე, გენაცვალოს ჩემი თავი! ერთიც მიაყოლე ჩემს მაგიერ, ერთიც!
და შალვას მაგიერიც მივაყოლე.
დანარჩენი ორიოდ წუთში დატრიალდა და დასრულდა. თავზარაულს ფორთოხლისფერი დაედო. ხელი სავსე ბოთლს დასტაცა, მაგრამ ჩემს ხელში ბრაუნინგს რომ მოჰკრა თვალი, ბოთლი ჩაუვარდა და გაშეშდა. - შალვა! - შევძახე და თვალი ავტოზე ვანიშნე.
იმავ წამს მარცხენა ხელი რუსიკოს წელზე მოვხვიე და გამოვწიე. უკან ვიხევდი, თან ქალს მოვათრევდი და თავზარაულის შუბლს ბრაუნინგს არ ვაშორებდი.
- არ შეინძრე, თორემ...

არავითარი „თორემ“ საჭირო აღარ იყო: თავზარაული პირღია იდგა, წამწამებს ახამხამებდა და ბლუკუნებდა:

- დადადაცა... არ მეძემემესროლო... მე არრაფერი... და მართლა აღარაფერიც არ შეეძლო. რუსიკო თან მიძალიანდებოდა, თანაც მომდევდა და ბურტყუნებდა:

- გივი, რა დაგემართა... რას სწადიხარ... რა გინდა ჩემგან? ხელი გამიშვი!

უცებ გაიგო, რაც მინდოდა, გაიგო და მგონი განგებ აფართხალდა, მაგრამ დაუგვიანდა: ჩემი ავტო იქვე იდგა და შალვაც უკვე საჭეზე იყო მიკრული. ავტოს კარი გავაღე და ქალი თითქმის შევაგდე. მეც შევხტი და

დავძახე:

- შალვა, გარეკე!

ავტომობილი კლდის ქვასავით მოსხლტა.

უცებ მივიხედე. თავზარაული იქვე იდგა და პირღია შემოგვცქეროდა. რუსიკო თევზივით ფართხალებდა და ლულულულებდა:

- გივი!.. დაიცა... რას შერები, გივი!

ძალით დავსვი და მოვეხვიე: - იჯექი! ნუ

ჰკივი!

ისიც იჯდა და ტიროდა. ავტო კი გრიგალივით მოჰქროდა და მტვრის კუდი მოჰქონდა.

რუსია ჯერ ბორგავდა, იმუქრებოდა, მერე დადუმდა, შემდეგ გამიღიმა, ბოლოს კი ისეთი კისკისი ატეხა, რომ ავტოს გუგუნიც კი დააყრუა. გიჟივით იცინის, მოუსვენრად ტოკავს და გაუთავებლად ტიტიინებს, თანაც პირი ნათალი კბილებით და წვეტიანი ენით აქვს სავსე, რომელიც ლაპარაკის დროს წითლად ქათქათებს.

ანანურის წვრილმანებში, სადაც გზა იკლაკნება, თავი მოვუბრუნე და ფოთლიანზე უფრო მეტად ჩამწვანებულ თვალეში დიდხანს ვუძირე, მერე დავწვი და მისი კბილები - კრიალა და დიდრონი კბილები - ჩემს ტუჩკბილებს გავაცანი. გავაცანი და -

და მეორე დღეს ნაჩქარევი ქორწილი გადავიხადე.

7 7 7

აგრე, მეგობრებო! ვაჟკაცის გულს ათი უღელი კამეჩიც ვერ დაიმაგრებს, თუ... თუ ქალის პაწაწინა გულიც მიეშველა.

მშიდობით, ბატონებო! დიდება და მაღლობა თქვენს გულსაც და სუფრასაც! რა მიბრძანეთ? ერთი ყანწი კიდევ დავცალო? იყოს ნება თქვენი. გამშრალ პირს მუდამ მოუხდება... აჰა, ძირში ჩაჯვრე, ახლა კი ნახვამდის, მეგობრებო, მხოლოდ ნახვამდის - ახალ სუფრამდე, რომელიც შეიძლება უჩემოდ გაიშალოს, მაგრამ უშადუროდ ვერასოდეს ვერ დასრულდეს! ეხე-ხე!

ორეჯუარ, მეხ ამი! სალამათ, იოლდაშებო, სალამათ, ყარდაშებო!

წითელი ღილი

- ქართულ პროზას და პოეზიას გივის სალამი!

რა ამბავია, ყარამანებო, გარდანქეშნებო, სულის დევებო: სასაფლაოზე - ამ სევდის ბაღში, გივის ბინაზე, ჩემს აგარაკზე რამ მოგიყვანათ?! თუ შეგიდგენიათ, ჭორებს თუ გამოქცევიხართ, სიცხეს თუ გამოჰპარვიხართ?! სხვაგან გეძებდით, მაგრამ დამასწართ და თქვენივე ფეხით ეწვეით გივი შადურსა, - თქვენივე სუფრით, მწვანილ-მოთალით, ქათამ-კახურით და ცვრიანი მწვადით. ალბათ გაიგებდით, რომ აქა მაქვს ბინა...

- აქა გაქვს ბინა?... რა დასაჯერებელია!

- შადური აბა ცხოვრობს?... რა სათქმელია!

- დევგმირებო, ამირანებო! ნუთუ აქამდე არ მითქვამს თქვენთვის, რომ მე, შადურმა, საგოდებელზე გავიჩინე სადგური და რომ აქ არის ახლა ჩემი ტაძარი?

- ახირებულა!.. გაუგებარია!

- რის ტაძარი! რა საგოდებელი!

- პირყვითელამ ჯერ არ იცის ძველი ქართული. საგოდებელი ძველად სასაფლაოს ერქვა, ტაძარი კი სასახლეს. და ჩემი სასახლეც აი ეს არის: უზარმაზარი სევდის ბაღი, ათი ათასი მიცვალებულით დასახლებული. ხომ ხედავთ, რა დიდებული ამაღა მყოლია! დიახ, მეგობრებო, გთხოვთ დამიჯეროთ, ეს არის ჩემი შეუვალი სახელმწიფოც და სამყაროც, ჩემი უამრავი ლაშქარიც, ოჯახიც და ნა-თესავიც.

მეკითხებით, ამ გოდებისა და ურვის სამეფოში რა მოგიყვანაო? ეს მერე იყოს, ჯერჯერობით კი უძირო მადლობას გიძღვნი სტუმრად მობრძანებისათვის. ეხე-ხე! ნუ გეცინებათ, მეგობრებო. ჩემი სუფრა - აი ეს ბალახია, ჩემი დარბაზი - აი ეს ჩრდილი, სკამ-მაგიდა - საფლავის ქვები, ხოლო მზარეული, მწდე, მერიქიფე, ჭაშნაგირი, მეხარკე, მეჭურჭლე, მთავარსარდალი და სახლთუხუცესი - აი ეს შესაფლავე, ეს დარაჯი გახლავთ.

როგორც ვხედავ, ყველაფერი უჩემოდ მოგიხმარიათ და ძალიან კარგადაც მოქცეულხართ. მაშ მოილხინეთ, მეგობრებო, მოილხინეთ და სიცილყვირილით გაძეხით ამ საგოდებელზე, სადაც ორად ორი საათის სტუმარი ბრძანდებით, შემდეგ კი... ოდესმე კი საუკუნო მასპინძლად გადავიქცევით.

ალაგს ნუ მითმობთ. ნება მიბოძეთ გემსახუროთ... რაკი მაგრე დაგიჟინიათ, დავეგდები. ნუ, ხელით ნუ მაწვდით. გადმოყარეთ ეგ მოთალიც, მწვადიც და თევზიც.

რა სჯობია მწვანე სუფრას, მკვდრების ნასუნთქავს! ამ აბრეშუმთან შედარებით თეთრად განამებული ტილო ჭორია და მიქარვა. ვენაცვალე თქვენს მონაგონს! მიცვალებულის გასასხენებლად პანაშვიდს ისევ წარმართული ქელები სჯობია: მკვდარს გავაცოცხლებთ, მკვდრებით აღვადგენთ, მოგონებით შევმოსავთ, შუაში ჩავისვამთ, ხოტბის საკმეველს შევუბოლებთ, საუბარს გავუბამთ, გლახას გავაძღობთ, ჩვენც შევთვრებით, მერე მკვდრებს ისევ სამარეში ჩავაბრუნებთ და მგლოვიარეთა მადლიერები ისევ ჩვენს საქმეს დავუბრუნდებით.

დიდებული, მშვენიერი ადათია მკვდრის საფლავზე ქეიფი. შვილი მამის ქვაზე ავიდოდა და ხელადით, ბაღდადით, ზურნით და სიმღერით იცეკვებდა, სიკვდილს სიცოცხლით თრგუნავდა, მარადიულ არყოფნას წამიერი ყოფნით წიხლავდა, უზღურბლოს - ადლს ამჯობინებდა, უსაზღვროს

- ერთი წამი ერჩინა. ეხე-ხე! მაშ ყანწით დავიწყო? გინდათ დაგეწიოთ? მაშ მომისმინეთ, ყმა-წვილებო. სადღეგრძელოს მაგიერ ერთ ამბავს მოგახსენებთ: 1

ივლისის შუა ღღეა. გავარგარებული მზე ქალაქს აღმოდებულ მაჯლაჯუნასაკვით აწვება, თითქოს მის დადნობას ლამობდესო. ქუჩებს ცხელი ბუდი ასდის. გახურებული ჰაერი აღმურით არის გაჟღენთილი. და ეს უზარმაზარი სკა - ქვისა და აგურის სკა - ისე სუნთქავს, ისე ლაფავს სულს, თითქოს საზღაპრო ლოქო კვდებოდესო.

უკვე ერთი საათია მოვდივარ, უმიზნოდ მოვლასლასებ, თან გზადაგზა კედლებს ვეყულები და ჩემს თავს ვეკითხები:

„გივი შადურო, ნეტა რას დაბორილებ? ვის ეძებ, რა გინდა, საით მიეთრევი?“

მოდუნებული, თითქმის დამდნარი ტვინი პასუხს არ მაძლევს. აღარც მე ვაწუხებ და მოჭრანჩალებ, მხოლოდ ერთიღა მახსოვს, ერთი ფიქრიღა მაწუხებს: ვარ მინმე ტაბაკური, ლუტი, ამბოკარი, ცუდმაგალი და ძაბუნი, ესე იგი ლუმპენპროლეტარი, ბინალ აღარ მაქვს და სადმე რამ უნდა ვიშოვო.

მათხოვრები მავალებს კალთებს აგლეჯენ, ხოლო ოპერის წინ ერთი დედაშვილი ისე გულწამლებად, ისე გაბმით მღერის, რომ მათი ვალალი დიდ სასახლეშიც კი ისმის.

მეკურტნე ქურთ-იეზიდები ჩრდილის ნაფლეთში გაშხლართულან და ზანტად ყბუიან - ვითომ მღერიან. შური შემეპარა: ამათ სადმე სორო მაინც ექნებათ, მე კი...

„ჰა შადურო, აილაგმე თავი! თუ მათი ბელიც საშურველი გა-გიხდა, ჯობია ვერის ხიდზე გახვიდე“. - გავამხნევე ჩემი ავარა თავი და ფორხილით წამოვედი.

აქა-იქ ალაყაფის კარებში ძაღლები ქაქანებენ და ზოგჯერ სლაპუნით ბუზებს იჭერენ. ვინმე ნაცნობ შოფერს დავემებ, მაგრამ ალბათ იმათაც მობეზრებით ხრიალი და სადღაც შეპარულან.

გზაჯვარედინზე წითელ ბოძთან წითელქუდა მილიციელი დაურჭვიათ, მოტვლეპილ ქვაფენილს მოჭურტული თვალებით გასცქერის და საჩვენებელს ზოგჯერ უნდილად ატრიალებს.

გზა თითქმის უკაცურია. მარტო ტრამვაის ვაგონების წითელი ლარი დასრიალებს და ვატმანები ისე დაჟინებით აჟღარუნებენ საეკლესიო ზარებს, თითქოს ლიანდაგზე ათას ყრუს ეძინოს და მათ გაღვიძებას ლამობდნენო.

ასეთი ხეტიალით და ტანტალით გამოვედი გარეთუბანში და უცებ ჩემი თავი სასაფლაოზე აღმოვაჩინე.

ნაჭამი ვიყავი და არ მშოიდა, მაგრამ ჩემს პირშიც წყურვილის აღმური ტრიალებდა. ან ეს ცეცხლი უნდა ჩამექრო. ან ვილაცასთვის ახლად გათხრილ საფლავში ჩავწოლილიყავი.

მდგლოზე ბიჭებს მოვკარი თვალი. ტიკტორა მოეტანათ და ლიღინებდნენ. გვერდით გავუარე და გამარჯვება ვუთხარი. კურთხეული წესი გვაქვს

ქართველებს: გვერდზე ვერავინ გაგვივლის, რომ სუფრა არ დავალოცინოთ. „მობრძანდით!.. დაგვლოცეთ! ერთი ჯამი დალიეთ!“ - მიმიპატიჟეს. და იმ ჯამში ჩემი თავიც ხალვათად ჩაეტეოდა. თვალი ავაველე და მათი

შესაფერი მუშურ-გლეხური მოვახსენე:

- ეს ღმერთმა გააძლიეროს მუშის მკლავი, გლეხის ხარ-გუთანი, თქვენი ჩაქუჩი და ნამგალი, გაუმარჯოს ცის ნამს, მიწის ბარაკას, ცხვრის მადლს, მტრედის ძირონს, თქვენს ნახელავს, ხარის ქელს,

ვაჟკაცის მარჯვენას და დედაკაცის ნამუსს.

„აი თამადაც ასეთი უნდა!“ - შემაქეს და შუაში ჩამისვეს. უღვთოდ ვსვით. ორი ტიკი ჰქონდათ, ერთი მათგანი ჩემს ჩა-კეცილ

მუცელში გადმოიღვარა და მეც გამატიკჭორა.

ვიმღერეთ, ვიყვირეთ, ვიბღავლეთ და... მერე დილას ჩემი თავი ერთ საოცარ ოთახში ვიპოვე.

თვალი რომ გავახილე, თავდაპირველად უცნაური შუქი მეცა - შუქი ეკლესიური, წითელი, ლურჯი და ყვითელი. თეთრ კედელზე სვეტებად ჩამოქნილი. ქვეშ დავინხედე. ბალიშად თურმე ალერდი მიღვეს. საფლავის ქვა კი ლეიბად გამიხდია.

საუცხოო სარკოფაგი იყო, შავი ფინური მარცვედისაგან ნათალი, თეთრი ხალებით დაწინწკლული და წარწერილი: „არშაკ მინაევინ გირგილოვი... პირველი გილდის ვაჭარი. დაიბადა... გარდაიცვალა ჩყუთ წელსა დეკემბერსა 8 თვესა“.

გამოვიხედე. ოღნავ ნაწვიმარი იყო. ბუჩქებზე, ბალახზე, ყვავილებზე და უამრავ ძეგლებზედაც ნამი კრიალებს. ირგვლივ ყიჟინი, ჟღურტული და სიხარული დგას. ქალაქის მტკერი, ჟღარუნი და ბული რომ გამახსენდა, იქვე ჩამოვჯექი და ვთქვე:

„აბა, შადურო, სამოთხეში ხარ და აქედან ფეხი აღარ მოიცვალო“. თანაც ჩემს თავს ვკითხვე: „რა ვქნა, ამ აკლდამაში ნეტა ვინ მომიყვანა?“

მალე დარაჯი გამოჩნდა და მომამახა:

- გამარჯობა, ძმობილო!

- გაგიმარჯოს, გენაცვალოს ჩემი თავი. ერთი მითხარი, შენი ჭირი მე, ამ აკლდამაში შენ ხომ არ დამაძინე?

- მა ვინ დაგაძინებდა? მომეწონე და მოგიყვანე.

- აგაშენოს ჩემმა გამჩენმა. შენი სახელი?

- რაჟდენი მქვია.

- მაშე ყური მიგდე, ჩემო რაჟდენ. არ შეიძლება აქ სადმე ბინა გავიჩინო?

- სად? - და ღიმილით ამათვალიერა.

- აი თუნდაც ამ აკლდამაში.

- აბა რა ვიცი... მაგის პატრონი არსად მოჩანს... კაი კაცი მგონიხარ, მაგრამ...

ამ „კაი კაცს“ დავეჭიდე და ჩემს რაჟდენს მალე დავუმტკიცე, რომ მართლა კაი კაცი ვიყავი, და თითონაც დამიმტკიცა, რომ ჩემზე ათჯერ უკეთესი იყო.

ათიოდე წუთის შემდეგ იმის პატარა აივანზე ვისხედით და დილის ჩაის გეახლებოდით. ცოლ-ქმარს ამბები ვუამბე, შვილები გავუცინე და

ყველანი დაგატყვევე. ორი საათის შემდეგ რაჟდენი ჩემს ძმას ჰგავდა, მისი ცოლი ფეფოდას, ხოლო შვილებს ღვიძლ ბიძად მივაჩნდი. მივდექ-მოვდექით, წავიჩურჩულეთ, ერთმანეთს მხარი მივეცით და გავიტანეთ: საღამოჟამზე ჩემს ახალ შენაძენში დავსახლდი და ამ სასაფლაოს ბინადრად გადავიქეცი.

რაჟდენი მზის ჩასვლამდე თავის მრევლს მაჩვენებდა: ქვიდან ქვაზე გადავყავდი და მიამბობდა:

- აქ მარხია გენერალ-მაიორი, ყარსთან მოკლეს. აქ კი - თავადი ამილახორი. სამოცდა ცხრა წლისა გარდაიცვალა... ეს ახალგაზრდა ქალი ჭლექით მოკვდა... ანგელოზს ჰგავდა. ახლა აღარავინ პატრონობს... აი ეს ვაჟი ქორწილში მოკლეს.

და ასი მკვდრის ბიოგრაფია მაინც მიამბო: ვინ ვინ იყო, რა შეძლება ჰქონდა, რა ხნის, როდის და როგორ გარდაიცვალა, ჭირისუფლად ვინ დარჩა, როგორ დაასაფლავეს, რამდენი დახარჯეს და რომელ საფლავს როგორ უკლიან.

და ბოლოს მანუგეშა:

- ეს ერთი ხანია ხალხი ბლომად იხოცება. საფლავების მოვლას ვეღარ ვასწრებთ. თუ მოგვეშველები, ორიოდ გროშს შენც იშოვი.

მეც ეს მინდოდა.

ჩემი ბარგი ქალაქიდან ზურგით ამოვიტანე და აკლდამაში გავშალე.

მარცვედის ქვა დღისით მაგიდობას ასრულებდა, ღამით კი ტახტობდა.

იმ ღამეს ბავშვებმა დაწოლა ორი საათით დაიგვიანეს. პატარა აივანზე დიდხანს ვისხედით და ვსაუბრობდით. ფეფო მოხიბლულ ნიბლიასავით მობუზულიყო. რაჟდენიც მოჯადოებულს

ჰგავდა. მე თვითონაც კი მომწონდა ჩემი ნაუბარი და ყველანი მაღლიერები ვიყავით: მათ ნაკალ-
ნაცადი მთხრობელი იშოვეს, მე კი მშველელი და გულშემატკივარი ვიპოვე.

მამლებმა რომ პირველად იყვილეს, ძილი-ნებისა ვუსურვე და ახალ
ბინისკენ წავედი. მიბნედილი მთვარე სადღაც შორს მთაზე ჩამომჯდარა.

ქალაქი ათი ათას მოჭუტული თვალთ ციმციმებს, თხელი ნისლით სუნთქავს და ოდნავ
გასაგები ოხვრით ოხრავს, რომელიც უფრო გულით იგრძნობის, ვიდრე სმენით გაიგების.

აქ კი, სასაფლაოზე, ყრუ-მუნჯი სიჩუმეა და ეს ღუმილი - მართლა სამარისებური ღუმილი -
ალგეთისა და მარცვედის ლოდებზე უფრო მძიმე, ცივი და ჩუმი.

იქ, იმ ქვეყნად, ქვისა და აგურის ოცი ათას კოლოფში, სამასი ათასი ცოცხალი განაპირებულა,
ცალკე დაბანაკებულია, და აი ახლაც, ამ შუადამესაც კი, სიცოცხლე მძლავრად ჩაუბლუჯიათ,
ჩაუხუტებიან და მას ხარბად სვამენ, ჭამენ და სუნთქავენ - ძილშიც, ცხადშიც და სიზმარშიც,
აქ კი, გამოდმა, მარადიული ძილით სძინავთ და იმ მიწაზე და ქვებზე უფრო მეტად მკვდრები
არიან, რომელნიც ასე უხვად დაუყრიან და მიუეკვრიან გულმკერდზე...

გულმკერდზე-მეთქი! ყველანი გაღმით მოვიდნენ, უფრო კი მოათრიეს, და სანამ აქ იყვნენ,
ესენიც სიამით ფეთქავდნენ, ჩვენსავით იტანჯებოდნენ. ამათაც უყვარდათ და სძულდათ. ესენიც
ვარსკვლავებს ეტანებოდნენ, მთვარეზე აფრენას ლამობდნენ, ხან უძილო სიტკბოებით
იხრჩობოდნენ, ხან კიდევ თავიანთ გაჩენის დღეს წყევლიდნენ.

იცხოვრეს და ყველაფერი ნახეს, ყველაფერი სცადეს: ბრძოლის ყიჟინაც და გამარჯვების
სიხარულიც, სიღატაკის სიმძიმეც და დამარცხების სიმწვავეც, სიყვარულის ცეცხლიც და
ღალატის სიავიც, სიხარულის ჟრჟოლაც და კაემნის ყინულიც. ყველაფერი იწვნიეს, იგემეს და
შემდეგ ზესენელსა თუ ქვესენელში შთაინთქნენ, თანაც ყოველივე მიწიერი ისევ მიწაში ჩაიტანეს.

ყოველივე ამას იყო და მხოლოდ ამას: ჩვენი გაჩენაც, წუთიერი სიყვარულიც, წამიერი
ვარამიც და არარა იყო და არცა არის რაიმე ამ ქვეყნად, არცა იმ ქვეყნად, გარდა პირდაღებული,
შავი, უძირო, უსახლვრო და მარადიული არარაობისა.

საიდანღაც მოვალთ, ერთხელ ძლივს ამოვისუნთქავთ და ისევ ბნელ უკუნეთში ვიკარგებით.
და ყველაზე საზარელი ის არის, რომ არავინ არ იცის, და ვერც ოდესმე გაიგებს-მეთქი! - საიდან
მოვიდვართ, ვის მოვყავართ და სად მივყავართ? საიდან, სად, ვის, რატომ და რისთვის?
შპტწყფიშქტ!... არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ვაჰ მე! ვუი ჩვენ! ქელი მოიდრიკე, გულზვიადო
უბადრუკებაჟ! პირქვე დაემხე, გივი შადურო! დაემხე და შენი არარაობა გამოიტირე.

მეგობრებო, ამ ქვეყნად ყოველივე საფლავის არჩევით და შავი მწუხრით თავდება. მეც
წინდაწინვე ავირჩიე. მალე მოგიკვდებათ გივი შადური, მალე გადასახლდება იმ შავეთში, სადაც
არა არს არც ჭმუნვა, არცა ურვა, არამედ არარაობა დაუსრულებელი.

რა თქმა უნდა, მტრედები ჩემზე შავებს არ ჩაიცვამენ და არც არწივი ჩამომივა მყინვარიდან
ზარის სათქმელად. მარტო თქვენ მეგულებით ჭირისუფლებად, მარტო თქვენ უნდა დამიხუჭოთ
ეს თვალები, მარტო თქვენ უნდა ჩამაგლოთ ბნელ ორმოში და მხოლოდ თქვენ მომაყაროთ ეს
მიწა მბრონცხებულს.

რომ მოკვდები, მუხის ფიცრულში ჩამჭედეთ, კუბო ქართულ საძნე ურემზე დადეთ და ცხრა
ულელი ნასუქ-ნაპოხი დევ-კამეჩი შემბით - ცხრა ულელი-მეთქი, რადგან ჩემოდენა არარაობას
ცხრა ულელზე ნაკლები ვერ გაათრევს. იაპონიის იმპერატორს შავი მოზრები მიასვენებენ
ხოლმე. მე კი შავი კამეჩებით წამათრიეთ. დამასაფლავეთ ეპოქალურად: ზურნით, თარით,
ღულუკით და შოპენის

მარშით. ზედ ერთი ქვა დამადეთ და წააწერეთ: „გივი შადური - ავარა - ძმუტ ტშრმდ -
არაფერი“. ასეთი წარწერა ჩემისთანა არარაობაზე ზედგამოჭრილი იქნება, რადგან ეპიტაფია
კივილია არარაობისა, წყურვილის მარადიულობისათვის, ნაპოლეონის საფლავს კი ერთი სიტყვაც
არ აწერია.

სევდით და ავი მწუხრით გაჟღენთილი ვიჯექი ვიდაცის საფლავზე და, იმ ლოდით
გაყურებული, ჩემს გულში შემოპარულ მძვინვარე კაემანს ვებრძოდი, რომელმაც ხელი დამრია
და დამიმორჩილა.

მალე ავდექი, ისევ ჩემს აკლდამას მივაშურე და, გულთანადარი, გრილ მარცვედზე გავიშოტე.
უარესი დამემართა, შხამიანი აზრები ამედევნა და თან შემომეყვა. ირგვლივ მომისხდნენ,
გულმკერდზე დამაწვნენ, გასივდნენ, მეც ნადუმართ გამასიეს და პაწაწინა აკლდამაც გატენეს.
ჯერ ვიგერიებდი, ვებრძოდი, მაგრამ ნალოსავით ამითრიეს და უღვთოდ დამჯიჯგნეს. მათ სიავეს
რომ ვეღარ გაუძელი, ძველი ნაბადი მოვისხი და ისევ გარეთ გამოვედი.

მეგობრებო, ცრუმორწმუნე არა ვარ და არც ლანდისა მჯერა, არც მოჩვენებისა, არც
მოხეტიალე სულისა, მაგრამ მუხლებში მაინც ჟრჟოლა მისრიალებდა და თმა ყალყზე მქონდა
შემდგარი.

ჩემი თავი ღობეზე ძლივს გადმოვართი და იქვე მოღზე მივწევი. მალე დაგმზვიდდი, რადგან ისევ ამ ქვეყანაში ვიყავი, ხოლო წე-
ღანდელი უქმური სასაფლაოს კედელს ვეღარ გადმოსცდა. მკვდრების ქვეყანას მალე შევეჩვიე
(გეცოდინებათ, რა ძალა აქვს
შეგუებას) და მეორე დღიდანვე ახალ საქმეს შევუდექი.

ჯერ მესაფლავეებს ვშველოდი, რაჟღერსაც ვეხმარებოდი. მერე კი უფრო სუფთა საქმე
გავიჩინე.

ნასადილევს ზედიზედ მოაქვთ მიცვალებულები. სწრაფი ნაბიჯით მიიტანენ საუკუნო
ორმოსთან, დადგამენ და შემოეხვევიან. რადგან პანაშვიდები და წესის აგება გაუქმდა, აქ ყოფნის
უკანასკნელი წუთებიც შემოკლდა. კუბოს რომ დასწვდებიან, ჰაერს ჭირისუფალთა კივილი და
ბლავილი შეანძრევს ხოლმე, რომელსაც კუბოზე მინაყარი მიწის რახარუნი ერთვის. ხუთი წამის
შემდეგ საფლავი საგსეა, ხოლო სასომიხდილი ჭირისუფლები ლასლასით და სლუკუნით მიდიან
- უფრო კი მიჰყავთ, ზოგჯერ კი ხელითაც მიაქვთ.

მეც იქვე ვტრიალებ, ჭირისუფალთა ვინაობას ვიძიებ და მათ
მისამართს უბის წიგნაკში ვიწერ.

„ქალბატონო (ან ბატონო), - ვეუბნები მეორე დღეს ახალ ქვრივს ან ობოლს. - საშინელი
უბედურება გეწვიათ. მონაწილე ვარ თქვენი
უბედურებისა. რა თქმა უნდა, საფლავს მომვლელი სჭირდება.“

„დიახ, დიახ, სჭირდება.“

„მე გივი შადური გახლავართ. აქვე ვცხოვრობ და ყველაფერში დაგეხმარებით: მოაჯირი, ქვა,
ყვავილების დარგვა, მორწყვა და მოსუფთავება. გამომიყენეთ, ბატონო ჩემო“.

და იმ დღიდანვე „ბატონი-ჩემის“ მაგიერ თითქმის მუდამ გა-
მოყენებული ვარ. ზეპირად ვიცი, ვის რამდენი შეუძლია და როგორი გემოვნება აქვს.

ყველაზე ბუნწი და ქარაფშუტა ახალგაზრდა ობოლია. მშობელს მოგვივლებს და დაიკარგება.

ყველაზე მძვინვარე ახალგაზრდა ქვრივი დედაკაცია, მაგრამ მისი ვარამი მის ცხვირზედ
უმოკლესია. ამ ქვრივებზე ვილაცამ შხამიანი ამბავი გაავრცელა.

თურმე ერთი ფილოსოფოსი სასაფლაოზე გავიდა. ქვაზე ჩამოჯდა და ქვეყნის ამაოებაზე
დაიწყო ფიქრი. უცებ ახლადმიყრილ მიწას მოჰკრა თვალი. ზედ კეკლუცი ქვრივი იჯდა და
ნესტიან საფლავს მარაოს უქნევდა.

ფილოსოფოსი გაოცდა. შორიანხლოს მოახლე იღვა. მივიდა და ჰკითხა:

„თქვენ ამ ქვრივის მოახლე ხომ არ ბრძანდებით?“

„დიახ, მოახლე გახლავართ“.

„გამაგებინეთ, თქვენი ჭირიმი, რას ჩადის თქვენი ქალბატონი?“

„წუხელის ქმარი მოუკვდა და ანდერძად ორი რამ დაუტოვა: პირველი: მზის ჩასვლამდე
დამასაფლავეო“.

„ახლა ხომ დილაა! - მიუგო ფილოსოფოსმა. - სადამომდე მაინც რატომ არ მოიცადა?“

„ნუ ჩქარობთ, ახლავე გაიგებთ. და მეორე: სანამ საფლავზე მიწა გაშრებოდეს, ნუ
მიღალატებო“.

„ვერ გავიგე“.

„იქით გაიხედეთ და გაიგებთ“.

გავიხედე და გავიგე: ბუჩქებს ახალგაზრდა ვაჟი ამოჰფარებოდა და
ქვრივს უცდიდა, ქვრივი კი მზეს მიწის გაშრობაში მარათი შველოდა.

„ახლავე გამითხარეთ ერთი საფლავი!“ - უბრძანა ფილოსოფოსმა მესაფლავეს და ერთი საათის
შემდეგ შიგ ჩაწვა და ყელი გამოიჭრა.

ნუ იცინით, ყმაწვილებო. მამაკაციც ასევე იქცევა. ჭაბუკი ხნიერზე
მუდამ უფრო გულმავიწყია და ვარამს მასზე ადვილად ინელებს.

მარტო დედაა შესაბრაღისი, ნამეტნავად კი - ხნიერი. ლამის სასა-
ფლაოზე გადმოსახლდეს. ერთი გული რომ ცოცხლებთან რჩება, მეორეს სამარეში აყოლებს და
შვილის საფლავს სიკვდილამდე დასტრიალებს. და მეც უფრო ეს მუშტარი მირჩენია, რადგან
გულუხვია და საიმედო.

მცირე ხნის შემდეგ ერთი ახალი ხელობაც შევიძინე - „სასაფლაოს
პოეტიკას“ მივაგენი და ეპიტაფისტად გადავიქეცი.

ერთხელ, სადამოჟამს ერთი ცხედარი კიდევ შემოასვენეს. მეცხრე თუ მეათე იყო იმ დღეს.
ჭირისუფალი - გაშეშებული დედა - კარიბჭეში კუბოს მოეჭიდა და აღარ უშვებდა. თან
მიხრწნილი ხმით შესაზარად გაჰკიოდა:

„შვილო, არ შეხვიდე! აღარ გამოგიყვანებენ! დამიჯერე, ოთარ, არ შეხვიდე, თორემ აქ დაგტოვებენ“.

განძვინებულ დედაკაცს კუბო ძლივს გამოგლიჯეს და ზევით წამოიღეს. უსასო დედას ილღობებში შეუსხდნენ და წამოიყვანეს, უფრო კი - ისიც წამოიღეს.

მეც ავედევნე და იქვე საფლავის გვერდით ბექობზე შევდექი. კუბო დაასვენეს და სახურავი ახადეს. დავხედე და გული ამიტოკდა. შიგ ოციოდე წლის ჭაბუკი ესვენა - გრძელი, ბეჭგაშლილი და დიდსახოვანი. ტუჩები ღრმად ჩაეკუმა, არწივური ცხვირი შეთხელებოდა, განიერსა და ამოხნექილ კვინიხზე მეტად ხშირი და შავი წარბები ხშირი დალალივით ჰქონდა გაბმული, ხოლო სუფთა საფეთქელზე ერთი ხალი ეჯდა, საბედისწერო ხალი, ტყვიის მიერ შენგრეული სარკმელი, საიდანაც სიკვდილი ასე ნაადრევად შევარდნილიყო.

მრავალზე უმრავლესი მკვდარი მენახა, მაგრამ იმ ჭაბუკივით არც ერთს არ მიუჭყდივარ. რატომ? რისთვის? რა ჰქონდა საამისო? არ ვიცი

- შატწივით! ჩაციებით დავცქეროდი, ყველა კუნთს ვსინჯავდი, რაღაცას ვებრძოდი, იღუმალ რამეს ვივინებდი, მაგრამ ვერაფერს მივაგენი და თვალი დედაზე გადავიტანე.

იგი მომაკვდავს ჰგავდა და მეგონა, ესეც დასამარხი გაგვიხდება-მეთქი. იმდენად დაღმეჭილი სახე ჰქონდა წამებისგან, რომ მისი გარკვევა და დახსომება თითქმის შეუძლებელი იყო. არცა ვცდილვარ. ორი რამე მაინც ჩამეჭედა: ვეება შავი თვალები - მძვინვარე დარდის უაზრო თვალები და ვერცხლნარევი თმა - გაწეწილი და გრძელი, მაგრამ უკვე შეთხელებული, თმა ორმოცს გადაცილებულ დედაკაცისა, რომელსაც ხნოვანებასთან ერთად სევდა, ზრუნვა და დაუდევრობაც ემატება. გუნება ამერია, არ კი ვიცი, რატომ. საფლავების ხეივანს დავეყვი და ურვისა და ვალაღის გაბმული ზარი შორითლა მომესმა, ისეთი ზარი, რომელიც მარტო საგიჟეთიდან გამოდის ხოლმე.

ცხადი იყო, კუბო ჩაუშვეს და მიწას აყრიდნენ. შორიდან მოვკარი თვალი. მგლოვიარე ხელით მოჰქონდათ. აღარ ჰკიოდა, ილაჯგამოლოებული იყო, ხელებსდა ასავსავებდა, პირით ჰაერს ძლივსდა იჭერდა და თავის შვილივით სლუკუნებდა, როცა ის ოთხი წლისა იყო და სასჯელად ტკბილეულს აღარ მისცემდნენ ხოლმე.

კარბიჭესთან ეტლში ჩადეს და წაიყვანეს. მე კი გაოცებული დავრჩი: რამ ამაფორიაქა? რა მოხდა? ვინ იყო? რატომ მისამართი არ ვთხოვე ყვავილების დასარგავად და ეპიტაფიის შესადგენად? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

იმ საღამოს რაჟდენის შვილებს ზღაპარი ვეღარ ვუამბე და გამებუტნენ. სოფომ სამჯერ დამიბარა, მაგრამ აღარც ჩაის გუნებაზე ვიყავი. სევდა მომაწვა, გამიტაცა და მეც ავეყვი. ასე ვიბორიალე შუალამედე და მკვდრებს ძილი დავუფანტე.

ჩემს აკლდამაში რომ დავბრუნდი, უნებურად კედელს ავაყოლე თვალი და იქ ნაკიდი ჩემი სურათი შევათვალიერე. და შევკრთი, მხოლოდ ერთი წამით შევკრთი: იმ ჭაბუკის სურათი ოციოდე სხვა სურათის შუა ეკიდა. იგივე თხელი ტუჩები, იგივე არწივური ცხვირი, იგივე ამოხნექილი კვინიხი, და ზედ ხშირი წარბების შეუწყვეტელი ლარი. შევკრთი და ის კრთომა უმაღვე სიცილის ამონახეთქში ჩავიხრჩე. რა სულელი ვარ! რა გიჟი ვარ! როგორ გავტუტუტებულვარ!

და იმ დღიდან რაღაც იღუმალი კვიმატი ისევე ჩამეთესლა, როგორც მე არშაკ გირგიდოვის აკლდამაში ჩავესახლე.

საკვირველია, როგორ ეჭიდება ადამიანი მკვდარ მეგობარს, ნათესავს, მახლობელს! რომ სიცოცხლეშიც ამდენივე ეზრუნათ მათთვის, ადამიანი უფრო მეტ ხანს იცოცხლებდა.

ვიდრე მოკვდა, წავიდა, სამუდამოდ გაქრა და უცებ მისი ცოლი, შვილები, ქმარი, დედ-მამა, ყოველი ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი და ზოგჯერ მილიონი უცნობიც გააფთრებით აედევნება, ნისლს აეკიდება, ლანდს, ხსოვნას, მოგონებას ებლაუჭება და ზოგჯერ მრავალ წელიწადს, ზოგჯერ კი მრავალ საუკუნესაც იმ ლანდით ცხოვრობს და თვითონ იმასაც თავის გულში აცხოვრებს.

მეგობრებო, აქ რაღაც იღუმალი, შეუცნობელი, მარად მიუგნებელი რამ იმალება, და ყველას ვურჩევ, ვისაც ძალა ერჩის, ეს საიდუმლოება გაგვიხსნას, თუმცა ახლავე გეტყვი: სიტყვა უძღურია და ასეთ დევურ საქმეს ვერასოდეს ვერ მოერევა. მაინც თქვენი კალმის ძალა-უძალობა ერთხელ კიდევ სცადეთ და თქვენი ამირანული მოქნევა ერთხელ კიდევ გვაჩვენეთ.

ჭირისუფალს წყურვილი ახრჩობს, როგორმე მკვდრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დაიბას, ჩაიბეჭდოს. მშვიერი დარჩება, მაგრამ საფლავის ქვას იყიდის. აღარ ჩაიცვამს, ოღონდ იმ საფლავს ყვაილები ჩააცვას. უკანასკნელს გაჰყიდის, ოღონდ ძეგლი უყიდოს. იქაურობა ცრემლით მორწყას და თავის თავთან ერთად სხვებიც აატიროს. ჭირისუფლები ამ უძლეველი გრძნობით ცხოვრობენ და უკანასკნელ დროს მეც ამით მაცხოვრებენ.

მკვდრების პოეტად გადავიქეცი-მეთქი, და დღეს მეც ისევე საჭირო ვარ, როგორც ერთ დროს დაქირავებული მოზარე იყო საჭირო.

სანამ ამ საქმეს ხელს მოვკიდებდი, სასაფლაო დავიარე და წარწერების კილო და ხერხი შევისწავლე.

აღარ იწერება „ჩყკ... წელსა“, იშვიათად - „აქა განისვენებს“, ან „გამვლელი, შენდობა მითხარი“.

ყარაჩოლელთა და კინტოების ოხუნჯური უხეში ეპიტაფიაც მოკვდა. აღარავინ დაწერს: „ასი კვერცხი შაურად მიყიდნია, კოდი პური - შვიდ შაურად, ცოლ-შვილი ასე შემიწინა, და ვინც ჩემს შემდეგ ცხოვრება მოახერხოს, კაცობაც იმან დაიკვეხნოს“.

ოღონდაც, დავიკვეხნებთ! ას კვერცხში შაურის ნაცვლად რვა მანეთს ვაძლევთ და ცოლ-შვილსაც ვინახავთ.

მეგობრებო, ეპიტაფისტი მაინც კვდება. ფერადოვან სიტყვას ფასი დაეკარგა, მსუქანსა და ნახ გამოთქმას ყველა ერიდება. ახლა ყაზარმული მარტივობა დამკვიდრდა. ქვაზე ან თუნუქის ფირფიტაზე უბრალოდ აწერენ: „ვანო ჩიკორაძე“, ან „პეტრე ჭიპაძე“ და ორ თარიღს ჩანიშნავენ: დაბადებისა და სიკვდილისა, გეგონებათ, ვაჟა ფშაველა, ილია ჭავჭავაძე ან აკაკი წერეთელიაო. და მალე ისეთი დროც მოვა, როცა საფლავზე ასეთ წარწერას დაიპოვით: „ადამიანი №1-3-7-84“.

აღარც გვარი, აღარც სახელი, არც სქესი და არცა თარიღი.

ჭირისუფლების გარჩევაც მალე შევისწავლე:

- ბატონო ჩემო, - ვუბნები ხოლმე, - ალბათ დროებითი წარწერა დაგჭირდებათ თუნუქზე.

- დიას, თუნუქზე.

სახელს, გვარს, თარიღს ჩავიწერდი და - ვკითხავდი:

- მეტი არაფერი?

- მეტი არაფერი.

- თუ გნებავთ, ეპიტაფიას ქვისთვისაც დაგიმზადებთ, ან პროზით ან ლექსით.

- არა, არა. ახლა მოდაში აღარ არის.

სურვილი მომივლიდა ხოლმე, ერთი ჩამეფარებინა მისთვის „მოდაში“,

მაგრამ...

- დამიზადეთ. - მეტყოდა ვინმე მდაბიო, რომელსაც „მოდის“ კლანჭები ჯერჯერობით აცდენილი ჰქონდა.

- მაშ მიაბებთ რამე.

მიუუჯღლები, ან მოვისვამ და მკვდრის ამბავს გამოვკითხავ. თითქმის ყველანი ასე იწყებენ: „იყო და არა იყო რა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დედაკაცი. ამ დედაკაცმა „ჰშვა აბრამ. აბრამ ჰშვა ისააკ. ისააკ ჰშვა იაკობ. იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნი“. მთხრობელს კალაპოტში ძლივს ჩაგვქედავდი ხოლმე და ბოლოს სიტყვის ზღვიდან ერთი იოტილა მრჩებოდა: დაიბადა, იტანჯებოდა, უყვარდა, მოკვდა.

და მკვდრების ამბებიც ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც აი ამ ხის ფოთლები.

ამ ქვეყნად კაცი არ მეგულება, რომ მის ცხოვრებაზე მსოფლიო რომანი არ დაიწერებოდეს, რადგან შედეგებს მასალა კი არა ჰქმნის, არამედ ნიჭი, ეპიტაფისტი კი ამ საქმეში მხოლოდ მეცამეტე გოჭვივით იცქირება. მალე გავიგე ჩემს მუშტარს რა საქონელი უნდოდა და უმაღლვე ავაგსე ჩემი დუქანი: სამ დღეში ოთხი დიდი სასაფლაო მოვირბინე და ერთი რვეული ყოველნაირი წარწერით ავივსე. ამის შემდეგ ვაჭრობას ორ წუთში ვათავებდით ხოლმე:

- ქალბატონო (ან ბატონო), აირჩიეთ, რომელი გნებავთ? - ვკითხები ჭირისუფალს და რამდენიმენაირ საქონელს ვუჩვენებ, ეპიტაფიას ზეპირად ვუბნები. წარწერა მუდამ ან მკვდარს მიმართავს, ან მკვდარი მიმართავს თავის თავს, ან ცოცხლებს, „გამვლელს“, ან თვითონ ქვა ელაპარაკება მის ქვეშ მდებარეს, ან ისევე ცოცხლებს:

- „მე ჩავედი, შენ მოდიხარ“. - ასეთი წარწერა მოუხდება, ქალბატონო (ან ბატონო) - ვუბნები. - დიას, ძალიან კარგია.

ან კიდევ: - „მე უკვე შინა ვარ, შენ კი ჯერ სტუმრად ბრძანდები და მალე შენც დაბრუნდები“.

- მშვენიერია.

- აი ერთიც: „მოველი ვიცხოვრე, ვიგემე, ვნახე, გავიგე და წავედი“. - საუცხოოა!

და მოდის თითო მანეთი, ზოგჯერ ორი და ზოგჯერ სამიც. ერთმა ხუთი მანეთიც კი გაიმეტა.

4

მეორე დილას, ჩემი აკლდამიდან რომ გამოვედი, შორიდანვე იმ ვაჟის საფლავს მოვკარი თვალი. დედა ფრთამოტეხილ ყორანივით ეგლო ზედ და მომაკვდავ ძუ-ვეფხვივით ჰყმუოდა.

დიდხანს ვსვამდი ჩაის რაჟდენის აივანზე. ცხელი დილა იყო და გამოსვლა მეზარებოდა, თანაც იქით რაღაც იდუმალი ძალა მეწეოდა, იქით, ბექობისკენ, ახალ საფლავისკენ, შავი დედისკენ.

მუშტარს არ ვემბდი, არა, სხვა რამ მიხმობდა, სხვა რამ ჯაღო მიზიდავდა.

ავდექი და ისე წავედი, თითქოს ჩემთვის სხვისი ფეხები მოებათ. დაჭრილი დედა აღარ ღმუოდა, არც ტიროდა. მუხლისთავებზე იჯდა, თითები ერთმანეთში ჩაეხლართა და საფლავს სევდიანი საყვედურით დაჰყურებდა.

ფეხაკრეფით მივედი, გვირგვინების ბაფთები შევასწორე და წარწერას დავხედე: „ჩემს ერთას ოთარს. შენი ხელით მოკლული დედა - მარიტა“.

დავიჩოქე და ყვავილებს სწორება დავუწყე, თან დედას თვალი ავაველე. გუშინდელი გაწეწილ-დაღმეჭილი დედაკაცი დღეს ძლივსლა ვიცანი, გულმოდგინედ დავარცხნილი თმა, ახალთახალი, სადა შავი კაბა და სუფთა, სავსე, მკაცრი, თითქმის გაყინული პირსახე. დიდრონი და შავი თვალები ჩემს ხელებს გამოაყოლა. ერთხელ ამაველო თვალი და ისევ გაიყინა.

მინდოდა საუბარი „დილა მშვიდობით“ დამეწყო, მაგრამ უხეშობად მომეჩვენა. კარგა ხანს ვდუმდით. მერე ყვავილებს ჩავჩურჩულე:

-ამ საფლავს მე მოვუვლი... ქალბატონო. დედა ღუმს.

-ყვავილებს დავრგავ... ისევ ღუმილი. - მოვრწყავ...

არც შერხევა, არც ერთი სიტყვა.

-ხელოსნები გვყავს... და მისი ოხვრა ძლივს გავიგე.

-ჩემი ბიჭიკო...

-რკინის მოაჯირს გააკეთებენ...

-ჩემი ბიჭიკო...

-გარშემო ბზას ან ევონიძუსს დავრგავ...

-ჩემი ბიჭიკო...

-აი აქ საგაზაფხულო ყვავილებს დავთესავ. შემოდგომაზე ქრიზანტემათი და გიორგინებით შევცვლით.

-ჩემი ბიჭიკო! ჩემი ოთარი!

-ამ კუთხეში დაწულ სკამს დავდგამ... იქ სურათს ჩამოკვიდებ და... ღამდამობით ფარანს დავუნთებ.

თითქოს ახლალა დამინახაო: მაღლიერი თვალები შემომანათა, სახე ოდნავ გაიშალა და ჩემს სიტყვებს ორივე ხელით მოეჭიდა:

-ღიახ, ღიახ... დაწული სკამი... მე და ოთარი ზედ დავსხდებით ხოლმე... სურათიც თვალწინ მექნება... ფარანიც დაუდგით, უეჭველად დაუდგით... ბნელ ღამეს გაუნათებს.

-ღიახ, ქალბატონო, ყველაფერს გავაკეთებინებ... და სანამ ქვას დავადებდეთ, დროებითი წარწერაც დასჭირდება. - ღიახ, ბატონო, უეჭველად დასჭირდება. უბის წიგნაკი ამოვიღე და

-რა დავაწერო? ოთარ... ოთარ...

-ოთარ ახატნელი.

ცნობილი გვარია, მაგრამ მან ჩემს ხსოვნაში არაფერიც არ გა-

მოიწვია: არ მინახავს, არ შემხვედრია. დაბადებისა და სიკვდილის თარიღიც ჩავიწერე და -

-თუ გნებავთ ეპიტაფიასაც მოვიგონებ... ქვასაც გიშოვით.

-დიდი მაღლობელი ვიქნები.

-ახლა კი შინ წაბრძანდით, ქალბატონო. მარტო მკვდარს ნუ გადაეგებით, ცოცხლებსაც უპატრონეთ.

-მე ცოცხალი აღარავინ დამრჩა. - ჩაისლუკუნა.

„ჩემს ერთას“ - გამახსენდა გვირგვინის წარწერა და -

-ქმარს მაინც მიხედეთ. - ვუთხარი.

და უმაღვე ენა მოვიკვნიტე: ვაჟს რომ მამა ჰყოლოდა, დასაფლავებას

დაესწრებოდა. დავინახავდი.

არა მითხრა-რა. მხოლოდ ამომხედა და წამოდგა.

- წამობრძანდით, ქალბატონო, წამობრძანდით, მახლობელი თუ არავინა გყავთ, თქვენს თავს მაინც გაუფრთხილდით. ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით და ღიღი გზა გაქვთ გასავლელი. მხრები შეიშმუშნა და -

- ვისთვის რაღა საჭირო ვარ? - ამოიკვნესა.

წამოდგა, მადლობა მითხრა და წავიდა. წელან ფრთამოტეხილ ყორნად მომეჩვენა, ახლა კი მწვანე ბალში მომავალ შავ ფარშევანგს ჰგავდა. მაღალი იყო და ღიზი რხევით, ამპარტავნული იერით მიდიოდა. სანამ საგოლებელიდან არ გავიდა, თვალი ველარ მოვწყვიტე.

მერე დავბრუნდი და მუშაობას შევუდექი. ისე ვუვლიდი იმ საფლავს, თითქო ჩემი შვილისა ყოფილიყო. საღამოზე კი, აკლდამაში რომ შევედი, ისევ იმ სურათს ავაკვლე თვალი და გავხევი.

„სისულელეა! სიგიჟეა! - გავიფიქრე. - ქვეყანაზე ათასი უცნაურობა ხდება. ეს კი ათას პირველია, მორჩა და გათავდა“. დიახ, მორჩა და გათავდა.

5

მაგრამ არც მორჩა და არც გათავდა. მხოლოდ ახლავს დაიწყო. დროებითი საფლავი მზად არის: ზედ - აგურის ხრეში. ირგვლივ - ყვავილები. გარშემო - შეღებილი მესერი. კუთხეში - კვიპაროსი. მის ძირში - დაწნული სკამი. იქვე პაწაწინა ფარანი და ჩარჩოში ჩასმული სურათი... იქ, აკლდამაში რომ ჰკიდია. ან მისი უებარი პირი.

რა ბედენაა, რომ ჩემი სურათი ოცდაათი წლის წინათ არის გადაღებული, ეს კი - მხოლოდ შარშან! დიახ, შარშან!

რა ბედენაა, რომ იმ ვაჟს უწინდელი სტუდენტის ფორმა აცვია, ამას კი ჩვეულებრივი ევროპული! საქმე ის არის, რომ ორივენი ოციოდე წლის ჭაბუკები და ნამდვილი ორადები არიან. ორივეს თხელი ტუჩები აქვთ, არწივური ცხვირები, ამოხნილი კვინიხები, ზედ ხშირი და მთლიანი ლარივით გადაბმული წარბები და დანარჩენი: - თვლები, შუბლი, სახის ხაზები და უკლებლივ ყოველი კუნთი და წერტილი - ერთნაირი, თანასწორი და თანაბარი.

„მერე რაო! - ხშირად ვამშვიდებ ჩემს თავს. - მერე რაო! ქვეყანაზე ათასი უცნაურობაა და ეს ამბავიც ათასპირველია!“

მაგრამ გულში რაღაც წინწყალი ჩამიჯდა და იზრდება, სივდება, ღელავს და მეც მალეღვებს.

როცა ჩემს ბინაზე ვარ - ამ სურათს შევცქერი. საფლავთან ვტრიალებ

- ისევ მას ვამტერდები. სხვაგან დავბორიალებ - ისევ ის მელანდება. კვიატივით ამედეგა და სული უნელებელი შფოთით გამიჟღინთა. მარიტამ სკამი მოიტანა. ყოველდღე სწორედ ექვსის ნახევარზე ამოვა, ამ სკამზე ჩამოჯდება და უსიტყვოდ ატირდება. შვიდზე ადგება და მწვანე ტბაში შავი ლანდივით მიიპარება. სანამ ტირის, ვერიდება, შემდეგ კი მოსარწყავს ავიღებ, წყლით გავავსებ და საფლავს მივეპარები ხოლმე:

- საღამო მშვიდობისა, ქალბატონო მარიტა.

- საღამო მშვიდობისა, ბატონო გივი.

- როგორ გიკითხვით, როგორ ბრძანდებით?

- გმადლობთ, უძილობა და მოჩვენება რომ არ მაწვალებდეს, კარგად ვიქნებოდი.

დავარიგებ, დავამშვიდებ, ყვავილებს მოვურწყავ და წავალ ხოლმე. ერთხელ მკითხა:

- ბატონო გივი, ქვის საქმე როგორ არის?

- ბევრია, ქალბატონო. მაგრამ ალგეთის ქვაზე უკეთესი ვერაფერი ვიშოვე.

- სამაგიეროდ, მე ვიშოვე.

- სად იშოვეთ, ქალბატონო?

- იქნება იცოდეთ, არმაკ გირგიდოვის საფლავი სად არის?

- ვიცი, ქალბატონო, მერე, რად გნებავთ? - მისი საფლავის ქვა იყიდება. ენა დამება. მარიტამ კი განაგრძო:

- ახალი ფინური მარცველი არსად იშოვება, ან მეტისმეტად ძვირია,

ძველი კი ჩემთვის ხელსაყრელია. ქვეყნის აღრევას ათასი უცნაურობა მოჰყვა და ერთი მათგანი საგოლებელზედაც შემოიჭრა. უწინ სიღარიბე სასაფლაოზედაც ისევე ცხადად გვჭრიდა თვალს, როგორც ქლაქში. მარმარილოს ძეგლისა, მარცველის სარკოფაგისა და ფერადი აკლდამის გვერდით ალგეთის ქვაც ეგდო, ზოგჯერ კი მხოლოდ მიწის ბეჭობი მოჩანდა ხოლმე.

ახლა კი, როცა ხემოურები დაქვეითდნენ და ქვემოურები ზევით ატივტივდნენ, აქაც ყველაფერი გადატრიალდა და ამ არეგდარევაში არმაკ გირგიდოვიც მოჰყვა.

- აგერ, გირგილოვიც მოდის, - თქვა უცებ მარიტამ.
ვიღაც ჭაბუკი მოგვიანლოვდა - მჩატე, შავგვრემანი, ჩემსავით
გაცვეთილი და გაცრეცილი. ერთმანეთს სალაში მისცეს.

- წამობრძანდით და ნახეთ, - უთხრა მარიტას ახალგაზრდა გირგილოვმა. - აგერ იქ
გახლავთ.

და ჩემს ბინაზე მიუთითა. სული ფეხებში წამივიდა. ალანბული მივდეკდი და წინდაწინვე
სირცხვილით ვიწოდი. რომ შემძლებოდა,

ქუდმოშვლებილი მოკურცხლავდი, მაგრამ გვიანდა იყო.
აკლდამას მიაღვნი და შეღვნი. კარი რკინის ლანძვისა

ჰქონდა და „ჩემი ოთახი“ ხელისგულივით მოჩანდა.
- ბიჭოს! - წამოიძახა ჭაბუკმა, - ვა, მამაჩემის საფლავი ოთახად გადაუქცევიათ?
მარიტა მომიბრუნდა და - - ბატონო
გივი...

ადარ დავაცალე და მოწიწებით წარმოვთქვი:

- მაპატიეთ, ბატონო გირგილოვი, დროებით დავსახლდი პატივცემულ მამათქვენის ბინაზე...
მგონი არ ვაწუხებ... არც ის მაწუხებს.

მეგობრულად ვცხოვრობთ და... თუ გნებავთ, ისევ გავიყრებით.

ჭაბუკი ჯერ პირღია იღვა. მერე გადაინარსარა. მარიტამ ძლივს შეიმავრა
სიცილი და მხოლოდ გაიღიმა.

- მობრძანდით, დაათვალიერეთ. - შევიპატიჟე და მარცველის ქვიდან, ჩემი საწოლიდან,
დაძინილი ლოგინი ავალაგე.

შავსა და კრიალა ქვაზე ოქროს წარწერა იწვოდა.

„არშაკ მინაევინ გირგილოვი. პირველი გილდის ვაჭარი“.

- ამ ქვას ხელახლა გააწახნაგებენ, - ისე უხსნიდა მარიტას ჭაბუკი, თითქოს დახლში
მდგარიყო და მუშტარს საქონლის გამოყენებას ურჩევდაო. - ამ წარწერას წაშლიან და ახალს
დააწერენ. თუ მოვრიგდით, მე თვითონვე გავაკეთებინებ ყველაფერს, რაღა!

და დაიწყო დაუსრულებელი გარიგება, გაზომვა, ანგარიში და ვაჭრობა

- სწორედ ისეთი, რომელიც შეშის მოედანზე იმართება ხოლმე. როგორც იყო, ხუთას
მანეთზე მორიგდნენ. მარიტამ უთხრა:

- ხვალ დილით მობრძანდით ჩემთან და...

და სიტყვა შეწყვიტა: უცებ მისი თვალები კედელს მიეხვინა, ჯერ
ღუმდა, მერე კი -

- ეს... ვინ არის? - მთრთოლვარე ხმით ჰკითხა კედელს. - ეს... ეს ვისი სურათია?

- ჩემი... ჩემი ბიძაშვილია, ქალბატონო. - მივუგე. დედაკაცი მომიბრუნდა და ფართე თვალები
მომანათა:

- გვარი... რა გვარისაა?

- შადური გახლავთ, ქალბატონო.

- შადური?..

- დიახ, შადური, არ გაგიგიათ? ჩაფიქრდა, შუბლი მოისრისა და -

- შადური... შადური... არა, არ გამიგია. ცოცხალია?

- მოკვდა, ქალბატონო.

ისევ დააშტერდა და რამდენჯერმე წაილულულა:

- საოცარია!.. საკვირველია!

- დიახ, ქალბატონო, საოცარია, მაგრამ...

- მსგავსება თქვენც შეამჩნიეთ?

- როგორ არა. მაგრამ ასეთი მსგავსება ძალიან ხშირია. ბევრი რამ არის ამ ქვეყნად
უცნაური, ქალბატონო.

- დიახ... დიახ... საოცარია! უცნაურია!

და თავჩალუნული გავიდა. ჭაბუკიც გაჰყვა. მისდევდა და ისევ მამის
გაციდულ საფლავზე ტიტიინებდა.

მეც მივდეკდი და არშაკ გირგილოვის ბედზე ვფიქრობდი, იმ
გირგილოვისა, რომელიც ოდესღაც ამ ქვეყნად მხოლოდ ჰყიდდა და ყიდულობდა, ახლა კი, იმ
ქვეყანაში რომ გადასახლდა, თვითონვე აღებმცემობის ნივთად გადაიქცა.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“. უცებ მისი მემკვიდრე მომიბრუნდა:

-ჰო, მართლა, ეგ აკლდამაც გამიყიდნია. ხვალ ან ზეგ მოვლენ და ემეს იზმენ... - და „ღანგრევის“ ნაცვლად ჩუმად დაუმატა: - წაიღებენ.

მე გავიღიმე:

-იმედია ბინის ქირას არ მომთხოვენ.

-არ მოგთხოვენ, მეც არა გთხოვთ, რალა! - სერიოზულად მიპასუხა, - მაგრამ ახალი ბინა უნდა მოძებნოთ.

-მოვძებნი, ბატონო ჩემო, უფასო ბინისთვის კი დიდ მადლობას მოგახსენებთ.

-ბატონო გივი, - მომიბრუნდა მარიტა, - თუ გნებავთ, ჩემთან გადმოსახლდით. ახლოს ვცხოვრობ. საკუთარი სახლი მაქვს. ერთ პაწაწინა ოთახში დასახლდებით. მართალია, ოდნავ ბნელია და ნესტიანი, მაგრამ... სახლს მოუვლით, რაღაცას გააკეთებთ და... მოიფიქრეთ.

ესე იგი მეეზოვედ უნდა დაუდგე - გმადლობთ,

ქალბატონო, მოვიფიქრებ.

გულში კი ცივი ქარი შემომეჭრა და თვალზე ცრემლი მომერია.

-იცით რას გეტყვით, - მიუბრუნდა მარიტა გაყიდულის მემკვიდრეს, - ფორმლობისა მე არაფერი მესმის, ამიტომ სჯობია ხვალ ათ საათზე პირდაპირ სარდიონ თურმანიშვილთან მობრძანდეთ, - და მისამართიც დაუსახელა. - იურისტია. მეც მოვალ და ნასყიდობას იქ შევასრულებთ.

-სარდიონ თურმანიშვილს იცნობთ? - ვკითხე საფლავის მყიდველ დედაკაცს.

-როგორ არა, ჩემი ნათესავია.

-თქვენი ნათესავია?

-რამ გაგაოცათ?

-არაფერმა, ქალბატონო.

-თქვენც იცნობთ?

-მე?... შორიდან... მხოლოდ გამიგონია.

-ხვალამდე, ბატონო გივი. - ნახვამდის, ქალბატონო.

და როცა ორივე კარიბჭეს გასცდნენ, მარიტას ვაჟის საფლავს მივუჯექი, ჭაბუკის სურათს ჩავაშტერდი და შორს, ძალიან შორს დავბრუნდი.

„სარდიონ თურმანიშვილი... ეს დედაკაცი, რომელსაც თურმე მარიტა რქმევია... ეს უბედური ოთარი და ერთი ცეცხლიანი ღამე ღუშეთში, რომელიც ალბათ საფლავშიც გამახსენდება... ვაი შენ, გივი შადურო!

6

-ქალბატონო მარიტა, - ვეუბნები შვილის საფლავზე მჯდომარე დედას, - ქალბატონო მარიტა! თუ გახსოვთ, თქვენი შვილისთვის ეპიტაფიის შედგენა მთხოვეთ. ძალიან კარგ რამეს მოვიგონებ, ოღონდ...

შორიდან წერაქვის წკრიალი ისმის: არშაკ გირგიდოვის ხსოვნას და ჩემს უკანასკნელ თავშესაფარს ანგრევენ.

-ოღონდ რა, ბატონო გივი?

-ოღონდ საჭიროა თქვენს ოთარზე ცოტა რამ მიაძბოთ. - ვეუბნები უცნაურად იმედნეული.

-სულ ცოტა. რად გაგიმეტათ?... თავი რად მოიკლა და... სულ ცოტა, ძალიან ცოტა.

-ვითომ საჭიროა?

-უეჭველად, ქალბატონო, უეჭველად. ზოგი რამ უკვე ვიცი. შემფოთებით ამომხედა.

-მაგალითად?..

-მაგალითად... შეიძლება თქვენი და სარდიონ თურმანიშვილის ამბავი არც კი მიაძბოთ.

თვალეში სირცხვილის ალმა გაუელვა. მერე თავი ჩაღუნა და ნელი

ხმით წაიბუტბუტა:

-გუშინწინ რალად მკითხეთ, იცნობთ თუ არა სარდიონსო?

-ქვეყანა დიდია და ყბელი. ნუ თავილობთ, ქალბატონო მარიტა. ეგ არაფერია... მონოზნობა ჩვენს დროში არავის მოეთხოვება... ბუნებრივი ამბავია.

-რა თქმა უნდა, ბუნებრივი ამბავია, - თავი გაიმხნევა და გაიმართლა მარიტამ.

და დიდი ხნის ღუძილისა და ყოყმანის შემდეგ ბორძიკით მიაძბო: - მოკლედ გაიძბობთ... ოთარი რომ დაძებდა, იმავ წელს დავექრივდი. ხუთი წელიწადი მარტო ვიყავი... ახლოს არავის გავკარებივარ. მერე გათხოვება დავაპირე და... ცოლშვილიანი სარდიონ თურმანიშვილი

გადამელობა... არც კი ვიცი, როგორ მოხდა. დიდხანს ვიბრძოლე, მოვერიდე, დავიძალე, მაგრამ... ალბათ ჩემი საბედო ის ყოფილა. ცოლი სწეული ჰყავდა... ალბათ ამის ბრალიც იყო. ასე გავიდა თხუთმეტი წელიწადი. მუდამ ერთად ყოფნის გამო ჩვენი შვილები - ჩემი ოთარი და მისი ელენეც - დამეგობრდნენ... ერთად სწავლობდნენ, შარშან სარდიონის ცოლი...

-ნათელა - ჩავურთე.

-დიახ, ნათელა. იცნობდით?

-შორიდან... განაგრძეთ, ქალბატონო.

-შარშან ნათელა გარდაიცვალა. მე და სარდიონს ქურდული სიყვარული მოგვებზრდა. თხუთმეტ წელიწადს ვიძალეობდით და ესოდენი ტანჯვით აშკარა კანონიერი ცოლ-ქმრობა დავიმსახურეთ.

-ცხადია, დაიმსახურეთ, - დავუდასტურე.

-რა თქმა უნდა, დავიმსახურეთ. - გაუხარდა. - ოთარი ოცი წლისა შემისრულდა. მეტი გზა აღარ იყო, შვილისთვის უნდა მე-თქვა. „დღეს ვეტყვი. - ვამბობდი. - არა, ხვალ იყოს, ან ზეგ, ან მაზეგ. და ერთდ დღეს, როცა თქმას ვაპირებდი, ოთარი გვერდით მომიჯდა და მითხრა: „დედი, გზა დამილოცე“.

„სად მიხვალ, შვილო?“

„ცხოვრების გზა დამილოცე. ცოლს ვირთავ“.

„ცოლს ირთავ? მართლა? ვის?“

„ელენეს“.

ჯერ არ დავიჯერე... არ შემეძლო დამეჯერა. „რომელ ელენეს? გავიფიქრე და ჩემ ნაცნობთა შორის ელენეს დავუწყე ძებნა. მაგრამ სხვა ვერავინ ვიპოვე... ელენე ერთი იყო, ერთადერთი, მხოლოდ ერთი!

„რომელ ელენეს?“ - ისე ვკითხე, რომ ჩემი ხმა მე თვითონაც ვეღარ ვიცანი.

„როგორ მეკითხები, დედი? სხვა ელენე ვილა გვყავს. ძია სარდიონის ქალს ვირთავ“.

მერე რა მოხდა აღარ მახსოვს. გონს რომ მოვედი, ოთარი გვერდით

მეჯდა. უცებ ყველაფერი გამახსენდა და ნადირივით შევღმუვლე:

„არასოდეს! არასოდეს არ იქნება! არ იქნება-მეთქი!“

„რატომ, დედი? გამაგებინე, რატომ არ შეიძლება?“

სისხლი ამიდულდა, ტვინი ამენთო, სული დამიბნელდა. საწოლზე ვბორგავდი, თმებს ვიგლეჯავდი, სახეს ვიზოკავდი და დაჭრილივით ვბლაოდი:

„არა! არა!.. არ მოხდება!.. არ შეიძლება-მეთქი!“

„კარგი, მაგრამ მიზეზის თქმა ხომ შეიძლება?“ - ჩამაცვივდა.

„არა, არა! არც ეგ შეიძლება! არ შეიძლება-მეთქი!“

„მაშ მე გეტყვი, - და მითხრა: - მიტომ არ შეიძლება, რომ ძია სარდიონი მამად მერგება, მამაჩემია... მართალია თუ არა?“

უცებ გავჩუმდი. ხმა ჩამიწყდა. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, ვფიქრობდი: რა სჯობია, დავუდასტურო თუ უარვყო-მეთქი.

„მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ სხვისი შვილი ვიყავი, - განაგრძო ოთარმა. - მაგრამ ვისი, ახლავა გავიგე, მაგრამ გვიანდა“ - და წამოდგა.

„ოთარ! ოთარ, მითხარი, - შევლადადე, - შენ და ელენემ ჯერ ხომ...

ხომ არ აჩქარდით, ბიჭო?“

„გვიანდაა, დედილო!“ და თავის

ოთახში გავიდა.

მე ვიწექი და ვფიქრობდი: რა მეთქვა? რა გზას დავდგომოდი? მაგრამ ეს უბედური თავიც სწორედ მაშინ დამიღუნდა და ენაც მაშინ ჩამივარდა. ვერც ერთი აზრი ბოლომდე ვეღარ მივიტანე და ერთი მეორეს ვეღარ გადავაბი... მერე...

- მერე, ქალბატონ, მერე? - ვკითხე.

- მერე... უცებ რევოლვერმა დაიქუხა. თითქო მეხი გავარდა და მთელი სახლი თავზე დამეცაო. მერე... აღარაფერი.

და უკანასკნელი სიტყვა ქვითინში ჩაახრჩო.

მეგობრებო, ოდესღაც, ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ, მე, გივი შადური, არავის არ დავივარდებოდით. ვაჟი ვიყავ გულხვადი, რვალისგან ჩამოსხმული, მამალივით ამაყი, ფოცხვერივით მარდი, კატასავით მოქნილი, მეგელივით შეუპოვარი, და თავიც ისე დამქონდა, თითქოს შიგ ქვეყნის ბედი მდებოდა.

ჩემი სტუდენტობიდან რომ არაფერი გამოვიდა, ისევ საქართველოში დავბრუნდი და საზაფხულოდ ჩვენს მთებს მოვაშურე.

სარდიონ თურმანიშვილს ქალი მივათხოვეთ და მაყრად გავყევი. ლურჯა რაში, ლეკური ჩოხა, აბრეშუმის ახალუხი, ყალმუხის ქუდი, ოქროვერცხლით შეჭედელი იარაღი და ისეთი თვალ-წარბი, ისეთი უღვაშები და კბილ-ტუჩი მქონდა, რომ ჩემს დანახვაზე არაგველ ქალებს ციებ-ცხელება ემართებოდათ.

ქალი ღუშეთში მოგვყავდა.

ქაის-ხევს რომ მივედი, ცხენები ბაღდადის მოსატაცებლად დავძარი. მანარობლობა ორმოც მაყარს მაინც ელანდებოდა. ბიძაჩემის კავში ლურჯამ მიერთგულა: სხვები უკან დავყარე, ბრაზით დავხეთქე და აქაფებული ცხენი მეფის სახლის კარს მივავადე. დერეფანი ღუშელი და ქალაქელი ქალებით იყო სავსე. ჩემს დანახვაზე ყველას შურისა და ვნების ჟრჟოლამ ჩაურბინა.

- ნეტა იმ ქალს! ნეტა დედაშენს!.. რა ვაჟია! რა ვაჟკაცია“, - ისმოდა მათი ჩურჩული.

სიამამა ღვინით სავსე ვერცხლის თასი მომაწოდა, სიდედრმა დიდებული ბაღდადით მკლავი ამიკრა. ვახარე, დავლოცე, დავლიე, ქალებს ღვეღვი შევყარე და ცხენი უკანვე ვაფრინე.

ორი საათის შემდეგ საქორწილო სუფრაზე ვისხედით. სიამამს სახლ-კარი ღუშეთში ჰქონდა. სიძე ქალაქელი იყო, დიდი სამსახური ჰქონდა და სუფთა ხალხი მოეყვანა. ნელ-ნელა შევხურდით და ტრადიციული ქართული ღვინი გავმართეთ - ღვინი მამა-პაპური, თითისწვერებზე შემდგარი, შადრევნივით მჩქეფარე და ცეცხლივით მდულარე, აწ კი გადავარდნილი, დავიწყებული და საქვეყნოდ შეჩვენებული.

ზურნა ჰკივის და კაკანებს, დოლი ღომივით ბუხუნებს, დულუკი მოთქმით კვნესის, საზანდარი ჩივის, ოხრავს, ბოდავს და წივის.

სისხლი მაჭარავით დულს, ხორცს ალი ედება, ხმას რიხი ეძლევა, გული ზვიადობით ივსება და ფეხი ლეკურის ჟრჟოლით იჟღინთება.

ჯიბრი თავისთავად ღვივდება. მაყრიონი შულლობს. ქალები თვალთ გვაქეზებენ, ცეცხლს გვიღვივებენ, გვწონავენ, გვირჩევენ და ფასს გვაძებენ. და ჩვენც საბედოს ვეძებთ, ვიწვევთ, ვირჩევთ და ერთმანეთს ვაგიჟებთ.

კახური ვთქვი - ვერავინ მომყვა. ღვინო დავლიე - ყველა გავლახე. ჯირითში გავედი - უკან დავყარე. სროლა გავმართეთ - ყველას ვაჯობე. ქალებს გავხედე - ცეცხლი დავანთე. ლეკური დაუკრეს და - მარცხი მარცხზე მივაყენე: გრიგალივით დაგქროდი, არწივივით ვბონობდი, ხანჯლებს თითებსავით ვათამაშებდი, ხუთ ქალს ვლილი და თითის წვერებიდან აღარ ჩამოვლიოდი.

ას კაცში ყველგან პირველი გამოვდექი და ბოლომდე პირველობა შევინარჩუნე. ქალები ბუზივით მეხვია, მაგრამ ველარ მოვიცალე: ვაჟებმა მომიტაცეს და - ჩემი თავი აღარავის დაანებეს. ყველანი რომ დავლაღე, სიძე სარდიონმა ქალაქიდან მოყვანილი თავის ნათესავი გამომიგლო.

ქალი იყო ფოცხვერივით მოქნილი, ქურციკივით ამყი და კატასავით მარდი. დაირა მის აშვერილ ხელებში გიჟივით ხტის, გუგუნებს, ტრიალებს, კივის და წკრიალებს. დულუკი ბუტბუტებს, ტაში ქუნს, ქალი კი ელვასავით მისრიალებს გარშემო და ისედაც გაგულულ ვაჟკაცს თავბრუს მახვევს, მქანცავს და უკანასკნელ ღონეს მაცლის.

თვალთ დამიბნელდა, ყველაფერი ყირამალა შეტრიალდა და, წაქცევის შიშით შეპყრობილმა, ზვიადობა დავთმე და წრიდან გამოვვარდი.

მე და ის ქალი შორიხლოს ვისხედით, ამიტომ ველარც ვუთხარი რამე, ველარც თვალი მოგკარი და ბოლომდე მაყრიონში დავრჩი.

სუფრა სამჯერ გავვიშალეს. საუზმე სადილად გადაიქცა და სადილს ორი ვახშამი მოჰყვა. ორი თამადა წავაქციე, ზოგი ძლივს გაჰყავდათ, ზოგი ხელით გაჰქონდათ, ზოგი კი იქვე სადმე ხვრინავდა. სუფრას სამილა შევრჩით, ბოლოს ისინიც გავახუნე და დავიძახე:

- დედამთილო! მამამთილო! დუშელებო! სადაც თქვენი სთქვით, იქ შადურიც გაიხსენეთ.

დასაძინებლად სხვის ოჯახში მივყავდით, მაგრამ არ გავყევი:

- აგერ, იქ ვენახში, რაღაც ფარდული გქონიათ. - ვუთხარი მასპინძლებს. - თქვენ ნუ შესწუხდებით. ღამეს იქ გავათენებ.

ნაბადი მოვისხი, უნაგირი ავითრიე, ეზო გადავჭერი და იმ ფარდულს მივაშურე. მასპინძელმა მიმაცილა, ძილი ნებისა მისურვა და ჭრაქი წაიღო. უნაგირი ბალიშად დავიდე, განიერ ნაბადში გავეხვიე, მივწექი და უმაღვე ჩავიძინე.

რამდენ ხანს მეძინა, არ ვიცი.

უცებ ძილის ნისლში უცხო რამ მომეჩვენა: თითქოს თბილი რამ მომეხვია, მომელამუნა და სისხლში ცხელი რამ ჩამასხა.

სანამ გავინძრეოდი, თვალები გავახილეთ, გავინაბე და გავშრი: ვილაც ქალს მკლავებში ვყავდი ჩახვეული, მკერდზე ვყავდი მიხუტებული. შევინძერი, წამოწვევა ვცადე, მაგრამ ქალის ხელი უმაღ პირზე დამეცა

და ყურში ჩამღვენთა: - ჩუ!..

გაჩუმდი!

არც მე ვაპირებდი დაყვირებას და მშველელის მოხმობას, მაგრამ გაოცებისგან ერთხანს ენა ველარ ვიპოვე. მერე ყურში ჩავუღვარე:

- ქალო, რომელი ხარ? - ნუ მკითხავ... ვერ გეტყვი.

და ისე ვჩიფიფებთ, რომ ერთმანეთსაც ძლივს ვაგებინებთ. ისევ გავჩუმდი, მერე კი -

- გამაგებინე, ვინა ხარ-მეთქი?

- ნუ, გენაცვა, ნუ მკითხები... სულ ერთია, ვერ გეტყვი.

- საკვირველია, ღმერთმანი!

- არაფერიც არ არის საკვირველი.

და რადგან ალერსი დავაყოვნე, ჩემი ხელი კისერზე მოიხვია და დაუმატა:

- შენ ხილი სჭამე, მებაღეს რას დაეძებ? - და ნიავეით ჩაიხითხითა.

- ქალო, მებაღეს კი არ დავეძებ, ხილი მინდა გავსინჯო.

- მერე, ვინ გიშლის, აქ არა ვარ?

- ჰო, მაგრამ... სათქმელს მიმიხვდა და -

- მაგრამ გეშინია, ხილი დამპალი არ გამოდგეს, არა?

- არა, მაგრამ...

- ან ღროგადასული, არა?

- შეიძლება აგრეც იყოს.

- რა სულელი ხარ! გეტყობა ჯერ პირზე რძეც არ შეგშრობია. განა მაგისტოვის მზე და

ჭრაქია საჭირო? **Дурачек!**

შემრცხვა, მართლა „ღურაჩოკი“ ვიყავი, მაგრამ სამართლიანად მეშინოდა, ღიდ „ღურაკად“ არ გადავექციე, ამიტომ ცოტახანს კიდე გავინაზე, მერე კი...

მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ხილის გემოსი და სიხლის გასაგებად არც მზე ყოფილა საჭირო, არც ელექტრონი.

ქალი მეწვა გვერდით - ღუმნა-ნესვივით მწიფე, ნოყიერი და სურნელი, ამიტომ აღარც მე გავინაზე და აღარც იმას ვახვეწნინე.

და ათი წუთის შემდეგ ხელახლად ჩავუნიავე:

- ქალო, მითხარი...

- სუ, იყუჩე-მეთქი! - და უსურვაზივით ჩამეხვია.

- ხვალ მაინც დამენახვე.

ჯერ იყუჩა და მერე ჩაიხითხითა და -

- ხვალაც აქა ვარ, ზეგაც, მუდამ... დაგენახვები, ოღონდ მიცანი. ოღონდ მიცანი! ხვალ ორმოცი ქალი მაინც გამიღიმებს, გვერდით გამივლის, ან შორიდან დამენახვება და ერთის ნაცვლად ხუთი ჩამივარდება გულში, ან ათი მომელანდება.

ღვინო ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი, მაგრამ მალე გამოვფხიზლდი და მოვისაზრე: „ნიშანი უნდა ავიღო, თორემ დამტანჯავს და მომადორებს“.

ჯერ ხელებით გავზომე და მისი ტანის მოსულობა შევისწავლე: სიმაღლე, სისქე, ფორმები. მერე ვიფიქრე: „ათი ქალიდან ამას შვიდი მაინც ემგვანება“. შემდეგ თმის წვერში ხელი შევაპარე, გადავწიე, თითქოს გადაბრუნებას ვაპირებდი და სამიოდე ბეწვი მოვგლიჯე.

ტკივილი იგრძნო და უმაღვე მიმიხვდა: - თმა!.. ჩემი

თმა!.. მომე ჩემი თმა! თავი მოვიკატუნე და -

- რა თმა? რის თმა? რას ეძებ, ქალო?

ხელში მეცა, მაგრამ გვიანდა იყო: ბეწვი უნაგირთან ჩავაგდე, ქალს კი ჩემი ცარიელი ხელი შერჩა ხელში.

დამშვიდდა და ხელახლად დამიწყო ალერსი, თანაც ჩუმად დამცინოდა: - რამდენ ქალს მიაღვები ხვალ! რამდენს გავიცინებ გულში! იხი-ხი! თმა არ ვიკმარე, შეიძლება დამკარგოდა, ხელს რომ ვუცაცუნებდი, გულისპირზე პაწაწა ღილებს წავაწყდი, მოვჩხრიკე, სუსტი ავირჩიე, თითებში ჩავიგდე, მოვწიე და... ერთი ღილი შემრჩა ხელში. ვერაფერიც ვერ გაიგო.

როცა წასვლა დააპირა, ხელი მოვხვიე და -

-სანამ შენს ვინაობას არ გავიგებ, არ გავიშვებ. - დავემუქრე. შედრკა, გაჩუმა, მოიბუხა, ვიგრძენი, ტანში ჟრუანტელმა ჩაურბინა.

მერე მთრთოლვარე ხმით ჩამჩურჩულა:

-არ დავიჯერებ, რომ მაგისტანა არამზადა იყო... სხვანაირი ქება გამიგია გივი შადურისა...

მტკივნეულ ალაგას მომახვედრა. მხოლოდ გამოტყნა მინდოდა, სავენებლის მიყენება კი აზრადაც არა მქონდა.

-ნუ შეგეშინდა, ქალო. წადი, მაგრამ ხვალ...

-უეჭველად, უეჭველად. - აჩქარდა ჩემი სტუმარი. - ხვალ მთელ დღეს შენს ახლოს ვიქნები, ღამით კი... თუ ისევ აქ დავწვები...

-ისევ აქ ვიქნები, ისევ აქ დავწვები.

-მაშ მელოდებოდე... გეყო, ხელი გამიშვი... ხვალაც უეჭველად მოვალ.

ხელი ღამე იყო. მაინც მანდილი მოიხვია და შავი ლანდივით მიიმალა, მე კი თავისი ტანის სურნელი, გახურებული ოცნება და

ხვალინდელის იმედი ღამითოვა. მზის სხივებმა გამაღვიძა. უმაღვე გონს მოვედი, ნაღამური გამახსენდა და უნაგირს ვეცი. ორი გრძელი ბეწვი - გუშინდელ ღამესავით შავი და აბრეშუმით რბილი ბეწვი ვიპოვე. ღილი დიდხანს ვეძებე. იქაურობა მოგჩხრიკე, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ჩემს ცხვირწინ მჯდარი მარიამ-ჭია - ლამაზი, უვნებელი, ორხალიანი და ბედის მომტანი მარიამ-ჭია - ქალს ღილად გამოადგებოდა! ჭიაც და დახვეული თმაც უბის

ჯიბეში ჩავიდე და ჩვენს სიძე-მასპინძლებს დილა მშვიდობისა ვუსურვე. მაგრამ რა მედილამშვიდობება! ქალს დავეძებდი, ქალს - ღუმნანესვივით მწიფეს, სურნელსა და ნოყიერს!

ყმაწვილებო, ღამიჯერეთ: ჭაბუკს რომ ერთი მხრიდან სიყვარული შეუძვრება, მეორე მხრიდან ჭკუა გაეპარება. და ერთი რამეც უნდა მოგახსენოთ: შეიძლება ქალი სიბნელეში იგემო, მისი სახეც უნახავი დაგრჩეს, და მაინც შეიყვარო. შეიძლება ვცდებოდე, შეიძლება იმ დღეს მხოლოდ ჩემი მაჭაროვანი სისხლი ჰყოდა, არ ვიცი, მე მაინც ჩემი ღამემართა: გავსულელდი, გავლაყდი, და წინა დღეს შენაძენი დიდება ორიოდე საათში გავფანტე.

მონატაცი თმა თითზე დავიხვიე და ქალებს ჩამოვუარე, თან თმებს ვუსინჯავდი, ღილებს ვუთვალეობდი, ნახიბლი თვალებით თვალებში ვაშტერდებოდი და, რადგან ნეტარეული ვიყავი, ათას სისულელეს ვროშავდი.

-დილა მშვიდობისა, ქალბატონო! - ვეუბნებოდი.

-დილა მშვიდობისა, ბატონო გივი!

-წუხელის როგორ გეძინათ?

-გმადლობთ, მშვენივრად. - სად გეძინათ?

და ქალის თვალებში მორცხვობის ნაცვლად გაოცებას ვკითხულობდი.

-როგორ თუ სად მეძინა? განა სად უნდა მძინებოდა? შინ, ჩემ საკუთარ ლოგინში.

მერე მეორეს მივადგებოდი: - როგორ

გეძინათ?

-გმადლობთ, ძალიან კარგად.

-სად გეძინათ?

-?...?!.

-მაინც? - ჩავაცვივდი ერთს.

-აგერ, იმ ოთახში მეძინა, - მიპასუხა, - ამაღამაც იქ დავიძინებ, მაგრამ ფრთხილად იყავით: ჩემი ქმარიც იქ იძინებს, შვიდ ფუტს იწონის და კბილებამდე იარაღშია ჩაჭედილი. ორივემ გავიცინეთ.

ერთს უშნოსა და ხნიერს მივადექი:

-აგერ ის არის ჩემი სახლი, - და თითით დამანახვა. - ქმარი შინ არა მყავს და ძალღიკ დაბმული მეყოლება.

გვრძნობდი და ვიცოდი, რომ სისულელეს ვროშავდი, მაგრამ მაინც ჩემსას არ ვიშლიდი, ოღონდ ქალის თვალები ამერია, შიგ სირცხვილი წამეკითხა, ქალი, ამრიგად გამომეცნო ის და მზად ვიყავი სულელისა და უზრდელის სახელი მომეხვეჭა.

შემდეგ ჩავფიქრდი: ათ სანდომიან ქალიდან შვიდის გარჩევა ერთმანეთისგან მარტო ტანით ყოვლად შეუძლებელია. ათიდან ცხრა ქართველი შავთმიანია, ამიტომ... მარტო ღილიდა შემეჩნა ხელში.

„მაგრამ გლეხის ქალი ხომ არ იყო, - გავიფიქრე- რომ ქორწილში ერთიდაიგივე კაბა ორჯერ ჩაეცვას? ჭკუა მოიკრიფე, შადურო, მოიკრიფე და დამშვიდდი“.

ადვილი სათქმელია, დამშვიდდიო! ასი ეშმაკი მაინც ჩამიჯდა და იმ ქალის პოვნის მეტი ამ ტყვეობისგან ველარაფერი მიხსნიდა.

გავმარტოვდი, დავნისლიანდი. აღარც ლეკური, არც ღვინო, არც სიმღერა - ეს ტიალი ვერაფერმა და ველარავინ ვერ მომიბრუნა გული. ნიშატი რომ ვერაფერი გამოვიცანი, ბოლოს იმდენად გავსულელდი, რომ ჩემი ღილი სამ ქალს ვაჩვენე და ვკითხე: - ხომ არ იცით, ეს ღილი ვისია? გასინჯეს და მოკლე პასუხით დამიბრუნეს:

- არ ვიცი... რა ფასი აქვს, ან რად გეინტერესებათ? გადააგდეო. მაგრამ იმ ღილის გადაგდება ჩემი გულის გადაგდება მერჩინა. მასრაში შევინახე და ქალაქში გავედი. სალამომდე დავბორიალებდი და ვფიქრობდი: „ის ქალი აქაური ყოფილა, ასე მითხრა... იქნება დღეს ქორწილში აღარ მოვიდა, იქნება დამინახოს და“...

და მტკრიან ქუჩებში მწვავე იმედს სალამომდე დავათრევდი. ღამით თავი მოვიავადე და ჩემს ფარდულში ადრე შევიპარე. ღმერთო

ჩემო, დრო რა მოკლეა ქალის მკლავებში! და რა გრძელია მის მოლოდინში!

მაგრამ ასჯერ უარესია, როცა იგი არც მოკლეა, არც გრძელი: ჩემმა ნალოდინემა დრომ იქამდე მატარა, სანამ ამ საგოდებელზე არ დამასახლა.

მამლებმა პირველად რომ იყივლეს, სული მიგუბდებოდა. მეორეჯერ რომ დაიძახეს, გული მიძლიოდა. მესამეჯერ რომ და-ჰკივლეს, უკვე მზად ვიყავი ვინმე დამეხრჩო, გამეგლიჯა, ხანჯალზე ამეგო.

ღილით შეგნაყრდით. მეფე-დედოფალს ათასი სიკეთე ვუსურვეთ და გზას გავუდექით. ისე მივდიოდი, თითქოს ჩემს ლურჯაზე ჩემს მაგიერ მატყლით სავსე ტომარა დებუდიყო.

მივდიოდი და თან შელახული პატივი, ნალამურის ჩქროლა და გრილი სევდა მიმქონდა.

„ვინ იყო? სადაური? როგორი? ან რად ვუნდოდი ერთადერთი ღამისთვის? რად, რისთვის, რატომ? - ასე ვეკითხებოდი ჩემს თავს ოცდაორ წელიწადს, მაგრამ ვერც ვერაფერს მივხვდი, ვერც ვერაფერი გავიგე.“

8

მარიტამ ცრემლით გული მოიოხა. კდემით შემოსილი იჯდა და ნაცრემლი თვალები შვილის სურათზე მიეპყრო.

მეც დიდხანს ვიდექი მღუმარე და მდრტვინავი. მრჩოლავი ზრახვა მტანჯავდა და რაღაც ნაგულვების მსასოებელი ვიყავი.

ქვრივმა თვალები ასწია, მცირე ხანს მიმზირა და მერე მკითხა:

- ბინას გინგრევთ, ბატონო გივი.

- ბინას ვილა ჩივის, მარიტა, გული ჩამინგრეთ, გული! თვალებში გაოცება ჩაექსოვა და თითქოს ნაწყენიც იყო იმის გამო,

რომ „ქალბატონო“ არ დავაყოლე. - მე? მე

ჩაგინგრეთ? - მკითხა.

თვალში თვალი ბურღივით გავუყარე და ვდუმდი, თან ვუღიმოდი და უხმოდ რამეს ვეკითხებოდი. და მის თვალებში ჩემი ძახილის, ჩემი

კვნესის ანარეკლი რომ ვერ ვიპოვე, ვუპასუხე: - გულზე ნატსული ამდის, მარიტა. ნუთუ ვერა გრძნობთ? თვალები ფართედ გაახილა და უფრო მეტად გაოცდა. მერე მორცხვად

წაილულლულა:

- არ მესმის... ვერ გავიგე...

- გასაგები არაფერია, ქალბატონო. თქვენმა მწუხარებამ და უბედური ოთარის ამბავმა შემაწუნა, მეტი არაფერი. ჩემი „მეტი არაფერი“ შეგებად მიიღო. დაგუბებული მწუხრი ღრმა ოხვრას ამოაყოლა და ჩურჩულთ ამოისუნთქა:

- გმადლობთ, ბატონო გივი, გმადლობთ თანაგრძნობისათვის“. უცებ ერთი რამ გამახსენდა.

საოცარია, გაუგებარია! ყოველ ადამიანს, თუ საგულეს კაცური გული უდევს, ოდესმე მცირე რამ წვეთი შეუჯდება: სიყვარულის რაიმე უმნიშვნელო საბუთს მოიგდებს - ხელსახოცს, თმის ნაგრესს, მონაწიერ ბარათს ან სურათს - მოიგდებს და სიბერემდე შეინახავს: შემდეგში, ხანში რომ შევა, თავზე ლოდებს გადაიტარებს, გულზე - ნიაღვარებს და ყოველივეს უნარჩუნოდ ჩაირეცხავს. მაგრამ იმ ერთ ნაზღაპარს, ერთ ნაზმანებს თვალსაგით მოუვლის და სამარეში ჩაიტანს.

მასრა ამოვიღე, პირი მოვხსენი და წითელი ღილი - მარიამ-ჭია - ხელისგულზე გადმოვიგდე, და როცა მარიტამ ჩემსკენ მოიხედა,

გაუშვირე და ისევ თვალებში დავაშტერდი.

გაიღიმა და -

- მარიამ-ჭია? - მკითხა.

- დახ, მარიტა, მარიამ-ჭია გახლავთ, დუშეთში დაჭერილი.

- საწყალი... - გასინჯეთ, მარიტა.

ორი თითით ფრთხილად აიღო და გადააბრუნა. ოდნავ გაოცდა, მერე გაიღიმა და -

- ღილი ყოფილა! - წამოიძახა.

- ღილია, ნამდვილი ღილი... წითელი ღილი.

- რა ლამაზია.

ისევ ხელისგულზე დამიდო და დაუმატა: - ოდესღაც მეც მქონდა მაგისტანა ღილები.

- მერე? მერე?

- მერე არაფერი. ზოგი დამეკარგა, ზოგიც გადავყარე, ან მოახლეს ვაჩუქე.

- ოცდაერთი წლის წინათ გქონდათ ასეთი წითელი ღილები, არა?

- ოცდაერთი?

ჩაფიქრდა, გაოცებით ამომხედა და მკითხა:

- თქვენ საიდან იცით?

- ახლავე მოგახსენებთ: იმ ხანებში დუშეთში ბრძანდებოდით, არა?

- დიახ, გახლდით.

- სარდონ თურმანიშვილის ქორწილში, არა?

- დიახ... დიახ... მერე? - ეს ღილი კი იქ დაჰკარგეთ. მხრები შეიმშუშნა და გაიღიმა:

- აბა როგორ მეხსომება ოცდაერთი წლის წინათ დაკარგული ღილის ამბავი?

- ღილი არაფერია, მარიტა, თქვენ იქ სხვა რამე დაჰკარგეთ. უცებ სახის ნერვები გველის წიწილებივით აეკლაკნა, თვალები აუხამხამდა, ტუჩები აეგრიხა და ერთადერთი სიტყვა თითქო ჩანგლით ამოიღო:

„მე... მე... დაჰკარგე?“

- დიახ, თქვენ, თქვენ... ახლაც ვერ მიცანით? ისევ დამაშტერდა, სახე ისევ აუთამაშდა და

-

- ვერა... ვერ გიცანით. - ხმაში კი თრთოლვა დაეტყო.

- მაშ, გაგახსენებთ. სარდონს რომ ქალი მივათხოვეთ, ნათელა... სიყვარულს რომ ჰპარავდით... გაიხსენეთ, რა გვარისა იყო?

- ნათელას გვარი? აღარ მახსოვს... დამავიწყდა. - და თრთოლვას ცხელი ნიავი დაემატა.

- მაშ მე გაგახსენებთ. შადურიანთ ქალი გახლდათ.

- მერე?

- მერე ისა, რომ მეც შადური გახლავართ. ამას წინათ გვარი მკითხეთ. გითხარით და მაინც ვერ მოგაგონდათ.

- მაინც არ მესმის...

- მარიტა, ოთარის საფლავზე... თქვენი ერთას საფლავზე გეკითხებით, ვინ არის ამ უბედურის მამა?

ჯერ გახედა. მერე ნაქორალი დედალივით აფორიაქდა, შეფართხალდა: ორივე ხელი მოსაბჯენად გამოიშვირა, თითქოს უშუმურს იგერიებდაო, მერე დაფრთხა, თვალები ააცეცა, წამოღდა და თითქოს გასაქცევად შეემზადა, მაგრამ ირგვლივ მოაჯირს რომ წააწყდა, ხოლო კარებში მე ვიყავი

გახიროული, ისევ სკამზე ჩაიკეცა და აბუტბუტდა:

- არა... არა... შენი არ არის!.. თქვენი არ არის!

- ჩემი არ არის? აქამდე სხვანაირად მეგონა და იმ ნაჩუმარისათვის საბოდიშო საბაბიც მქონდა ნაპოვნი, ახლა კი მგონია, რომ იმისთანა ღამე ბევრისთვის გიჩუქებიათ, ჩვეულებად შემოგპარვიათ.

- არა, არა! ტყუილია, ტყუილია! - ცხარედ მომხალა, ხელში მომწვდა და სხაპუნით, სიტყვების ყლაპვით განაგრძო: - მართალს გეტყვით...

არაფერს არ დაგიმალავთ... ყური მიგდეთ, მალაპარაკეთ...

- ყურს გიგდებთ, მარიტა, ბრძანეთ.

- ექვსი წლის გათხოვილი ვიყავი. შვილი არა მყავდა. ჩემი ქმარი... ქმრის ბრალი იყო. თუმცა მიყვარდა, მაგრამ შვილი მინდოდა... გაგიჟებით მინდოდა. ღიღხანს ვებრძოლე ჩემს თავს. ვილაც ვიშვილე. მაგრამ არ მიშველა. წუწკი ვინმე გამოდგა და გავავლე. მერე დედობის წყურვილმა დამძლია და... და გავბედე... დიდ ხანს ვეძებდი მამაკაცს... მამას. თუნდ ათსაც და ასსაც ვიშოვიდი, მაგრამ მეშინოდა: ამეკიდებოდა, წამოაყებებოდა, დაიქანდა სადმე და უბედურებას შემამთხვევდა. გზაში შევხვდი რამდენიმე უცნობს... კუპეში, მაგრამ მაინც ვერ გავბედე. ბოლოს თქვენ წაგაწყდით...

ძალიან მომეწონეთ... ქმარი რომ არა მყოლოდა...

- ვაჰ მე! - ამოვიკვნესე.

- იშვიათად შემხვედრია თქვენისთანა ვაჟკაცი...

- უი შენ, ბეჩავო ჩემო თავო! - ამოვიხრიალე.

- ამიტომ მოვედი თქვენთან უზიზლოდ, წრფელი გულით და თითქმის... თითქმის სიყვარულითაც.

- ვიგრძენი, მაშინვე ვიგრძენი, მარიტა.

- ქალი თქვენისთანა ვაჟს თუნდ ორმოცი წლის შემდეგაც იცნობს... ერთ ხანს მეც გიცნობდით, მაგრამ... გივი, გამაგებინეთ, რა დაგემართათ?

- ნუ მკითხავთ, მარიტა!

- რამ გამოგცვალათ?

- ნუ მალაპარაკებთ!

- ღმერთო ჩემო, ის ტევრი თმა...

- დრომ მომპარსა და გამითეთრა...

- ის თეთრი მძივის კბილები...

- ჩაჟანგლა, დამცვივლა!

- ის არწივული თვალები...

- ჩამიქრა!

- ის უღვაშები, სავსე სახე, სიმარდე და ხალისი...

- წავიდა, დადნა, გაჰქრა! ნულარ გამახსენებთ, ნუ! - მერე რამდენჯერმე შეგხვდით ქალაქში. მეცინებოდა.

- რაო, გეცინებოდათ?

- გულში მეცინებოდა, თანაც რაღაც მაწვალებდა... უცნაური სევდა მტანჯავდა. მინდოდა მოვსულიყავი და მეთქვა: „გივი, მე ის ქალი ვარ, რომელიც მაშინ... იმ ღამეს... ღუშეთში“... მაგრამ... - მაგრამ შოფერი ვიყავი და არ მიკადრეთ, არა? აიღეწა, იხამუშა, მაგრამ გამოტყდა:

- ჰო, ეგეც იყო... და სხვა რამეც: შვილი მყავდა და ისევ მეშინოდა.

- მაშინ უკვე დაქვრივებული იყავით?

- დიახ, მაგრამ... ერთი სიტყვით, ველარ გავბედე. ეს იყო და ეს... მეტი არაფერი.

და ისე უმანკოდ თქვა „მეტი არაფერი“, თითქოს მთელი ამბავიც „მეტი არაფერი“ ყოფილიყო.

კარგა ხანს ვიყურებო, მერე ვუთხარი:

- სასტიკი დედა ყოფილხართ, ქალბატონო მარიტა. დავანებოთ თავი თქვენს... იმ ღამეს: უცნობი კაცი გზადმიმავალ უღაფივით გამოიყენეთ და გადაიკარგეთ. სანამ თქვენი ქმარი ცოცხალი იყო, ნამდვილი მამის დამალვა გეპატიებოდათ, მაგრამ შემდეგ, როცა თქვენც დაქვრივდით და ოთარიც დაგიობლდათ... ერთი სიტყვით, ყალბი შიში და მედიდურობა რომ არ ჩაგედოთ გულში, არც ოთარი იღებოდა ამ მიწაში, არც თქვენ გეცმეოდათ ეგ შავები და... ვინ იცის, იქნებ არც მე...

დავბინავებულიყავი ამ საგოდებელზე.

უცებ მოვბრუნდი და წამოვედი, ისე წამოვედი, თითქოს მთელი ურვა, ცრემლი და კაემანი, რაც ამ საგოდებელზე დაღვრილა და თქმულა, ჩემს გულში გადმოღვრილიყო.

- გივი! - ჩუმი კვნესით მომაყოლა მარიტამ. არ მივიხედე.

- ბატონო გივი! - გაიმეორა. მაინც არ მივიხედე.

- გივი... გივი!.. გივი! - მეძახდა ცრემლიანი ხმით და თანაც ხმას მალლა უწევდა, მაგრამ ვიცოდი, რასაც მეტყოდა და ამიტომ აღარც სახე ვუჩვენე, აღარც ხმა მივეცი.

რას მეტყოდა? რით დამიღობდა ნამეხარ გულს?

„ერთი პატარა ოთახი მაქვს. მართალია, ბნელია და ნესტიანი, მაგრამ... სახლს მოუვლით, რაღაცას გააკეთებთ და... და მოიფიქრეთ“. რაღა მოფიქრება მინდოდა! მეეზოვედ დამაყენებდა, ან მეტი რა

შეეძლო! სამადლოდ შემიწახავდა... მომივლიდა, ჩამაცმევდა, მაგრამ... მაგრამ გავათავოთ მეგობრებო... ამბავიც გათავდა. მაინც ისე არ დავარდება გივი შადური, რომ ქვრივს აეკიდოს... იმ ქვრივს, რომელიც... რომელმაც... აგერ იმას... აქეთ რომ მოდის. 9

გავიხედეთ და საფლავთა შორის დინჯად მომავალი დედაკაცი დავინახეთ. მაღალი იყო, ჯერ კიდევ მოქნილი. ამაყი იერი ჰქონდა და, შადურის თქმისა არ იყოს, მწვანე ბალში მიმავალ შავ ფარშევანგს

ჰგავდა. გაიარა და ხეივანში მიიძალა. დიდხანს ვიყურეთ. შემდეგ მგოსანთა და შადურის მოკლე დიალოგი გაიმართა: პირველი: კიდევ რას იტყვი, ბატონო გივი? შადური: მეტს არაფერს, მეგობარო. მეორე: მაინც, რას ჰფიქრობთ?

შადური: არაფერს, რადგან ჩემს მაგიერ ჩემი ავი ბედი ფიქრობს. მესამე: ახლა საით აპირებთ, ბატონო გივი?

შადური: ჩემს ფეხებს უნდა ვკითხოთ. საითაც წაეხეტება, მეც იქით გავყვები.

მიხეილი: ბატონო გივი, ნება მიბოძეთ თქვენს ფეხებს გზა ვუჩვენო. შადური: უბრძანეთ, ბატონო მიხეილ. მეც და ჩემი ფეხებიც თქვენი

მონა-მორჩილი გახლავართ.

მიხეილი: იქნება ჯერჯერობით მცირედიც იკმართო: ყველი და პური, კეთილი გული და მცირე კუთხე.

შადური: მცირედი კი არა, პროგრამა-მაქსიმუმია. მიხეილი: მაშ ნუ მაწყენინებთ და...

პირველი მგოსანი: დიდებულია! ბატონო გივი! ორიოდ კვირის შემდეგ ჩემთან გადმოსახლდებით.

მეორე: მერე ჩემთან. ამასობაში ოთახსაც გიშოვით. მესამე: შემდეგ ჩემთან გადმოხვალთ. სამსახურსაც მოგიძებნით. შადური: (ყოყმანობს და ცრემლს იწმენდავს, გული აუჩუყდა). ბატონებო... მეგობრებო... მზეჭაბუკ ამირანებო! როგორ და როდის გადაგიხადოთ მადლობა?!

ყველანი: საჭირო არ არის... მერე იყოს... ღროა წავიდეთ... ბინდი მოდის... აბა, შადურო, მივდივართ და მოგვყვით.

აბლი-მღეპარი

- მეგობრებო, რაზედ მოგიწყენიათ? აწმყოც თქვენა გწყალობსო, მომავალიც თქვენია. რა დაგემართათ, მიწასა ზედა ეგ ცხვირები რად დაგებჯენიათ?

ზოგი თქვენთაგანი ხშირად ფიქრობს სიკვდილზე. ხელი აიღეთ, ის ტიელი სამუდამოდ დაივიწყეთ, რადგან თვითონ სიკვდილი მარად ფიქრობს თქვენზე. და ესეც იცოდეთ: ყველაფერს ნუ დამიჯერებთ და ჩემი ნაუბარი ზოგჯერ პირუკულმა შეატრიალეთ. კაეშანი და სამგლოვიარო კინწისკვრით გააგდეთ და გულსა თქვენსა შიგან მხნეობისა და სინარულის შუქი ჩაასვენეთ.

ვიღაცამ მიჰქარა: წოლას ძილი, ძილს კი სიკვდილი სჯობიაო. ვიღაცამ უპასუხა: სიკვდილს ღონილი, ღონილს კი ქროლა სჯობიაო. მე კი მოგახსენებთ: სიკვდილსაც და ქარიშხალსაც ისევე ნაბიჯი გერჩივით - მუდმივი, მტკიცე და დაუღალავი. დინჯად აჩქარდი - აი თქვენი დევიზი.

ყური მიგდეთ, მაგრამ ყველაფერს ნუ დამიჯერებთ-მეთქი. მე თამბაქოს ფოთოლივით დავჭკნი და ზოგჯერ იმ ქვეყნიდან გესაუბრებით ხოლმე. წარსული ზღაპრად მეჩვენება, აწმყო გაუგებარია. მყობადი კი განუჭკრეტელი. თქვენ კი წარსული გაცხრილეთ, აწმყო გაიგეთ და პირი მუდამ მომავლისკენ იქონიეთ. ნურც მაგრე რიგად შეუშინდებით შეცდომას, ვინაიდან მარტო ბრმა მერწყული ვირი არ შესცდება ხოლმე, შეჩვეულ ბილიკს ერთი ნაბიჯითაც არ გა-დასცდება, ხოლო თვალხილული ადამიანი მუდამ ახალ გზას ეძებს და ამიტომ ხშირად სცდება ხოლმე. მაშ ნუ შეუშინდებით შეცდომას, თუ იგი საბედისწერო არ გამოდგა, ოღონდ ღროზე შენიშნეთ, აღიარეთ და შეასწორეთ.

დღეისთვის ესეც იკმარეთ, ამირანებო, ახლა კი ეგ ჯიხვი მიბოძეთ და სადღეგრძლო მომისმინეთ.

სულის გოლიათებო! ყველაფერი დაიკელით, ყველაფერზე უარი თქვით, თუნდაც ტანშიშველა იარეთ, ოღონდ სინარულს გაუფრთხილდით. ლალი სული, წრფელი გული შეინახეთ და მუდამ იცინეთ, იხარხარეთ, იჭიხინეთ. მთელი ქვეყანაც რომ დაინგრეს, ნუ იღარდებთ, რადგან პირველი

ბირთვი - სიხარული - მოკლე ხანში ახალსაც ააშენებს, ხოლო შავი კუმტი სამოთხესაც ჯოჯოხეთად გადააქცევს.

მაშ ძირს ბნელი ქუში და გაუმარჯოს მარადიულ სიხარულს!

.....
ბოკვერებო, სმენა მათხოვეთ. გეტყვით ამბავს „უტყუარს და მართალს“. პურღვინო თქვენია, მოთხრობა კი - ჩემი. მაშ ნუ მოგიწყენიათ, რადგან

აწმომც თქვენა გწყალობსთ, მომავალიც თქვენია. აბა, სმენა და გაგონება!

1

მეგობრებო! ამ ქვეყნად ბევრი რამ არის უცნაური, და ერთი რამეც მეუცხოვება: დღეში ათი ათას ქალსა და მამაკაცს შეხვდებით, მაგრამ ერთიც არ დაგახსომდებათ, ზოგჯერ კი თვალწინ ვიღაც გაგივლევს და ლურსმანივით ჩაგეგვდება. ერთი ან რამდენიმე წელიწადი გაივლის, ის ვაჟი თუ ქალი დაგეკარგება. მერე შორიდან მოჰკრავ თვალს ან პირისპირ შეგეფეთება და უძალვე გაგახსენდება: სად, როდის და როგორ შეგხვდა ის პიროვნება.

ერთ დროს მეგონა, ასეთ ხალხს თავისებური თვალ-წარბი და ცხვირ-პირი უნდა ჰქონდეს-მეთქი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შენც შენებური, განსაკუთრებული თვალი და ხსოვნა უნდა გქონდეს, რათა სწორედ ამნაირი თვალ-წარბი გამოარჩიო და დაიხსომო. მე მგონი, ამ იღუმალებას ვერაფერ ვერასოდეს ვერ აგვიხსნის და იგი სამუდამო საიდუმლოებად დარჩება.

ერთხელ, - დიდი ხნის ამბავს მოგახსენებთ, - ერთხელ ქუჩაში ერთ ქალს მოგკარი თვალი. ისე მოჰქონდა მაღალი, აშოლტილი ტანი, რომ გვარდიელი ჭაბუკი აფიცერი გეგონებოდათ, რომელმაც ჰუსართა მუნდირის ნაცვლად ქალის კაბა ჩაიცვაო. პირსახეზე ამაყი, სუსხი, მიუკარებელი ამპარტავნება ჰქონდა აკრული და, ოდნავი ზიზღიც კი გამოსჭვიოდა: თითქოს მდაბიო ხალხში სიარული ეხამუშებოდა, თითქოს იმ ქუჩას, ტფილისის შენობებს, სუფთა ჰაერს და გაზაფხულის მხურვალე მზესაც კი უკადრისობდა.

მაღალი მკერდი წინ ჰქონდა წამოგდებული, გავა რხევით მო-ჰქონდა და მავალებს დიდ მანძილზე უვლიდა, თითქოს ეშინოდა, მათი ნასუნთქი არ ეგრძნო და არც მათი მტკერი მიჰკარებოდა.

თვალი გაუვსწორე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა, უეჭველია შემნიშნა, რადგან კარგად ვიყავი ჩაცმული და თვალ-ტანადობითაც ბევრს არავის ჩამოუვარდებოდი. შემნიშნა-მეთქი, მაგრამ არ მაგრძნობინა, რადგან ასეთი ჯიშის ქალს „მოვე ტონად“, უზრდელობად მიაჩნია მიგახვედროს, რომ მან გიკადრა და ბრბოში გამოგარჩია.

თვალი გავაყოლე, მაგრამ არ მოიხედა. ისევ ჩემი გზით წავედი და თან ის იღუმალი შური და უცნაური სინანული წავიდე, რომელიც ასეთ დროს ადამიანს რაღაც ბოლმასავით ჩაეღვრება ხოლმე.

„ახალი მოსულია, - გავიფიქრე, - და უეჭველად ქართველია“. აქაური რომ ყოფილიყო, ასეთი ქალი შეუძნეველად ვერ გადაძირებოდა. მაგრამ რად მომეჩვენა ქართველად? იმიტომ, რომ ჯიშში შეგვრჩენია. ჩვენი თვალი, ცხვირი, პირისახის მოხაზულობა, ტანის აღნაგობა, სიარულის გადანაკრავი და მიხვრა-მოხვრის იერი - ყველაფერს რაღაც გამოუთქმელი დღი აზის, რაღაც ხელშეუხებელი ბეჭედი აკრავს, - ჩვენებური, აქაური, მტკვრისა და რიონის მირონ-ნარევი წყლით ნასვამი. აქაური კურთხეული კაკაბ-სორაბით ნასუქი. მჭადით და მახობელათი, საცივით და სულგუნით, ლობიოთი და ჩინირთმით ნაზარდი. ქართული ჰავით ნაყნოსი. კახურით, ჩხავერით ან ფერსავით ნაჟღენთი ჩვენებურ მზეზე ნახრაკი. ვინ იტყვის, ვინ გამოიცნობს, ვინ ან რამ შექმნა და და-ჰყო კაცობრიობა ათასნაირ ჯიშად, რომელსაც ზოგჯერ ხალხის ზღვაშიც გამოიცნობ და ას ნაბიჯზედაც კი იტყვი ხოლმე: აი ქართველი... აგერ რუსი... აჰა ჩინელი... აი ზანგი, ესპანელი, ინდოელი.

თვალი დაგეშილი მქონდა. მახსოვს, დიდსა და უცხო ქალაქს ადესაში რომ ჩავედი, იქაურ ქართველებს, ებრაელებს, რუსებსა და სხვებსაც თუნდაც მარტო სიარულზედაც გამოვიცნობდი ხოლმე.

ჩვენებური რომ ხელს გაიშვერს, ქორის ფრთის მონაქნევი გეგონებათ. ერთს რომ შემოგხედავთ, არწივის თვალი გაგახსენდებათ. მის სიარულში ვეფხვი მოგელანდებათ, მშვიდობაში - ჯეირანი, რისხვაში კი - ფოცხვერი.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ქალი ქართულ თეატრში შემხვდა და ამით თავისი ტომ-ვინაობა დამიდასტურა. თან თავდახურული კნენა ახლდა - ისიც მედიდური, ვიღაც დარბაისელი და უკვე ხნიერი. ქვემო ლოყაში ისხდნენ და აქაურ საზოგადოებას თავდაჭერილი მედიდურობით ათვალთვლებდნენ.

სამიოდე ნაცნობს გამოვკითხე, მაგრამ არავინ არაფერიც არ იცოდა. ქალს შავი კაბა ეცვა, ალბათ იმისთვის, რომ ასევე შავი თმისა და ბნელი კაბის ჩარჩოში მისი თეთრი პირი-სახე, სახე მკლავები და მაღალი მკერდი მკაფიოდ გამოჩენილიყო.

იმ დროს ტფილისელებს სამკაულით ვერ გააოცებდი, მაინც ყველა იმ ლოჯისკენ იცქირებოდა. აქა-იქ ჩურჩული ისმოდა - არა გაოცებისა, არამედ შურის და სიამის, ყურებზე ორი მსხვილი ბრილიანტის კურცხალი ეკიდა. თმაში ასეთივე წვრილი მბზინავი ძაფები ჰქონდა გახლართული. ხელზე ერთადერთი ცისფერი ბრილიანტის ბეჭედი უკამკამებდა, ხოლო მარგალიტების გრძელი მძივი მაღალ კისერზე სამჯერ ჰქონდა შემოხვეული და წელამდე ჩამოშვებული. ყველაფერი - კაბაც, სამკაულიც და ქალის ყოველი კუნთიც - საუცხოოდ იყო შეზავებული და ვერავინ იტყოდა, ამ უცხო სტუმარს რანაირი კაბა და სამკაული უფრო მოუხდებოდა ან ასეთ კაბას და სამკაულს რანაირი ტანი და პირისახე უფრო შეეფერებოდა. ცხადი იყო, განგებას მისთვის სილამაზესთან ერთად ნატიფი გემოვნებაც მიეცა და ზომიერების ღვთაებრივი ალღოც დაემატებინა.

იქვე ახლო პარტერში ვიჯექი და ჩუმი ვუთვალთვალე. ორივენი დროგამოშვებით ვინმეზე თვალით ანიშნებდნენ, ჩურჩულებდნენ და ზოგჯერ ალაგმული ღიმილით იღიმებოდნენ. ბოლომდე აღარ დარჩნენ. მალე წავიდნენ და თეატრში თავისებური სურნელი დასტოვეს.

ერთხელ დიდ მანძილზე ავედევნე. შორიდან მივლევდი. გზაც იქით მქონდა, თორემ ასეთ სტუდენტურ საქციელს არ ვიკადრებდი - სამწუხაროდ ვეღარ ვიკადრებდი. დიახ, სამწუხაროდ-მეთქი, რადგან ბებრულ სიღინჯეს და გამოფიტულ სიბრძნეს ისევ უმანკო ცუდლუტობა მირჩევნია, ისევ გიჟმაჟური თვაგადასავალი, გულიანი სიცილი, ადევნება, ქსელის გაბმა, შიგ ფართხალი, თუნდაც ღარდი, იჭვით ხერხვა და უიმედობით წამება სჯობია.

ნეტა რა მოხდებოდა ამ ქვეყნად, მეგობრებო, რომ სიჭაბუკის ყიდვა შეიძლებოდა? ყველაფერი ყირამალა შეტრიალდებოდა: მეფე თავის ტახტზე ყველაზე ჯანსაღ ავარას აიყვანდა, თვითონ კი ვინმე გომბიოს დაედევნებოდა. ჯან-ფულურო მილიარდელი თავის ბანკებს ვინმე სისხლმაჭარას დაუთმობდა და თვითონ შიშველ კანჭებს გამოუდგებოდა. უდიდესი, უკვე გამოფიტული მეცნიერი თავის კათედრას ვინმე მეთევზეს მიუდებდა, თვითონ კი თავისავე მსმენელ ქალს მიუჯდებოდა. სამად მოკეცილი ფილოსოფოსი მთელი თავისი სიცოცხლის ნაცოდვილარს ვინმე ყასაბს მიაჩენებდა და თვითონ კი, ფეხშიშველი, უქულო და შალვარ-დახეული, ქუჩის ბიჭივით კიჟინით მოჰკურცხლავდა, და რომელიმე ლიტერატორიც, თუნდაც რუსთაველის ტოლი, „ვეფხისტყაოსანს“ ვინმე მებოსტნეს შეაპარებდა და თვითონ... თვითონ კი თუნდაც უფასო მოჯამაგირედ დაუდგებოდა.

მაგრამ, მეგობრებო, ბუნება ჩვენზე უფრო გონიერია და მარტო ჭკუათხელი მიუდგება მას მაკრატლით, ნემსით, ხელეჩოთი და ცულით. ასეთი ხალხი და ბუნება ერთმანეთს დავანებოთ. დეე ერთურთი სჭრან, კერონ და აწვალონ, მე კი იმ ერთ ბრძენს ვე-თანხმები, რომელმაც თქვა: ყოველი გონივრული არსებობს და ყოველი არსებულიც გონივრულიაო. იმ ქალს შორი-ახლოს მივლევდი-მეთქი. უცებ ხელპარკიდან ლურჯი ხელსახოცი ჩაუვარდა. გავექანე, ვილაც ახალგაზრდას დავასწარი,

თითქმის გამოვგლიჯე, ქალს დავეწიე და შევთავაზე:

- ქალბატონო, ხელსახოცი დაგივარდათ. დახედა, შემომხედა და ცივად მომიგლო: - ცდებით, ბატონო, ჩემი არ არის. და გზა განაგრძო: მეც გავეყვი და ვუთხარი:
- თქვენია, ქალბატონო, თქვენ დაგივარდათ. ისევ ცივად, წელანდელზე უფრო სუსხიანად მიპასუხა:
- მე მაგისთანა ცხვირსახოცი არასოდეს არ მქონია. გთხოვთ თავი დამანებოთ.

რა თქმა უნდა, მაშინვე თავი დავანებე. დარცხვენილი ვიდექი და აბრეშუმის ლურჯ ნაჭერს ბრაზით ვჭმუჭნიდი. ირგვლივ იმის მეტი ერთი ქალიც არ მოჩანდა. გარდა ამისა, ცხადზე უცხადესად დავინახე: ეს ხელსახოცი ხელპარკიდან ამოიღო და ერთი წუთის შემდეგ უკანვე ჩაღო, მაგრამ იგი პარკს აცდა, ჯერ ჩამოეკიდა, მერე ჩამოცურდა და ქვაზე გაიშალა.

ვიდექი და ვფიქრობდი: „მაშ რად უარობს? რა მიზეზია?“ არ მინდოდა, მეძნელებოდა დამეჯერებინა, რომ მას ეს უარი სატანურმა მედიდურობამ ათქმევინა: ეშინოდა, ამ კაცს, ვილაც უცნობს, ჩემი გაცნობის საბაბი არ მივცეო. მაგრამ სხვა მიზეზი ვერ მეპოვნა, იგი არც არსებობდა, ჩემი დამცირებისათვის მძვინვარე ჯავრით ავენთე. მინდოდა დავწვოდი, ხელსახოცი პირსახეში მესროლა და ხუთიოდე შესაფერი სიტყვაც მიმეხალა, მაგრამ თავი შევიმაგრე და წავიბურტყუნე:

„არა უშავს-რა... შადურის წყენა არ ჩაგივლის, ქალბატონო, ვინ იცის, ეგ ავგოროზობა სად დაგახვედრო... ოდესმე შეგხვდები და განანებ“.

ხელსახოცს დავხედე. კუთხეში ორი ასო იყო მოქარგული: „მ.თ.“ გავწიე, გავგლიჯე, გადავყარე და ჩემს გზას გავუდექი.

კარგა ხანი გავიდა. ქალი თვალღან დაძეკარგა. შემდეგ ისევ გა-
მოწნდა. კვლავ მედიდურად მოაბიჯებდა, მაგრამ მომჩვენა, თითქოს დაღვრემილი ყოფილიყო,
თითქოს სახეზე რაღაც ნისლი დასწოლოდა, რომელსაც უწინდელი ამპარტავნება დაეწრდილა.
თვალი გავაყოლე, მაგრამ არც მაშინ შემომხედა, ერთხელ მაინც მოიხედა და უკნიდან მიმავალს
პატარა ბიჭს შეხედა, რომელსაც სანოვაგის კალათით რაღაც მიჰქონდა, ეს შეხვედრა ისეთ ღროს
და ისეთ მივარდნილ ქუჩაზე მოხდა, რომ გუშინი ავიღე და გავიფიქრე: ამ ქალს პატიმარი ხომ
არა ჰყავს და მისთვის საჭმელი ხომ არ მიაქვს-მეთქი?

ერთხელ მეც უნებურად დავადექი იმ გზას, მეგობრებო! განგებამ თქვენი თავი რომ გამაცნო,
თუ გახსოვთ, ჩემი პატიმრობის ამბავი ვიამბეთ. ერთმა სალახანამ ჩემი დალუპვა განიზრახა და
ამის გამო სასტიკი სასჯელიც მიიღო. მაგრამ მეც დაეზარალდი. სანამ სიმართლე გამოირკვეოდა,
მცირე ხნით თავისუფლება ამიკვეთეს, ხოლო შემდეგ ჩემს რუსიკოს დავემორდი და ავარად
გადავიქეცი.

თითქმის ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ის ქალი აღარ მენახა. და უცებ
მოულოდნელად წავაწყდი. რა თქმა უნდა, ნეტარსენებული ავეტიკა თქვენც გენსომებათ,
რომელსაც პუშკინის ქუჩაზე, ძველი სემინარიის პირდაპირ, დიდებული სარდაფი ჰქონდა. სწორედ
იმ ღუქანში გაგაცანით ჩემი თავი და ჩემი პირველი ამბავიც იქ ვიამბეთ.

ნაღვინევი გახლდით და ჩახმახივით ვიყავი შეყენებული. იმ ქალს თითქმის შევეჯახე. შედგა,
გზა მომცა და გამიღიმა. და ამ ღიმილმა უფრო გამაოცა, ვიდრე ერთი წლის უნახავის შეხვედრამ.

მარტოხელობით და ღვინით ვიყავი გათამამებული. ქალის ღიმილმა გამაოცა-მეთქი, მაგრამ
მაშინვე თავხედობის ფრთებიც შემასხა, პირისპირ ვიდექით და პირველ სიტყვას ან გზის აქცევას
ველოდებოდით. ბოლოს მან ერთი ნაბიჯი გადადგა გვერდით, მაგრამ უმაღვე გზა მოუჭერი,
აქეთ მოიწია - ისევ წინ ავეშოტე, მარცხნივ გატრიალდა, კვლავ მე შემეფეთა, მარცხნივ მოუხვია
- ისევ მის წინ დავერჭე.

ბოლოს დაბალი ხმით გაიცინა და წაიბუტბუტა:

- თუ შეიძლება... გზა მიბოძეთ. - ინებეთ, ქალბატონო.

ადრე მოშვლებილი თავი დაბლად დავუკარი და გზა დავუთმე, მაგრამ
მაშინვე გვერდით ამოვუდექი და დავაყოლე:

- მართალია, მარტო შორიდან გიცნობთ, თქვენი სახელიც არ ვიცი, მაგრამ... თუ
გაგონდებით...

- ღიან, მაგონდებით...

- რა თქმა უნდა, არც თქვენ გეცოდინებათ ჩემი სახელი. გივი შადური გახლავართ.

და შევდექი. ისიც შესდგა, ხელი გამომიწოდა, მაგრამ თავის ვინაობა
არ დაასახელა.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ელექტრონის შუქზე თვალის ერთი ავლებითაც გავარკვიე: თითქოს ის
იყო, მაგრამ თითქოს არც ის იყო. უწინ ოცი წლისას ჰგავდა, ახლა კი ოცდაათისაც იქნებოდა.
ქორფა სახე უკვე მოსცვეთოდა, ხოლო მაშინდელ უხადო ტანისამოსის მაგივრად საკმაოდ
მოთელილი კაბა ეცვა, გახუნებული შლიაპა ეხურა და ფეხსაცმელიც მოღრეცილ-მოძველებული
ჰქონდა.

გვერდით მივდევი, ვათვალთვლებდი და გაცვეთილ ქათინაურებს ვუკმევდი, თანაც გულში
ვფიქრობდი: „ამ ქალს ამ ერთ წელიწადში დიდი რაღაც დაემართა. იმდენად გახუნდა, ისეთმა
რამემ მოსდრიკა, რომ ახლა ჩემი თავიც იკადრა. მაშინ კი თავის ხელსახოცზეც კი უარი თქვა,
რადგან... მაგრამ იფხიზლე, გივი შადური! შენთვის ესეც ბევრია“.

რუსთაველის ქუჩაზე, ძლიერ სინათლეზე, ჩემი ნაზვერავი ერთხელ კიდევ შევამოწმე. თურმე
არ შევმცდარვარ: ქალს დაქვეითება, მისი პირისახისა და სამოსელის დამდარება დიდ შუქზე
უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, ვიდრე წელან მომჩვენა. სითამამეს მოვუმატე და მკლავში ხელი
გავუყარე. არ იუკადრისა. მისი ტანის სიახლოვე ზარზოშს მიმატებდა, მისი სითბო მახელებდა,
მისი სუნთქვა აღმურივით მწვადა.

- ქალბატონო, წელან თქვენი სახელი და გვარი არ გიბრძანებიათ, ამიტომ...

- მარადი თაველიძე... - წაიჩურჩულა.

- მარადი... მარადი... მშვენიერი სახელია. - წამოვიძახე, - თითქოს პირველად მესმის.

პირველად არ მესმოდა. ოდესღაც სადღაც გავგონილი მქონდა, მაგრამ
უცებ ვეღარ მოვიგონე და ჩემს მეხსიერებას ძალა აღარ დავატანე.

- ღიან, იშვიათი სახელია. - დამეთანხმა და მთაწმინდის ქუჩის კუთხეში შედგა. - მე ზევით
ვცხოვრობ. - ნება მიბოძეთ ბინამდე მიგაცილოთ.

- თუ გნებავთ...

- მნებავეს კი არა, მსურს, მწყურია, მშია.

გაცინა და აღმართს შეუდგა. ზედმიკრული მივდევდი და ათას სისულელეს ვროშავდი - ისეთს მსუბუქ სისულელეს, რომელიც ჩემი ხნის ადამიანს მხოლოდ ლამაზ ქალთან საუბრის დროს ეპატიება.

ორსართულიან სახლის წინ შედგა და შეეყოყმანდა. დრო ვისარგებლე და -

- თუ ნებას მომცემთ, - ვუთხარი, - შინ შეგაცილებთ. ჯერ ადრეა. არხეინად ბრძანდებოდეთ, ავაზაკი არა ვარ.

- დიახ, ადრეა. - თითქოს ამით იმართლა თავი და დაუმატა. - წამობრძანდით.

დარწმუნებული ვიყავი, ძმა, დედა, ქმარი ან ბებია მაინც ეყოლებოდნენ. ბნელ კიბეზე მკლავით ამყავდა და ვფიქრობდი: „იფხიზლე, გივი შადურო! არ აჩქარდე, არაფერი წამოგცდეს, თორემ კარსა განხმულსა ნაადრევად მოგიკეტავენ“.

- აქეთ მობრძანდით... - დროგამოშვებით ჩუმი ხმით მიკარნახებდა მარადი. - მოტრიალდით...

ხუთი საფეხურიღა დარჩა... ახლა მარცხნივ... აი აქეთ... აჰა, მოვედით.

გასაღები ააჩნაკუნა, კარი შეაღო, უმაღლვე ელექტრონი გაანათა და შემიწვია:

- მობრძანდით.

შევედი და ოთახს თვალი გადავაველე. მეტად უბრალო რამ იყო. ვარდისფერი შპალერი ნაყვავილარს ჰგავდა. იატაკს მოწითალო ფერი მარტო კუთხეებში ეტყობოდა. სადა მაგიდას დაკონკილი სუფრა ჰქონდა გადაფარებული და ეტყობოდა, ოდესღაც იგი თეთრი უნდა ყოფილიყო. ერთ კუთხეში შეღებილი ნაძვის კარადა იდგა, ხოლო მეორეში - მასპინძელით შეცვითილი საწოლი.

- დაბრძანდით. ბოდიშს ვიხდი, რომ... - აღარ დაასრულა. ალბათ ლტაკი ოთახის გამო სურდა ბოდიშის მოხდა, მაგრამ იჩოთირა და გაჩუმდა.

ჩალის სკამზე დავეშვი. იგი აკვნესდა, ახრიალდა, ჩაიხნიქა, მერე გასხლეტა მონდომა, მაგრამ წონასწორობის წერტილი ვიპოვე, მეც გავხვევდი და იმასაც ლაგამი ამოვდე.

სანამ მარადი ზედატანს იხდიდა, მეორე კარზე მივუთითე და ვკითხე:

- აქ ვინა ცხოვრობს?

- ვიღაც ყრუ ბებერი. - მიპასუხა. - ერთი სიტყვაც არ ესმის. ამ განმარტებამ - „ერთი სიტყვაც არ ესმის“ ნემსივით მიჩხვლიტა და ბიწიერი აზრი ჩამიღვარა.

- აქეთ? - და მეორე კედელზე მივუთითე.

- მანდ არავინ. უკანასკნელი ოთახია.

- მაშ... მგონი მარტო უნდა ცხოვრობდეთ, არა?

- დიახ, მარტო ვცხოვრობ. - შავი თმის ზვინზე ხელი გადაისვა, თავის ლოგინზე ჩამოვჯდა, შემომხედა და ხმას დაუწია: - მარტო ვარ.

- ობოლი?

ხელები მუხლებზე დაიყარა, მცირე ხანს იყუნა და ოდნავი ყოყმანით მიპასუხა:

- მგონი... სულ ობოლი უნდა ვიყო. მამა რუსეთში ჩარჩა და ალბათ დაიდუპა.

სანამ ოთახში შემოვიდოდი, ლალად ვიყავი და ვარსკვლავების მოწვევებს ვაპირებდი, ახლა კი უცებ მოვდუნდი და უცნაური მორცხვობა, რაღაც უნდობა დამეტყო. რა იყო მიზეზი? რამ შემაკრთო? რამ ჩამიქრო გზნება? მიზეზს ჯერ ბუნდოვნად ვერძნობდი, შემდეგ კი უფრო მკაფიოდ მივუხვდი.

მეგობრებო! მე ძველი თაობის კაცი ვარ და ზოგი რამ ახალი ვერ მესმის. მსურს, ძალიან მსურს გავიგო, მაგრამ ვერ გავიგე. აი ერთი მაგალითი: ოჯახის კარი დღეს ალაყაფად გადაიქცა, ნამდვილ კარიბჭეს დაემსგავსა. თითქმის ყველას შეუძლია შევიდეს, იქაურობა მოჩხრიკოს, ყველგან ხელი მოაფათუროს, ყველაფერი დასუნოს, საწოლ ტანტის ქვეშაც შეიხედოს და, თუ დრო იხელთა, ხელს რამე წააყოლოს, ხოლო მასპინძელს

ბიწი და სირცხვილი დაუტოვოს. ვისაც კარი მუდამ ღია ჰქონდა, უწინაც ასეთივე დღე ემართებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მაშინ კარდია ოჯახს უფრო ძნელად ნახავდით. ახლადგაცნობილმა მარადიმ კი პირველივე დღეს გამიღო კარი. ჯერ ოდნავ მეჩოთირა, რადგან არ მიცნობდა და არც კი იცოდა, ყაჩაღი ვიყავი თუ პატიოსანი. მივდევდი და მეგონა, ოჯახში შევდივარ-მეთქი. ვფიქრობდი, თუმცა ეს ბინა რაზა-ურდულით არ არის ჩაკეტილი, ალბათ მცირე რამ ბოქლომი მაინც დამიხვდება-მეთქი. ახლა კი...

ახლა ის ქალი უკვე ცალკე ოთახში მყავდა, ის ქალი, რომელმაც ოდესღაც ასე უცებ მომიწადინა, მერე ზიზღი შემასხა, ხოლო შემდეგ მწიფე ვაშლივით ხელში ჩამივარდა.

- მარადი, - ვუთხარი, - მარადი, იცით, რომ პირველივე დღეს ძალიან მომეწონეთ? შემომხედა და უნდელი ღიმილით მიპასუხა:

- ვიგრძენი.

- რაკი უცებ იგრძენით, მაშინამდვილი ქალი ყოფილხართ. მხრები აჩჩეხა და თავი ისევ ჩაქინდრა. წამოვდექი და გვერდით მივუჯექი, არა თქვა რა.

- მარადო, გახსოვთ თქვენი ხელსახოცი?

- რა ხელსახოცი? - ვითომ გაიოცა.

- ქუჩაში რომ დაგივარდათ. მე ავიღე და მოგაწოდეთ, თქვენ კი არ მიიღეთ, ჩემი არ არისო. გაახსენდა. - ჰო, მახსოვს. - რატომ არ აიღეთ? მოიფიქრა და ცალი ყბით მიპასუხა: - დარდიანად ვიყავი... არ მეცალა. დავდუმდით. მერე ხელი წელზე მოვხვიე და ყურში ჩავუხსნი:

- ალბათ იმასაც იგრძნობდით, რომ თითქმის... თითქმის შემეყვარდით. პირისახე მიიბრუნა და გატვინდა. მე კი დავურთე:

- შემდეგ ნამდვილად შემეყვარდით.

და ორივე მკლავით მოვეხვიე, არც შეინძრა, არც ხმა გამცა, არც მე ჩამავლო კაცად, არც თვითონ მოისურვა ქალობა. ვეხვეოდი, ვკოცნიდი, საალერსო სიტყვებს ჩავჩურჩულე, მაგრამ ყველაფერი ამო იყო: ცეცხლი ვერ დავანთე, სისხლი ოღნავადაც ვერ შევეუთბე. მეჩვენებოდა, თითქოს ცოცხალი ქალის ნაცვლად მკლავებში მუთაქა მეჭირა, თითქოს მატყლი მეთელნა და მისი გაცოცხლება მსურებოდა.

უცებ ბრაზი მომერია და ის მუთაქა ლოგინზე გადავაგორე. მატყლის მუთაქა ისევ მუთაქად დარჩა, მე კი... მე რომ გახსნილ კარს წავაწყდი, დაკაკუნებაც კი რომ არ დამჭირდა და შიგ ქუდმოუხდელმა შევალაჯე, - უცებ ისე შევკრთი და გავწითლდი, როგორც მოკრივე გაწბილდება ხოლმე, როცა მენით სახვე მუშტს ჰაერს დააძგერებს და საჯაროდ გაიშხლართება ხოლმე.

შერცხვნილი მივადექი კედელს და ფოტოსურათებს დავუწყე სინჯვა. მარადი ფეხაკრეფით აივანზე გავიდა. აი იმ კნეინას სურათი, რომელიც ერთხელ ლოჟაში მარადისთან ერთად იჯდა. მის გვერდით ვიღაც გენერლის სურათი ჰკიდია. წვერი ნიჩაბივით გაუშლია და ისე იბღვირება, თითქოს ერთ ლუკმადაც არ ეყოფიო. აგერ ვიღაც გიმნაზიელი, ზევით კი...

და ზევით რომ ავიხედე, რაღაც ჟრჟოლამ დამკრა და ფეხებში ჩამირბინა. ოქროსვარაყიან ჩარჩოდან ერთი ვინმე გამოიყურებოდა, რომელიც... რომელსაც... ოდესღაც... მაგრამ სჯობია ისევ შორიდან დავიწყო.

2

უკვე მოგეხსენებათ, ერთ დროს ერთმა ვინმემ ვერაგული შარი მომდო და ჩემი დალუპვა განიზრახა-მეთქი. დროებით, მცირე ხნით საპატიმროში მერგო ჯდომა. საკანში რომ შევედი, კუთხეში ვიღაც კაცს მოვკარი თვალი, ტახტზე გულადმა იწვა და გულგრილად მათვალეირებდა.

- გამარჯვება! - მივესალმე.

პასუხი არ მომცა, კედლისკენ გადაბრუნდა, საბანში გაეხვია და მორივით გახვედა. მისი სიბრიყვე მეუცნაურა, მაგრამ ვიფიქრე: კვიატი რამ ექნება აჩემებული, ან იქნება ქართულიც არ იცის-მეთქი.

ლოგინი მეორე ტახტზე გავიშალე, ჭურჭელი მცირე მაგიდაზე დავაწყე და მოლოდინს შევუდექი. გულმართალი ვიყავი, არა ვღელავდი. დაუჯერებელი იყო, რომ უცოდველი კაცი დაესაჯათ, ამიტომ უძალვე სულიერი მშვიდობით და თავმდაბლური მოთმინებით აღვიჭურვე და ბედის განაჩენის მობრძანებას შევუდექი.

ჯერ ჩამოვჯექი, მერე დავწექი, შემდეგ გავიარ-გამოვიარე. ისევ მივწექი და ისევ წამოვჯექი. ის უცნობი კი კვლავ გაუნძრევლად ეგდო, თუმცა ვატყობდი არ ეძინა.

თეთრ კედლებს თვალი ავაკლე და წარწერები დავინახე. დილეგში მჯდომი პაპიროსისა და ასანთის კოლოფებზე აღბეჭდილ კლიშესაც კი ათასჯერ კითხულობს და შარშანდელი გახეთის ნაგლეჯსაც კი ცხელი ამბავივით ეწაფება, ამიტომ ამ საკნურ ლიტერატურას მეც ისე მივეტანე, როგორც არქეოლოგ-ისტორიკოსი დაეტაკებოდა ხოლმე პიტალო კლდეებზე ამოჭრილ ვინმე ვინმე არტაქსერქსის, რამზესის ან სარდუნაპალის რომელსამე ნაქადილარს.

უცნობ სტუმრებს ყველაფრით უწერიათ, რაც კი ხელში მოხვედრიათ: ფანქრით და ნახშირით, ნამწვით ან ჩხირით, კოვზით და ფრჩხილით. ერთი ვიღაც მხნედ გაჰკივის, მეორე დიდაქტიკურად ლიტერატორობს, მესამე ბრძნულ დარიგებას იძლევა, მეოთხეს უიმედობისთვის მიუცია თავი, ხოლო სხვებს მარტო თავიანთი სახელი და გვარი აღუბეჭდიათ, რათა მათ შემკვიდრებებს სამუდამოდ დაეხსომებინათ, რომ ჩემკ... წელსა დილეგსა ამასა შიგან სჯდა ვინმე მექრთამიძე ან სპეკულაშვილი.

ვიღაც ნასტუმრალი კელლიდან მირჩევს: ნუ დარდობ, ძმაო მომსვლელო! ნურც შენ გიხარის, წამსვლელო!

ვიღაც მეორე ამ დარიგებას იქვე გვერდით ასეთ განმარტებას აძლევს: ვინც არ ყოფილა - იქნება! ვინც იყო - ისევ იქნება!

მეორე გვერდზე სასაცილო მიწერ-მოწერას წავაწყდი:

მელქო, შე ჰარამზადა! რათ დამაბეზღე? განა ერთად არ გვიმუშავენია?!

მელქოს ეს უსტარი მიუღია (რიგ-რიგად მსხდარან ამ საკანში) და

პასუხიც იქვე მიუწერია:

შე ყურუმსალო, შენა! მუხთალი ხარ, მომატყუე და მეც ამიტომ

გაგწირე. არა გიშავს-რა, ჭკუას ისწავლი.

ცხადია, ორივემ ჭკუა ისწავლა, ან ახლაც სხედან და სწავლობენ. ვიღაც ბაზაზი ჩივის:

როსტოვიდან ჩითი და ფქვილი მომიტანია, იაფად გამიყიდნია, ტიტველი

შემიმოსნია, მშიერი გამიძლია. თქვენ უღმერთოებო, რას მერჩით?! „უღმერთოებს“ ურჩოლიათ, ხოლო ვიღაც ხუმარას იქვე მიუწერია: შე ტუტუცო, ვინ გეხვეწებოდა ტიტველის შემოსვას და მშიერის გაძლო-

მას? ახია შენზე. გადაეჩვევი.

ალბათ გადაეჩვევა.

მესამე კედელზე ვიღაც უიმედოს მთრთოლვარე ფრჩხილით ამოუჭრია: როსტომ

სთქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა: ერთხელ სჯობია სიკვდილი

სულ მუდამ დაღონებასა.

ეს ვეება თეთრი დაფა ეპოსით არის შემკული. მაღლა ნახშირით

რუსთაველი შეუწუხებით: სჯობს

სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი

სახელოვანი.

ეს ცეცხლის ისარი მსხვილი ასოებით არის ნასროლი, მაგრამ ამის დამწერი იქვე წვრილად და თავდაბლად ჩრდილში შეპარულა: „ი.გ-ი“ უმაღ ვიცანი: ეს „სახელოვანი სიკვდილი“, ვინმე იოსებ გურაშვილი, ამჟამად მოწითალო ღირექტორია, ავტოდან არ ჩამოდის და ხელისუფლებას მარცხენა ლოზუნგების სროლაში ეჯობება.

ამ თავაგლეჯილს, ვაჟკაცურ კვილს სხვა ვიღაც ფხიზელი ძველი

სიბრძნით არიგებს და ცივ ყინულს აყრის: საცა არა სჯობს,

გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან.

კიდევ ერთს უცნობს მეტად გასჭირვებია და გული ასე გაუმაგრებია: ჭირსა შიგან

გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა.

მეორეს შიში შეჰპარვია და გახსენებია, რომ - შიში ვერ იხსნის

სიკვდილსა,

ცუდია დაღრეჯილობა.

სიკვდილის შიში ერთი წამითაც არ მომელანდა, მაგრამ მაინც დაღრეჯილობა ვიგრძენი, რადგან მარტო ვიყავი, ხოლო მუდამ მღუმარესა და კუმტ მეზობელს ისევ მარტობა მერჩივნა.

საკნის მუნჯი მდგმური მხოლოდ საჭმელად წამოღდა. მეტად მაღალი იყო, თხელი შავწვერიანი, მიმქრალი თვალებით, მტკიცედ მოკუმული თხელი პირით და გამჭვირვალე მაღალი ცხვირით, რომელიც თითქო ცვილისგან ყოფილიყო გამოკვეთილი და ხელოვნურად ჰქონიყო მიწებებული. როცა ზედამდეგმა მცირე სანათურში დაბალი ხმით შემოიძახა „ჩაი!“ მაღალი მეზობელი კარებთან აჩრდილივით მიიპარა, ცხელი წყალი გამოართვა, მაგიდას მიუჯდა და ისე უნდოდად გაათავა ორი ჭიქა, თითქოს აბეზარ ბეგარას იხდიდაო. მერე ისევ მიწვა და წელანდელივით გაინაბა.

ორიოდე საათი გავიდა. უცებ რამდენიმე კაცის ფეხის ხმა მოისმა, ჩვენმა რაზამ გარედან დაიფლარუნა და ნაჭედმა კარმა დაიჭრაჭუნა. ვიღაც ახალმა გვერდით გამიარა და შუა საკანში შესდგა. წელანდელ მეზობელს თვალი ძლივსლა მოგკარი: ტახტიდან ისკუპა, გველივით გასხლტა და თითქმის მოხურულ კარში ჩრდილივით მიიძალა. ახალმოსულმა ავი ღიმილი გააყოლა და ადგილიდან არ დაიძრა, ხოლო გარედან უცნაური და არეული ხმები მოისმა:

- ეს რა ამბავია? - სუსხიანად იკითხა ზედამდეგმა. პასუხად ბუტბუტი ისმოდა:

- არ შემიძლია... არ შევალ... სხვაგან გადამიყვანეთ.

- უკანვე შედით-მეთქი.

- არ შევალ... სანამ ეგ იქ იქნება, არ შევალ-მეთქი. ან ეგ გაიყვანეთ, ან მე გადამიყვანეთ. ეს სიტყვები მე ჩემს თავზე მივიღე და ავლელი, მაგრამ ახალ-მოსულის მრისხანე თვალებს და შურისმაძიებელ კბილებს რომ შევხედე, აზრი გამოვიცვალე. „ცხადია, ამათ რაღაც ანგარიშები უნდა ჰქონდეთ“,

- გავიფიქრე და მალე დავრწმუნდი, რომ ალღომ არ მომატყუა. მცირე დავა-ჩურჩულის და ხვეწნის შემდეგ ზედამდეგი შემოვიდა, გაქცეულის ხაბაკ-ხუბაკი მოაგროვა, ილლით გაუტანა და კარი გაიკეტა. კარგა ხანია მათი ნაბიჯი მიწყდა, ახალმოსული კი კვლავ უძრავად იდგა და დაცარიელებულ ტალანისკენ ისე იხედებოდა, ისე კრეჭავდა ვეება თეთრ კბილებს და ისე ათრთოლებდა ცხვირის ნესტოებს, თითქო მშვიერი მხეცი ცხვირის ნაკვალევს წააწყდა და ნახტომისთვის შეემზადაო. შემდეგ გამოტრიალდა, ცარიელ ტახტზე ჩამოჯდა და თვალების ფშვნეტას მოჰყვა. ისე იჩეჩებოდა და იბლიტებოდა, თითქოს სინათლე ეუცხოვებოდა, თითქოს ნაჩვევს მოსწყვეტოდა და უჩვეულოსაც ჯერ ვერ შესთვისებოდა. ნაჯაფვე ლომივით იზმორებოდა და ახალ საკანს შტერივით ათვალიერებდა. მე კი თითქოს ვერ მაძინევდა ან მისთვის ყურადსაღები არ ვიყავი. მერე ძლივს დამინახა და უცნაური თვალებით დამაშტერდა. ეს თვალები - მჭრელი, მწვავე და მომწვანო თვალები - გველის ათასი წიწილასავით მომესია, მომებურა და სული სიცივიტით ამივსო. ვერ გაუძელი და თავი მოვიბრუნე. მერე კვლავ მოვიხედე და მალვით თვალი ავაღვენე.

ახოვანი ვინმე იყო: საკმაოდ მაღალი, ბეჭიანი, თითქოს ქვიდან გამოჭრილი. თმა და წვერ-ულვაში - გრძელი, ხშირი და ნახშირით შავი, ხოლო პირის კანი თეთრი, სანთელივით ნელი, სუფთა და ორგან ღრმა ჭრილობით დასერილი.

თვალები ხელახლა მომანათა. შემოცხვდა და აღარ მოვარიდე. დიდხანს მბურღა დაჟინებით, მერე კი თითქოს თუჯმა დაიჟღარუნაო:

- ვინა ბრძანდებით, მეგობარო?

- გივი შადური გახლავართ. - მე კი ყარამან ჯიქურაული მქვიან.

და დაღუძდა. მერე წამოდგა და ისე გაიზმორა, რომ მთელი საკანი თავისი მკერდით და მკლავებით გაავსო. შემდეგ გაიარ-გამოიარა, კარებთან შედგა და თავის ქნევით საკუთრივ ჩაიჟღარუნა. - მაშ ასე: ჩემი სიცოცხლე დღეს გათავდება. შეშინებულმა ავხედე და გაუბედავად შევკადრე:

- რასა ბრძანებთ! ვინ გითხრათ?

- არავინ. ვგრძნობ, მივხვდი. გუშინთ მივაგენი. - და ისევ თვალწინ გამიარა. მე არ შემეძლო არ გამემხნევებინა და ასე ვანუგეშე:

- ნერვები აშლილი გექნებათ. ხოლო კაცის გუშანი ჩემი საათივით სტყუის ხოლმე.

ახალმოსულის ღიმილმა წვრილი ხერხივით გამკრა. ასე იღიმება აფთარი, როცა კლანჭებში ციყვს ჩაიგდებს ხოლმე. და მის სახელსა და გვარსაც ახლავე მივუგდე ყური: ყარამან ჯიქურაული! და გამახსენდა ჯიქი, რომელიც „ვეფხვსა ჰგავს, უდიდეს“, რომ ჯიქი ჩერქეზთა ძველი სახელიც არის და აგრეთვე მკაცრი, უჯიათი, დაუნდობელი და მუხთალი ადამიანის.

„ნეტა ეს გვარი ზედამოჭრილი ხომ არ არის იმ ადამიანზე? - გავიფიქრე. - გარეგნობით ნამდვილი ჯიქია, შინაგანად კი... ვნახოთ, გამოვკითხოთ“. და გავიმეორე:

- გარწმუნებთ ნერვების ბრალი იქნება. ნუ აჰყვებით.

ჯიქურაულმა ერთხელ კიდევ დაიჭირა ციყვი და ჩაიხრიალა - სწორედ ისე, როგორც მგელკაცა ხრიალებს ხოლმე თავისთვის:

- მართალს ბრძანებთ. ნერვები გამიცვდა, მაგრამ მაინც სრული ჭეშმარიტება მოგახსენეთ. ხვალ მზეს ველარ ვნახავ. - და მცირე ღუმილის შემდეგ დაუმატა: - ახია ჩემზე!

- მიზეზი? - შევაპარე დაბალი ხმით.

- მიზეზი? ძალიან შორეული. მისი ფესვები საუკუნეთა ჯურღმულშია ჩაფლული. ჩემს წინაპართა ასიოდე თაობის სისხლშია გათქვეფილი.

გაიარა და უცებ მომიბრუნდა:

- ერთი მიბრძანეთ, გწამთ თუ არა ჯიში და სისხლის ძალა? მე მტკიცედ მივუგე:

- მწამს.

გაუხარდა, გამოცოცხლდა.

- ბედისწერა?

არა, არა მწამდა. უძველეს ბერძენთა მოირა, ლათინთა ფატუმი და აღმოსავლური ბრმა „ეტლი“ მეოცე საუკუნეში უკვე გაფანტულ ჭორად მქრვენებოდა, მაგრამ საკამათო დრო არ იყო და უნებურად დაუუდასტურე:

-ბედისწერა? მწამს, უეჭველად მწამს.

-მართლა? ძალიან კარგი. მაშ სათქმელსაც გამიგებთ. გეცოდინებათ, მთქმელს გამგონიც უნდაო.

კარგა ხანს სდუმდა. მერე ჩამოჯდა, დაიწყო:

-ისტორია თურმე ჩემს გვარსაც ჰქონია. პაპაჩემის ხელნაწერი წავიკითხე და გავიგე, რომ ამდენი თაობიდან, ასიოდე მამაკაციდან მხოლოდ ორი მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით: ერთი მათგანი გაციებულა, მეორე კი სახადს გადაუტანია, ხოლო დანარჩენი ნადირებივით დაუხოციათ. ზოგი ბრძოლაში მომკვდარა, ზოგისთვის თავი მოუჭრიათ. რიგი ჩამოუხრჩვიათ, რიგი დაუხვრეტიათ. ზოგიერთები ციხეში დაუღაპათ, მეორენი ჩხუბში მოუკლავთ, ხოლო მესამენი ხეწარს, ტყესა და კლდე-ღრეში ცოფიან ძაღლივით მიუწყეფიათ. ასეთია ჩემი გენეალოგია. ახლა რაღას იტყვით ჩემზე? მეც ასეთივე ბედი მომელის თუ არა?

-რად მოგელით? ცხადია, თქვენს წინაპრებს მრავალი მოსისხლე ჰყოლიათ, რადგან, როგორც ჩანს, მეტად აბეზარი ხალხი ყოფილა, თქვენ კი...

-არც მე განლავართ ანგელოზი. აქედან რომ გამიშვან და ზოგიერთ სოფელ-ქალაქში დამატარონ, ათი ათასი მოსისხლე მაინც გამომიჩნდება. ყველაფერი რომ გიამბოთ, გაოცდებით და ჩემს განაჩენზე თქვენც ხელს მოაწერთ... დიახ, რომ გიამბოთ...

-თუ მენლობით და არ გემძიმებათ, მიაბბეთ.

-ალარც დასამალავი მაქვს და არც მემძიმება. ხალისითაც გიამბობთ, რადგან ენა ძლივს ამოვიდგი და, გარდა ამისა, სწორედ ჩემზეა ნათქვამი: ჭირთა თქმა ლხინიაო.

ძვლის ჩიბუნს მოუკიდა და ისეთი ნაფაზები გამოუშვა, რომ საკანი ერთ წუთში ბოლის ღრუბლით გაავსო. დააშტერდა და თავის უცნაური ხმით დაიწყო:

-უბედური სისხლი მაქვს-მეთქი: მღვრიე, ანჩხლი და მღუღარე, და

ბედმაც დედის მუცელში ავი ხელით დამდალა. მამაჩემმა ჩხუბში სამი კაცი მოჰკლა, მეოთხე და მთავარი მოშულარი გადაურჩა. კარგახანს იმალებოდა, შემდეგ დრო იხელთა და ქორწილის ღამეს ხანჯლით თავი გააგდებინა, ხოლო დედოფალი ტყეში გაიტაცა და დაასნეულა. მოკლულთა ძმებმა შური იძიეს: მძინარეს მოასწრეს, შეჰკრეს და სამ დღეს ჰკლავდნენ: თავდაყირა დაჰკიდეს, ათასგან დახვრიტეს, თვალები დათხარეს, ერთი სიტყვით, მხეცურად აწამეს... მხეცი მხეცრად გაათავეს. არც ვამტყუნებ, რადგან მწამს, საუბედუროდ ახლავ ვირწმუნე, რომ რასაც დასთესავ, იგივე უნდა მოიმკო და ბედის სახლაური არავისაც არ უნდა ასცდეს.

მხეცი იყო-მეთქი. მაგრამ მსგავსი მსგავსსა შობსო, და მეორე ან-

დაზაც სწორედ ჩემზეა გამოჭრილი: ჯერ დედ-მამა ნახე და მერე შვილი გამონახეო. ბედნიერი ვიქნებოდი, დედას რომ დაგვგანებოდი, მაგრამ ბედმა მამის სისხლი ჩამისხა და ყოველივე მისი გადმომცა. ბავშვობიდანვე მეტისმეტად ჭირვეული, კაპასი, შარიანი და ბოროტი რამ ვიყავი. ჩემთვის არაფერი არსებობდა: არც სიწმინდე, არც მოვალეობა, არც ნათესავი და არც ღმერთი. მთელ სოფელს ვძულდი, ყველას ეშინოდა ჩემი, დიდსაც და პატარასაც, კაცსაც და ქალსაც, ფრინველსაც და ოთხფეხსაც.

სისხლი და წამება სიტკბობას მგვრიდა. დროს და ალაგს ვიხელთებდი და ძაღლს, კატას ან ბოჩოლას კუდს მოვაჭრიდი, ან თვალს გამოვთხრიდი, ან ჯოხით, ქვით და დანით დავასახინებდი. ფრინველს, ბლარტს, წვრილფეხას დავიჭერდი და საათობით ვაწამებდი: თითო ბუმბულს და ფრთას ვგლეჯავდი, ცეცხლით ვწვავდი, ნემსით ვჩხვლეტავდი, და იქამდე ვაწამებდი, სანამ არ მოვკლავდი ან არ მომასწრებდნენ და კარგად არ მიმბეჭავდნენ ხოლმე.

მაგრამ ჩემი ცემა თითქმის ყველას მეტად ძვირად უხდებოდათ. ტოლ-

ამხანაგები დაფრთხალი მყავდა. რომ დამინახავდნენ, გზას ამიქცევდნენ, სათამაშოდ რომ მივიდოდი, უმაღვე ისე გარბოდნენ, თითქოს ჭირიანი მოვიდაო. თუ ბევრნი იყვნენ, არ გაიქცეოდნენ, სამაგიეროდ თამაშში არ ჩამრევდნენ და განაპირებულს შურით და ბოლმით მახრჩობდნენ.

ასეთი მშვილობა დიდხანს ვერ გასტანდა ხოლმე. ან მე მოვდებდი შარს, ან ისინი მიპოვნიდნენ საბაბს და უმაღვე გაჩნდებოდა ჩხუბი, ბრძოლა, ომი, რომელიც ძალიან ხშირად სისხლის ღვრით თავდებოდა ხოლმე. კვირა იშვიათად გავიდოდა, რომ ვინმე ერთი ან რამდენიმე ჩვენთაგანი დასისხლიანებული არ დაბრუნებულიყო შინ, ზოგჯერ კი ხელითაც კი შეჰყავდათ ან შეჰქონდათ ხოლმე. თუ ხუთიოდე ბიჭი დამიჭერდა სადმე, წასაყვან-წასაღები მე გამოვდიოდი, მაგრამ თუ თითოს ან ორს მოვასწრებდი, მათი ბლავლი ცას წვდებოდა და მათი სისხლით მიწა და ბალახი იღებებოდა.

მტერი უთვალავი მყავდა და მუდამ იარაღში ვიყავი ჩაჭედებული: მჭრელი ქვა, შინდის კეტი, იფნის სახრე, მსხვილი კომბალი, მრავალნაირი დანა, ძვალი, რკინა და საცერული - ყველაფერი უხვად მოიპოვებოდა ჩემს არსენალში. სოფლის დალაქს მალამო გამოეღია და სიარულით ფეხები დაემტვრა.

შმაგი ვიყავი და გახელებით, გააფთრებით ვიბრძოდი. არ მომხდარა, რომ ვინმეს გავექცეოდი ან ნაადრევად დავნივთებოდი. სანამ დარეტიანებული ან გულწასული არ წავიქცეოდი, ჩხუბზე ხელს არ ავიღებდი. სამაგიეროდ თუ მე ვაჯობებდი, ან ხელიდან უნდა გამოეგლიჯათ დაჯაბნული, ან გულწასული უნდა წაეღოთ თავის სახლში.

მე მარტო ვიყავი მტრების დიდ ბანაკში, სხვებს კი მოსარჩლენი ჰყავდათ. დედაჩემისა მარტო ტირილი, ჩივილი და კრულვა მახსოვს. მაგრამ ვერაფრით ვერ მომარჯულეს და ჩემი ავი სისხლი ვერაფრით ვერ დააცხრეს.

ჩემს თვალზე ცრემლი არავის ენახა. ტირილი უდიდეს სირცხვილად მიმაჩნდა და გული მაშინაც კი არ ამიჩუყდებოდა, როცა უსამართლოდ დამბეჭავდნენ ხოლმე. უსამართლოდ-მეთქი! ჩემს ლექსიკონში ეს სიტყვა არ უნდა ეწეროს. განსოვთ აფრიკელ ველურების განმარტება კეთილისა და

ბოროტის შესახებ? არ იცით? მაშ ვიამბობთ. ერთმა მისიონერმა ველურ ბუშმენტთა შორის ორმოცი წელიწადი გაატარა. ყველანი გააქრიასტიანა და მოათვინიერა. მეტად კმაყოფილი იყო, რომ ღვთის წინაშე თავის წმინდა ვალი მოიხადა და მალე იესოს წინაშე აპირებდა წარდგომას, რათა მისთვის ანგარიში მიეცა და სამოთხესა შინა ადგილი თბილი დაემკვიდრებინა.

ერთხელ სამწყსოს თავი მოუყარა და თავის სიცოცხლის ნაყოფი გასინჯა. ვინც საუკეთესო ცხვრად ეგულვებოდა, წინ გამოიყვანა და ჰკითხა: „აბა მითხარი, რა არის ბოროტება?“ მან მიუგო: „ვინმემ რომ ცოლი მომტაცოს, ეს ბოროტება იქნება“. „სიკეთე?“ - ჰკითხა მისიონერმა. „მე რომ ვინმეს ცოლი მოვტაცო, ეს იქნება სიკეთე“, - მიუგო ველურმა. „თქვენ რაღას იტყვიან? - ჰკითხა დანარჩენებს. - მაგან მართალი თქვა?“ „მართალი!“ - ერთხმად უპასუხეს სხვებმა. მისიონერს გული გაუსკდა და იქვე მიიცვალა.

ეს იგავი ჩემზე გამახსენდა. მუდამ კანონად მქონდა: თუ ვინმეს ვაჯობებდი, ვცემდი, წავართმევდი, ნამდვილ სამართლიანობად მეჩვენებოდა, ხოლო თუ მაჯობებდნენ, საშინელ უსამართლობად ჩავთვლიდი ხოლმე. თუმცა ერთი რამ მეჩვენებოდა ამაზე უარეს ძალადობად: თუ ჩემს ტოლს ვინმე უფროსი წაესარჩლებოდა, ჩემი ცოფიანი გმინვა და შურისძიების წყურვილი იალბუხებზე ისმოდა ხოლმე.

ერთმა მეზობელმა დედაჩემს რაღაც დაუშავა. იმავე ღამეს საბძელი გადავუწვი. მეორემ უმოწყალოდ მცემა. მის კამერს ორღობეში მოვასწარი და დანით ყელი გამოვღადრე. მესამეს პურის ორმოში წყალი მივუგდე და წლის სარჩო დავუღუბე. მეოთხეს და მეათეს უარესი დავმართე.

ბოლოს ვეღარ გამიძღეს და აჯანყდნენ. ან უნდა მოვეკალი, ან იმ სოფლიდან უნდა გადავსახლებულიყავით. რუსეთში ბიძა მყავდა. წამიყვანა, მომამზადა და სამხედრო სკოლაში მიმაბარა. ასე დასრულდა ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი თუ მესამედი.

ჯიქურაულმა ისე ჩაახველა, თითქოს თუჯის ქვაბში რკინის ნაჭრები ჩაყარესო, და ისევ ჩიბუხი გატენა. მერე ღრმად მოსწია და ბოლი პირიდან და ორივე ნესტოდან ნაკადებად გამოუშვა. შემდეგ თავს, ბეჭებსა და მკერდზე სცემდა. ფეხქვეშ ჩრდილი დასდევდა, რომელიც უცნაურად მახინჯდებოდა: ხან მარტო თავი - დიდი შავი ბურთი დაცოცავდა, ხან განიერი ბეჭებიც მოჩანდა, ზოგჯერ კი, როცა პატიმარი საკნის ბოლოს მიაღებოდა, ზედატანის ჩრდილი თეთრ კედელზე შავი მანდილივით გაეკვრებოდა ხოლმე. ხოლო ქვედატანი ისევ იატაკზე რჩებოდა და უცნაურად იგრიხებოდა.

ჯიქურაული ღუძდა და თავისავე ჩრდილს თვალს ადევნებდა. უცებ კედელზე გაშვერილი მკლავი და გაფშეკილი თითი გამოჩნდა, ხოლო მოამბემ გაბზარული ხმა ხელახლა ააჟღარუნა:

- აი ჩვენი ცხოვრება და ბედი, - და ჩრდილზე მიჩვენა. - ლანდია, ნისლია და მეტი არაფერი. დაფუსფუსებს, იგრიხება, რაღაცას ჩიფჩიფებს, შემდეგ კი... - ნაჭრილობევით დასერილი შუბლი მოისრისა და მომიბრუნდა: - არა, რა ჩემი საქმეა ლირიკა და აზროვნება! არასოდეს ერთი წამიც არ შემიწირავს ფიქრისთვის, თუ რისთვის ვარსებობთ, ან საიდან და საით მივდივართ, ახლა კი... სწორედ ახლა ფილოსოფოსობა მოვიხდომე, ასეთ ჰა-ნგზე მღერა სიბერეს და სიკვდილს სჩვევიათ. თუმცა სიკვდილი ახლოა, აი ამ კარის უკან დგას და საცაა დამიკაკუნებს, სევდიანი კილო მე მაინც არ შემშვენის, ამიტომ საამბობელს პირდაპირ და მოკლედ გადმოვცემთ. სხვა რომ არა იყოს რა, ჩემი პიროვნების სტილი მაინც არ დაირღვევა.

სამხედრო სკოლაში მიმაბარეს-მეთქი. ახლაც არ მესმის, ბოლომდე როგორ მივატანე. მცირე ხანში მთელი სკოლა დავიმორჩილე. ნამდვილი ბატონყმობა შემოვიღე. ძლიერნი კეთროვანსავით

მერიდებოდნენ, სუსტები კი მონებად დავიყენე, რადგან მათ მოსარჩლე სჭირდებოდათ, მე კი - ქვეშევრდომები.

დღე არ ყოფილა, რომ გულმშვიდად გამეტარებინოს. მუდამ ამოღებულ სატევარივით დავდიოდი, მუდამ ბეწვის ხიდზე ვიდექი და ჩაწყვეტას ველოდებოდი. მუდამ სკოლის კარებში ვიყავი გახირებული: შიგნიდან უფროსები მაწვებოდნენ გამოსაგდებად, ხოლო გარედან მათი ცოლები და ბიძაჩემი მაწვებოდნენ დასატოვებლად. სკოლის გამგე მგონი ოდნავ შერყეული გენერალი - ჩუმ-ჩუმად მესარჩლებოდა, რადგან თვითონაც აბეზარი კაცი იყო და ჩემისთანა ხელაღებული ხალხი გაგიჟებით უყვარდა.

ერთხელ აღმზრდელმა კაპიტანმა უსამართლოდ დამტუქსა. უსამართლობად მომეჩვენა, თორემ ნამდვილად ყოველი უსამართლობა უდიდეს სამართლიანობად უნდა ჩამთვლოდა. ერთი საათის შემდეგ იმავე კაპიტანმა მე და ერთ ქართველს „მოგვასწრო“: ქართულად ვლაპარაკობდით.

- როდის დაივიწყებთ მაგ ძაღლურ ენას! - მოგვაძახა და უარესიც დაუმატა.

მერე შემომხედა, შეეშინდა, გატვრინდა და გაიპარა.

საღამომდე გახელებული დავკნებებოდი. დაჭრილი ნადირივით ვდმოხუდი, პირსახეს ვინოკავდი, თმებს ვიგლეჯავდი და ტანისამოსს ვიხევი. ან უნდა მომეკლა ვინმე, ან ჩემთვის ტყვია მეკრა თავში. რომ ველარ

მოვინეღე, საღამოზე კაპიტანს შეუვარდი და -

- ახლავე დუელი უნდა გაიმართოს! - მივაძახე.

- ხომ არ გაგიჟდით!

- ახლავე-მეთქი! თუნდ ხმალი აირჩიეთ, თუ გინდ რევოლვერი, თუ გინდ დანა.

- დამშვიდდით...

- რა ღროს დამშვიდება! ჩქარა-მეთქი, თორემ...

და რევოლვერი ამოვიღე. კაპიტანი გაფითრდა, ხერხი იხელთა და მომადლო. მითხრა:

- კეთილი, თანახმა ვარ, მაგრამ წესს ნუ არღვევთ. თქვენი სეკუნდანტები გამოგზავნეთ.

მეტი გზა არ იყო. სეკუნდანტების საძებნელად წავიდა და... ნა-

ხევარი საათის შემდეგ გამგე-გენერლის ოთახში ვიდექი. გენერალი გაბლენძილი იყო და მრისხანედ დააბიჯებდა. დიდხანს აბაკუნებდა, მე კი ასვეტილი ვიდექი და ჩუმ-ჩუმად თვალს ვადევნებდი. მის პირსახეზე რისხვა და ღიმილი იბრძოდა. ვერ შედგა და პირი ვერ დაალო, რადგან გაცინებისა ეშინოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეჩერდა,

იატაკს ფეხი დაჰკრა და ნამძალადევი სუსხით შესძახა: - ველურო! ტუტუცო! ბრიყვო!.. მე შენ... მე... მე შენ... და ველარ გაუძლო: სავარძელში გადავარდა და მართლა ველურივით ახარხარდა. ისტერიულად იცინოდა, ჭიხვინებდა, ხითხითებდა და ბებრულად ლულულულებდა, თან ჭადარა თავს აცანცარებდა, მთელი ტანით ფამფალებდა და ხელფეხს მოშლილივით იქნევდა:

- ახა-ხა!.. ჩვიდმეტი წლის ბაღლი და... ოხო-ხო... და თავის აღმზრდელ კაპიტანს... იხი... კაპიტანს დუელში მიათრევს!.. ოხოხო!.. მომწონს, ღმერთმანი, მაგრამ იცი რას გეტყვი - უცებ სიცილი შეიმავრა, პირისპირ მომიდგა და შემომიბთია: - იცი რას გეტყვი: ჯერ სკოლიდან დაგითხოვ, შემდეგ საქვეყნოდ გაგროზგავ და მერე... ჰო, ფერი გეცვალა, განა! ვიცი, ძალიან კარგად გიცნობ. პირში თოფის ლულა რომ ჩაგიდონ, წამწამსაც არ შეარხევ, მაგრამ როზგი... როზგი... მარტო ამ სიტყვამაც კი გაგაჟრჟოლა, მართალია თუ არა?

გენერალი მართალს ამბობდა. გაჯოხვა აზრადაც არ გამივლია, ახლა კი წიკბლის კონამ თვალი თვალში გამიყარა და უმაღვე ამათრთოლა.

- მართალია-მეთქი თუ არა? - ჩამაცივდა გენერალი. - თქვი, როზგისა გეშინია თუ არა?

- დიახ, - წავილულულუდე. - დიახ, მეშინია.

- გარდა ამისა, გაქვს თუ არა ჩემი ხათრი?

- ძალიან დიდი, გენერალო.

- მაშ ახლავე წაეთრიე, სეკუნდანტები მოწმედ წაიყვანე და ბოდიში მოიხადე, თორემ - და ხმას აუწია - თორემ... ჰა, რას იტყვი?

- ახლავე გაიხლებით, მაგრამ არ შევარჩინე და, სკოლას რომ გავათავებ, გავახსენებ.

- აი ეგ მომწონს! - გაუხარდა გენერალს - ძალიან მომწონს, ყოჩად, დჟიკ... დჟიკურაული, ყოჩად! მაგრამ მე არ დაგავიწყდე. შენი სეკუნდანტი მე ვარ, ოხო-ხო! ახლა კი გაეთრიე, იხი-ხი! ჩქარა, თორემ როზგი მოვიდა, ახა-ხა!

მისი ხარხარი დიდხანს მომდეკდა.

მეგობრებმა კაპიტანთან ძალით შემართიეს. ვიდექი და რაღაცას ვბოღავდი, პირველად და უკანასკნელად ბოდიშს ვიხდიდი, ნამდვილად კი ბრაზით ვიხრჩობოდი და ტკივილით

ვიგრიხებოდი. უძალო სირცხვილი, და საერთოდ სირცხვილი, არასოდეს არ მიგრძენია - არც მანამდე და არც მას შემდეგ.

ბოლოს სწავლა დავასრულე, აფიცრის მუნდირი ჩავიცვი და იმავე დღეს იმ კაპიტანს ორი სეკუნდანი მივუგზავნე. თანხმობა განაცხადა - ან სხვა რა გზა ჰქონდა! - მაგრამ იმავე საღამოს ჩემს ახალ ბინაზე მისი ახალგზრდა ცოლი მეწვია. ცრემლი მრავლად დაღვარა, მაგრამ ამაოდ. ხოლო რაც ცრემლით ვერ გამილხო, ალერსით დამიდნო. დიდი ძალა ჰქონია ქერა თმას და ცისფერ თვალებს.

ლოგინიდან რომ წამოდგა და ჩაცმას შეუდგა, გულდინჯად მკითხა:

- მაშ ყველაფერი გათავებულია, არა? - არა, ქალბატონო, ჯერ არა. შეერთა და შიშნაჭამი თვალები მომანათა: - კიდევ რა?

- ამაღამ აფიცერთა კლუბში დიდი ვახშამი გვაქვს.

- ვიცი, ჩვენც მოვდივართ.

- თქვენი ქმარი ჩემს სადღეგრძელოს დალევს და ქართულ ენას ქებას შეასხამს.

- ქებას? კეთილი, მაგრამ მან ერთი სიტყვაც არ იცის ქართული.

- თუ ის იცის, რომ ქართული ძალღურს ჰგავს, შეიძლება ისიც გაიგოს და თქვას, რომ ჩვენს ენაზე ანგელოზები ლაპარაკობენ. ასეთია ჩემი უკანასკნელი პირობა, ისიც მხოლოდ თქვენი გულისთვის, ჩემო ლამაზო.

- ქართული ენა უმდიდრესია, უნაზესი, უმშვენიერესი. ღმერთს ანგელოზებისგან „რაპორტები“ ამ ენაზე მისდის.

ერთი სიტყვით, გადააჭარბა. ჯავრი ისევ მის ცოლზე ამოვიყარე. მომხიბლავი ღელაკაცი იყო, ახლა სად არის? ვინ იცის, რომელ ბერძენს ან ოსმალოს უთბობს ან უთბობდა ლოგინს სტამბოლში? იქით გადაიკარგა, აღარ შემხვედრია და ვეღარც შემხვდება.

ყარამანმა ცტოა ხანს იყუჩა, შუბლი მოისრისა და განაგრძო:

- ოფიცრის ორმა საბეჭურმა ლაგამი ამწყვიტა. აღარაფერს და არავის ვერიდებოდი. სადაც ხიფათს შევნიშნავდი, ზედ ვასკდებოდი, სადაც იგი არ იყო, ვეძებდი და მე თვითონვე ვქმნიდი. ბელისწერა მასხრად ავიგდე და გავაჩანჩურე. ვერ დავთვლი, სიკვდილს რამდენჯერ დავეტაკე და რამდენჯერ გავაწბილე. თორმეტჯერ გავედი ხმალში და რევოლვერში. განგებ საუკეთესო ვაჟკაცებს დავეძებდი. სამგან დამსერეს და ორგან გამხვრიტეს.

მალე დიდი ომი დაიწყო. სადაც ცხარე ცეცხლი ავარდებოდა, მე-

ტიჩარასავით თავს შიგ შევყოფდი ხოლმე; სადაც გრივალი ქუხდა და სისხლის ნიაღვარი მოდიოდა, მეც შუაგულში უნდა მეტრიალა. წმინდა გიორგის და სისხლის ჯვრები, ოქროს ხმალი, მელლები, ყოველნაირი ჯილდო და წარმატება - აი ეს იყო ჩემი სალოცავი. რა ტუტუცები ვიყავით! ღმერთო, როგორ გავგვასულელებს!

რუსები რომ ზედიზედ ამარცხებდნენ სპარსელებს, იმედდაკარგული შაჰი თურმე ხავსს მოეჭიდა. ნაზირ-ვეზირებს მოუხმო და უთხრა: რუსების ჯვრებს, ვარსკვლავებს და რაღაც ზიზილ-პიპილოს თურმე ქართველები გაუგეჟებია. ლომებივით იბრძვიან. ჯვრისგან ალაჰმა დაგვიცვას, მაგრამ დანარჩენი სამკაული ახლავე მოაჭრევიეთ - ვარსკვლავები, მთვარე და მისთანანი.

მაშინვე მოსჭრეს და თხილივით დაურიგეს. რა თქმა უნდა, ვერც ამან უშველა, მაგრამ ჩვენ ამ ჯადოს ღელემის დარბაზებულ ვყავდით. წყეულიმც იყოს მისი მომგონი! ეეჰ, გვიანდაა კრულვა: მათ თავიანთი შეასრულეს, თვითონაც დაიღუპნენ და მეც გამაბრიყვეს.

იმ ომში რამდენიმე ჩემი ასეული და ათასეული მტერს თოვლივით შევადნე, ხოლო მე მუღამ უვნებელი ვრჩებოდი. შიგ შუაგულში ვტრიალებდი-მეთქი, მაგრამ არც ტყვია მეკარებოდა, არც ყუმბარის ნატეხი მხვდებოდა, არც ხმალი მიბედავდა. ბელისწერას დავდევი, ის კი მუღამ მემალებოდა.

ჯარში უვნებლობისა და ხელუხლებლობის სახელი გამივარდა. ჩემი ვინაობა მტერმაც გაიგო. ჩვენებმა ბუზანკალის სახელით მომნათლეს, გერმანელებმა კი კრახანა დამარქვეს და ჩემი თავი ათი ათასად დააფასეს. ისე ნადირობდნენ ჩემზე, როგორც აფთარზე, ყველგან ხაფანგებს მიგებდნენ, მაგრამ სადაც მეძებდნენ, იქ არასოდეს არ ვიყავი, და სადაც ვიყავი, იქ არასოდეს არ მელოდებოდნენ.

სიცოცხლე ჩავუმწარე. ხან საგუშაგოს მოვუხსნიდი, ხან ცხენებს დავირეკავდი, ზოგჯერ უკნიდან მოვექცეოდი, ხიდს ავუფეთქებდი, ბანაკს ავუშლიდი, სამხედრო მასალას დავუწვავდი, ტყვეს წამოვიყვანდი და ნადავლს წამოვიღებდი.

ორჯერ ჩამიგდეს ხელში. იმდენად ჩვენი დივიზიის დამარცხება არ გაჰხარებიათ, როგორც ჩემმა დატყვევებამ გაახარა, მაგრამ ორჯერვე დარაჯები დავუხოცე და გამოვიპარე.

სამსახურის კიბეზე ციყვივით ავრბოდი და უკვე გენერლის საბეჭურებს ვებლაუჭებოდი, მაგრამ... ქვეყანა შებრუნდა, დაირღვა და უცნაურად შეიცვალა. ერთი ომი დასრულდა, სამაგიეროდ შინაური დაიწყო - პირველზე ასჯერ უფრო კაპასი, მწარე და სასტიკი, რომელმაც ჩვენი ძველი ქვეყანა ბუმბულივით ააბრიალა, სისხლით წალეკა და ჩალურივით გაჰფანტა.

მე რაღა მრჯიდა, ახლაც არ მესმის, ისევ შუა ცეცხლში ამოვყავი თავი და გამშაგებით დავტრიალდი. ვისთვის? რისთვის? რა მიხდოდა? რას ვეძებდი? ახლაც არ ვიცი, არაფერიც არ ვიცი. თითქოს მონაპოვარის შენარჩუნება მწადდა, თითქოს ჯვრების, საბეჭურების, აზნაურობისა და ჯამაგირისთვის ვიბრძოდი, მაგრამ ამას გარდა, ამავე დროს კიდეც რაღაც იღუმალის ძალა მიმათრევდა, მახელებდა, მამხეცებდა. ამბობენ, წარჩინებულთა კლასის ბანაკში ვიყავი და ის იღუმალის ძალა იმ ბანაკის ძალა იყო. შეიძლება ასე ყოფილიყო... მგონი სწორედ ასე მოხდა... მგონი. ბრძოლის, დამორჩილების, დაპყრობის მეტი ჩემთვის არაფერი უსწავლებიათ და ამიტომ ზოგი რამ არც ახლა მესმის. მაგრამ გვიანდაა სწავლაც და საკუთარი ბუნების გარდაქმნაც. ოღონდ ერთი რამ ვიცი ზედმიწევნით: ჩემს უმეცარ სალდათს, ტყაპუჭა გლეხს და შემურულ მუშას ჩემი დამონება სურდათ, მე კი - მე, ყარამან ჯიქურაული, - მხოლოდ ბატონად, მხოლოდ მპყრობელად, მბრძანებლად და ხელისუფლად ვიყავი გაჩენილი. ამ მდაბიოს, მონას და უმეცარს სწყყროდა თავის დიქტატურა ჩემს კისერზე ეშენებინა, მე კი - თვითონვე გახლდით დიქტატორი და მისთვის ვიბრძოდი ყველაფრით, კბილებით, ჭანგებით, თავით, მკლავით, სიმართლით და სიყალბით.

რაო, რა მიბრძანეთ? კლასობრივი ბრძოლაც სწორედ ეს არისო? მართლა? მაშ აგრე იყოს. თუ ერთმა გითხრას, ბრმა ხარო, შეებრძოლე. ორისას - არ დაუჯერო. თუ სამმა გითხრას - შეყოყმანდი. მაგრამ თუ მეშვიდემაც გაგიმეორა - თვალები დახუჭე და საქვეყნოდ აღიარე: დიახ, ბრმა გახლავართ! ამის მეტი სანუგეშოდ აღარაფერი დამრჩენია. თვალებს ვხუჭავ და ვყვირი: ბრმა ვარ, ბრმა!

მაგრამ გვიანდაა კბილთა ღრჭენანი და თითთა კბენანი. ბრმა მაშინ ვიყავი, როცა იმ ტრამალებს ჩემი დივიზიით სამ წელიწადს ვთელავდი, ვწვავდი, ვცელავდი და სისხლით და ცრემლით ვრწყავდი.

ღმერთო დიდებულო! ახლაც თმა ყალყზე მიდგება და ტანში ჟრუანტელი მივლის. რა სიტყვა გაგიგრძელოთ: უწყალოდ ვჟუჟე, ვხვრიტე, ვჩეხე, ვწვი და ვახრჩე. ვმუსრე ყველაფრით: ხელით და თოკით, შანთით და ლურსმნით, წნელით და მავთულით, დანით და ყინულით, შიმშილით და საწამლავეთ, ცეცხლით და მახვილით. რამდენი მაწერია ამ კისერზე - ვინ იცის, ვინ დათვლის? ათი ათასი? არ ვიცი. შეიძლება ორმოცსაც არაფერი დააკლდეს.

ერთხელ გლეხებმა გამამწარეს. ვეება სოფელს ჩემი ცხენოსანთა დივიზია რკინის რკალივით შემოვარტყი და ყოველ მხრიდან ცეცხლი მივეცი. ერთი ბავშვიც, ერთადერთი ბებერიც ვერ გადაძირჩა. იყო სოფელი და თითქოს არც ყოფილიყო. მხოლოდ ნაკელი და ათასზე მეტი შავი ჩონჩხილა დარჩა.

კიდეც მაგონდება: მეორე სოფელში ორასი სული სკოლაში შევრეკე და გოჭებევით მოვხრაკე. უარესიც მახსოვს: ერთგან ასიოდე სული შიმშილით სიკვდილის პირზე მივაყენე. მერე ყველას თითო ნაჭერი მოწამლული პური დავურიგე. ვიჯექი და ვუყურებდი. ყველანი გველებივით დაიკლაკნენ და ნახშირით ჩამავლნენ.

მაშინ წარბიც არ შევირხიე, ახლა კი... ახლა ტანში ჟრუოლა მივლის და გონება ბინდით მეკვება. რადგან ვიცი, რომ ჩემზე საზარელი მხეცი ამ ქვეყანად ჯერ არ გაჩენილა. დიახ, მხოლოდ შემდეგში გავიგე, ერთი ქალისგან გავიგე, რომ ნამდვილი სადისტი ვიყავი... ერთ ქალთან გავიგე, რომელიც... ეს მერე იყოს, ამის შემდეგ მოგახსენებთ.

ერთ სოფელში ასიოდე გლეხი დავამწყვდიე და გამოუცხადე: მანამდის ისხედით მაგ გომურში, სანამ ერთი ნახევარი მეორეს არ დასჭამდეს, და ვინც გადარჩება, თავისუფლებას მივცემ-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ჯერ ერთი სნეული ამხანაგი შეჭამეს, შემდეგ მეორეს მიაღვნენ, მერე კი მეთექვსმეტე იკადრეს. ძალიან ძნელია დასაწყისი, თორემ შედეგი და დასასრული წყალივით მიდის ხოლმე.

ერთმა ნახევარმა მეორე რომ გაათავა, გადარჩენილებს ხელახლა გავუმეორე: კიდეც განახევრდით და გავიშვებთ-მეთქი. ღმერთმანი, დიდებულები ხერხია! „დივიდ ე იმპერა“. გაჰყავი, ყველგან და ყველანი გაჰყავი და არხეინად იძინე. ისინიც მუდამ ჯგუფებად მყავდა დაყოფილი. ღამდამობით ერთმანეთს ესეოდნენ, აზრობდნენ და ჭამდნენ. ბევრი გაგიჟდა, ბოლოს ერთილა დარჩა, მაგრამ ველარ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

მართალია, იმოდენა წამებულთა შორის დიდი უმეტესობა უცოდველი იყო, მაგრამ ეს არაფერია. სამაგიეროდ თანდაყოლილი, პირვანდელი ცოდვა ეკიდათ კისერზე: ყოველი მათგანი ან გლეხი იყო, ან მუშა, მაშასადამე შესაძლებელი იყო ოდესმე ბატონობას შემდავებოდა, ამიტომ ჩემს პირად მოსისხლედ ვთვლიდი და წინდაწინვე ვმუსრაავდი.

ასე ვიყავით გამგელებული და მგლებივით ვმუშაობდით: სოფელს თუ ქალაქს ფარეხსავით შევესეოდით, ავიკლებდით და უმაღვე მეორე ფარეხს ვეტანებოდით.

სისხლი, ცრემლი, ცეცხლი, კვნესა, ურგა და ვალალი - ამაზე მეტი იმ შავი დროისა აღარაფერი მახსოვს. საშინელია! საზარელია!

4

ისევ ძვლის ჩიბუხი ამოიღო, იქაურობა კვამლით გაავსო, იყუჩა და განაგრძო:

- ერთი სიყრმის მეგობარი, ვინმე სეხნია ლაჩიშვილი მყავდა. ისიც ჩემისთანა მაწანწალა, თავზე ხელაღებული, შარიანი, მაგრამ ჩუმი, ქვეშქვეშა და შურიანი ოფიცერი იყო.

დამიჯერეთ, ჩემო კარგო: ერთად ნაზიდი ჭირი და ერთად ჩადენილი ავკაცობა თურმე უფრო მტკიცე დულაბი ყოფილა მეგობრობისათვის, ვიდრე საერთო ლხინი, და ერთად ჩაყრილი მადლი. ჩვენც ასეთი კირით, ერთად დაღვრილი სისხლით, და ათასნაირი უქმური საქმით ვიყავით შეჯაჭვული. ერთმანეთი სიკვდილს ათ-ათჯერ მაინც გამოვტაცეთ ცალ-ცალკე პურსაც არ გავტეხავდით, არც თითო ჭიქას დავლევდით და, სამაგიეროდ, არც ჭირში შევიდოდით. ერთმანეთის მარჯვენად გადავიქეცით, ძმადნაფიცობა გამოვაცხადეთ და უერთმანეთოდ ჩვენი სიცოცხლეც კი არაფრად ფასობდა. უცნობო მეგობარო, მუდამ ერიდეთ ისეთ ადამიანს, ვინც მუდამ დუმს და თითქმის არასოდეს არ იცინის. ყბელი მეჯავრება, მუნჯისა კი მეშინია - ერთი უსაფქვაო წისქვილივით არაკუნებს, მეორე კი ცხრაკლიტურით დაკეტილ სალაროს მომაგონებს, სადაც შეიძლება ძვირფასი განძიც იდოს, მაგრამ შესაძლებელია, შხამიან გველებსაც წააწყდეთ.

ამ მხრივ მე და სეხნია ერთმანეთს არა ვგავდით, მაგრამ შავი თეთრს ეტანება და თეთრი შავს ეძებს.

ღონის ოლქს გავცდით და ერთ პატარა ქალაქში შევიჭერთ, უკან მიმავალს წითელ ლაშქარს მღევრად ჩემი დივიზია დაადევნეს. ავლარი იყო და ქალაქში ლაფი ტბასავით იღვა.

უცებ ერთი ქოხიდან გაწეწილ-დაფლეთილი ქალი გამოვარდა, ჩემს ცხენს აღვირში ეცა და ქართულად იკივლა:

- მიშველეთ! - თან ტიროდა, იცინოდა და ფეხზე მენევეოდა. სეხნია უკნიდან მომდევდა. თითქმის გულწასული ქალი რომელიღაც სახლში შევავანინე და შემდეგ, როცა მოვიცალე, მის სანახავად

შევედი. სუფთა ლოგინში იწვა, მაგრამ თითქმის უსაცვლო იყო.

- ვინ ბრძანდებით, ქალბატონო? - ვკითხე და თავთ მივუჯექი.
- ველარ მიცანიო? - მისაყვედურა და დაუმატა: - მარადი ვარ, მარადი თაველიძე.
- მართლა! დასწყევლოს ღმერთმა, რამ დამაბრმავა! - და კოჭრიანჭუჭყიანი ხელები დაუკოცნე. - როგორ ვკითხვით? საიდან? როგორ გაჩნდით ამ ბუნავში? - და მიაბზო:

მისი მამა, გენერალი თაველიძე, გრენადერთა კორპუსში მსახურობდა და ჩემსავით უმიწო, უფესვო ადამიანი იყო. ოჯახი ერთ დროს საქართველოში გაავხანა, მაგრამ მერე გაბრიყვდა და ტამბოვში დააბინავა. შემდეგ თვითონ გამოღმა ბანაკში გადმოსახლდა და ახალგაზრდა ვაჟიც წამოიყვანა, ხოლო ცოლი და ქალიშვილი მალა დატოვა. ეგონა, ხვალ-ხევ ყველაფერი გათავდებაო, მაგრამ მოტყუვდა. ვაჟი ბრძოლაში მოუკლეს, და თვითონ კი ტყვედ ჩაიგდეს. ცოლი სახადით მოუკვდა, ხოლო გასათხოვარი ქალი წითელმა ქარიშხალმა მოიტაცა. უპატრონო და უღონო მარადი თურმე ხან ვინმეს სამადლოდ თავს შეაფარებდა, ხან დღიურად ჰკერავდა, ზოგჯერ რეცხავდა და ზოგჯერ ჭირიანებს უვლიდა.

სამი წლის წინათ გენერალმა მარადი შემთხვევით გამაცნო. ნახევარი საათის შემდეგ ვარშავისკენ წავედი და იმ ქალის სახეც თან წავიღე, მაგრამ დრომ და ზრუნვამ წამიშალა. ახლა კი ის - ოდესღაც წარჩინებული, მედიდური, თითქმის მიუკარებელი - ჩემს წინაშე იწვა. თუმცა არა, ის კი აღარ იყო, არამედ მისი ლანდი, ჩონჩხი, უსხეულო აჩრდილი. მარადი ცხედარივით ილიმებოდა და უკვე გრძნობდა, რომ მის კუბოს თავი ავხადეთ და მიცვალებული ხელახლა გავაცოცხლეთ.

მე და სეხნია დავტრიალდით. უმაღვე ყველაფერი გავაჩინეთ, მარადი შევმოსეთ, შევამკეთ და სულის მოსათქმელად როსტოვში გავვხანეთ. ჩვენ კი ვოლგის ნაპირები მოვინადირეთ, კამიშინამდე ავედით, ავიკლეთ, დაწვით, დავანგრეთ, დავხოცეთ და ცარიცინში დავბრუნდით. ამ ხანებში ორიოდ თვე გავიდა.

ერთხელ სალამო-ჟამს კარზე დამირაკუნეს. გავალე და ვილაც მალალი ქალი დავინახე. უკვე ბინდი იღვა, ველარ ვიცანი და ვკითხე:

- ვინა გნებავთ?
- თქვენი თავი.
- მარადი!

- დიას, მე გახლავართ.

- სეხნიავ, ჩქარა, სანთელი!.. სამოვარი, ყველაფერი! სტუმარი გვეწვია, ძვირფასი სტუმარი!

- არა, ბატონებო, - განაცხადა სიბნელეში მარადიმ, - მე სტუმრად კი არ გეახელით, არამედ დიასახლისად, ნამდვილ დიასახლისად.

- თუნდაც დედოფლადაც გამოდგებით, მარადი. სეხნიავ, სანთელიმეთქი!

და სანამ შუქი გაჩნდებოდა, სიბნელეში ბნელი იჭვი მწვაავდა: „ასე მოულოდნელად?.. სეხნიას და მარადის ჩუმი მიწერ-მოწერა ხომ არ

ჰქონდათ? ხომ არაფერი გააბეს? სეხნიას მიერ გამოტანილმა ქონის სანთელმა ბნელი იჭვიც გაჰფანტა

და ბუნების მძლე ძალაც დამანახვა. სადღა იყო წინანდელი გაცრეცილიმქრალი მარადი! ჩვენს წინაშე მართლა დედოფალი იდგა, შინაური

დედოფალი, - პირსავსე, მოღიმარე და მწყალობელი.

- სეხნი, ჩემოდანი ჩამოართვი! - ყარამან, სკამი მოიტა!

გატყავებული დრო იყო და ქალაქიც ბანაკად გადაიქცა. საცა თავს შევყოფდით, ჩვენი სასახლეც ის იყო. თუმცა ის სახლიც და ჩვენი ბინაც ყელამდე სავსე იყო ყველაფრით, მაინც არაფერი გვქონდა, რადგან დიასახლისის მადლიანი ხელი გვაკლდა.

- აბა, საქმეს შევუდგეთ. - გვიბრძანა მარადიმ ერთი საათის შემდეგ და შეუდგა: - ყარამან, ეს გაიტანეთ... სეხნია, ის მომიტანეთ... ეს გარეცხეთ... ის დაბერტყეთ... ცხელი წყალი მომაწოდეთ... გაჰგავეთ... გაწმინდეთ. განუწყვეტილად ისმოდა მისი ხმა და სამივე შეუჩერებელი ვტრიალებდით.

როცა შუალამემ მოაღწია, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ბინას არაფერიც არ აკლდა. ყველაფერი ისე გარდაიქმნა, თითქოს ღარიბ ქონიდან სავსე ოჯახში გადავსახლებულიყავით.

- ღამე მშვიდობისა. - თქვა შემდეგ მარადიმ და კარი ჩაიკეტა. ჩვენც მალე დავწექით, მაგრამ რიჟრაჟზე ძლივს ჩავიძინეთ, რადგან მარადის მომხიბლავი ლანდი ჩავიყოლიეთ და ორივე ერთმანეთს ვუდარაჯვებდით.

იმ დღიდან სამივეს ცხოვრება შეგვიტრიალდა. მე და სეხნიას ერთი საბელო გვყავდა, მარადის კი - ორი დანიშნული. სასიძონი ერთმანეთს გადაველობეთ, დილით-დილამდე ერთურთს ვზვერავდით, ვჯავრობდით, ვეჭვიანობდით და მუდამ იმ ქალის გულზე ვნადირობდით, მაგრამ ამავე დროს არც მძაღნაფიცობას ვივიწყებდით და არც რაინდობის მიჯნას გადავდიოდით.

ერთხელ მარადიმ მკითხა: - მუდამ

ერთად ცხოვრობთ? - მე და სეხნია?

მუდამ. დამაშტერდა და არაფერი თქვა.

- რა იყო, მარადი?

- არაფერი.

- მაინც?

- არაფერი-მეთქი - და შემდეგ დაუმატა: - არ მომწონს.

- სეხნია? რატომ?

- ვერ გეტყვით. საბუთი არაფერი მაქვს, მაგრამ ალლო კარგს არაფერს მეუბნება.

- ნუ დაუჯერებთ, მარადო, დიდებული მეგობარია.

- ფონიც დიდებულია, მაგრამ მხოლოდ ერთ ალაგას ახრჩობს ხოლმე. ერთი სიტყვით, მაგ კაცისა მეშინია. მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. გავათავოთ. - გავათავოთ.

სეხნიასთვის არაფერი მითქვამს. ორივემ ჩვენი ბედი უსიტყვო შეთანხმებით მარადის მივანდეთ და სახიფათო განაჩენს მოთმინებით ველოდებოდით.

მოთმინებით-მეთქი, მაგრამ ვაი ამ მოთმინებას! მუდამ ალესილი, მუდამ თვალხილული, ჩანჩახვივით შეყენებული და სიმივით დაჭიმული სიცოცხლე - არა, - იგი მოთმინება კი არ იყო, არამედ დაუსრულებელი წამება, ჯვარცმა და უხმო კივილი. ადვილია, ერთხელ რომ გაიაროთ ბეწვის ხილზე, მაგრამ აუტანელია, გაუსაძლისია მარად ზედ სიარული, ქანაობა და შიშით ძრწოლა.

მარადი ჩვენზე უკეთესი ჯამბაზი გამოდგა. არც საკვირველია: ის ირჩევდა, ჩვენ კი ორი მოქიშპე ვაჭარით საქონელს ვთავაზობდით. ასეთ დროს ნადირი ბრძანებლობს, მონადირენი კი ერთმანეთს ახრჩობენ ხოლმე. მარადი ორთა შუა იდგა, მარდად ქანაობდა, არც ერთს იმედს არ გვიფანტავდა და არც უპირატესობას გვაძლევდა.

მაგრამ ორი მგლის შუა მოქცეული საკლავი მაინც დიდხანს ვერ გასძლებს. ან ერთი შეჭამს, ან მეორე, ან კიდევ ორივენი. ვინ იცის, რას არ იგონებდა, რომ არც ჩემთან დარჩენილიყო ცალკე და არც სეხნიასთან. მაგრამ დარჩა.

ჩვენს დივიზიას საინსპექციოდ ერთი გენერალი ეწვია. ადრევე გავიგე, თავი მოვიავადე და სეხნია გავგზავნე, მარადი კი ლალად დავიყენე.

რალაც მომაწოდა. ხელი ვტაცე, ლოგინში დავისვი და -

- მარადი... მარადი... მარადო... ჩაჭურჩულვები და ორივე ხელს გაგიჟებით ვუკოცნიდი. შემდეგ თვალეში შევხედე და შემეშინდა: მკვლარივით ფერწასული იყო და გათეთრებული ტუჩები უთრთოდა, ხოლო უაზრო, გახევებული თვალები სივრცეში ჰქონდა მიბჯენილი.

მარადი ველარ ვიცანი, მაგრამ ველარც ჩემი თავი ვიცანი. არ მეგონა, რომ ქალს ოდესმე ასე ნაზად მოვექცეოდი. მხეცი ვიყავი ყველგან, ყოველთვის და ქალთანაც. ერთ-ორს ვეჭყოდი და უმაღვე ნადირივით ვეძგერებოდი. ზოგს მოსწონდა, ზოგი ფრთხილად, მაგრამ მე მაინც მუდამ „მე“ ვიყავი, ახლა კი ვიდაცამ თუ რალაცამ დამაღბო და მომათვინიერა... იმან დამაღბო... იმან. სიყვარულს რომ ეძახიან. - მარადი, რა დაგემართა? - კვითხე და მკლავი წელზე მივატანე. შეკრთა, წამოხტა და -

- ნუ... ნუ მეტყვი... ნულარ მეტყვი. - წაილულულა და, თითქმის გულწასული, ბარბაცით გავიდა.

მთელ დღეს გონს ველარ მოვიდა. თავს საშინლად იტკივებდა და ბალღივით სლუკუნებდა:

- ობოლი ვარ... პატრონი არა მყავს... მეგონა, ძმობას გამიწევდით, თქვენ კი...

ჩვენ კი თურმე ავი ზრახვა გვქონდა: გვსურდა ის ობოლი და-გვებრიყვებინა, დაგვეკოცნა და ალერსით დაგვეხრჩო.

ისევე მოთმინება ვიპოვე და მოლოდინს შევუდექი.

მცირე ხანი გავიდა. უცებ სასიკვდილო ჟრუჟოლამ ჩავვირბინა და ბედისწერამ საზარელი განაჩენი ჩავგმახა: - გზა მოგვიჭრეს..

თავს უშველეთ!

ჩვენ მაინც ვომობდით, სულთმობრძავივით ვფართხალებდით, მაგრამ გვიანდა იყო: ყველა გზა მართლა მოჭრილი გვქონდა და უკვე განწირული ვიყავით. ერთი ხვრელიდა დაგვრჩა და ჩვენც იმ სოროს მივატანეთ: სამივე ერთ დამპალ ნაგში ჩავსხედით და თავი ვოლგის ტალღებს მივეცით. მარადის საჭე მივეცით, ხოლო მე და სეხნია ორთაყვირებს მივუსხედით. დევებივით ვმუშობდით, მაგრამ ჯერ ერთი ორთაყვირი გაგვიტყდა, მერე მეორე და მესამეც დაიფშვნა. ერთიდა შეგვრჩა მაგრამ ისიც ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან შუა გზაზე წყალმა შემოჟონა და ნავი გაგვივსო.

- აბა, გაინადეთ! - ვუბრძანე და თეთრეულის ამარა დავრჩი. სამივე წყალში გადავხტით და მეორე ნაპირისკენ მოვუსვით. ოდნავი ცურვა მარადიმაც იცოდა, მაგრამ ჩაქუჩივით ქვევით იწევდა, რადგან არაფერიც არ გაინადა: ქალი იყო და სიშიშვლეს ისევე დახრჩობა ერჩივნა.

მე და სეხნია ორთავ მხრიდან მივუდექით და დროგამოშვებით ვშველოდით. დიდი მანძილი გავიარეთ, მაგრამ ნაპირამდე ჯერ შორს იყო. სეხნია თანდათან სუსტდებოდა, მარადოს კი დახმარება უფრო ხშირად სჭირდებოდა. ერთი აზრი ტვინს ცეცხლის კრაზანასავით მისერავდა: „თუ გავწირო, ვინ გავწირო?“ მაგრამ იგი შიშის ზარს მცემდა და ჯერ პასუხი ვერ მიმეცა. იმედი მქონდა, სამივე გავილოდით, მაგრამ უცებ თავზარი დამეცა.

- ყარამან, მიშველე! - შემომკვნესა სეხნიამ. - თავს აბორიალებდა და ხელებს უნდილად ასავსავებდა. სიყრმის მეგობარი, ძმადნაფიცი მეხრჩობოდა.

ჟამმა დაჰკრა და უმაღვე პასუხი უნდა გამეცა. ცხადი იყო, ორივეს ვერ მოვერეოდი, ორივეს ვერ გავიყვანდი: სიკვდილისთვის ან უნდა ძმადნაფიცი ჩამეგდო პირში, ან მარადი - ჩემი ერთა... ჩემი მარადი, რომელიც აქ, გულში... რომელმაც ისე გამივსო სულიც და გულიც, როგროც ეს საკანია, ჰაერით სავსე.

ღმერთმა თუ სატანამ ჩემი დასჯა განიზრახა და ასეთი სატანური გამოცდა მომივლინა. იმ ერთ წუთში ათჯერ უფრო მეტი სიმწვავე განვიცადე, ვიდრე ჩემს ჭრელ სიცოცხლეში. კვენნაში ნუ ჩამომართმევთ, - რალა დროს კვენნაა, უკვე სამარიდან გელაპარაკებით, - მაგრამ დამიჯერეთ, ძმაო: თუმცა უკვე იმ ქვეყნიურ გზაზე ვღგავარ, მაინც ახლა... ახლაც კი მაშინდელ საზარლობის ნახევარსაც არა ვგრძნობ.

„ან... ან...“ - ისე მხლიჩავდა შუაზე ეს „ანი“, თითქო ჩემთვის ორივე მხრიდან ათ-ათი უღელი კამეჩი მოებათ და შუაზე მგლეჯავდნენო.

სანამ ორ ცეცხლში ვიწოდი, სეხნიამ იმქვეყნიური თვალები შემომანათა და ერთხელ კიდევ ამომძახა:

- ყარამან, რას მიშვრები?

და იმავე წამს მარადიმაც იმ ქვეყნიდან შემომხედა... შემომხედა და გულსაკლავად დაიწვილა, რადგან...

რადგან არჩევანს მიმიხვდა. წილი ვყარე და მეგობარმა გადასძლია.

„იმას ველარ ვიშოვი, - გავიფიქრე, - ლამაზი ქალი კი ათასობით დადის“. და უმაღლვე მარადის ხელი გავუშვი და სეხნიას წავეტანე. და მაშინვე წივილის ნაცვლად ქალის უიმედო ვალალი, შესაზარი გმინვა მომესმა, რომელიც დასაკლავად გამზადებულ პირუტყვის ბლავილს უფრო გავდა, ვიდრე ადამიანის შეძახილს“.

ჯიქურაული შესდგა. თვალები მაღლა კედელს მიაპყრო. შემდეგ ისევ დაღუნა, მხრები აიჩინა, თავი ჩაიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- რას ვიფიქრებდი, რომ იმ წამს, სწორედ იმ წამს, ჩემს სასიკვდილო განაჩენს ვაწერდი ხელს - იმ განაჩენს, რომელიც ორიოდ წლის შემდეგ... თურმე დღეს უნდა შესრულებულიყო... დიან, დღეს... აი ამ ღამეს...

მაგრამ რადგან ასეთი ყოფილა ბრმა განგების სურვილი, მაშ აღსრულდეს კიდევაც ნება მისი ბოროტი!

ჰო, იმას მოგახსენებდით. მარადიმ დაიგმინა და თავი წყალს მისცა... ნამდვილად კი ის ქალი მე მივეცი სიკვდილს, მე, ყარამან ჯიქურაულმა. მივეცი და თვალი გავაყოლე, იმ ალაგას, სადაც ჩემი საბედო ჩავძირე, მხოლოდ მისი ტევრი თმაღა მოჩანდა, რომელიც დალალებად გაიშალა, შავი გველების ხლართივით დაიკლაკნა და მღვრიე მდინარეს ჩაჰყვა.

მაგრამ ბრმა ბედი, ბედი-მღევარი, მუდამ თან დაგვევს და ზოგჯერ გვცდის, ზოგჯერ ოხუნჯობს და დაგვცინის. იმ დღეს კი თურმე მხოლოდ გვცდიდა, მარტო მე მცდიდა.

უცებ იქვე დიდი ხე დავინახე. ტოტებისა და ფესვების ხლართი პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდა. რამდენიმე მძლავრი მოსმით მარადის დავეწიე და თმებში მივწვი. იმავე წამს წყალმა ის ხერგიც დამაჯახა.

- ჰარიქა, სეხნი, ხეს მოეჭიდე, ხეს!

სეხნია შეფართხალდა, ფესვებს მოეჭიდა და ილლიამდე ამოტივტივდა. მე ერთი ხელით მარადი წყლიდან ამოვწიე, მეორე კი იმავე ხერგს მივატანე.

ერთ ხანს იმ მხსნელ ხეს მივღვედით. იგი მეტად დიდი იყო და ცურვით მისი ნაპირამდე გატანა მარტო მე არ შემეძლო. გულწასული მარადო კისერზე მოვივლე და ოღნავ შევისვენე, სული რომ მოვითქვი, სეხნიას მივაძახე:

- შენ ზევით აცოცდი და გაჰყე, ნუ გეშინიან. მარადოს ნაპირზე გავიყვან და მერე დაგეწივი, გამაგრდი!

ქალს ილლიაშიშევეუჯექი და პირი ნაპირისკენ ვიბრუნე. წყალს ვაპობდი და მეგონა, კისერზე ეს ქვეყანა მკილია და უნდა ვიხსნა-მეთქი. ახლაც მიკვირს, ვინ მომცა, სად დამიგროვა იმოდენა ძალა და მხნეობა.

ბოლოს ის მძიმე და ძვირფასი ბარგი ნაპირზე გავიტანე, ბუჩქნარში მივასვენე და მეგობარს დავედევნე. ხერგზე შემჯდარ სეხნიას ძალა მოეკრიფა, ხელი გაენძრია და იმ ხისთვის გეზი ნაპირისაკენ მოებრუნებინა. მაინც დიდ მანძილზე წასულიყვნენ. გაყინული სხეული სირბილში გავითბე. ისევ წყალს შევერე და მივეწიე. ქაფიან მორევში ჩავცვივდით და ძლივს გადავრჩით.

სეხნიას ღონე გამოელია. იწვა და ისვენებდა. მე კი მარადის ვა-სულიერებდი: ვეზვეოდი, ვკოცნიდი, ვხელავდი და თითქმის მკვდარზე უნებურად ვგოჟდებოდი. დროზე რომ არ მოსულიყო გონზე...

ღმერთმანი, დღესაც არ ვიცი, მარტო მე ვარ მხეცი, თუ ბუნებამ ყველა მამაკაცი მხეცად გააჩინა. მგონი ყველა ჩემსავით არის გაჩენილი, ოღონდ ზოგი თავდაჭერილია ან უნდელი, მეორე კი

თავმოვლევადი, რადგან ხომით არის გატენილი.

თითქმის შიშვლები ვიყავით. სოფელში ვერ გავიდოდით, რადგან წითლებისა გვეშინოდა. ჯაგნარში ვისხედით, სიცივით ვკანკალებდით და მშივრებიც ვიყავით. ვის ველოდებოდით? რის იმედი გვქონდა? ბინდისა და საკუთარი მკლავების, მაგრამ უცხო ქვეყანაში ბინდი რას გვიშველიდა?

ავდექი და წამოვედი. მწოლარე მარადიმ მიბნედილი თვალები გა-მომაცოლა - ახლავე მოვალ, მარადო. - დავამშვიდე და ბექობზე ავედი. ირგვლივ თვალი მოვაკლე. სოფელი ახლოა, მაგრამ ხაფანგს ჰგავს და მეშინია. ვუარე და ვერ შევბედე. ასე უგლის ხოლმე მგელი თოვლზე ნაპოვნ ხორცის ნაჭერს და აღება ეფიქრება, რადგან ქვეშ რკინის ეშმაკი ეგულება.

გზაზე მუჟიკს მოვკარი თვალი. ტომარა ეკიდა და ზლაზვნით მიდიოდა.

ჩავირბინე, გადაველობე და კვითხე: - ზემლიაკ, ავერ იმ

სოფლელი ხომ არა ხარ?

თითქმის შიშველი რომ დამინახა, შეშინდა, დაიბნა და წაილულლულა:

-ჰო, იქაური ვარ.

-ერთი მითხარი, ვის ხელშია ეს მხარი?

-ჩვენს ხელშია.

-გლეხებისა? - გლეხებისა.

რა იცოდა საბრალომ, რა განაჩენზე მოაწერა ხელი. მაგრამ არც ჩემი ბრალი იყო, რადგან მეც საბრალო ვიყავი და სიცოცხლე მწყუროდა.

ბრძოლა ხანმოკლე იყო... თითქმის არც კი ყოფილა... ეს წყეული ხელები თითქოს ფოლადის ყოფილიყო... ენა რომ გადმოაგდო და ფართხალიც შეწყვიტა, მოვიკიდე და სრამში ჩავათრიე. ოციოდე წუთის შემდეგ უკვე ეს მუჟიკი იყო შიშველი, მე კი გლეხურად ვიყავი შემოსილი და ტომარას ქვევით მივარბენინებდი.

-ეგ რა არის? სად იყავი? - მკითხა შიშნაკრავმა მარადიმ.

-არაფერი, - ვუპასუხე და ტომარა დავაპირქვავე. „იმ“ საწყალს ალბათ ნავაჭრი მიჰქონდა. ფქვილი წაელო სადმე, ხურდა საქონელზე გაეცვალა და ალბათ შინ ბრუნდებოდა, მაგრამ იმჟამად ის „ხურდა“ ჩვენთვის უთვალავ განძად ფასობდა: დიდი პური, ძველი საცვალი, ასანთი, დანები და ნაყარ-ნუყარი - ყველაფერი გამოვიყენეთ და უფალს მადლობა შევუთვალეთ.

-მოჰკალით ვინმე? - ჩამაცივდა მარადი.

უარზე შევდექი, ვაჯერებდი, მაგრამ მგონი ვერ დავაჯერე.

-თქვენგან საკვირველი არაფერია, - მითხრა, - მხეცის სახელი გაქვთ გავარდნილი.

-მარტო მე თუ სენიასაც? - ვკითხე.

-სენიას ნადირი ჰქვია.

-მაშ დიდებულ საზოგადოებაში ჩავარდნილხართ. - მიუუგე. - ნამდვილი კეთილშობილთა პანსიონია.

სამივემ გავიციინეთ, სახელები კი შეგვრჩა.

-მხეცო! - დამიძახებდა მარადი და უმაღვე მივბრუნდებოდი.

-ნადირო! - იტყოდა და სენიას პასუხი მზად იყო.

-რა გნებათ?

ერთხელ დავგარიგა - მგლების თავზე სახარება წაიკითხა - რადგან სოფლიდან ნადავლით დაბრუნებულ სენიას ხელზე სისხლი შენიშნა, და ბოლოს გვითხრა:

-თუ მხეცობას არ მოიშლით, გაგექცევით. ისევ „იმათთან“ სჯობია. და ეს ქადაგება და მუქარა ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ შიში შეგვეპარა. დავამშვიდეთ და საბუთად ვუთხარით: უსისხლოდ ვიპარავთ, რადგან ჭამა გვჭირია და იმაზე მეტი არაფერი გვინდა, რომ ამ ცეცხლიდან სამშვიდობოს გავიდეთ.

-როცა განვალთ, ისევ ვრანგელ-კოლჩაქებს დაუბრუნდით, არა? - გვკითხა.

ბოლოს მოვრიგდით: სიტყვა მივეცით, რომ სასისხლო საქმეზე ხელს ავიღებდით და მშვიდობიან ცხოვრებას შევუდგებოდით.

ბარემ არ შევუდგებოდით, რადგან არა ჯერ არს მხეცმა ბალახი ძოვოს და არწივმა ქერი კენკოს, მაგრამ მეტი გზა აღარ იყო. კბილები დაგლეჯილი გვქონდა და უმი ხორცის ჭამის მაგივრად აღულებული რძე უნდა გვესვა.

რალა სიტყვა გაგიგრძელოთ: იმ დღიდან უთავბოლო ხეტიალი და ჯვარცმა დაიწყო. სამივე მათხოვრებს დავემგვანეთ, ხორცი დაგვისკდა, მუნი დაგვერია, ჩამოვხმით და ლანდებად გადავიქცეთ.

ჯერ ასტრახანის უდაბნოში შეგვრეკეს. ყალბუხები და ნოლაელები გვშველოდნენ. მერე გზა გადაგვიჭრეს, პირი აღმოსავლეთისკენ გვაბრუნებინეს და ყირგიზთა ტრამალებში შეგვრიეს. ხან ცხენით დავდიოდით, ხან აქლემზე ვისხედით, უფრო ხშირად კი ფეხით მისვანსალებდით და ჩვენი გაჩენის დღეს ვწყევლიდით. რასაც ვშოულობდით, მარადის ვაძლევდით, მაგრამ ვერ ვუშველეთ: უწინდელზე უარესად დადნა და გაიცრიცა. იმოდენა ქალი ისე დამსუბუქდა, რომ მე და სენია რიგ-რიგად ადვილად ვიკიდებდით და მივდიოდით, მივლოდავდით. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ჩვენი თუ ჩემი საბელო თითქმის დამუნჯდა. „ჰო... არა... კარგი... მინდა... არ მინდა“ - ამაზე მეტს თითქმის აღარაფერს ამბობდა.

მაგრამ ერთხელ დრო იხელთა და ენა ამოიღვა.

- ყარამან, - მითხრა, - და-ძმობას გაფიცებ, არ დამიძალო ვინ გიყვარს უფრო მეტად, მე თუ სენია?

- მარადო, - ვუპასუხე, - შენ სიყვარულზე ლაპარაკი ამიკრძალე.

- და-ძმურ სიყვარულზე არ ამიკრძალავს.

- მაშ გეტყვი: ძმა სეხნია უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე და მარადი, სამაგიეროდ შენ სხვანაირად მიყვარხარ, იმდენად ძლიერ, რომ მთელ ქვეყანას განაცვალებ.

- რომ შევაერთოთ?

- ეს ორმაგი სიყვარული რომ შევაერთოთ, მაშინ... - და ჩემი პირისახე ხელებში ჩავუმაღლე. მან უმაღვე გამომტაცა და მითხრა:

- დაიცა, ჯერ მიპასუხე, თუ მართალს ამბობ, მიპასუხე: როცა ნამდვილ არჩევაში იყავი, იმ წყალში... ხომ გახსოვს?... მაშინ... მაშინ... რად გამიშვი ხელი?

და ხუთი წლის ბავშვივით ატირდა.

უმაღ მარჯვენას მოვიჭრიდი, ვიდრე მართალს ვეტყოდი, ფიცით და ალერსით ძლივს დავაჯერე, რომ ხელი იმისთვის გავუშვი, რათა ხერგი დამეჭირა, და თანდათან იმდენად მოვალბე და მოვინადირე, რომ თითქმის აღარავითარი წინააღმდეგობა არ გამიწია. მე ვნებით ვხელდებოდი, მარადი კი თითქოს კვდებოდა: თვალები გაეყინა, სახე გაუთეთრდა და გული მიელა. მაგრამ წინანდელივით აღარ შემშინებია, რადგან ვიცოდი, რომ სიფითრეც და გულყრაც ნამეტანი ვნებიანობით ემართებოდა. ბუჩქნარის ნაპირას ვიწეკით და მომავალ სეხნიას შორიდანვე მოგკარი თვალი.

- მარადი, გონს მოდი. სეხნია მოდის.

თვალხილული იყო, მაგრამ ჩემი ნათქვამი ჯერ ვერ შეიგნო. მერე თითქოს მიმიხვდა, კაბა შეისწორა, მაგრამ ვერც წამოდგა და ვერც წამოჯდა. სეხნია გაოცდა და იმ დღიდან მიხვდა, რომ სასწორმა ჩემს მხარეზე გადმოიწია. ის მიხვდა, მე კი გავიგე, რომ მან იმ ქალს წყალში გასვლისა და ჩემ მიერ მარადის გაწირვის ამბავი გველივით ჩაუძვრინა სულში.

ასეთმა ვერაგობამ მეც შხამით ამავსო და სასიყვარულო ნებივრობა მომიწამლა. სხვა დროს ამგვარი მუხანათობა ყუმბარასავით ამაფეთქებდა, იმ ჟამს კი მხოლოდ კლიტე დავიდე პირზე და დავდუმდი. გაჩუმება ჩემთვის უდიდესი წამება იყო, მაგრამ მეტი აღარაფერი შემეძლო: ან ნამეგობრალი უნდა მომეკლა, ან დავდუმებულყავი. მესამე გზა - საუბარი და განმარტება - მოჭრილი მქონდა. ხიფათი სვაკვივით დავგებრიალებდა და ვფიქრობდი: რაკი სეხნიამ ეს იკადრა, მაშ არაფერსაც აღარ მოერიდება-მეთქი.

ტყუილად კი არ ჩამძახოდა მარადი:

-მეშინია მაგ კაცისა, მეშინია.

-საბუთი?

-არავითარი. მაინც მეშინია.

ჩემი თავი მხეცი მეგონა, მხეციცა ვარ, მაგრამ გველი თურმე ასჯერ უფრო სახიფათო, უმაღური და საზიზღარი ყოფილა.

5

ჯიქურაულმა ხელი აიქნია, თითქოს ლანდი რამ მოიშორა, თითქოს თვალებიდან შავი ნისლი აიყარა და ისევ ძვლის ჩიბუხი აავსო. სანამ დუმდა და აბოლებდა, იმ ჩიბუხს დავაცქერდი და ძლივს გავარჩიე: ქალის თავი იყო გამოკვეთილი. იაპონურ ნახელავს ჰგავდა, და, რადგან ბოლით იყო გაუღენთილი, უცხო რამ ფერი ედო, მწიფე რკოს ანარეკლი გადაჰკრავდა.

ყარამანმა კარგა ხანს იყუნა და შემდეგ განაგრძო:

-მარადი დავარწმუნე, რათა მას გარეგნულად ჩემსა და სეხნიას შორის არავითარი გარჩევა არ გამოეჩინა, და ისევ გზას გაუდევით.

ჩვენს კისრებს მარადიმ „უნაგირი“ დაარქვა და ხშირადაც სარგებლობდა.

-აბა, უნაგირზე შემსვით! დაიძახებდა ხოლმე და გაილაჯებოდა. დიდი ხანია ქალური კაბა გაიხადა და ვაჟურად ჩაიცვა, ამიტომ

სიარულიც უფრო ეხერხებოდა და უნაგირზე ჯდომაც.

ვაი ჩვენი ბრალი! იმ უთავბოლო გზით გამოფიტული ვიყავით, მაგრამ „უნაგირს“ რომ გავიგებდით, უმაღვე სიცოცხლის ხალისი და ძალ-ღონე მოგვემატებოდა ხოლმე. ორივე მშვიდ მხეცივით ვეცემოდით და ვინც დაასწრებდა, ვინც პირველი გაუყოფდა თავს ლაჯებში და კისრით აიტაცებდა, გამარჯვებულნიც ის იყო და თოხარიკით ან ჩორთით მირბოდა, მეორე კი შურით მიჩანჩალებდა ხოლმე.

მაგრამ ვაი იმ გამარჯვებას! ისედაც მზით დამწვარ კისრებზე ცეცხლი გვეკიდებოდა, ისედაც დაღლილი სისხლი დუღილით გვეხარჯებოდა, ჩვენ კი ამ წუთს ბალღებივით შევნატროდით და ეს მოწამლული შანთი ორივეს შურით გვეხერხავდა.

-მეყოფა, - იტყოდა მარადი და ჩამოვიდოდა. და მაშინვე სუ-რათიც შეიცვლებოდა: ვნებით და ტვირთით მოთელილი „ცხენი“ მთრთოლვარე ფეხებს უკან სადმე ძლივსლა მიათრევდა,

წელან ნაწყენი და მარადი კი ადვილად მოაბიჯებდნენ და ჩამორჩენილ ჯაგლაგს დასცინოდნენ. და ამ ჯაგლაგის როლს ხან მე ვასრულებდი, ხან სეხნია ლაჩიშვილი. მარადი ჩემს დანარიგს ზედმიწევნით ასრულებდა: სანამ უნაგირს მოითხოვდა, იმასთან უფრო ახლო დადგებოდა, ვისი კისერიც იმ დღეს უნდა გახურებულიყო, და ამ ხერხით ჩვენ შორის რიგი დაამყარა.

წითელ მორევიდან ამოსვლა გაგვიძნელდა. დღისით ვიძალუბოდით, ღამით მოვეთრეოდით, და უღვეველ მანძილს ბატის ნაბიჯით - მალვით, ფოფხვით, ქურდობით, მათხოვრობით და ზოგჯერ მარცვა-გლეჯითაც ვიმოკლებდით. რამდენჯერმე დაგვიჭირეს, მაგრამ ყალბი საბუთებით, არტისტული ტყუილით და ზოგჯერ მკლავების წყალობით ვაღწევდით თავს. ათას ხიფათს გადავრჩით, მრავალ ხაფანგს ავცდით და ის წყეული უდაბნო ძლივს დავლიეთ: არალის ტბასთან გავედით, კასპიის ზღვას ჩავეყვით და, გალახულ-დაფლეთილები, ბაქოში გამოვედით.

მეგობარო, ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლეში საამური ბევრი არაფერია, ხოლო ასეთი ხეტიალის შემდეგ უცებ ცხოვრების გამოცვლა - ჭუჭყის გაცლა აბანოში, თმა-წვერის გაპარსვა, ახალი საცვალტანისამოსის ჩაცმა, მსუყე ჭამა და გულაღმა წოლა - ნამ-დვილი ბედნიერებაა. ჩვენც ჩავიცვით, ვჭამეთ, დავისვენეთ და ისევ ადამიანებს დავემ-გვანეთ.

მარადი მამის საძებნელად რუსეთში წავიდა და თვითონაც დაიკარგა. წითლები დალესტანში ჩამოცვივდნენ და ბაქოს შორიდან სუნავდნენ. თეთრები დაიფანტნენ. მე და სეხნია ტფილისში გადავსახლდით. უსაქმოდ ვცხოვრობდით, ვნებივრობდით და მარადის დაბრუნებას ველოდებოდით. მოლოდინს ერთმანეთს ვუმალავდით, მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ ერთავ ერთი აზრით ვცხოვრობდით და ერთი ბილიკით მივდიოდით, რომელიც იმდენად შევიწროვდა, რომ ერთ ჩვენთაგანს უეჭველად უკან უნდა დაეხია, თორემ ხრამში გადავარდებოდა.

სანამ უდაბნოში დავეხეტებოდით, სეხნიას ვუმალავდი, რომ საქმე გათავებული მქონდა და ის გზიდან უნდა ჩამომშორებოდა, შემდეგ კი, ბაქოსა და ტფილისში რომ დავბრუნდით... შემდეგაც დაეუმალე. რატომ? რისთვის? ახლაც არ მესმის. განა სულმოკლე ვიყავი? არასოდეს, მეგობრის წყენას ვერიდებოდი? შეიძლება აგრეც ყოფილიყო, მაგრამ რა ბედენა იყო აუცილებელი წყენის გადაღება? მოგებით არაფერს ვიგებდი, ხიფათი კი მატულობდა. ეეჰ, ჯიქურაულო, ერთი დაკვრით მოსხეპას გადაეჩვიე და მგონი თავიც ამიტომ დაიღუპე!

ბაქოც მალე გაწითლდა და საქართველოს ჯერი მოვიდა. მოვასწარით და ტფილისში გადმოვედით-მეთქი, მაგრამ გული ისევ რუსეთისკენ მიმიწევდა. იქ მარადი იყო. და... ჩემი ნადავლიც ინახებოდა.

მტაცებელი ვიყავი. ნაშოვარს ფეტივით ვფანტავდი, მაგრამ ზოგი რამ მაინც მოვიმარაგე და როსტოვში შევიწინაზე. ის ალაგი მარადის მივასწავლე და ჩამოტანა დავაბარე. მაინც მეშინოდა და მეც წასვლა დავაპირე.

- სეხნი, - ვუთხარი ერთხელ, - რუსეთში მინდა წავიდე.

- მეც. - მიპასუხა.

- შენ რაღა გინდა?

- არაფერი. შენ წამოგყვები.

- არაფერი, ოღონდ ეშინოდა, მარადი არ მეპოვნა და სამუდამოდ არ წამერთმია.

- ძალიან კარგი, ერთად წავიდე, დავეთანხმე, - მაგრამ ერთად სიარული არას გვარგებს.

ცალ-ცალკე უფრო ადვილად ვიპოვით.

და მარადის თავი თითქოს ბედს მივუგდე, ნამდვილად კი უეჭველ მოგებაზე ვთამაშობდი, რადგან წინა დღეს მისგან წერილი მივიღე: ამა და ამ დღეს როსტოვში ჩამოვალ, იქ ერთ კვირას მოვისაქმებ და შემდეგ პირდაპირ ტფილისისკენ წამოვალ.

- წითლებმა რომ გვიცნონ? - ვკითხე სეხნიას.

- დავიღუპებით.

სეხნია თანახმა იყო მარადის საძებნელად შუაგულ რუსეთში წასულიყო და სამხრეთი ჩემთვის დაეთმო. ცხადი იყო, თამაში მოგებული მქონდა: მე და მარადი გამოვიპარებოდით, ტფილისში ჯვარს დავიწერდით და ყველაფერი ასე გათავდებოდა, მაგრამ მოვიფიქრე და მევე უკან დავიხიე.

წელანაც მოგახსენეთ, აბეზარი და კადნიერი ვიყავი-მეთქი, მუდამ ბედისწერას დავდევი, ვეღვაწებოდი. იმ პირშავს ასჯერ მაინც დავეჯახე და ასჯერვე ვიფრინე. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარადი შემიყვარდა, და თეთრი ლაშქარიც გადატყდა, ჩვენი ურთიერთობაც შეიცვალა. ბედმა ჯერ გვერდით ჩამიარა, ოღნავ დამსუნა და ჩაიციხა, მერე გულში შემომეპარა და გველივით მოიკალათა.

თანდათან გათამამდა, გათავხედდა. ჯერ ცოტა დავუთმე, შემდეგ მოვერიდე, მერე ზურგი შევაქციე, ბოლოს კი გავიქეცი კიდეც, ბედი კი დაუღალავ მღევარივით დამედევნა. მე გავტვრინდი, ის კი გაჰკიოდა და ბრძოლაში მიწვევდა. დამჯახნა, დამიბრიყვა, გამაფუჭა.

სადღაც რაღაც ჩამიწყდა და გულის ფიცარმა კენესა დამიწყო. თანდათან რწმენა შემეპარა, რომ სული ჩემს ლოგინში არ უნდა

დამელია, და ეს რწმენა და მუდამ მასზე ფიქრი კვიატივით ამედევნა.

ამსობაში მარადი დაბრუნდა და ნადავლი განძეულიც ჩამოიტანა. აღმოსავლეთით, ჩვენს საზღვრებთან, წითელი მშვილდი დაჭიმული იყო და საცაა ისარი ზუზუნით უნდა წამოსულიყო. ევროპის გზა გახსნილი იყო, ფული ჯიბეში მელო, საყვარელი გვერდით მყავდა, ხოლო ბედის ხელი მუდამ თავს დამტრიალებდა, თანაც ღვენიც კვიატი მჭირდა და ფეხები გასაქცევად მიტოკავდა, მაგრამ...

და ბედისწერაც სწორედ ეს „მაგრამ“-ია, ათასჯერ ვკითხე ჩემს თავს და ახლა თქვენც გეკითხებით: რატომ არ წავედი? რატომ არ მოვშორდი აქაურობას? ყველაფერი ხელს მკრავდა, ყოველივე საქართველოდან მერეკებოდა და ბათუმისკენ, ევროპისკენ მეწეოდა, მაგრამ... გეკითხებით, ვინ დამაბა აქ? ვინ შემბოჭა? ვინ ჩამიკლა ნებისყოფა?

...თქვენ დუმხართ. პასუხი ვერ გიპოვიათ. მაშ მე მოგახსენებთ. ალბათ თქვენც გინახავთ ასეთი სიზმარი: რაღაც საშინელ ხიფათს გრძნობთ: ან მხეცმა უნდა შეგჭამოთ, ან ვილაცამ ყელი უნდა გამოგჭრათ. თქვენ შიშით ხართ შეაყრობილი და გასურთ გაიქცეთ, მაგრამ მუხლი არ გემორჩილებათ, ან გარბინართ, მაგრამ ფეხებს უძალოდ აბარტყუნებთ და ისევ იმავე ალაგს რჩებით. აგერ მკვლელიც მოვიდა, ხელი ჩაგჭიდათ და მხვილი მოგიღერათ. თქვენ კი... აქ თქვენ უეჭველად გაიღვიძებთ.

ეს უცნაური სიზმარი მე ცხადლივაც დამემართა. აი, ხომ მხედავთ, მღვიძავს და ფხიზლადაც განხლავართ, მაგრამ გამოფხიზლება დამიგვიანდა. საქართველოდან დიდხანს მივრბოდი, მაგრამ ფეხებს თურმე მხოლოდ ჰაერში ვიქნევდი. ბედი კი მოდიოდა, მოექანებოდა. მისი კლანჭი კისერში დამწვდა და... და მეც გამეღვიძა.

ურემი რომ გადაბრუნდა, გზაც მაშინდა გამოჩნდა. ახლა თქვენთვისაც ცხადია: გონება გაქცევას მირჩევდა, ბედი-მღვეარი კი უხილავი ჭანგით მიჭერდა. მბაბდა, გზას მიჭრიდა, მატყუებდა და - აჰა დამაბა კიდევაც. არც ახლა გვერათ, ბატონო ჩემო, ბედი-მღვეარი და მისი ქამანდები? ბედი-მეთქი, მაშ რა არის! ბედი-მტერი, ბედი-მღვეარი, ბედი გარდუვალი და უძლეველი. მცირე ხნით გამოფხიზლდი, უჩინარი ხუნდები ავიწყვიტე და ნებისყოფაც გავიღვიძე.

„ალბათ გავვიჟღი“ - გავიფიქრე და დაკლულ ქათამივით ავფართხალდი, მაგრამ გვიანდა იყო, რადგან თითქმის დაკლული ვიყავი. ყველა გზა შეეკრათ და ყოველი კარი დაეკეტათ. ნება ისევ გამიქრა, გონებაც კვლავ დამიჩლოუნგდა, და ბედმა მღვეარმა ხელახლა შემბოჭა. „რაც მოსახდენია, მოხდეს!“ - გავიფიქრე და თავი ბრმა მდინარეს მივეცი.

და მოსახდენი მალე მოხდა.

მარადი ჯვრის წერას ეჩქარებოდა, რადგან ორსულობა იგრძნო, და ერთ რამეშიც გამომიტყდა: თურმე სეხნიამ იერიშებს უმატა და აღარ ასვენებდა. და იმავე ღღეს ძმადნაფიცს ვუთხარი:

- სეხნი, მეჯვარედ გამომყე.

შიშნაჭამი თვალით დამაშტერდა და კარგა ხანს ხმა ვეღარ იპოვა. ეშინოდა, სიმართლე არ გაეგო და იმედის უკანასკნელი სიმიც არ გასწყვეტოდა. ბოლოს ძლივს წაილულულა:

- ვის ირთავ?

- შენც გეცოდინება. მარადის - და ზურგი შევაქციე. დიდხანს ვლუძდით. უცებ მივტრიალდი და მივახალე: - სეხნი, აგრე ულოცავ ძმადნაფიცს გაბედნიერებას?

ჩაქინდრული თავი ძლივს ასწია და ჩემი ნათქვამი ძლივს გაიგო. უცებ ღიმილი დაიკლაკნა, ორივე ხელი ჩამომართვა და -

- მოგილოცავ... მოგილოცავ... - ისე მომილოცა, როგორც პატიმარი მიულოცავს ჯალათს, რომელიც მისთვის თოკის ყულფს ამზადებს.

შემდეგ დიდხანს ირბინა ოთახში და უსიტყვოდ გავარდა გარეთ. მერე თავი მოიავადა და ქორწილამდე აღარ დაგვეხანა.

ოთხი ქალ-ვაჟი დავისწართ და ჯვარი დავიწერეთ. ისინი იყვნენ ჩვენი მეჯვარენიც, მაყრებიც, სტუმრებიც და ნათესავებიც. რადგან ვიძალეობოდი, ამიტომ წინა ღღეს ჩემი ბინა ერთ მარტოხელა მეჯვარეს გადავეცი და მე მის ოთახში გადავსახლდი.

გახშმად ექვსნი დავსხედით. მარადის ვეღარა ვცნობდი. ღვენიც ბლომად სვამდა, სახლს ბაღღური სიცილით აყრუებდა, ანცობდა, გვაცინებდა და იქაურობას აფორიაქებდა.

მარტო სეხნია ღუმდა. დაღვრემილი, წარბებშეკრული იყო და ვერ ისვენებდა: მალიმალ ტოკავდა, ღრმად ოხრავდა, ზოგჯერ ნაძალადევად ილიმებოდა, უფრო ხშირად კი აზრით სადღაც სხვაგან გადადიოდა, სხვისი ნათქვამი აღარ ესმოდა და სიტყვას უალაგოდ გვირთავდა. სმენა დასშული ჰქონდა, გონება - დაფანტული, გრძობა კი - აზღარბული და სამართებელივით ალესილი. ვგრძობდი, მესმოდა, რომ ღვინის მაგიერ სამსალს სვამდა, სიმღერის ნაცვლად ნაგაზივით იღრინებოდა და სიცილის მაგივრად ბოღმით და შურით იხერხებოდა.

გულში ვამბობდი: „არა უშავს-რა, დაივიწყებს, განიკურნება“. მაგრამ მისი სიკუშტე ბოლოს მეც გადმომედო, მისმა პირქუშობამ მეც ამაძღვრია და დამაღუმა. ვილაც თუ რაღაც უჩინარი გულს მიკაწრავდა, რომელიც, ვერ იქნა, საბუღეში ველარ ჩავიდე.

ბოლოს სეხნიამ თავის ტკივილი მოისაბაბა და აღრე წავიდა. კარებში რომ გადიოდა, გულს თავი ველარ დაუჭირა: მომიბრუნდა, დაკლაკნილი ტუჩებით გამიღიმა და ამოიხრიალა:

- ბედნიერი ხარ... ღმერთმა შეგარგოს, მაგრამ...

მაგრამ აღარ დაასრულა, ხელი ჩაიქნია და კიბეზე ჩაგრიალდა. მერე სხვებიც წავიდნენ. მარადიმ გაიხადა და მიწვა. ის ღამე პირველიც იყო და არც იყო. არ იყო იმიტომ, რომ მარადი უკვე ფენმბიმობდა, ხოლო პირველად იმიტომ ჩაითვლებოდა, რომ იმ დღიდან ყოველმხრივ მე მეკუთვნოდა და ქურდულ სიყვარულს ბოლო ეღებოდა.

მანამდე სამნი ვიყავით, იმ დღიდან კი ორიღა დავრჩით. შუაში სეხნია აღარ გვედგა. ბედნიერი ვიყავი, მაგრამ სინარულს მუღამ ჩრდილი მოსდევს ხოლმე: იქამდე ერთგული მეგობარი მყავდა და უცოლო ვიყავი, ახლა კი ცოლი ვიშოვე და მეგობარი დავკარგე... ან უკვე ვკარგავდი.

ღამეა ჩავაქრე და საწოლ ოთახში ვაპირებდი გასვლას, ანაზღად უცნაური უქმური დამემართა. გულისფრიალი ამივარდა, თრთოლამ ამიტანა, თავბრუ დამესხა. ბურანი რამ მომაწვა, სკამზე დავეშვი და ხელი გულზე მივიდე. ბნელი ოთახი უცებ თეთრი ნისლით გაივსო და იმ ნისლიდან შავი აჩრდილის რაღაც მონახაზი გამოჩნდა. ჯერ უძრავად იდგა, შემდეგ შეიღრა. კარებში გაეხირა და თითქო ხელი დამიქნია.

სულში გრიგალი ამივარდა, ძარღვებში სისხლი გამეყინა და მთელ ტანზე ცივი ცეცხლი მომედო. ლანდი კი ისევ კარებში ირხეოდა და თითქოს მანიშნებდა: „მომეცე, წამოდიო“. ერთი წუთით აზრმა შემაფიქრა: წავალ, ამ ღამეს სხვაგან სადმე გავათენებ-მეთქი, ხიფათის გრძობამ გამჟღინთა. უკვე მინდოდა ხელახლა ამენთო ღამეა და მარადისთვის მემამა, შემდეგ ქუდი დამეხურა და წავსულიყავი, მაგრამ ამ დროს,

სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდან თვითონ მარადიმ დამიძახა:

- ყარამან! - მოვდივარ.

და უქმურიც გაიფანტა. შემრცხვა და გონს მოვედი: „სირცხვილია, სირცხვილი!“ - ჩამძახა თავმოყვარობამ და მეც მივუგე: „რა თქმა უნდა! ცოლი სიყვარულს ელოდებოდეს და ქმარი კი ქუდმოსვლეპილი გარბოდეს. რაღაც ლანდს მისდევდეს?“ სისხლი ჭარბად მქონდა და ის მოჩვენება ამით ავხსენი. მსგავსი რამ უქმური, ოღონდ უფრო ბუნდოვანი, აღრეც მემართებოდა ხოლმე. ჩემს თავზე გამეცინა და

საწოლის კარი შევალე. უმაღვე გავიხადე და -

- მარადი, მანდა ხარ?

- აქა ვარ. - მომესმა სიბნელეში ცოლის ჩურჩული. მის ლოგინს მივალწიე და მკლავები მოვხვიე, მაგრამ... მაგრამ ამ დროს, სწორედ ამ დროს, ცა ჩამომენგრა და ფეხქვეშ მიწა გამისკდა. სწორედ ამ წამს დამეწია ურმით მავალი ბედი-მღევარი და ყინულიანი კლანჭებით დამწვდა კისერში. დამწვდა და პირველი სინარულის კარი ცხვირწინ მომიჯახუნა.

კარი მძლავრად დააბრახუნეს. და მომეჩვენა, თითქოს უცებ საფლავში

ვწოლილიყავი და ხევიდან გრიალით მიწა დაეყარათ.

სტუმრების ვინაობას უმაღვე მივხვდი. გველნაკბენივით წამოვვარდი და ვიკითხე:

- რომელი ხარ?

- ჩქარა გააღეთ, თორემ კარს შემოვამტვრევთ.

და ერთხელ კიდევ დაეტაკენენ, ისე დაეჯახნენ, რომ მთელი სახლი შეაზანზარეს.

- ახლავე... მოვდივარ.

და უჯრას ვეცი, სადაც სწორედ იმ ღამეს ჩემი ნაგანი ჩავდე. იგი ცარიელი დამიხვდა.

- სად არის?... ვინ ამოიღო?... მარადი...

- წელან სეხნიას ეჭირა. - მიპასუხა. მაგრამ გვიანდა იყო იარადის ძებნა. ტანისამოსი ილიაში ამოვიჩარე და აცახცახებულ ცოლს ჩავეხვიე:

- მშვიდობით... მშვიდობით...

მარადი მკერდიდან ძლივს მოვიგლიჯე, ფანჯარა გამოვაღე და მეორე სართულიდან ფეხი ვიშვირე. ეზოში ჩავხტი, ჩავიკეცე და ისევ წამოვიწიე, მაგრამ ამავე წუთს ერთი ლულა საფეთქელზე მომაბჯინეს და მეორეც მკერდზე დამადეს.

გვიანლა იყო ფართხალი, ბედ-მდევარმა იმძლავრა და თავის საქმე გაათავა... დანარჩენიც ღლესვე გათავდება.

6

დიდხანს ვლუმდით. საკანში მძიმე სიჩუმე და ძრწოლა იწვა. მხოლოდ ძვლის ჩიბუნის სრუტუნებდა და კუთხეში თავი ცოდვილობდა. ტახტზე ორად მოხრილი ჯიქურაული იჯდა, აბოლებდა და თვალები ჩიბუნის ღრუში ჰქონდა ჩაბჯენილი. დუმილს ვეღარ გაუძელი და - - როგორ მოგაგნეს? - ვკითხე.

არც კი შერხეულა და ჩიბუნს ჩასჩურჩულა:

- თურმე გულსაც თვალი ჰქონია და ხედავს, ყურიც ჰბმია და ესმის. ჯერ მიხვედრილი ვიყავი, შემდეგ ღრმად დავრწმუნდი, ახლა კი ნამდვილად გავიგე. იმ პირშავმა... თავის ძალღონით რომ ვერას გახდა... - და ისევ დადუმდა.

მე ვეღარ მოვითმინე, ტახტზე წამოვჯექი და -

- ვინა, სეხნია? შეუძლებელია... დაუჯერებელია. - წავილულულე.

- მეც აგრე ვყვიროდი. - ისევ ჩიბუნს ჩაულაპარაკა ჯიქურაულმა: - შეუძლებელია, დაუჯერებელია-მეთქი! მაგრამ... მაგრამ ადამიანის გული თვალუწვდენელი შავი ორმო ყოფილა. წამოვხტი და, გაანჩხლებულმა, წამოვიდახე:

- გველის წიწილა!.. უმაღური მორიელი!

- დამშვიდდით, მეგობარო, - უფრო დინჯი ხმით ურჩია ჩიბუნს. - საიმისო ან გველმა ან მორიელმა რა დაგიშავა, რომ ასე ამცირებთ? დამშვიდდით და ჭკუა ისწავლეთ.

მე ასეთი ჭკუა მამრახებდა. ვკითხე:

- ჭკუა ვისწავლო? ესე იგი უნდა დავიჯერო, რომ მეგობრობა გველს უფრო შეუძლია, ვიდრე ადამიანს? არ მიპასუხა. არც შემომხედა.

- ეს უნდა დავიჯერო? - ვკითხე ერთხელ კიდევ. ისევ დუმდა. და პასუხი რომ ვერ მივიღე, ცხარედ დაუმატე: - მე ჭკუა ვისწავლე, ბატონო ჩემო, მაგრამ სხვანაირი: რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო.

ახლა კი ამომხედა, მერე წამოდგა და ხელი მხარზე დამადო:

- აგრეა. უეჭველია. ისევ ჩემი ბრალია და სხვისი არავისი. ბუნებამ მკერდის ქვეშ მხეცის გული ჩამიდო. მაგრამ მისი გულისხმიერება დამაკლო და ბედ-მდევარმაც სწორედ ამ დანდობილ ალაგას დამადგა ფეხი.

- ახლა სად არის, ახლა? - შევაწყვეტინე განწირულს.

- ვინა, სეხნია ლაჩიშვილი?

- დიახ, ლაჩიშვილია თუ გველიშვილი.

- როგორ, ჯერ არ მითქვამს?

- არა, არ გითქვამთ.

- აკი ნახეთ.

- რაო? ის არის?

- დიახ, წელან რომ გამექცა, სწორედ ის არის.

- საკვირველია... მაგრამ ერთი მითხარით, აქ როგორღა ამოჰყო თავი?

- საქმეც ეგ არის. თვითონაც ყველაფერში ჩემი მონაწილე იყო და ეგონა, დავიმალეები, შემრჩებაო, ეშმაკობა მოიხმარა, მაგრამ ვერ გაუვიდა, ორმო ამომითხარა და თვითონაც შიგ ჩავარდა.

- აგრე უნდა!

- ნუ ჩქარობთ. ცხოვრებაში ათასი რამ ხდება გაუგებარი. ვინ იცის, იქნება როგორმე თავი დააღწიოს და... და მარადის გვერდით ჩემი ალაგი დაიჭიროს.

- შეუძლებელია! - წამოვიდახე.

- შეუძლებელი არაფერია-მეთქი. რაც ვიამბეთ, ესეც შეუძლებლად მიმაჩნდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ნამდვილ ამბავად გადაიქცა.

- მაშ მარადოს შიში ფუჭი არ ყოფილა, - ჩავილაპარაკე.

-ათასჯერ გამახსენდა, მაგრამ რა ბედენაა გახსენება! მე ალლო მაკლდა, მაგრამ იგი მუდამ მაოცებდა. სადაც გონება თავს ახლის ბნელ კარებს და ვერაფრით ვერ გაუღია, იქ ჩუმი ალლო ზეგამოჭრილი გასაღებივით შეძვრება და უმაღლე გააღებს ხოლმე.

ჯიქურაული დადუმდა, წელანდელივით მალლა კედელს დააშტერდა, გაინაბა და დიდხანს იჯდა გარინდებული. შემდეგ წამოდგა, ორჯერსამჯერ გაიარა, ისევ შედგა, და ჩუმი ხმით თავისთავს მიმართა:

-მარადი დღეს დაქვრივდება... ხვალინდელ დღიდან შავებს ჩაიცვამს და გლოვას შეუდგება... მერე საზარელი დრო ყველაფერს ქლიბივით წაშლის, გააქრობს. მარადიც გამოიტირებს და შემდეგ... - და ყარამანის ხმა ჩურჩულამდე დავიდა. - შემდეგ ახალ ვინმეს იშოვის... დიახ, იშოვის. ღმერთმა ხელი მოუმართოს და ჩემზე უკეთესი შეახვედროს, ოღონდ ჩემ ნაცვლად „ის“ ნუ იქნება, ნუ, ის ნუ იქნებათქო, თორემ... თუმცა... - ჩემსკენ მობრუნდა, შეკეცილი შუბლი გაისწორა, თვითონაც გასწორდა და ამალღდა. შემდეგ ხელი ჭერისკენ გაიშვირა და ღრმა რწმენით წარმოთქვა, თითქმის წამოიძახა: - თუმცა... დიდ არს ღმერთი, რომელიც აქამდის არა მწამდა, ბედიმდევარი ხომ ცოცხალია... სამართლიანია და გარდუვალი განაჩენი მისი... და თუ მან თავისი ძალა ჩემზე გამოიჩინა, არც სეხნიას დაივიწყებს და ღირსეულს მიუძღვნის... დიახ, მიუძღვნის... უეჭველად მიუძღვნის. ამ რწმენით მივდივარ იმ ქვეყნად. იგი ქრისტიანული არ არის, სამაგიეროდ ადამიანური.

ჯიქურაული სანათურთან შედგა, ცის ნაჭერს დააცქერდა, იყუჩა და მერე ბუტბუტით განაგრძო:

-დილაზე ბელურები ჟრიაძულს ატეხავენ... მერცხალი ჭივილს მოჰყვება და ბუდის აშენებაზე იცოდვილებს... ოქროყანელი გლეხი მაწონს გაჰყიდის და ისევ შინ დაბრუნდება... ეს დარაჯებიც სიარულით დაიღლებიან და სადამოზე ან დილითვე თავიანთ ოჯახში დაისვენებენ... საცაა ბავშვები ცალ-ცალკე სკოლისკენ გაიბრუნენ. ნაშუადღევს კი ჟივილ-ხივილით გამოივლიან... მზეც გუშინდელივით ამოვა და ისევ თავის ალაგას ჩაგორდება... აი ეს ბუზიც... აი იქ რომ მობუზულა, ადრიანად გაიღვიძებს და დღეს თავისუფლად დააღამებს... ამ ქვეყნად არაფერი, თითქმის არაფერი შეიცვლება... ყველაფერი თავის გზით ივლის, ყველა და ყველაფერი, გარდა ყარამან ჯიქურაულისა... რომელიც... გაქრება. იყო და აღარ იქნება...

და ისევ გაჩუმდა. მხოლოდ მისი ხშირი სუნთქვა მესმოდა, თითქოს დიდი სიცხე სჭირდაო, და ფაჩუნი თავგის, რომელიც ტახტის ქვეშ ცოდვილობდა.

უცებ სადღაც მამალმა იყვილა. იქვე მეორემაც ხმა მისცა. მერე შორიდანაც გამოსძახეს. ერთი წუთიც არ გასულა, რომ გაბმულ ყივილს სადღაც რაღაც გუგუნნი შეერია.

ჯიქურაულმა ყურები ცქვიტა, აილესა, აიბურძნა. თვალი მივაბჯინე და უცებ აშლილ-განაბული მხეცი გამახსენდა, რომელსაც თოფს უმიზნებენ.

გუგუნნი და რახუნნი სწრაფად გვიანხოვდებოდა: ავტო კარიბჭესთან შედგა და ფათქა-ფუთქი ატენა.

-მოვიდა... დროა. - სთქვა ჯიქურაულმა და მოტრიალდა. - ავერ, სამართალი მოდის.

-დამშვიდდით. - ვცადე ხმის ამოღება, - დამშვიდდით... ავტომობილი აქ დღეში... ათჯერ თუ ოცჯერ მოდის.

-ვიცი... თქვენზე უკეთ ვიცი. ნათქვამია, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა მოკვდესო. მე არ ვიციანი, რადგან... ასეთ დროს სიცილი დიდი ფლიდობა იქნებოდა... მაგრამ არც ვიტირებ... დეე მოსახდენი მოხდეს... არცა ვჩივი, რადგან... მე უთვალავი სიკვდილი დავთესე და... და მხოლოდ ერთს ვიძი. სულის ღონეს ვიმყოფინებ და ბედისწერის უკანასკნელ მოქნივას როგორმე... როგორმე გაგუძღვებ... ნათქვამია, „ომში - როგორც ომში“. მეც ვიომე, მხეცურად ვიომე, დავმარცხდი და... და იქნებ ადამიანურად მოგკვდე... არა მიშავს რა. ადრე თუ გვიან ყველამ საზღაური უნდა მიიღოს, მორჩა და გათავდა!

თავჩაქინდრულმა გაიარა და თავისთავს გაუმეორა:

-მორჩა და გათავდა!

იყუჩა და ერთხელ კიდევ დაუმატა: - მორჩა და გათავდა!

შემდეგ შედგა, ჩექმის ყელიდან პაწაწინა ფანქარი ამოიღო და თეთრ კედელზე, იმ ტახტის თავზე, სადაც გაქცეული სეხნია ლაჩიშვილი იწვა, მთრთოლვარე ხელით რამდენიმე სტრიქონი დაბლაჯნა. მერე გახევდა და უცებ პირჯვარი გადაიწერა. სამი თითი ერთხელ კიდევ ასწია, მაგრამ შუბლზე გაეყინა, მცირე ხანს გაქვავებული იდგა, მობრუნდა და გაფითრებული ტუჩებით ამოიკვნესა:

-არა, არ შემიძლია... ღირსი არა ვარ... ჩემს დღეში რწმენით და სასოებით ერთხელაც არ მილოცია, ახლა კი... ახლა, როცა გამიჭირდა... უკანასკნელ ჟამს... არა, არც იმდენად სულმდაბალი ვარ... სირცხვილია, ვერ შევაწუხებ... არც მე ვიკადრებ და ვერც „მას“ ვაკადრებ...

თუ ღირსი ვარ, შემინდოს, თუ არა და - იყავნ ნება შენი, უფალო!.. მე დავდუმდები, ხოლო მან, ზეციერმა...

ანაზღად ეზოდან რაღაც ხმაურობა მომესმა. ჯიქურაულმა სიტყვა ჩაყლაპა და მე მომიბრუნდა:

- ძმაო და მეგობარო! არ გიცნობ, არ ვიცი ვინა ხარ, მაგრამ... ვინც უნდა იყო, ეს უკანასკნელი სურვილი შემისრულე: აქედან რომ გახვალ, მარადი მომიძებნე და უთხარი, ყარამანის უკანასკნელი გულისთქმაც და სუნთქვაც შენ იყავი-თქო... ანუგეშე, უპატრონე... ღმერთი გადაგიხდის, თუ სეხნიას საქციელისა არაფერი იცის, უამბე და გააფრთხილე, ოღონდ... თუმცა... არა, დაუჯერებელია: ველარ გავა... ჩემსავით არც ღვთის სამართლით ერგება და არც ადამიანისა... ჰო, მართლა: აი ესეც გადაეცი... სახსოვრად. - და ძვლის ჩიბუხი ხელში ჩამჩარა.

- უთხარი, ყარამანის ნაცოდვილეგია-თქო... მეც მზად გახლავართ.

ჩექმების ფრთხილი ბრახუნი ჩვენს საკნის წინ შეწყდა. რკინის ურდულმა დაიჟღარუნა და ნაჭედმა კარმა დაიკვნესა.

- ყარამან ჯიქურაული...

ყარამანი წინ წარსდგა:

- მე გახლავართ.

- თქვენი წლოვანება?

- დღეს შემისრულდა ოცდაათი.

- ჩამომავლობა?

- აზნაური.

- გამომყეთ. - ინებეთ.

მზე იმ დილასაც მართლა ამოვიდა. ბელურებმა და მერცხლებმა მართლა ჟივილ-ჭივილი ატეხეს. მემაწვნემ ქუჩა ისევ გააღვიძა ყვირილით და ამ ქვეყანას მართლა არავითარი დანაკლისი არ დაეტყო.

დილეგი დავალაგე, ჩაი დავლიე და თეთრ კედელზე მინაწერი მაშინდა გამახსენდა. მივედი და წავიკითხე:

„ბელს ვერსად წაუხვალ. ერთმანეთს რამდენიმე წელიწადს დავდევი. მე ქარივით დაქვროდი, ის კი ურმით მომდევდა. მაინც დამეწია.“

ვენახე ღალატი მეგობრის, რომელიც ხუთჯერ გამოვგლიჯე სიკვდილს.

სეხნიავ, აქ გადაძირჩი, მაგრამ იქ მიფრთხილდი! ყარამან ჯიქურაული“. იმავე დღეს მეორე საკანში გადამიყვანეს. და ორი კვირის შემდეგ ისევ პირველში დამაბრუნეს. დავბინავდი და ჯიქურაულის წარწერას მივადექი. ერთხელ კიდევ ჩავიკითხე და იქვე ქვევით თვალი მეორესაც მოვკრი, ეწერა:

„ბელი-მდეგარი მეც დამეწია. მარადი არც მე მერგო. არ მესმის, როგორ მოხდა ყველაფერი. შენდობას არ ვითხოვ. ღირსი არა ვარ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის ქვეყანა მართლა არსებობდეს. სამოთხეში რომ შემეყვანონ და იქ დამხვდეს, ჯოჯოხეთში გადავსახლდები. მოდიან... დროა.“

სეხნია“.

და ეს ხელი უფრო ბატიფეხურს ჰგავდა, ვიდრე ვაჟკაცის ნაწერს. ის საკანში ვიღაც სხვა პატიმარი იჯდა. ვკითხე: - მგონი ამას წინათ ამ საკნიდან ვიღაც გაიყვანეს.

- გაიყვანეს.

- როგორ წავიდა? - გაათრიეს.

მალე ჩემი სიმართლეც გამოირკვა. ჩემმა მახეზლარმა საზღაური მიიღო, ცილი ჩამომრეცხეს და გამომიშვეს.

სხვისი ჭირისთვის ველარ მოვიცალე, რადგან საკუთარსაც ძლივს დავათრევდი. მაინც ვიარე და მარადი ვემებე, მაგრამ ვერ ვიპოვე და დავივიწყე. რას ვიფიქრებდი, რომ ის ქალი, ვისაც ერთ დროს თვალი დავადგი და ვინც ერთხელ ჩემგან თავისი ხელსახოციც კი არ მიიღო, ყარამან ჯიქურაულის ნაცოლარი გამოდგებოდა? ორჯერ-სამჯერ ქუჩაში მოვკარი თვალი.

შავები ეცვა და დიდი სევდა დაჰქონდა. „ვინ იცის, ვისზეა მგლოვიარე. შეიძლება დაქვრივდა კიდევაც“, - გავიფიქრე მაშინ. ახლა კი მის ოთახში დავბორიალებდი და ყველაფერი ვიცოდი.

ყარამანის ნაამბობი გამახსენდა და ამ ქალის ცხოვრების რამდენიმე სურათმა გამიბრინა თვალწინ: უზრუნველი ახალგაზრდობა. მერე რიგრიგად მშობლების და ძმის სიკვდილი. შიშშილი და უცხო ქვეყანაში ხეტიალი. შემდეგ ორი კაცის, ორი მხეცის შეხვედრა:.... საბელოს პოვნის იმედი, სიყვარული, ხეტიალი, ქორწინება, შვილი, ნაადრევი დაქვრივება, და რაღა დასამალავია! - და ქუჩაში გასვლა, მეძავობა... თითო თუმანი.

ჩემი მუქარაც გამახსენდა: „შადურის წყენა არ ჩაგვიღის, ქალბატონო. ვინ იცის, ეგ ავგოროზობა სად დაგიხვდეს. ოდესმე შეგხვდები და განანებ“.

ჩემმა წყენამ მართლა არ ჩაუარა. ავგოროზობაც, ან შეყვარებულის ჩვეულებრივი სიფრთხილე, უკვე წინ დაუხვდა. შევხვდი და... ვანანო? გავახსენო? ვატირო? ამაზე ადვილი აბა რა იყო! ვატირო... ასეთის ქალი ატირო...

ვიჯექი და ჯერჯერობით მე ვტიროდი, თითქმის ვტიროდი, ის კი, ქვრივი მარადი, ჩუმი ნაბიჯით დაბრუნებული, იდგა და გაოცებით მიმხერდა. მერე მკითხა:

- ბატონო გივი, ასე უცებ გუნება რად გამოიცვალეთ? სანამ ამ ოთახში შემოხვიდოდით, ძალიან მხიარული იყავით, ახლა კი...

- ქალბატონო მარადი, - ვუპასუხე, - ამ ქვეყნად ბევრი რამ არის მოულოდნელი და გაუგებარი.

- მაგალითად?

- თუნდაც ერთი რამ: სანამ ამ ოთახში შემოვიდოდით, თქვენც მხიარული იყავით და უსიტყვოდ დიდ სიხარულს მპირდებოდით, ხოლო შემდეგ... ნუ, მარადი, სჯობია ამაზე საუბარი შევიწყვიტოთ.

არაფერი მიპასუხა. თავი ჩაქინდრა და სირცხვილის თუ მოგონების ქვეყანაში გადასახლდა.

მეც იქ ვიყავი და ვფიქრობდი: „როგორ გადავცე ჯიქურაულის უკანასკნელი დანაბარევი? ყველაფერი ვუამბო? გავახსენო? ავატირო? და პასუხიც უმაღვე ვიპოვე: რად? რისთვის? რა საჭიროა?“

ერთიც გამახსენდა: წელან ჩემთან მუთაქასავით ეგლო, ჯიქურაულის სიტყვით კი ვნებიანი უნდა ყოფილიყო: „ბარაქალა, მარადი! - გავიფიქრე. - მულამ წაგებაში იქნები. ვინც ამ ლოგინზე ერთხელ მაინც გიგემა, მეორედ აღარ შემოვა. სამაგიეროდ ეგ სიცხვე ერთგულების ნიშანია, და მანამდე ივლი აგრე მიუკარებელი, სანამ ყარამანის ნათქვამი არ შეგისრულდება: „მარადი დაქვრივდება. შავებს ჩაიცვამს. მერე საზარელი დრო ქლიბივით ყველაფერს წაშლის. მარადიც გამომიტირებს და შემდეგ ახალ ვინმეს იშოვის. ღმერთმაც ხელი მოუმართოს და ჩემზე უკეთესი შეახვედროს“.

ბოლოს სიჩუმე ისევ მე დავარღვიე: - მარადი, შვილი არა გყავთ?

უცებ შემომხედა, თითქოს ის იყო გამოფხიზლდაო, და შიშით თუ გაოცებით მკითხა: - ვინ გითხრათ?

- არავინ... მე თვითონვე გეკითხებით, შვილი ხომ არა გყავთ-მეთქი?

- არა... არა, არა მყავს.

მერე გავიარ-გამოვიარე, ჩიბუხიდან ფერფლი გამოვყარე, მარადოს გვერდით მიუჯექი და ხელი ჩამოვართვი:

- მარადო, თქვენი სახელი ახლალა გამახსენდა.

- მართლა? როგორ?

- ერთი მეგობარი მყავდა. შარშან ციხიდან გამოვიდა. გემებდათ, უნდოდა მცირე რაღაც გადმოეცა, მაგრამ ვერ გიპოვნათ. შემდეგ ტფილისიდან მიდიოდა და მე დამიტოვა.

უცებ გამოცოცხლდა, თვალები გაანათა და ატოკდა:

- რა... რა გადმოგცათ?... მალე მითხარით.

- ბევრი არაფერია. აი ეს ჩიბუხი.

ძვლის ჩიბუხი გამომტაცა და გულმოდგინედ დაათვალიერა, მერე ჩაიჩურჩულა:

- ქალის თავი.

- თქვენი თავია, მარადო, თქვენი. აი აქ დახედეთ.

წვრილად დანაკაწრი ძლივს გაარჩია: „მარადი, ყარამანი“. გაარჩია და მთრთოლვარე ხელი მკლავში დამტაცა:

- ვინ მოგცათ?... კიდევ რა დააბარა?... სად არის?

- უცხოეთშია. ან რად გჭირდებათ? მე თვითონაც გამოვკითხე. მითხრა: „ვიღაც ტუსაღმა გადმომცა და მთხოვა, ესა და ეს ქალი იპოვეთ, ჩააბარეთ და გადაეცით, ჩემი ნახელავიაო“.

- მეტი არაფერი?

- არაფერი. - და ღუმილის შემდეგ დავუმატე: - ჰო, მართლა, უთქვამს: უკანასკნელი ანდერძი შემისრულოს: „მე მარადოს ფრჩხილის ღირსიც არ ვიყავი, ამიტომ მალე დამივიწყოს და მალე გათხოვდესო“. ეს არის და ეს. მეტი არაფერი... ვერ გიპოვებ, თორემ ასე არ დავიგვიანებდი.

თავი ხელებში ჩაიგლო და გახევდა. მე წამოვდექი, ჯიბე მოვიფხიკე და, რაც რამ მქონდა, თეფშის ქვეშ ამოვდე. შემდეგ მარადოს თავი გადავუწვიე, შუბლზე და-ძმური კოცნით ვაკოცე და გამოვბრუნდი.

- კარგად იყავი, ჩემო მარადო.

- ჩაი... - დაიკვნესა.

- არა, გენაცვა, არ მინდა.

- კიდე... კიდე მნახეთ... - გნახავ, გენაცვა, კიდე გნახავ.

და მესამე დღეს ერთხელ კიდე მივედი და ერთი ჩემი საუკეთესო მეგობარი მივიყვანე.

- კაცო, როსტომ, - ვუთხარი წინა დღით, - რა ღმერთი გიწყრება! ლამის დაბერდე და აქამდე შენი ტოლი როგორ ვერ იშოვე?

- აბა რა ვიცი, ჩემო გივი, - მიპასუხა, - ვერსად წავაწყდი, ვერც მოვიცალე და მართლა ლამის ხელმარტო დავბერდე. - მოდი მენდე. ცუდს არაფერს გირჩევ.

და ვურჩიე. მარადი ავუწერე, შევუძიე, შევუღამაზე, წინდაწინვე მოვხიბლე. ოღონდ ერთი რამე დავუმაღლე: რომ ის ქალი უკანასკნელ დროს ოდნავ... ოდნავ ფეხსუსტად იყო. მაგრამ მტკიცედ მჯეროდა, რომ როსტომი იმ ფეხებს ადვილად მიუმაგრებდა, და ამიტომ გავბედე. ბოლოს ერთი რამეც ვუთხარი:

- მგონი შვილი უნდა ჰყავდეს. რამდენიმე თვისა ან ერთი წლისა უნდა იყოს. ხომ არ გეშინია? მცირე ხნით ჩაფიქრდა და მიპასუხა:

- ჩვენს დროში აღარავინ დამძრახავს, სხვამხრივ კი იქნებ უკეთესიც იყოს. თუ ვაჟია, ადრე მომესწრება, შენ ქალი მაჩვენე, თორემ ეგ არაფერია.

მეორე დღესვე გავაცანი.

გავაცანი და ერთი საათის შემდეგ ერთმანეთს მივუგდე.

თვეც არ გასულა, რომ ახალ ქორწილში ვიქეიფე... ისე ვიქეიფე, რომ ჩემს მოსაბრუნებლად წყალიც არ ეყოთ.

ნამალევი შვილი მართლა ვაჟი გამოდგა, როსტომმა კი ხუთ წელიწადში ხუთი ქალ-ვაჟი მიუმატა. მარადიმ იმედი გამიმართლა: ისე მტკიცედ დგას ფეხებზე, რომ წაქცევა კი არა, მისი წაფორხილებაც შეუძლებელია. მისი წარსული ერთი სიტყვითაც არ გაგვიხსენებია.

მე ერთი დავთესე და როსტომმა კი ასჯერაც მომამკვივნა. თვეში ორჯერ მაინც მომძებნის და მეტყვის ხოლმე:

- გივი, წამო ლუკმა გავტეხთ.

ჯერ უარზე შევდგები, მერე კი უეჭველად მოვტყდები. მარადი ხელგაშლით დამიხვდება და თავს მევლება ხოლმე:

- გივი მოვიდა... გივი, დაბრძანდით... გივი, მიირთვით... გივი, ინებეთ... დალიეთ... მოისვენეთ.

როსტომი ბაღლებისთვის საჩუქარს მიყიდის და მე გადმომცემს ხოლმე.

ამ საჩუქარს ბაღლებს დავურიგებ და მოვიმადლიერებ.

მეორე დღეს საბახურევს ვეძებ და ჩემს ჯიბეში სამიოდე დღის

სამყოფს ვპოულობ. შემაჩვიეს, გამრყენეს და არ ვიცი, როდისღა გადავეჩვევი.

მეგობრებო, ამბავი გავათავე. იგი სევდით დაიწყო და ბედნიერად დასრულდა. დამიჯერეთ, ისევე ეს სჯობია, ვიდრე სიცილით დაიწყო და ცრემლით გაათავო.

მშვიდობით, ამირანებო! ვინ იცის, როდისღა შეგხვდებით. უფრო და უფრო იშვიათად გხვდავთ. ბრალი ჩემი: გუშინდელი ღლეკანდელს მირჩევნია, ღლეკანდელი სვალინდელს სჯობია.

მაშ ორეუარ, მონ შერ ამი!

სალამათ, გარდანქეშნებო!